570/2
1961 XV

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ვახუშტის სახელობის

გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები

ტ. XV

ეკონომიურ-გეოგრაფიული სერია

რაჭა-ლეჩხუმი

ТРУДЫ

ИНСТИТУТА ГЕОГРАФИИ им. ВАХУШТИ

Т. XV

ЭКОНОМИКО-ГЕОГРАФИЧЕСКАЯ СЕРИЯ

РАЧА-ЛЕЧХУМИ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი — 1961 — ТБИЛИСИ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახუშტის სახელობის

გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები

ტ. XV

ეკონომიურ-გეოგრაფიული სერია

რაჭა-ლეჩხუმი

8630

ТРУДЫ

ИНСТИТУТА ГЕОГРАФИИ им. ВАХУШТИ

Т. XV

ЭКОНОМИКО-ГЕОГРАФИЧЕСКАЯ СЕРИЯ

РАЧА-ЛЕЧХУМИ

საქართველოს სსრ სამეცნიერო ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა
თბილისი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი — 1961 — ТБИЛИСИ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი აკადემიკოსი ალ. ჯავახიშვილი

Редактор АКАДЕМИК А. Н. ДЖАВАХИШВИЛИ

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია — ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ., ტ. XV, 1960
Академия наук Груз. ССР—Труды Института географии им. Вахушти, т. XV, 1960

ნ. ნაბუღლია

რაჭა-ლეჩხუმის მეურნეობის განვითარებისა და განლაგების ზოგადი დახასიათება

რაჭა-ლეჩხუმი მდებარეობს საქართველოს სსრ-ის დასავლეთი ნაწილის ჩრდილო-აღმოსავლეთში. მის შემადგენლობაში შედის ცაგერის (820,4 კვ. კმ), ამბროლაურის (1159,5 კვ. კმ) და ონის (1237,5 კვ. კმ) ადმინისტრაციული რაიონები. თავისი ფართობით (3217,4 კვ. კმ) იგი აღემატება ზემო იმერეთს (2644 კვ. კმ), ხოლო ნაკლებია ქვემო იმერეთზე (3787 კვ. კმ). საკვლევ რაიონს საქართველოს ტერიტორიის 4,6% უკავია. დასავლეთიდან მას ესაზღვრება წულუკიძისა და გეგეჭკორის ადმინისტრაციული რაიონები, ჩრდილოეთიდან— ლენტეხის რაიონი, ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ და ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ, აღმოსავლეთიდან — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ხოლო სამხრეთიდან — საჩხერის, ჯიათურის, ტყიბულისა და წყალტუბოს ადმინისტრაციული რაიონები.

რაჭა-ლეჩხუმი, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ეკონომიურ-გეოგრაფიული დარაიონების თანახმად, წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ ეკონომიურ-გეოგრაფიულ ქვერაიონს.

წინამდებარე ტომში მოცემული მასალები ემყარება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ეკონომიურ-გეოგრაფიული განყოფილების მიერ რაჭა-ლეჩხუმში 1958 წელს ჩატარებული ექსპედიციის მასალებს.

ქვერაიონის მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მისი გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი, ისტორიული და სოციალურ-ეკონომიური პირობები. საბჭოთა პერიოდში რაჭა-ლეჩხუმის მეურნეობის განვითარება-ფორმირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური წყობის კანონზომიერებას, კერძოდ — მეურნეობის გეგმაზომიერ, პროპორციულ განვითარების კანონს.

სანამ უშუალოდ მეურნეობის დახასიათებაზე გადავიდოდეთ, მოკლედ შევეხებით იმ ბუნებრივ და ისტორიულ-ეკონომიურ ფაქტორებს, რომლებმაც განაპირობეს მხარის სამეურნეო სპეციალიზაცია.

რაჭა-ლეჩხუმისათვის, როგორც მთიანი კუთხისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს მის ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს. მიუხედავად გეოგრაფიული მთლიანობისა, ქვერაიონის ცალკეული ნაწილები საკმაოდ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან.

საკვლევი რაიონი წარმოადგენს ქვაბულს, რომელიც ძირითადად მოქცეულია კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის — სამეგრელოს, ლეჩხუმის, რაჭის ქედებისა და ასხი-ხვამლის მასივებს შორის. ტერიტორიის დიდი ნაწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მაღალმთიანი და საშუალმთიანია და ციცაბოდ დახრილი ზედაპირით ხასიათდება.

განსაკუთრებით რთული რელიეფითა და მკაცრი ბუნებრივი პირობებით ხასიათდება ზემო რაჭის მაღალმთიანი რაიონი, რომელსაც ტერიტორიულად ონის ადმინისტრაციული რაიონის ჩრდილოეთი ნაწილი უკავია. ეს მხარე მოიცავს კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედსა და შოდა-ყედელას ქედებს შორის მოქცეულ რაონ-ჭანჭახის გასწვრივ ქვაბულს. როგორც მთავარი ქედის, ისე შოდა-ყედელას ფიქალ-ქვიშაქვიანი მწვერვალები ციცაბო-კალთებიან დაკბილულ კლდოვან მასივებს წარმოადგენენ. ამ ქედების ფერდობების ქვედა ნაწილები დაღარულია მეტად ვიწრო ხეობებით.

რელიეფის სირთულის გამო დამუშავებისათვის ვარგისი მიწები აქ მეტად მცირეა. ისინი პატარ-პატარა ნაკვეთებად არიან გაბნეული რაონისა და ჭანჭახის ხეობებში. ამ რაიონის ნიადაგურ-კლიმატური პირობები ხელსაყრელია მხოლოდ ქერის, კარტოფილისა და საკვები კულტურების მოსაყვანად. სუბალპური და ალპური მდელოები, რომელთაც აქ საკმაო ფართობი უკავიათ, გამოყენებულია საძოვრებად.

ეს მხარე მდიდარია ტყეებით, რომლებსაც უკავიათ ტერიტორიის მნიშვნელოვანი ფართობი. ტყეების გარკვეულ ნაწილს სამრეწველო მნიშვნელობა აქვს, ძირითადად კი მათი როლი ნიადაგდაცვითი, წყალშენახვითი და საკურორტო ფუნქციებით განისაზღვრება. ამ კუთხის მნიშვნელოვანი სიმდიდრეა მინერალური წყაროები, რომელთა შორის ზოგიერთი (გლოლა, შოვი) სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა.

რელიეფის სირთულით და მკაცრი ბუნებრივი პირობებით ხასიათდება აგრეთვე საშუალო და მაღალმთიანი რაიონი, რომელიც მოიცავს ცაგერისა და ამბროლაურის ადმინისტრაციული რაიონების ჩრდილოეთ ნაწილს. რელიეფი აქაც საკმაოდ დანაწევრებულია. სოფლის მეურნეობისათვის ვარგისი მიწები თითქმის არ არის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლუხუნისწყლის და რიცეულის ხეობების სამხრეთულ ნაწილსა და სამეგრელო-ლეჩხუმის ქედების თხემური ნაწილის ალპურ საძოვრებს. ამ ქედების სამხრეთი ფერდობების უმეტესი ნაწილი ტყითაა შემოსილი, რომელთა გარკვეულ ნაწილს სამეურნეო მნიშვნელობაც აქვს.

სამრეწველო ხე-ტყით შედარებით მდიდარია ლეჩხუმის ქედის ის ნაწილი, რომელიც ამბროლაურის ტერიტორიაზეა. ცაგერის რაიონის ტყეები კი, რომლებიც შეფენილია სამეგრელოსა და ლეჩხუმის ქედების ფერდობებზე, უმთავრესად ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა აქვს.

სამეურნეო თვალსაზრისით ზემოთ დასახელებულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ რაიონებთან შედარებით გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს რაჭა-ლეჩხუმის სამხრეთულ საშუალმთიან, კარსტულ ზოლს, რომელიც ტერიტორიულად მოიცავს ცაგერ-ამბროლაურის რაიონების სამხრეთულსა და ონის რაიონის სამხრეთ-დასავლეთურ ნაწილებს. ოროგრაფიულად ეს ნაწილი წარმოდგენილია რაჭის ქედით და მის დასავლეთურ გაგრძელებაზე მდებარე ხვამლასხის მასივით. რელიეფის დანაწევრებით რაიონი ჩამორჩება, როგორც ზემო რაჭის მაღალმთიან, ისე რაჭა-ლეჩხუმის საშუალო და მაღალმთიან რაიონებს. ჰიფსომეტრული განვითარებით და აგრეთვე რელიეფის სირთულით გამოირჩევა ამ მხარის აღმოსავლეთი (ხიხათას მთა 2 245 მ) და დასავლეთი ნაწილები (ასხის მთა 2 245 მ და ხვამლის მთა 2 001 მ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს რაიონი ხასიათდება აგრეთვე კარსტული რელიეფით, რომელიც აქ გამოსახულია ძაბრებით, ჭებითა და მღვიმეებით. რაჭის ქედის განსაკუთრებული გეომორფოლოგიურ ელემენტს წარმოადგენს შორის ტაფობი, სადაც ცივი, ხანგრძლივი და თოვლუხვი ზამთარი იცის.

რაჭის ქედის ჩრდილოეთი ფერდობები საკმაოდ ინტენსიურადაა ათვისებული სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით. ამ რაიონში თავმოყრილია რაჭა-ლეჩხუმის სახნავი მიწებისა და სათიბების მნიშვნელოვანი ფართობი ასხის, ხვამლის მასივზე და ხიხათას მთახე არის სუბალპური საძოვრების განძარტოებული ფრაგმენტები. ამ ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონის საკმაო ნაწილი ტყითაა შემოსილი, რომელსაც ნაწილობრივ სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

ეს ნაწილი განსაკურებით მდიდარია წიაღისეულით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩ ო რ დ ი ს ბარიტის საბადო, რომელსაც საკავშირო მნიშვნელობა აქვს. იგი მდებარეობს ონის რაიონში მდ. ჯეჯორას აუზში. ამავე ზონაში მოიძოვება ისეთი დიდი მნიშვნელობის ენერგეტიკული წიაღისეული, როგორიც არის შ ა ო რ ი ს ქვანახშირი. ეს საბადო წარმოადგენს ტყიბულის ქვანახშირის საბადოს ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთურ გაგრძელებას. თავისი ხასიათით აქაური ქვანახშირი არ ჩამოუვარდება ტყიბულისას, მხოლოდ ხასიათდება უფრო მეტი ნაცრიანობით. ეს ქვანახშირის საბადო თავისი მარაგით რამდენჯერმე აღემატება ტყიბულისა და ტყვარჩელის საბადოებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეურნეო თვალსაზრისით რაჭა-ლეჩხუმის დაბალმთიანი რაიონი, რომელშიაც შედის ცაგერის, ამბროლაურისა და ონის ადმინისტრაციული რაიონების უდაბლესი ნაწილი. ოროგრაფიული თვალსაზრისით იგი მოიცავს რაინის ხეობას, ტვიშის კლდეკარდან თითქმის უწერამდე, ლაჯანურის ხეობის ქვემო ნაწილს ორბელის ქვაბულისა და ლაბეჭინას სერის ჩათვლით, ცხენისწყლის ხეობის გაფართოებულ მონაკვეთს (ცაგერის ქვაბული) და ორბელ-ცაგერის ქვაბულთა გამყოფელ შუა ლეჩხუმის სერს.

რელიეფის დანაწევრება ამ რაიონში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ზემოთ აღნიშნულ რაიონებში. ეს მხარე ძირითადად გორაკბორცვიანია, რომლის ფერდობებიც ტერასებად ეშვებიან მდინარეთა ხეობებისაკენ.

ქვეყნაირნის ნიადაგურ-კლიმატური პირობები ხელსაყრელია სოფლის მეურნეობისათვის. აქ ჰავა ზამთრობით ზომიერად თბილია, ზაფხული კი საკმაოდ ცხელი და ხანგრძლივი იცის.

ზაფხულის 3 თვის საშუალო ტემპერატურა 20°-ზე მეტია. ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი კი 36—38° აღწევს. ატმოსფერულ ნალექთა წლიური რაოდენობა 1000—1300 მმ უდრის. კლიმატურ პირობებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის თვისებებსაც. ამ ზონაში ძირითადად წარმოდგენილია სეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, რომელთაც ახასიათებს საშუალო სისქე, ჰემუსის საკმაოდ დიდი შემცველობა და კარგი სტრუქტურა.

განსაკუთრებით ხელსაყრელია აქაური ბუნებრივი პირობები მევენახეობისათვის. აქ თავმოყრილია რაჭა-ლეჩხუმის ვენახების მთელი ფართობი და სახნავ-სათესი მიწების დიდი ნაწილი.

ეს ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონი, გარდა სამეურნეო მნიშვნელობისა გამოირჩევა მოსახლეობის განსახლების შედარებით ხელსაყრელი პირობებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მდინარეთა ხეობები, რომელთა საფეხურებრივ ტერასებზეცდაც შეფენილია რაჭა-ლეჩხუმის დასახლებულ პუნქტთა მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ მხრივ გამოირჩევიან მდ. ცხენისწყალისა (ცაგერის ქვაბული) და რიონის ხეობები.

დაბალმთიან ნაწილზე მოდის აგრეთვე სამმოსავლო გზების დიდი ნაწილი, რომელნიც ძირითადად მდინარეთა ხეობებს მიჰყვებიან.

მიეხედავად რიგი ხელშემწყობი პირობებისა, ამ ზონის მეურნეობას მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ეროზიული და მეტად გავრცელებული მეწყერული მოვლენები, რომელთა მორფოლოგიურ გამოვლინებებს აქ საკმაოდ ინტენსიური ხასიათი აქვს.

რაჭა-ლეჩხუმი საკმაოდ მდიდარია წიაღისეულით (ბარიტი, დარიშხანი, ქვანახშირი), ჰიდრორესურსებითა და ტყეებით, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ამ მხარის სამეურნეო განვითარებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლის დამყარებამდე რაჭა-ლეჩხუმი საქართველოს ერთ-ერთ ჩამორჩენილ აგრარულ კუთხეს წარმოადგენდა.

რაჭა-ლეჩხუმი თავისი ეკონომიურ-გეოგრაფიული მდებარეობის, ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიური პირობების გამო საუკუნეთა განმავლობაში კარჩაკეტილ კუთხედ რჩებოდა, რაც ძალზე აფერხებდა მის სამეურნეო განვითარებას და შრომითი რესურსების გამოყენებას.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რაჭა-ლეჩხუმისათვის კაპიტალიზმის განვითარებას საქართველოში; რუსეთის კაპიტალიზმი, რომელიც საქართველოს მსოფლიო საქონლურ ბრუნვაში ითრევდა, თავის მხრივ იწვევდა საშინაო ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებას და შრომის ტერიტორიული დანაწილების გაღრმავებას სხვადასხვა კუთხეების სამეურნეო სპეციალიზაციის საფუძველზე.

სპეციალიზაცია ხდებოდა სოფლის მეურნეობის სასაკონლო დარგების განვითარების გზით. საქართველოს ცალკეული კუთხეებიდან დაწინაურდნენ: სიმინდის მოყვანაში — სენაკის მაზრა, მეფრინველეობაში — სამტრედია, მეხილეობაში — ქართლი, მევენახეობა-მეღვინეობაში კი — კახეთი, ზემო იმერეთი და ნაწილობრივ ქართლი. იმდროინდელი ბურჟუაზიული თაოსნობის ადამიანები იწყებენ ზრუნვას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის უფრო მაღალ საწყისებზე მოწყობისათვის. დიდი ყურადღება ექცევა მევენახეობა-მეღვინეობას, რომელიც განსაკუთრებით ინტენსიურად XIX საუკუნის 70-იან წლებიდან ვითარდება.

ამ პერიოდში იქმნება ე. წ. საუფლისწულო უწყების მევენახეობა-მეღვინეობის მსხვილი მეურნეობები, რომელთაგანაც აღსანიშნავია: კახეთში — წინანდალი, ნაფარეული და მუკუზანი, ქართლში — მუხრანი, ხოლო იმერეთში — ვაჭევი. ამ მეურნეობების ვენახების შევსება ხდებოდა ადგილობრივი და უცხოური ძვირფასი ვაზის ჯიშებით. იმ დროისათვის სანიმუშოდ მოწყობილ ღვინის სარდაფებში ღვინოებს, ევროპული წესით ამზადებდნენ და შემდგომ დიდი რაოდენობით გაჰქონდათ რუსეთში.

რაჭა-ლეჩხუმის სამეურნეო სპეციალიზაციაც მევენახეობა-მეღვინეობის ხაზით წარიმართა, თუმცა აქ ისეთი მსხვილი მეურნეობები არ შექმნილა, როგორც ზემოაღნიშნულ მევენახეობა-მეღვინეობის რაიონებში. რაჭაში მევენახეობას ხვანჭკარის, ბუგეულის, ამბროლაურის და წესის თემთა სოფლებ ძველთაგანვე მისდევდნენ, ხოლო XIX საუკუნის 80—90-იან წლებში იგი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის ძირითად დარგს შეადგენდა. აქ საუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილად ითვლებოდა ყიფიანის ღვინო, რომელმაც დიდად გაითქვა სახელი იმდროინდელ ქუთაისის გუბერნიაში. ეს ღვინო მზადდებოდა ალექსანდროფოლის ჯიშის ვაზისაგან და ყიფიანის სახელს იმის გამო ატარებდა, რომ მისი ტექნოლოგია თავადმა ყიფიანმა დაადგინა. ამჟამად ეს ღვინო ხვანჭკარის სახელწოდებით არის ცნობილი. მევენახეობა ლეჩხუმშიც საკმაოდ კარგად იყო განვითარებული და მოსახლეობის შემოსავალის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. განსაკუთრებით დიდი გასაკეთი ჰქონდა ქუთაისის ბაზარზე, მანდარიის ღვინოს, რომელიც უსახელოურის ჯიშის ვაზისაგან მზადდებოდა.

1857 წლის მონაცემებით ვენახების ფართობი რაჭა-ლეჩხუმში 3358 ჰექტარს შეადგენდა. მიუხედავად ვაზის დაავადებისა, ვენახების ფართობმა საკვლევ რაიონში 1895 წელს 5600 ჰექტარს მიაღწია. მაგრამ სწორედ ამ პერიოდიდან გავრცელებულმა ფილოქსერამ უდიდესი ზიანი მიაყენა ვენახებს და უკვე 1914 წლისათვის მისი ფართობი 3625 ჰექტარამდე შემცირდა. საგრძნობლად გაუარესდა მევენახეობის მდგომარეობა პირველ მსოფლიო ომის წლებში. ჯარში გაწვევის გამო მუშახელის შემცირებამ, შესაწამალი მასალის შემოზიდვის შეფერხებამ, და ბოლოს მეღვინეობის ნაწარმის გასაღების სიძნელეებმა, აიძულა მოსახლეობა თავი მიენებებინა ვენახებისათვის და მის მაგივრად მარცვლეულის ნათესები გაეფართოებინა. ომის დაწყებიდან 1917 წლამდე ვენახების ფართობი ამ კუთხეში 321 ჰექტარით შემცირდა.

განსაკუთრებით სავალალო იყო რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობა მებაღეობისათვის კონტრრევოლუციური მეწინააღმდეგეობის ბატონობის წლები საქართველოში. რუსეთთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტამ საქართველოში მარცვლეულის მწვავე დეფიციტი გამოიწვია, რასაც მოჰყვა მრავალწლიანი ნარგავების და მათ შორის ვენახების ფართობის დიდი შემცირება. ეს სენი, ცხადია, რაჭა-ლეჩხუმსაც მოედო.

1914 წლიდან 1921 წლამდე საკვლევ რაიონში ვენახების ფართობი სულ 1900 ჰექტარით შემცირდა.

მიწათმოქმედების მეორე დარგი — მარცვლეულის მეურნეობა — ძალზე ჩამორჩენილი იყო: ნათესი ფართობი პატარ-პატარა ნაკვეთებად იყო გაფანტული და სასაქონლო პროდუქციას არ იძლეოდა. მოსახლეობას საკუთარი მარცვლეული წლიურ სარჩოდაც კი არ ჰყოფნდა და იგი საქართველოს სხვა რაიონებიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჰქონდა.

რაჭა-ლეჩხუმის მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობა მეცხოველეობას ძისდევდა და ძირითადად იმით ირჩენდა თავს. ამასთან ერთად ღების, ჭიორის და გლოლას მცხოვრებლები ზაფხულის პერიოდში გამხდარ საქონელს ყიდულობდნენ ჩრდილოეთ კავკასიელი მწყემსებისგან, ასუქებდნენ და შემდეგ ჰყიდდნენ ონის და ქუთაისის ბაზრებზე.

ხოლო იმ კუთხეებში, სადაც ბუნებრივი პირობები, პირველ რიგში კი მიწის სიმცირე, ხელს არ უწყობდა მევენახეობის და მეცხოველეობის განვითარებას, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული იყო საშოვარზე წასულიყო საქართველოს სხვა მაზრებში და გუბერნიებში, ხშირად კი მის ფარგლებს გარეთაც. მოსახლეობის მიგრაციას მიწის სიმცირესთან ერთად აძლიერებდა ის, რომ საკვლევი რაიონის სუსტად განვითარებული მრეწველობა ვერ მიიზიდავდა მუშახელს. ამის გამო რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობა მიწურებოდა შედარებით ინტენსიურად განვითარებულ სასოფლო-სამეურნეო რაიონებში, მსხვილ სამრეწველო და სატრანსპორტო ქალაქებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ და სოციალისტურმა მშენებლობამ დიდად შეუცვალეს სახე რაჭა-ლეჩხუმს — წარსულში საქართველოს ერთ-ერთ ჩამორჩენილ კუთხეს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი ყურადღება ეთმობა საქართველოს მთიანი რაიონების სამეურნეო განვითარებას და იქ არსებული შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

თუ რევოლუციამდე რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობა მძიმე ეკონომიური პირობების გამო სტიქიურად მიდიოდა სამუშაოს საძებნელად და დასასახლებლად საქართველოს და რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხდა ქვეყრაიონის მოსახლეობის გეგმაზომიერი გასახლება საქართველოს ბარის სხვადასხვა რაიონებში, ხოლო იქ დარჩენილი მოსახლეობის რაციონალური დასაქმება ქვეყრაიონის მეურნეობის გაფართოება-განვითარების შედეგად.

რაჭა-ლეჩხუმის სამეურნეო წინსვლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციას და ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების სამრეწველო გამოყენებას; სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მევენახეობის აღდგენას და განვითარებას.

მევენახეობას რაჭა-ლეჩხუმის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ რევოლუციამდე გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მსოფლიო ომმა და მენშევიკების ბატონობამ ძალზე დიდი ზიანი მიაყენა მას. საბჭოთა ხელისუფლებამ გადაარჩინა ქვეყრაიონის მევენახეობა შემდგომი დაქვეითებისაგან, ხოლო საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ ხელი შეუწყო მევენახეობის შემდგომ აღმავლობას, მისი აგროტექნიკის გაუმჯობესებას და სასაქონლო პროდუქციის განუწყვეტელ ზრდას.

1921 წლიდან 1957 წლის ჩათვლით ვენახების ფართობი საკვლევ რაიონში თითქმის 1 600 ჰექტარით გაიზარდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე სოფლის მეურნეობის მეორე მნიშვნელოვანი დარგის — მეხილეობის განვითარებას, რომლისთვისაც აქ ხელშემწყობი ბუნებრივი პირობები არსებობს. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ დარგის წინსვლისათვის 1930/31 წლებში დაარსებულ მეხილეობის ამხანაგობას, რომელმაც 1932—1933 წწ. ჩაუყარა საფუძველი სამრეწველო ხეხილის პირველ ბაღებს. ამ პერიოდიდან მოყოლებული დღემდე ბაღების საერთო ფართობი რაჭა-ლეჩხუმში თითქმის 9-ჯერ გაიზარდა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ქვეყრაიონის სამეურნეო სტრუქტურაში. თუ რევოლუციამდელი რაჭა-ლეჩხუმი ჩამორჩენილ სასოფლო-სამეურნეო რაიონს წარმოადგენდა სუსტად განვითარებული შინამრეწველობით, ხუთწლედების განმავლობაში სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებასთან და მის სპეციალიზაციასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა მრეწველობის შექმნას. ეკონომიურ-გეოგრაფიული ქვეყრაიონი საწარმოო სპეციალიზაციის თვალსაზრისით რესპუბლიკის შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში წარმოადგენს სამთო მოპოვებითი მრეწველობის, ენერგეტიკის, მევენახეობა-მეღვინეობის, მეხილეობისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეცხოველეობის (მსხვილი რქოსანი პირუტყვი) რაიონს.

რაჭა-ლეჩხუმის სამეურნეო განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჰიდროენერგეტიკული მრეწველობის შექმნას, რომელიც რაიონის უმდიდრეს ენერგეტიკულ რესურსებს ემყარებოდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მდ. ლაჯანურზე, რიეულზე, ჯეჯორაზე და სხვ. აშენებულ იქნა ჰიდროელსადგურები. საკვლევ რაიონში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ელექტროსადგურებიდან აღსანიშნავია რიეულჰესი (1933 წლიდან), ორბელჰესი (1951 წლიდან), ქვედრულჰესი (1956 წლიდან), ზვართჰესი და ჯოჯორჰესი.

ამჟამად ქვეყანაში მიმდინარეობს სამი ჰიდროელსადგურის მშენებლობა, ესენი არიან: ლაჯანურჰესი (აკაგერის რაიონი), ლეხურნჰესი (ამბროლაურის რაიონი) და ჯეჯორჰესი (ონის რაიონი). ამათგან განსაკუთრებით დიდი სამეურნეო მნიშვნელობა ენიჭება ლაჯანურჰესს. იგი ფაქტიურად იქნება საქართველოს ყველაზე ძლიერი ჰიდროელსადგური. ეს ჰიდროელსადგური იმუშაებს ცხენისწყლისა და ლაჯანურის ჩამონადენის ხარჯზე.

რაჭა-ლეჩხუმის მრეწველობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია საამთო-მოპოვებითი მრეწველობა, რომელიც აწარმოებს ბარიტისა და დარიშხანის მოპოვებას.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ბარიტის მოპოვებას, რომლის საბადო მდებარეობს ონის რაიონში, მდ. ჯეჯორას აუზში, სოფ. ჩორდის მიდამოებში. ჩორდის ბარიტის საბადოს თავისი ხარისხითა და მარაგით უდიდესია და იგი მნიშვნელოვან ნედლეულის ბაზას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ბარიტის მომხმარებელ მრეწველობისათვის.

მაგრამ ეს მარაგი უმთავრესად მოცემულია ლესორას მონაკვეთის მიხედვით. დიდ ინტერესს წარმოადგენს ლესორასა და ღვალეანას შორის მოქცეული ტერიტორია, სადაც უკვე აღმოჩენილ იქნა ბარიტის მძლავრი შრე. ახლად გამოვლინებული ბარიტის შრე უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ ამ რაიონში მადნის უფრო მეტი მარაგის არსებობა. ამჟამად მიმდინარეობს ჩორდის ბარიტის წარმოების რეკონსტრუქცია და მისადგომი გზების კეთილმოწყობა. ჩორდის ბარიტს ძირითადად იყენებენ ქუთაისისა და ლენინგრადის ლითოფონის ქარხნები. გარდა ამისა, მისი გამოყენება შეიძლება რეზინის, ნავთობისა და მრეწველობის სხვა დარგებში.

დარიშხანის მოპოვება ხდება მდ. ლუხუნის წყლის მარცხენა შენაკადის მდ. მადნისღელის ხეობაში და ამიტომაც ეს საბადო ცნობილია ლუხუნის სახელწოდებით. ლუხუნის მადანში დარიშხანის შემცველობა მერყეობს 0,5%-დან 30%-მდე, ხოლო საშუალოდ 7,0%-მდე.

რაჭა-ლეჩხუმის მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგია სატყეო მრეწველობა, რომელსაც თავისი ხვედრითი წონით მრეწველობის საერთო პროდუქციაში მეორე ადგილი უკავია კვების მრეწველობის შემდეგ (მთელი სამრეწველო პროდუქციის 15,7 %). მიუხედავად იმისა, რომ მთელი ტერიტორიის 54 % ტყითაა დაფარული, სამრეწველო თვალსაზრისით გამოსადეგი ტყეების ფართობი შედარებით მცირეა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა აბროლაურისა და ონის რაიონები, სადაც საკმაო რაოდენობით არის დაგროვებული საექსპლოატაციო მერქნის მარაგი. აღნიშნულ რაიონებში არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებულ ტყის მასივების ბაზაზე მუშაობენ ხე-ტყის დამამზადებელი პუნქტები, სახერხი ქარხნები და ავეჯის საამქროები. 1957 წლისათვის საკვლევ რაიონში სულ იყო 14 ხე-ტყის მრეწველობის საწარმო.

ქვერაიონის მრეწველობის, მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის მომსახურეობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამშენებლო მასალათა საწარმოების შექმნას, რომელიც ამჟამად წარმოდგენილია აგურ-კერამიტის, კირის და საშენი ქვის საწარმოებით. აღნიშნული საწარმოები მუშაობენ ადგილობრივ ნედლეულზე.

რაჭა-ლეჩხუმის მრეწველობაში წამყვანი ადგილი კვების მრეწველობას უკავია, რომელზედაც 1957 წელს მთელი მრეწველობის პროდუქციის საერთო ღირებულების 67,2% მოდიოდა. კვების მრეწველობის მთავარი დარგია მეღვინეობა; იგი იძლევა საკვლევი რაიონის კვების მრეწველობის საერთო პროდუქციის 82,5%.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში რაჭა-ლეჩხუმი საქართველოს მეღვინეობის ერთ-ერთ ჩამორჩენილ რაიონს წარმოადგენდა, ძალზე დაბალი იყო მისი ტექნიკური ბაზა.

მეღვინეობის განვითარებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ღვინის ქარხნების მშენებლობას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენებულ იქნა ღვინის ქარხნები ამბროლაურში, ჭრებალოში, ტკიშში, ორბელსა და ა. შ. ამჟამად საკვლევ რაიონში 8 ღვინის ქარხანაა, აქედან 7 გაადგილებულია ცაგერისა და ამბროლაურის ადმინისტრაციულ რაიონებში, რომელნიც გამოირჩევიან თავისი მევენახეობით; 1 ქარხანა კი ონის რაიონშია.

ქვერაიონი მეღვინეობის მაღალი ხარისხის პროდუქციით გამოირჩევა. აქაური ღვინის ქარხნები აწარმოებენ ბუნებრივად ნახევრადტკბილსა და სუფრის მშრალ ღვინოებს. 1957 წლის მონაცემებით მასზე მოდიოდა საქართველოს მთელი ღვინის პროდუქციის დაახლოებით 8 %. თუ ღვინის საერთო პროდუქციაში რაჭა-ლეჩხუმის ხვედრითი წონა შედარებით დაბალია, სამაგიეროდ დიდია მისი როლი ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინოების წარმოებაში. 1957 წლის მონაცემებით იგი იძლეოდა საქართველოს ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინოების პროდუქციის დაახლოებით 80%.

იმისათვის, რომ ეს შედარებთ პატარა მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი გადაქცეულიყო ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინოების მწარმოებელ კუთხედ, რიგი წლების განმავლობაში დიდი სამუშაოები ჩატარდა ღვინოების უკვე არსებულ ტიპების შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად. ამასთან ერთად უკანასკნელ პერიოდში გამოვლინებაში იქნა და სამრეწველო ხასიათი მიეცა ახალი მარკის ბუნებრივად ნახევრადტკბილ ღვინოებს.

სახელგანთქმულ ხვანჭკარასთან ერთად ქვერაიონი საკმაო რაოდენობით უშვებს ტკიშს, თეთრას, უსახელაურსა და ოჯალეშის მარკის ღვინოებს, რომლებმაც უკანასკნელი წლების განმავლობაში მრავალ საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკურ დეგუსტაციაზე მაღალი შეფასება დაიმსახურეს. რაჭა-ლეჩხუმის მეღვინეობა არაა კონცენტრირებული ერთ რომელიმე სამრეწველო პუნქტში, ღვინის ქარხნები გაბნეულია მევენახეობის ძირითად მიკროროაიონებში.

მეღვინეობის შემდგომი წინსვლისათვის საჭიროა არსებული ქარხნები აღჭურვილ იქნან უფრო თანამედროვე ტექნიკით, რათა მოხდეს ღვინოების ერთგვაროვნობის დაცვა და მათი ხარისხის შემდგომი ამაღლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვლევი რაიონის კვების მრეწველობის მეორე დარგს წარმოადგენს პურის საცხობი მრეწველობა (კვების მრეწველობის საერთო ღირებულების 15,7%), რომელიც წარმოდგენილია რაიონის ცენტრებსა და მსხვილ დასახლებულ პუნქტებში არსებული 8 პურის საცხობით. ეს დარგი ძირითადად შემოზიდული ნედლეულზე მუშაობს. კვების მრეწველობის სხვა დარგებიდან აღსანიშნავია ყველ-კარაქის წარმოება. ონსა და დაბა ამბროლაურში აშენებული ყველ-კარაქის ქარხნები ახდენენ ამ რაიონების რძის გადამუშავებას, საიდანაც გამოშვებული პროდუქციის 85% იგზავნება ქუთაისსა და სამტრედიის ცხიმის ბაზებში.

მიუხედავად მრეწველობის ერთგვარი განვითარებისა, საკვლევი რაიონი ამ მხრივ ჯერ კიდევ ჩამორჩება საქართველოს რიგ ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონებს. მრეწველობის შედარებით სუსტი განვითარება, ერთის მხრივ, განპირობებულია მისი არახელსაყრელი ეკონომიურ-გეოგრაფიული მდებარეობით, მეორე მხრივ კი — მნიშვნელოვანი სამრეწველო ნედლეულის ნაკლებობით, რაც არ იძლევა მსხვილი სამრეწველო საწარმოების შექმნის საშუალებას. პერსპექტიული თვალსაზრისით ახლო ხანში, თუ შორის ქვანახშირს არ მივიღებთ მხედველობაში; სხვა რაიმე მნიშვნელოვანი წიაღისეულის დამუშავება ჯერჯერობით არაა მოსალოდნელი. ქვერაიონის მრეწველობის სუსტად განვითარებაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ამ დარგში ჩაბმულია მთელი თვითმოქმედი მოსახლეობის მხოლოდ 6,2%, სოფლის მეურნეობაში კი ორი მესამედი.

დღევანდელ რაჭა-ლეჩხუმის მრეწველობის განვითარებისათვის, როგორც ზემოთ დავინახეთ, დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს.

* * *

საკვლევი რაიონის მეურნეობის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი ყურადღება ექცევა სასაქონლო მნიშვნელობის სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარებას (ვაზი, ხეხილი). რაჭა-ლეჩხუმის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციას განსაზღვრავენ შემდეგი დარგები: მევენახეობა, მეხილეობა და მეცხოველეობა (მსხვილფეხა სახორცე სარძეო პირუტყვი). სამომხმარებლო ხასიათი აქვს მარცვლეულის მეურნეობასა და მებოსტნეობა-მებაღეობას.

რაჭა-ლეჩხუმის სოფლის მეურნეობის დღევანდელ მდგომარეობაზე და მის ზემდგომ განვითარებაზე დიდად მოქმედებს დამუშავებული მიწების სიმცირე. სასოფლო-სამეურნეო მიწებს უკავიათ 75,8 ათასი ჰექტარი ანუ საკვლევი რაიონის ტერიტორიის 23,7%, იმ დროს, როდესაც ქვემო იმერეთში მათი ფართობის ხვედრითი წონა 36,0 % შეადგენს, მთლიანად რესპუბლიკაში კი — 39,4%. ძალზე მცირეა ქვერაიონის სახნავ-სათესი მიწების ფონდი, რომელზედაც აქ მოდის მთელი ფართობის 7,2%, ე. ი. სამჯერ უფრო ნაკლები, ვიდრე ქვემო იმერეთში. არც მრავალწლიანი კულტურების ფართობთაა წინ რაჭა-ლეჩხუმი. ამ კატეგორიის სავარგულებს აქ უკავიათ მთელი ტერიტორიის 1,8%, ზემო იმერეთში — 4,3%, ქვემო იმერეთში — 8%, ხოლო საშუალოდ რესპუბლიკაში — 3,5%. დამუშავებული მიწები, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნეთ, ძირითადად განლაგებული არიან რაჭა-ლეჩხუმის დაბალმთიან ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილში — რიონის, ცხენისწყლისა და ლაჯანურის ხეობებში; მდინარისპირა ჭალებში, ტერასებზე, ფერდობებზე, გორაკ-ბორცვებზე და სერებზე. გარდა ამისა, სანნავ-სათესი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი შეფენილია რაჭის ქედის ჩრდილოეთ ფერდობებზე და შუა ლეჩხუმის სერზე. სათიბ-საძოვრებზე მოდის მთელი ტერიტორიის 14.7 %. ამ მხრივ ქვეყაიონი წინ დგას იმერეთზე (8,6 %), მაგრამ ჩამოუვარდება რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებელს (21,8%).

ტყეებსა და ბუჩქნარებს უკავიათ საკვლევი რაიონის მთელი მიწების 59 %, ხოლო უვარგის მიწებს — 17,3%.

როგორც დავინახეთ, სასოფლო-სამეურნეო მიწებს რაჭა-ლეჩხუმის მთელი ტერიტორიის მცირე ნაწილი უკავია. მაგრამ ამ მიწების დამუშავებაც საკმაოდ განძნელებულია იმის გამო, რომ რელიეფის მნიშვნელოვანი ნაწილი ძალზე დიდი დახრილობით ხასიათდება. ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ გორაკ-ბორცვებზე განლაგებული ვენახები მაღალხარისხოვან ღვინოებს იძლევა, ხოლო ხეხილის ბაღები საუკეთესო ხარისხის ხილს.

რაჭა-ლეჩხუმის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ა ა. რომელიც სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის მომცემ ძირითად დარგს წარმოადგენს.

1957 წლის მონაცემებით საკვლევი რაიონის ვენახების საერთო ფართობი 3 320 ჰექტარს შეადგენდა. ვენახები ძირითადად გაშენებულია მდინარეთა ხეობების ტერასებზე, ფერდობებზე და გორაკ-ბორცვებზე. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა რიონის, ცხენისწყლის და ლაჯანურის ხეობები, სადაც ნიადაგურ-კლიმატური პირობები განსაკუთრებით ხელსაყრელია, მაღალხარისხოვანი საღვინე ნედლეულის მისაღებად.

რაჭა-ლეჩხუმის მეღვინეობა ღვინის წარმოების მიმართულებისაა და იძლევა საუკეთესო მასალას ბუნებრივი მოტკბო და სუფრის ღვინოების დასამზადებლად.

რაჭა-ლეჩხუმის ვენახების ჯიშობრივ შემადგენლობაში გვხვდება როგორც ადგილობრივი, ისე საქართველოს სხვა რაიონებიდან შემოტანილი ვაზის ჯიში. საკვლევი რაიონის ცალკეული მიკრორაიონები ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისგან ჯიშობრივი შემადგენლობით. რაჭაში — ამბროლაურის რაიონში ძირითადად გავრცელებულია ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ო ს ი ა და წ ო ლ უ კ ი ძ ი ს თ ე თ რ ა. ონის რაიონში კი ჭარბობს მ წ ვ ა ნ ე და ს ა ფ ე რ ა ვ ი. თავისი ჯიშობრივი შემადგენლობით ცაგერის რაიონი განსხვავდება როგორც ამბროლაურის, ისე ონის რაიონისაგან. აქ ძირითადად იმერული ჯიში ც ო ლ ი კ ო ურ ი ა გავრცელებული, რომელიც ფილოქსერას გამოჩენის შემდეგ იქნა შემოტანილი. სხვა ჯიშებიდან აღსანიშნავია უ ს ა ხ ე ლ ა ურ ი — ადგილობრივი ჯიში და სამეგრელოდან შემოტანილი — ო ჯ ა ლ ე შ ი.

ცალკეული სექტორების მიხედვით 1958 წელს ვენახების ფართობი შემდეგ სურათს გვაძლევს:

ვენახების ფართობი ჰექტარებში:	
სულ ფართობი	3 320
მათ შორის კოლმეურნეობებში	1 790
კოლწევრებისა	1 530

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, საკოლმეურნეო ვენახების ხვედრითი წონა რაჭა-ლეჩხუმში, საკმაოდ მაღალია (53,8%), ამ მხრივ იგი ქვემო იმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთზე წინ დგას, სადაც ვენახების საკოლმეურნეო სექტორზე მზოლოდ 37,8% მოდის. ამასთანავე საკმაოდ დიდია ვენახების ფართობი კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე, რაც ერთგვარ გავლენას ახდენს კოლწეერთა შრომის გამოყენებაზე.

საქართველოს მევენახეობის სხვა მნიშვნელოვან რაიონებთან შედარებით რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობაში მექანიზაცია თითქმის არ არის გამოყენებული, რის გამიც შრომითი დანახარჯები საკვლევ რაიონში საკმაოდ მაღალია. 1957 წლის მონაცემებით ამბროლაურის რაიონში ერთ ჰექტარ ვენახზე დაიხარჯა 209 შრომადღე, ონის რაიონში — 310, ხოლო ცაგერის რაიონში — 314 შრომადღე. საკვლევი რაიონის ბევრმა კოლმეურნეობამ აგროტექნიკური წესების უხეშად დარღვევისა და ვენახების მოუვლელობის შედეგად ყურძნის ფეტად მცირე მოსავალი მიიღო.

1957 წელს საკოლმეურნეო ვენახების საშუალო მოსავალი ცენტნერებში 1 ჰექტარზე შემდეგი იყო: ცაგერის რაიონში — 47 ცენტნერი, ონის რაიონში — 37 ცენტნერი, ამბროლაურის რაიონში — 23 ცენტნერი.

რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მევენახეობაში შრომის ხარჯების მაქსიმალური შემცირება. ამ მიზნით ახლო მომავალში ქვერაიონის მევენახეობის ძირითად მიკრორაიონებში გამოყენებული უნდა იქნეს მცირებარიტიანი ტრაქტორები, რომელთა გამოშვებაც უკვე წარმოებს. ეს ღონისძიება მნიშვნელოვნად შეამცირებს შრომის ხარჯვას და ცენტნერი ყურძნის თვითღირებულებას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობაზე რესპუბლიკის წინაშე დასმულ იქნა ამოცანა, რათა შვიდწლეულში ვენახების ფართობი არსებული 68 ათასი ჰექტარიდან გაიზარდოს სულ ცოტა 120 ათას ჰექტარამდე. გასაშენებლად ვენახების გარკვეული ნაწილი რაჭა-ლეჩხუმზედაც მოდის, სადაც პერსპექტიული გეგმის თანახმად ვენახების ფართობი 3 320 ჰექტარიდან 4 110 ჰექტარამდე გაიზრდება.

რაჭა-ლეჩხუმის სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს მ ე ხ ი ლ ე ო ბ ა — ქვერაიონის ბუნებრივი პირობები სავსებით ხელსაყრელია ვაშლისა და მსხლის კულტურის გასავრცელებლად. ჯერ კიდევ ისტორიულ წარსულში ეს კუთხე ცნობილი იყო თავისი მეხილეობით, მაგრამ მას ხელისშემშლელი სოციალურ-ეკონომიური პირობების გამო (კერძო მიწათმფლობელობა, წვრილი ბლეხური მეურნეობა და სხვ.) ფართოო გაქანება არ მიუღია.

1958 წლის მონაცემებით ხეხილის ბაღების საერთო ფართობი 2 685,7 ჰექტარს შეადგენს. ხეხილის ბაღები უმთავრესად რიონისა და ცხენისწყლის ხეობებში, გორაკ-ბორცვებისა და მთის ფერდობებზეა გავრცელებული, გაფანტული ნარგავების სახით. წიფერჩის, დეხვირის, ღვირიშის, ლასტურაშის, სინთლის და სხვ. კოლმეურნეობების ნაკვეთებზე ხეხილის ბაღები მთლიანი მასივების სახითაც გვხვდება.

რაჭა-ლეჩხუმში გავრცელებული ხილიდან წამყვანი ადგილი თესლოვან კულტურებს უკავიათ.

მეხილეობას ქვერაიონის სოფლის მეურნეობაში სასაქონლო მნიშვნელობა აქვს და კოლმეურნეთა შემოსავალში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. აქ არსებული 105 კოლმეურნეობიდან 72-ს აქვს საკოლმეურნეო ხეხილის ბაღი. თავისი ხარისხით ქვერაიონის ვაშლის საუკეთესო ჯიშები არ ჩამოუვარდებიან ევროპულს და ზოგ შემთხვევაში მაზე მაღლაც დგანან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელ პერიოდში მარცვლეული კულტურების ფართობის ზესამჩნევად შემცირება გამოწვეულია, ერთის მხრივ, მევენახეობა-მეხილეობისა და საკვები კულტურების ფართობის ზრდით, მეორეს მხრივ, კი მწირ მიწებიც მიტოვებითა და ეროზიულ-მეწყერული მოვლენებით.

1940 წლიდან 1958 წლის ჩათვლით მარცვლეულის ფართობი 10,3 ათასი ჰექტარით შემცირდა. 1958 წელს მარცვლეული კულტურების ფართობი 17,2 ათას ჰექტარს შეადგენდა. საკვლევი რაიონის მარცვლეულის ფართობის ხვედრითი წონა რესპუბლიკის მარცვლეულის ნათესების მიმართ იმავე წლის მონაცემებით დაახლოებით 2,7% უდრიდა.

მარცვლეული კულტურებიდან ქვერაიონში უმთავრესად სიმინდი და საშემოდგომო ხორბალი ითესება, მეტად მცირე ფართობი უკავია საგაზაფხულო ხორბალსა და ქერს. სიმინდზე მოდის მარცვლეულის მთელი ნათესი ფართობის თითქმის 71%. იგი უმთავრესად მოჰყავთ მდინარისპირა ჭალებში, გორაკ-ბორცვებზე და მთის ფერდობებზე. ამ რაიონში გავრცელებული ჯიშებიდან აღსანიშნავია აჯამეთის თეთრა, აბაშის ყვითელი, ადგილობრივი ნახევრადგბილა თეთრი, კაკოვანა თეთრი და სხვ. მეორე მნიშვნელოვან მარცვლეულს საშემოდგომო ხორბალი წარმოადგენს — მას მთელი ნათესი ფართობის 23%-ზე მეტი უკავია. ხორბლის ჯიშებიდან უმთავრესად ითესება თეთრი დოლი და ადგილობრივი ჯიში „ხულუგო“.

მარცვლეულს მოსავლიანობა ქვერაიონში მეტად დაბალია, რაც უმთავრესად მინერალური სასუქების არასაკმო გამოყენებასთან და მექანიზაციის სუსტად გამოყენებასთან არის დაკავშირებული. სიმინდის საშუალო მოსავალი ერთ ჰექტარზე 1957 წელს 9.8 ცენტნერს შეადგენდა, საშუალოდ რესპუბლიკაში კი — 12,5 ცენტნერს. იმავე წელიწადს საშემოდგომო ხორბლის მოსავალი ქვერაიონში 4,6 ცენტნერს უდრიდა, ხოლო საშუალოდ რესპუბლიკაში— 11,1 ცენტნერს. ასეთი მცირე მოსავლიანობის გამო მას სასაქონლო მნიშვნელობა არ აქვს და მხოლოდ სამომხმარებლო ხასიათს ატარებს. მაგრამ მისი სამომხმარებლო მნიშვნელობაც ძალზე განსაზღვრულია. იგი ვერ აკმაყოფილებს რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის მოთხოვნილებას და საჭირო ხდება მარცვლეულის საკმაო რაოდენობით შემოზიდვა სხვა რაიონებიდან.

პარკოსანი კულტურებიდან ქვერაიონში გაერცელებულია ლობიო, რომელიც ხშირად სიმინდთან ერთად ითესება. 1958 წელს მარტო ლობიოს ფართობი საკვლევ რაიონში 284 ჰექტარს შეადგენდა, სიმინდში შერეული ფართობი კი — 2 397 ჰექტარს. ლობიოს სამომხმარებლო ხასიათი აქვს და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მცხოვრებთა საკვებ რაციონში. ლობიოს საშუალო მოსავალი 1 ჰექტარზე 2 ცენტნერს შეადგენს.

ბოსტნეულ-ბაღჩეული მეურნეობა რაჭა-ლეჩხუმში სუსტად არის განვითარებული და მას ძირითადად სამომხმარებლო ხასიათი აქვს. 1958 წლის მონაცემებით ბოსტნეულ-ბაღჩეულის საერთო ფართობი 269 ჰექტარს უდრის. ბოსტნეულ-ბაღჩეულის მოყვანით გამოირჩევა ცაგერისა და აბრალაურის რაიონების დაბალი ზონა; აქ ბოსტნეულ-ბაღჩეულისათვის ფართობი განსაზღვრულია მიწის ფონდის სიმცირისა და ბოსტნეულის რეალიზაციის შეზღუდულობის გამო, რასაც ხელს უშლის რთული სატრანსპორტო პირობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედარებით უფრო განვითარებულია საკვლევ რაიონში **მ ე კ ა რ ტ ო ფ ი ლ ე ო ბ ა.** კარტოფილის ნათესების საერთო ფართობი 1958 წელს 548 ჰექტარს შეადგენდა. კარტოფილის მოყვანით გამოირჩევა ონის რაიონი, სადაც უფრო შესაფერისი ნიადაგურ-კლიმატური პირობები არის. აქ კარტოფილი უმთავრესად მოჰყავთ რაჭის ქედის ფერდობებზე შეფენილ სოფლებში (მთისწალა, შქმერი) და რიონის ხეობის ზემო წელში (ღები, ჭიორა).

საკვლევ რაიონში მეკარტოფილეობა, მებოსტნეობა-მებაღეობისაგან განსხვავებით, სამოხმარებლო მნიშვნელობის გარდა, სასაქონლო ხასიათსაც ატარებს.

რაჭა-ლეჩხუმის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია **მ ე ც ხ ო ვ ე ლ ე ო ბ ა.** ამ დარგის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბუნებრივ საკვებ რესურსებს — სათიბებსა და საძოვრებს. აქ სათიბების 11,7 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი უკავია. საძოვრების საერთო ფართობი 35,4 ათას ჰექტარს აღემატება, ისინი უმთავრესად სუბალპური და ალპური საძოვრების სახითაა წარმოდგენილი. სუბალპურ საძოვრებს უკავიათ განმარტოებული ფრაგმენტები ასხი-ხვამლის მასივზე და ხიხათას მთაზე. ალპური საძოვრები გვხვდება კაკაასიონის მთავარი ქედისა და ლეჩხუმის ქედის ფერდობებზე. რაჭა-ლეჩხუმის კოლმეურნეობებზე მიმაგრებულია აგრეთვე მეზობელი რაიონების (ლენტეხის რაიონი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) საძოვრები. გარდა აღნიშნული საზაფხულო საძოვრებისა ქვერაიონის, კერძოდ კი ცაგერის კოლმეურნეობებს, მუდმივ სარგებლობაში აქვთ ჭალდიდის ე. წ. ზამთრის საძოვრები, სადაც მსხვილი რქოსანი პირუტყვი გაზაფხულიდან შემოდგომამდე რჩება.

სათიბ-საძოვრებთან ერთად რაიონის მეცხოველეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკვები კულტურების თესვას. რეოლუციამდე საკვლევ რაიონში საკვებ კულტურებს ძალზე მცირე ფართობი ეკავათ. იმ დროს მეცხოველეობა თითქმის მოლიანად ბუნებრივ სათიბ-საძოვრებზე იყო დამოკიდებული. განსაკუთრებით გაიზარდა საკვები კულტურების ფართობი უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში. თუ 1940 წელს ამ კულტურებს ეკავათ 482 ჰექტარი, 1958 წლისათვის მათმა ფართობმა 2 232 ჰექტარს მიაღწია. საკვლევ რაიონზე მოდის რესპუბლიკის მთელი საკვები კულტურების ფართობის დაახლოებით 1,6%. საკვები კულტურებიდან ძირითადად თესენ სიმინდს და მარავალწლიან ბალახებს, რომელთაც სასილოსე მნიშვნელობა აქვთ. რაჭა-ლეჩხუმის რაიონებიდან საკვებ კულტურებს ყველაზე დიდი ფართობი ამბროლაურის რაიონში აქვს დათმობილი.

რაჭა-ლეჩხუმის მეცხოველეობაში წამყვანი ადგილი **მ ს ხ ვ ი ლ ი რ ქ ო ს ა ნ ი პ ი რ უ ტ ყ ვ ი ს** მოშენებას უკავია. 1958 წლის 1 იანვრისათვის მსხვილი რქოსანი პირუტყვის ჯოგი შეადგენდა 57,1 ათას სულს (მათ შორის ძროხა — 19,6 ათასი სული). საკვლევი რაიონის ხვედრითი წონა რესპუბლიკის მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობაში 4% უდრის. მეცხოველეობა აქ სახორაც-სარძეო მიმართულებისაა. მიუხედავად საკვები ბაზის ერთგვარი გაფართოებისა, მეცხოველეობის პროდუქტიულობა ჯერ კიდევ დაბალია. 1957 წელს ერთ საფურაგე ძროხაზე საშუალოდ მიღებულ იქნა 755 კგ რძე. ეს მაჩვენებელი ქვემო იმერეთის ანალოგიურ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატება (1956 წ. — 597 კგ), მაგრამ საკრძნობლად ჩამორჩება რესპუბლიკის მიღწევებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირუტყვის დაბალი პროდუქტიულობა გაპირობებულია სახნავ-სათიბ-საძოვრების სიმცირით. ასე მაგალითად, 100 ჰექტარ სახნავ-სათიბ-საძოვარზე აქ მოდის 95 მსხვილი რქოსანი პირუტყვი (მათ შორის 31 ძროხა), იმ დროს, როდესაც საქართველოს ანალოგიური მაჩვენებელი გაცილებით დაბალია (56 მსხვილი რქოსანი პირუტყვი, მათ შორის 20 ძროხა).

დაბალი პროდუქტიულობის ერთ-ერთი მიზეზია აგრეთვე არსებული ბუნებრივი საკვები სავარგულებისადმი არასაკმაო ყურადღება; თივისა და საძოვარი ბალახების ხარისხი უკიდურესად დაბალია, რის გამოც მათი თანამედროვე მდგომარეობა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მეცხოველეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. ბუნებრივი საკვები სავარგულების დიდი ნაწილი დასარეკლიანებულია მავნე, დაბალი ყუთიანობის ბალახით, რომელთა არსებობა ამცირებს სასარგებლო ფართობს, აქვეითებს მათ კვებით ღირებულებას და ამცირებს პირუტყვის პროდუქტიულობას. მსხვილი რქოსანი პირუტყვის პროდუქტიულობაზე ისიც ახდენს გავლენას, რომ იგი ზამთრის განმავლობაში სათანადოდ ვერ არის უზრუნველყოფილი კონცენტრირებული, წვნიანი და უხეში საკვებით. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა რაჭა--ლეჩხუმის მაღალმთიან რაიონებში, რომელნიც ცუდი გზების გამო უფრო სუსტად მარაგდებიან ფურაჟით, ვიდრე ქვერაიონის დაბალ ნაწილში განლაგებული სოფლები.

მეცხოველეობის სხვა დარგებიდან აღსანიშნავია მ ე ღ ო რ ე ო ბ ა, 1958 წლის მონაცემებით საკვლე რაიონში 23,3 ათასი სული ღორი იყო. ეს დარგი საკვლევი ბაზის სიმცირის გამო განვითარებას არ განიცდის. საკმაოდ შეზღუდულია თხის მოშენება, თხების რაოდენობა იმავე წლის მონაცემებით, 7,7 ათასს არ აღემატება. ამ მხრივ გამორჩეული ცაგერის რაიონი, რომელზედაც ქვერაიონის თხების 81,6% მოდის.

საზამთრო საძოვრების უქონლობის გამო სულ უფრო და უფრო მცირდება, რაჭა-ლეჩხუმში ც ხ ვ რ ი ს რაოდენობა. 1958 წელს მათი სულადობა 5 ათასს არ აღემატებოდა. საკმაო მნიშვნელობა აქვს რაიონის სოფლის მეურნეობისათვის მ ე ა ბ რ ე შ უ მ ე ო ბ ა ს, რომელიც კოლმეურნეთა ფულადი შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. ძალზე სუსტდაა განვითარებული საკვლე რაიონში მეფრინველეობა.

რელიეფის სირთულის გამო სატრანსპორტო ქსელი საკვლევ რაიონში სუსტადაა განვითარებული. ტრანსპორტის ისეთ მნიშვნელოვან სახეს, როგორიცაა სარკინიგზო ტრანსპორტი, საესებით მოკლებულია. სარკინიგზო ქსელის აქ გაყვანას ხელს უშლიდა ერთი მხრივ, მთაგორიანი რელიეფი, ხოლო მეორე მხრივ, — სუსტად განვითარებული მძიმე მრეწველობა.

აქ მიმოსვლის მთავარი სახეა საავტომობილო ტრანსპორტი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვერაიონის სამეურნეო განვითარებისათვის. რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორია დაქსელილია რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებით, რომელთა საერთო სიგრძე დაახლოებით 700 კილომეტრს შეადგენს.

საკვლევი რაიონის სამიმოსვლო გზების დიდი ნაწილი მდინარეთა ხეობების გასწვრივ მიემართება. არსებული გზებიდან განსაკუთრებით დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ქუთაის-ალპანა-ონი-ალაგირის (ოსეთის სამხედრო გზა) გზატკეცილს, რომელიც რაჭა-ლეჩხუმს აკავშირებს, ერთის მხრივ, ქვემო

ეროვნული ბიბლიოთეკა

8630

იმერეთთან, მეორეს მხრივ, კი ჩრდილოეთ კავკასიასთან. დანარჩენი გზებიდან აღსანიშნავია — ალპანა-ცაგერი-ლენტეხი, წყალტუბო-ცაგერი, ონი-კვაისა-სტალინირი.

ამ გზების საშუალებით ხდება საკვლევი რაიონის საწარმოო კავშირურთიერთობის დამყარება ქვემო და ზემო იმერეთთან, ქვემო სვანეთთან და საქართველოს სხვა ეკონომიურ-გეოგრაფიულ და ადმინისტრაციულ რაიონებთან.

საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს. რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ ქვერაიონის ცალკეულ კუთხეებს.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი საშუშაოები ჩატარდა არსებული გზების შესაკეთებლად, და ახალი გზების გასაყვანად, მათი დიდი ნაწილი ტექნიკური თვალსაზრისით ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნილებას.

პერსპექტიული თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ონი-კვაისა-სტალინირის გზატკეცილების მშენებლობას, რომელიც ქვერაიონს უმოკლესი გზით დაუკავშირებს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქთან და საქართველოს ცენტრალურ (თბილისს) ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონთან.

ცაგერის რაიონი საავიაციო ტრანსპორტით დაკავშირებულია ქუთაისთან.

ახალი გზების გაყვანა და აგრეთვე არსებული გზების შეკეთება ხელს შეუწყობს ამ კუთხის უფრო მჭიდრო სამეურნეო კონტაქტის დამყარებას ცალკეულ ეკონომიურ-გეოგრაფიულ ქვერაიონებთან, რაც თავის მხრივ ვაადვილებს მის მონაწილეობას რესპუბლიკის შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში.

Н. В. НАЧКЕБИЯ

ОБЩАЯ ХАРАКТЕРИСТИКА РАЗВИТИЯ И РАЗМЕЩЕНИЯ ХОЗЯЙСТВА РАЧА-ЛЕЧХУМИ

Резюме

По экономико-географическому районированию института географии им. Вахушти АН Грузинской ССР Рача-Лечхуми является одним из экономико-географических подрайонов Грузии. Рача-Лечхуми расположен в северо-восточной части Западной Грузии и включает Цагерский, Амболаурский и Онский административные районы. Площадь его равна 3217,4 кв. км., т. е. 4,6% всей территории республики.

Для Рача-Лечхуми как в основном сельско-хозяйственного района, важное значение имеют природные условия, которые не везде благоприятствуют выращиванию сельско-хозяйственных культур. В Верхне-Рачинском физико-географическом районе, занимающем северную часть Онского района, годных для обработки земель весьма мало. Рача-Лечхумский средне и высокогорный район (северная часть подрайона) в связи с расчлененностью рельефа также слабоосвоен. Наиболее распаханным является Рача-Лечхумский среднегорный, карстовый район, охватывающий южную часть подрайона.

Самым важным в хозяйственном отношении считается Рача-Лечхумский низкогорный район, занимающий наиболее пониженные части Цагерского, Амболаурского и Онского районов. Почвенно-климатические условия здесь способствуют развитию виноградарства и виноделия.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

Рача-Лечхуми располагает разнообразными природными богатствами. Из полезных ископаемых наиболее важное значение имеет барит и мышьяк. Из других природных ресурсов заслуживают внимания гидроресурсы и леса.

До установления Советской власти Рача-Лечхуми был отсталым аграрным краем Грузии. Огромное значение для этого края имело капиталистическое развитие Грузии, которое углубляло территориальное разделение труда на основе специализации хозяйства отдельных частей страны. Специализация происходила в основном по производству одного вида сельскохозяйственного продукта для рынка. Рача-Лечхуми специализируется преимущественно по виноградарству и виноделию. В течение 80—90-х годов по размерам производства вина в Западной Грузии этот край занимал второе место после Имеретии. Почти во всех селениях, Рачинского уезда расположенных в полосе виноградарства, виноделие в большей мере, чем в Лечхумском уезде получило товарное направление. Рачинские вина из селений Хванчкара и Тола считались лучшими в Кутаисской губернии. Для Рача-Лечхумского виноградарства и виноделия плохие последствия имели первая мировая война и меньшевистское господство в Грузии.

С установлением советской власти началась новая эпоха для развития хозяйства Рача-Лечхуми. За годы пятилеток, на базе существующих в районе природных ресурсов и сельскохозяйственного сырья был создан ряд новых отраслей промышленности. Дальнейшее развитие получило также сельское хозяйство. Рача-Лечхуми с точки зрения производственной специализации в территориальном разделении труда Грузии является районом горнодобывающей и энергетической промышленности, виноградарства — виноделия, плодоводства, животноводства.

Для хозяйственного развития Рача-Лечхуми большое значение имело создание гидроэнергетической промышленности, которая опирается на богатейшие гидроэнергоресурсы. В перспективном отношении особо важное значение имеет строительство Ланджанургэса, которая будет работать на стоке рек Цхенис-Цхали и Ланджанури.

Богатые месторождения полезных ископаемых (барит, мышьяк) способствовали развитию горнодобывающей промышленности. Чордское баритовое месторождение по качеству сырья и по запасам является крупной сырьевой базой для основных барито-обрабатывающих отраслей союзной промышленности.

Наиболее мощной отраслью является пищевая промышленность, которая дает 67,2% всей промышленной продукции Рача-Лечхуми. Основной отраслью пищевой промышленности — виноделие (82,5% всего производства пищевой промышленности). Винодельческие предприятия в основном базируются на виноградарстве Цагерского и Амбролаурского районов.

Винодельческая промышленность этого района выпускает высококачественные полусладкие и столовые вина. По изготовлению полусладких вин (Хванчкара, Тетра, Твиши, Оджалеши и Усахелаури) Рача-Лечхуми занимает первое место в Грузии (около 80% всей выпускаемой продукции). Важным вопросом дальнейшего развития винодельческой промышленности является установление нового высокопроизводительного оборудования. Винные заводы испытывают серьезные затруднения из-за крайнего недостатка винохранилищ.

Несмотря на развитие промышленности, основной отраслью хозяйства Рача-Лечхуми все еще является сельское хозяйство. В ней занято около ⅔ самодеятельного населения.

Основная отрасль сельского хозяйства — виноградарство, дающая в колхозном производстве основную часть валовой продукции.

По данным 1957 года под виноградниками было занято 3320 гектаров, что составляет 5,6% из общей площади виноградников Грузии. Виноградники сосредоточены в долинах р. р. Риони, Цхенис-Цхали, Ладжанури и их притоков. За годы пятилеток проведена огромная работа по расширению площадей виноградников. С 1921 года по 1957 год площадь виноградников увеличилась почти на 1600 гектаров.

Исключительно благоприятные почвенно-климатические условия Рача-Лечхуми и широкий ассортимент винограда позволяет получать здесь высококачественные полусладкие и столовые вина. На 1959—1965 гг. предусматривают закладку новых виноградников на площади 800 гектаров.

Значительной отраслью Рача-Лечхумского сельского хозяйства является плодоводство. По данным 1958 года здесь было 2685,7 гектаров плодовых садов.

Зерновое хозяйство в Рача-Лечхуми слабо развито и имеет в основном потребительное значение.

Наиболее важной отраслью сельского хозяйства является животноводство — мясо-молочного направления.

Район располагает богатыми пастбищами и естественными сенокосами. Пастбища занимают 35,4 тыс. гектаров, а сенокосы — 11,7 тыс. гектаров. Следует отметить, что по сравнению с другими горными районами Грузии, продуктивность молочного животноводства в Рача-Лечхуми сравнительно низкая.

В связи с пересеченностью горного рельефа, железных дорог здесь нет. Основным видом транспорта Рача-Лечхуми является автомобильный транспорт. Автодороги в основном проложены в ущельях р. р. Риони, Цхенис-Цхали, Ладжанури. Крупной автомобильной магистралью являются Кутаиси-Алпана-Они-Алагир (Военно Осетинская дорога), которая связывает подрайон с Нижней Имеретией и Северным Кавказом. Из других дорог наиболее важными являются Алпана-Цагери-Лентехи, Цхалтубо-Цагери. В перспективном отношении огромное значение будет иметь строительство дороги Они-Кваиса-Сталинири, которая будет способствовать налаживанию более тесных хозяйственных связей с крупными экономико-географическими районами Грузии.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. აბესაძე ყ., ბახტაძე რ., დვალი თ., ჯავახაძე ო., სპილენძ-ბრონჯოს მეტალურგიის ისტორიისათვის საქართველოში. თბ., 1958.

2. ახტახოვი ნ., დონდუა გ., და სხვ., რაჭა-ლეჩხუმის მთიანი ქვაბულის ფიზიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. ფონდი, № 1291, ხელნაწერი, თბ., 1958.

3. ბერიძე გ., ქართული ბუნებრივად ტკბილი ღვინოები, მევენახეობა-მეღვინეობის ინსტ. შრ., ტ. II, თბ., 1951.

4. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941.

5. გაფრინდაშვილი ფ., მეტეოროლოგია და მექვაბეობა ლეჩხუმში, საქ. მუზ. მოამბე, ტ. XIV, თბ., 1947.

6. გობეჯიშვილი გ., ძველი ქართული სამთომადნო და მეტალურგიული წარმოების ნაშრომი სოფელ ღებთან, მეცნ. აკადემიის მოამბე, № 3, 1952.

7. კვირიკაძე გ., მთარაკეს ალტიური მეურნეობა, ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახ. პედ. ინსტ. შრ., ტ. VII, ქუთ., 1946.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. კორძაია ბ., რაჭა-ლეჩხუმის კლიმატი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. ფონდი, № 1280, ხელნაწერი, თბ., 1958.

9. მარუაშვილი ლ., ლეჩხუმის ეკონომიფოლოგიური დახასიათება, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. ფონდი, ხელნაწერი, თბ., 1958.

10. მიროტაძე ა., რაჭა-ლეჩხუმის ვაზის ჯიშები, თბ., 1933.

11. მოდებაძე პ., ღვინო ხვანჭკარა და მისი ტიპის ჩამოყალიბება-გაუმჯობესების შესაძლებლობანი, საქ. სსრ. სამ. ინსტ. შრომები, ტ. XXV, თბ., 1946.

12. ტაბიძე დ., მეევნახეობის განვითარება საქართველოში, თბ., 1950.

13. ტაბიძე დ., საქართველოს ძვირფასი ვაზის ჯიშების ახალ რაიონებში გადანაცვლების შედეგები, მეევნახეობა-მეღვინეობის ინსტ., შრ. ტ. VII, თბ., 1951.

14. ტალახაძე გ., რაჭა-ლეჩხუმის ნიადაგები, საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის ნიადაგმცოდნეობის ინსტ. შრ., ტ. I, 1948.

15. რეხვიაშვილი ნ., მეფლობა რაჭაში, თბ., 1953.

16. რცხილაძე ი., საქართველოს მეევნახეობა და მეღვინეობა, თბ., 1956.

17. ჩოლოყაშვილი ს., და რცხილაძე ი., მეევნახეობა საქართველოში, საქართველოს სსრ სახ. სამ. ინსტ. შრ., სერია I, თბ., 1940.

18. ქუთაისის ოლქი ციფრებში, ქუთაისი, 1930.

19. Ахледиани Ш., Культура семичковых (яблоня и груша) в Рача-Лечхуми и перспективы их развития, Автореферат, Тб., 1956.

20. Бахтадзе И., Экономический быт государственных крестьян Рачинского уезда, Кутаисской губ., Материалы для изучения экономического быта государств. крестьян Закавказ. края, т. II, часть I.

21. Вацадзе Е., Виноградарство и виноделие в Лечхумском уезде, КСХ, № 113, 1896.

22. Грузинская ССР, Статистический сборник, Тб., 1959.

23. Грузинская ССР, Экономико-географическая характеристика, М., 1958.

24. Дандуров Е., Заметка о положении виноградарства в Лечхумском уезде, КСХ, № 80, 1855.

25. Дандуров Е., Виноградарство и виноделие в Рачинском уезде КСХ, № 119, 1896.

26. Маевский В., Кутаисская губерния, Военно-статистическое описание, Тифл., 1896.

27. Природные ресурсы Грузинской ССР, т. I, М., 1958.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია — კახეთის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ., ტ. XV, 1960
Академия наук Груз. ССР—Труды Института географии им. Вахушти, т. XV, 1960

ე. კობახიძე

რაჭა-ლეჩხუმის ბუნებრივი პიროგები და რესურსები

მდებარეობა და საზღვრები

რაჭა-ლეჩხუმი მდებარეობს საქართველოს დასავლეთი ნაწილის ჩრდილო-აღმოსავლეთში. იგი მთლიანი და მკაფიოდ გამოკვეთილი კუთხეა. მისი უკიდურესი ჩრდილოეთი წერტილი მ. ფასის-მთის მახლობლად მდებარეობს, ხოლო უკიდურესი სამხრეთი წერტილი — ნაქერალას უღელტეხილთან; უკიდურესი აღმოსავლეთი წერტილი მ. ჭანჭახის-წვერთან, დასავლეთით უკიდურესი წერტილი — მ. წიქურას მახლობლად.

რაჭა-ლეჩხუმის ბუნებრივი საზღვარი მისდევს ეგრისის ქედის აღმოსავლეთ ნაწილს, რაჭისა და ლეჩხუმის ქედებს, კავკასიონის წყალგამყოფი ქედის, ძონაკვეთს, აგრეთვე ხვამლისა და ასხის მასივებს; მის უმაღლეს წერტილს ჭანჭახის-წვერი (4 443 მ ზ. დ.) წარმოადგენს, ყველაზე დაბალი წერტილი — მდ. რიონის ხეობის ფსკერია, ტვიშის კლდეკარის ფარგლებში (320 მ ზ. დ.). რაჭა-ლეჩხუმის საერთო ფართობი შეადგენს 3 217 კვ. კმ-ს, რაც საქართველოს სსრ რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის 4,6% უდრის.

მიუხედავად თავისი მთლიანობისა, რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიის ცალკეული ნაწილები მკვეთრად განსხვავებულია. შემდგომ, ცალკეული ფიზიკურ-გეოგრაფიული კომპონენტების განხილვისას, ჩვენ შეეცდებით ავსახოთ რაჭა-ლეჩხუმის ბუნებრივი პირობების თავისებურებანი და მივცეთ მათი სამეურნეო შეფასება.

მუშაობის დროს დიდი დახმარება გაგვიწია აკად. ა. ჯავახიშვილის შრომამ „გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობის საკითხისათვის ეკონომიურ გეოგრაფიაში", რომლის ხელნაწერს გავეცანით. ჩვენ შრომაში ვისარგებლეთ ბახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის გეომორფოლოგიის განყოფილების (ლ. ძარუაშვილი, ნ. ასტახოვი, ს. ნემანიშვილი, გ. ჩანგაშვილი, გ. დონდუა, ე. სოხაძე) და ჰიდროლოგია-კლიმატოლოგიის (ლ. ვლადიმიროვი, მ. კორძახია) განყოფილების თანამშრომელთა საფონდო მასალებით რაჭა-ლეჩხუმის ფიზიკური გეოგრაფიის შესახებ და აგრეთვე ეკონომიური გეოგრაფიის განყოფილების მიერ 1959 წლის ზაფხულში ჩატარებული ექსპედიციის მასალებით. ფართოდ არის გამოყენებული არსებული ლიტერატურა საკვლევი მხარის შესახებ და პირადი დაკვირვებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელიეფი

რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგთა განლაგება საკმაოდ მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებზე და განსაკუთრებით, რელიეფის თავისებურებებზე.

რაჭა-ლეჩხუმი გადაჭიმულია კავკასიონის მთავარი ქედიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. კავკასიონის მთავარი ქედი საკმაოდ მხარის ფარგლებში მეტად მაღალი და ნაკლებად მისადგომია. მისი საშუალო სიმაღლე აქ 3 800 მ-ზე მეტია, ხოლო ცალკეული მწვერვალების სიმაღლე 4 000 მ-ს აღემატება. მ. ჯანჭახის-წვერის (4 453 მ) შემდეგ უმაღლეს მწვერვალებს წარმოადგენენ ლაბიდა — 4 319 მ და ბურჯულა (ყარაუგომი) — 4 364 მ.

მთავარი ქედის ზონა წარმოადგენს კავკასიონის ანტიკლინორის ეროზიის შედეგად გამშვლებულ კრისტალურ ზოლს, რომელიც აგებულია პალეოზოამდელი და პალეოზოის ასაკის ფორმაციებით, განსაკუთრებით გრანიტოიდებით და უფრო ნაკლებად ძირითადი ქანებით[1]. ამყამად არსებული ოროგრაფიული სქემა და თანამედროვე ჰიდროგრაფიული ქსელის ძირითადი ნიშნები შეიქმნა პალეოგენში.

გამყინვარების ეპოქაში მთების ფერდობები 2 200 მ-მდე ზ. დ. დაფარული იყო მთლიანი ყინულსაფარით, რამაც განაპირობა ამ ზონაში ყინვარული ფორმების დიდი გავრცელება.

კავკასიონის მთავარი ქედის ყინვარებიდან უნდა აღვნიშნოთ: ედენა (დას. და აღმ.), ზოფხითო, კირტიშო, ნოწარულა, მოწანწარა, ბოყოს-წყალი, თბილისა, ჯანჭახი.

რაჭის ფარგლებში კავკასიონის მთავარი ქედის თხემური ნაწილი დიდ სიმაღლეზეა აზიდული, ხოლო უღელტეხილები 3 350—3 500 მეტრზე მდებარეობენ. ამის გამო რაჭის ეკონომიური კავშირურთიერთობა ჩრდილო კავკასიასთან უმნიშვნელოა და მხოლოდ ძნელად მისადგომი ბილიკებით ხორციელდება, ისიც ზაფხულში 2-3 თვის განმავლობაში.

მთავარი ქედის პარალელურად მიემართება შოდა-კედელას ქედი, რომელიც მ. ლუხუნის-წვერიდან იწყება და მ. კაზი-ხოხთან თავდება. იგი თავის შუა ნაწილში შოდას და დოლომისის მწვერვალებს შორის მკვეთრად არის დადაბლებული. ამ დადაბლებებში მდ. რიონმა გასჭრა ვიწრო და ციცაბოკალთებიანი ხეობა.

მწვერვალ დოლომისით იწყება კედელას ქედი, რომელიც თავის სიმაღლით აღემატება შოდას ქედს. კაზი-ხოხის მწვერვალიდან იწყება ბუბას ქედი, რომელიც მდ. მდ. ჯანჭახის და მამისონის წყალგამყოფს წარმოადგენს. მის დადაბლებულ ნაწილში მდებარეობს მამისონის უღელტეხილი (2 829 მ მ. დ.) ს—ო ა (ო), რომელზედაც გადადის ქუთაის-ალაგირის (ოსეთის სამხედრო) გზა; ამ გზით ხორციელდება კავშირი რაჭასა და ჩრდილო ოსეთს შორის, თუმცა მას თანამედროვე ეტაპზე არსებითი ეკონომიური მნიშვნელობა არ გააჩნია. მამისონის უღელტეხილს დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. 1921 წლის მარტში ამ უღელტეხილზე გადმოვიდნენ წითელ არმიის ნაწილები ს. კიროვის მეთაურობით. საფანადო მოვლისა და კეთილმოწყობის

[1] Н. Е. Астахов, Геоморфологическое описание Верхней Рачи, Фонды Института георгафии им. Вахушти, 1958.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ შესაძლებელი იქნება ქუთაის-ალაგირის გზის საუღელტეხილო უბნის გამოყენება 5—6 თვის განმავლობაში, რაც გამოაცოცხლებდა ეკონომიურ კავშირურთიერთობას რაჭასა და ჩრდილო ოსეთს შორის. ამიტომაც საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ამ უბანს (როგორც რაჭა-ლეჩხუმის სხვა გზებს).

საკვლევი რაიონის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს რაჭის ქედი, რომელიც საერთოდ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიემართება. მისი სამხრეთი ფერდობი ხასიათდება ქარაფებითა და ძლიერ დახრილი რელიეფით. ჩრდილო ფერდობი კი შედარებით ნაკლებადაა დახრილი. რაჭის ქედი უფრო მაღალია აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც მისი მწვერვალები 2 200—2 400 მ სიმაღლეს აღწევენ. დასავლეთით იგი თანდათანობით დაბდება და მისი ცალკეული მწვერვალების სიმაღლე უკვე 1 500—1 800 მეტრს არ აღემატება. ჩრდილო ნაწილში რაჭის ქედს გამოყოფა ფოცხვრავის და ხიხათას მთები, რომლებიც თავისი დასავლეთი დაბოლოებებით შორდებიან რაჭის ქედის ღერძულ ნაწილს და ღებულობენ დამოუკიდებელი ქედების სახეს.

რაჭის ქედსა და მდ. რიონს შორის ტერიტორია თავისებური და მრავალფეროვანია, რადგან აქ ხშირად გვხვდება მთიანი, სერებიან-ბორცვებიანი და ხეობიანი რელიეფი. ცალკეული მთების სიმაღლე აღწევს 1000—1599 მ ზ. დ.

ამ ზოლში ცალკეული ვაკე ადგილებიც გვხვდება, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია 7—8 კმ სიგრძისა და 5—5,5 კმ სიგანის შაორის ტაფობი.

რაჭის ქედზე და მიმდებარე ზოლში ფართო გავრცელება აქვს მეწყერებს, რომლებიც ვითარდებიან ძირითადად ზედა იურულ თიხებში და თიხა-ფიქლებში.

მეწყერები განვითარებულია სოფლებში: სევას, ფარახეთის და ჭიბრევის მიდამოებში. მძლავრმა მეწყერმა აიძულა სოფ. ქვემო სევას მცხოვრებთა დიდი ნაწილი აყრილიყო და სხვა ადგილზე გადასულიყო[2].

სოფ. მუხლთან სამხრეთით მდებარე ხეობის ორივე ფერდობი ძლიერ დამეწყრულია, რის გამო ეს ადგილი ან გამოუყენებელია, ან მხოლოდ სათიბად იხმარება. დათესილი სათიბი ბალახი ვერ აკავებს მეწყერის მოძრაობას. მისი შეჩერება მხოლოდ ტყის გაშენებით შეიძლება.

მდგომარეობას ართულებს ის ფაქტი, რომ მეწყერებთან არავითარი ბრძოლა რა წარმოებს. ადგილობრივი მოსახლეობა ამჯობინებს სხვა ადგილებში გადასვლას და არ ატარებს არავითარ ღონისძიებებს მეწყერების მავნე მოქმედების შესაჩერებლად. თუ უახლოეს მომავალში არ ჩატარდება სათანადო ბრძოლა მათ წინააღმდეგ, კიდევ მრავალი ასეული ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო ფართობი გამოვა მწყობრიდან. ცნობილი ამბავია, რომ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე მთლიანად რაჭა-ლეჩხუმის და, განსაკუთრებით რაჭის ქედსა და მდ. რიონს შორის მდებარე ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობი განუწყვეტლივ მცირდება. ამ მეტად არასასიამოვნო ფაქტის მიზეზია, სხვა უარყოფით ფაქტორებთან ერთად, მეწყერული მოვლენების სწრაფი განვითარება.

მეწყერები უარყოფით გავლენას ახდენენ სახალხო მეურნეობის სხვა დარგებზეც, სახელდობრ, ტრანსპორტზე. საერთოდ რაჭა-ლეჩხუმის გზები განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვენ მეწყერული მოვლენების გამო.

---

[2] გ. ჩანგაშვილი, ქვემო რაჭის სამხრეთი ნაწილის გეომორფოლოგიური ნარკვევი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები, 1958.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთ რაჭაში ფართო გავრცელება აქვს კარსტს, როგორც საკუთრივ რაჭის ქედზე, ასევე გორაკ-ბორცვებიან ზოლში. ხშირად რელიეფის მორფოგრაფიული სახე ძირითადად კარსტული მოვლენებით არის გაპირობებული.

რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ლეჩხუმის ქედის სამხრეთ ფერდობს უკავია. მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი მ. ელესაშხიდან მ. ლუხუნის-წვერამდე რაჭის ფარგლებშია მიქცეული, დასავლეთი ნაწილი — კი ლეჩხუმშია. მუდმივ თოვლსა და ყინვარებს შედარებით ვრცელი ფართობი მხოლოდ ჭუთხარო-სამრცხლის მასივზე უკავიათ. სხვაგან მათი გავრცელება უმნიშვნელოა. ლეჩხუმის ქედის სიმაღლე იშვიათად აღემატება 3 000 მეტრს, რის გამო ძველი გამყინვარების ნიშნები ნაკლებად არის წარმოდგენილი, განსაკუთრებით დასავლეთ ნაწილში.

მ. ლუხუნის-წვერიდან იწყება საკაოს ქედი, რომელიც მდ. ლუხუნის-წყლის და საკაურის წყალგამყოფს წარმოადგენს. ლეჩხუმის ქედზე მდებარე მ. ჭუთხაროსა და საკაოს ქედზე მდებარე მ. კუპრას შორის აღმართულია ჭუთხარო-კუპრის ქედი, რომელზედაც მდებარეობენ მუკვერვალები ჭუთხარი (3 539 მ), სამერცხლე (3 584 მ) და კარტა (3 078 მ).

ლეჩხუმის ქედის ტერიტორიაზე გამოიყოფა რელიეფის შემდეგი ტიპები:[3] 1. მაღალმთიანი რელიეფი ძველი გამყინვარების ნიშნებით და მეწყერებით, რომელიც განვითარებულია ფიქლების, კირქვების, ქვიშაქვების სუბტრატზე, 2. საშუალო მთიანი მთახეობათა, ძლიერ დანაწევრებული ეროზიით რელიეფი, გამოშუშავებული ზემო ლეიასის ფიქლებში 3. მაღალმთიანი დიაბაზური და პორფირიტული ჭუთხარო-სამერცხლეს მასივი, თანამედროვე და ძველი გამყინვარებით. 4. საშუალომთიანი მთახეობათა რელიეფი, განვითარებული ბაიოსის პორფირიტებზე და ცარცის კირქვებზე.

ლეჩხუმის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ეგრისის ქედის აღმოსავლეთ დაბოლოებას უკავია. იგი აგებულია შუა იურული პორფირიტული წყებით, რომელიც მაროსებრი ანტიკლინის გადარეცხილ თაღს ჰქმნის. ამასთან დაკავშირებით თხემს კლდოვანი და დაკბილული ხასიათი აქვს. დიდი სიმაღლის გამო მეოთხეულ პერიოდში ამ ტერიტორიას გამყინვარება განუცდია.

ერცელი ფართობი უკავია და სამეურნეო თვალსაზრისით ყველაზე უფრო მეტად ათვისებულია რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ტერიტორია, რომელიც მოიცავს რაჭისა და ლეჩხუმის უდიდეს ნაწილს, იგი გრძელდება ლეჩხუმის დასავლეთ საზღვრამდე, რომელიც ჯერ მდ. ჯონოულის ხეობას მიყვება, შემდეგ გადადის მის მარჯვენა შემდინარეზე — ფიცრის-კარვის ღელეზე და ასხის ჯვრამდე გრძელდება. აღმოსავლეთით სინკლინური ნაოჭი, რომელიც რელიეფშიც ცოტად თუ ბევრად პოულობს გამოხატულებას ქვემო რაჭის სამხრეთი ნაწილის აღმოსავლეთ საზღვრამდე აღწევს[4].

რელიეფის თავისებურებით ყურადღებას იქცევს მდ. რიონის სანაპირო ზოლი, სადაც საფეხურისებული და გორაკ-ბორცვიანი რელიეფია. ეგ განვითარებულია მდინარეული ტერასები. რელიეფს შედარებით ნაზი ხასიათი აქვს 300-400 მეტრის სიგანის რიონის ხეობის ფსკერი რაჭის სინკლინურ მულდას ემთხვევა და ვიწრო ზოლის სახით არის წარმოდგენილი. იგი შედარებით

---

[3] ს. ნემანიშვილი, ქვემო რაჭის ჩრდილო ნაწილის გეომორფოლოგია, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები, 1958.

[4] გ. ჩანგაშვილი, ქვემო რაჭის სამხრეთი ნაწილის გეომორფოლოგიური ნარკვევი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები, 1958.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუსტი დახრილობისაა. მის ბრტყელ ფსკერზე რიონი მეანდრებს აჩენს, რის შედეგად ფართო ჭალაა განვითარებული.

მდ. რიონის ხეობის მარჯვენა მხარეზე წარმოდგენილია მდინარეული ტერასები. სულ შესწავლილია 2—3 მ სიმაღლის ჭალის და 9 ჭალის ზედა ტერასა[5]: I. 10—15 მ, II. 25—30 მ, III. 55—60 მ, IV. 125—130 მ, V. 170—180 მ, VI. 200—230 მ, VII. 250—270 მ, VIII. 280—300 მ და IX. 340—360 მ სიმაღლის. ეწყვეტ ზოლად არც ერთი მათგანი არ არის წარმოდგენილი, ხოლო ყველაზე ფართოდ I და II ტერასა გვხვდება.

მდინარეულ ტერასებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ადამიანთა განსახლებისა და სამეურნეო მოქმედებისათვის, განსაკუთრებით მთიანი მხარეებისათვის. მდ. რიონის ტერასებზე თავმოყრილია სასოფლო-სამეურნეო ნთესვების უდიდესი ნაწილი. აქვეა საკმაოდ დიდ ფართობებზე გაშენებული მრავალწლიანი კულტურები. მდინარეულ ტერასებზე მდებარეობს დასახლებული პუნქტების აბსოლუტური უმრავლესობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რაოდენობით სოფლები მდ. რიონის I ტერასაზეა განლაგებული. ამ ტერასაზეა გაშენებული ძირითადად რაჭა-ლეჩხუმის ყველაზე დიდი დასახლებული პუნქტი, — ქ. ონი. ნაკლებად არის დასახლებული მდ. რიონის ორივე მხარის II ტერასაც, განსაკუთრებით ამბროლაურის რაიონის ფარგლებში. თვით დაბა ამბროლაურიც ამ ტერასაზეა გაშენებული. რიონის მარცხენა ნაპირას მდინარეული ტერასები სწორედ ამ რაიონშია კარგად გამოხატული; საერთოდ მდ. რიონის ამ ნახარეს აღნიშნულია[6] 100—150 მეტრამდე სიგანის ჭალის ტერასა, I, II, III, IV ჭალისზედა ტერასა. უკანასკნელი მათგანი 140—150 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

რაჭა-ლეჩხუმის სინკლინში ცაგერის რაიონის ფარგლებში რამოდენიმე მსხვილი მორფოგრაფიული ელემენტია შექმნილი, რომელთა შორის სამეურნეო თვალსაზრისით ცაგერ-ლუხვანის ქვაბულია ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი. იგი მოიცავს მურისა და სარეწკელას კლდეკარებს შორის ცხენისწყლის ხეობის ნაწილს და მდ. ქვერეშულას აუზს.

ცაგერის ქვაბულის მორფოლოგიის მნიშვნელოვან ელემენტებად აკუმულაციურ-ეროზიული (მდინარეული) ტერასები გვევლინება,[7] რომელიც ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროზეა უფრო უკეთ განვითარებული. ამ ქვაბულის ფარგლებში გამოხატულია შემდეგი ტერასული დონეები[8]: I. ტერასა 3—5 ა შეფარდებითი სიმაღლისა, რომელზედაც ვანლაგებულია რიგი დასახლებული პუნქტებისა და მათ შორის დაბა ცაგერი. ეს ტერასა თითქმის მთლიანად სასოფლო-სამეურნეო კულტურებს უკავია. II. ტერასა (შეფარდებითი სიმაღლე 70—75) წარმოდგენილია ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროზე სოფ. ჩხუტელიდან ქვედა აღვამდე, რომლის სიგანე III ტერასასთან (შეფ. სიმაღლე 140—150 მ) ერთად 0,5—1 კმ შეადგენს. II და III ტერასაც უმეტესად ნათესებს და მრავალწლიან ნარგავებს უკავია. აქვეა თავმოყრილი ცაგერის ქვაბულის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი.

---

[5] ს. ნ ე მ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქვემო რაჭის ჩრდილო ნაწილის გეომორფოლოგია, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები, 1958.

[6] გ. ჩ ა ნ გ ა შ ვ ი ლ ი, ქვემო რაჭის სამხრეთი ნაწილის გეომორფოლოგიური ნარკვევი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები, 1958.

[7] ლ. მ ა რ უ ა შ ვ ი ლ ი ლეჩხუმის გეომორფოლოგიური დახასიათება, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები, 1958.

[8] ი ბ ი ვ ე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV და უფრო მაღალი ტერასების დონეები ძალზედ დამახინჯებულია მეწყერული და ეროზიული პროცესებით, ამიტომაც მათი დადგენა ჯერჯერობით შეუძლებელია[9]. სამეურნეო თვალსაზრისით უარყოფით მოვლენას წარმოადგენენ მეწყერები, სოფ. წიფერრწმ, მდ. ქვეროშელას აუზში და სხვ.

ცაგერის ქვაბულთან შედარებით ნაკლები ფართობით გამოირჩევა ორბელის ქვაბული, მაგრამ მას მაინც გააჩნია გარკვეული სამეურნეო მნიშვნელობა. აქ თავმოყრილია ლეჩხუმის მრავალწლიანი ნარგავების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ვაზისა. ორბელის ქვაბულში გაშენებულია ისეთი დიდი სოფლები, როგორიცაა ორბელი და ლაილაში.

ცაგერისა და ორბელის ქვაბულებს შორის მდებარეობს შუა ლეჩხუმის სერი, რომლის უმაღლესი წერტილი 1 355 მ სიმაღლეზეა.

ასხის მასივი ლეჩხუმში შემოდის თავის აღმოსავლეთი ნაწილით. იგი ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან შემოფარგლულია კირქვის მაღალი ქარაფით. ასხის მასივი ორი საფეხურისაგან შედგება[10].

ჩრდილოეთით დასრული ცარცული ნალექებით, არის აგებული ხვამლის მასივი, რომელიც თითქმის მთლიანად ლეჩხუმში შემოდის. აქ გამომუშავებულია,[11] ორმაგი კუესტა სამხრეთისაკენ მიპყრობილი ქარაფებით და ჩრდილოეთისაკენ მიქცეული დამრეცი ფერდობებით. უფრო მაღალ სამხრეთულ კუესტაზე ამ მასივის უმაღლესი წერტილი (2 002 მ ზ. დ.) მდებარეობს. ამ რაიონში გავრცელება აქვს კარსტულ მოვლენებს. ფართოდ არის ცნობილი ხვამლის გამოქვაბული. ქართველ მემატიანეთა ცნობებით, იგი მოიხსენება როგორც ერთ დროს ქართველ მეფეთა განძეულობის შესანახი.

როგორც ვხედავთ, რაჭა-ლეჩხუმი მთლიანობაში მთიან მხარეს წარმოადგენს. სხვა ფიზიკურ-გეოგრაფიულ კომპონენტებს შორის წამყვანი როლი რელიეფს ენიჭება, რომლის ფორმათა ნაირგვარობასთან დაკავშირებულია აგრეთვე ამ მხარის კლიმატური პირობების, ჰიდროგრაფიული ქსელის, ნიადაგების, მცენარეულობის და ცხოველთა სამყაროს მრავალფეროვნება. თავის მხრივ გეოგრაფიულმა გარემომ გავლენა იქონია სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგთა განლაგებაზე.

მიწის ფონდის სტრუქტურა გარკვეულად დამოკიდებულია ბუნებრივ პირობებზე. თუ შევადარებთ მთლიანად საქართველოს სსრ მიწის ფონდის სტრუქტურას და რაჭა-ლეჩხუმისას, პირველ რიგში თვალში გვეცემა ტყეების და ბუჩქნარების მაღალი ხვედრითი წონა. თუ მთლიანად რესპუბლიკაში ტყეებს და ბუჩქნარებს უკავიათ საერთო ფართობის 42,4 %, რაჭა-ლეჩხუმში მათი ხვედრითი წონა 59,0%-მდე იზრდება. ეს მოვლენა გამოწვეულია რაჭა-ლეჩხუმის ჰიფსომეტრიულად უფრო მაღალ საფეხურზე მდებარეობით, რის გამო მისი ტერიტორიის ნაწილი ალპურ-ტყის ზონაში შედის. მეორეს მხრივ, სახნავი მიწების ხვედრითი წონა რაჭა-ლეჩხუმში (7,2%) ორჯერ ნაკლებია, ვიდრე მთლიანად საქართველოში (14,7%). ასეთივე პროპორცია არსებობს მრავალწლიანი ნარგავების მხრივაც (1,8% და 3,5% შესაბამისად). მთლიანად სოფლის მეურნეობაში გამოყენებული მიწების (სახნავ-სა-

---

[9] ლ. მარუაშვილი, ლეჩხუმის გეომორფოლოგიური დახასიათება, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები, 1958.

[10] ლ. მარუაშვილი, ლეჩხუმის გეომორფოლოგიური დახასიათება, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები, 1958.

[11] ლ. მარუაშვილი, ლეჩხუმის გეომორფოლოგიური დახასიათება, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები, 1958.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიბები, საძოვრები და მრავალწლიანი ნარგავები) ხვედრითი წონა რაჭა-ლეჩხუმში შეადგენს 23,7%, წინააღმდეგ 39,3% საქართველოში. ეს ფაქტი გამოწვეულია საკვლევი რაიონის მთიანი და დანაწევრებული რელიეფით და შესაბამისად თავისებური კლიმატურ-ნიადაგობრივი ფაქტორებით.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების განლაგებაზე თავის დაღს ასვამს რელიეფის დახრილობა. რაჭა-ლეჩხუმში სახნავ-სათესლების და, განსაკუთრებით, მრავალწლიანი კულტურების დიდი ნაწილი ძალზედ დახრილ ფერდობებზე მდებარეობენ, რაც აძნელებს სამუშაოთა მექანიზაციას, ხელს უწყობს ნიადაგის ეროზიას. რადიკალური ღონისძიებად გამოდგებოდა ამ შემთხვევაში ფერდობების ტერასირება, მაგრამ დიდი შრომითი დანახარჯების გამო მისი ცხოვრებაში გატარება მიზანშეწონილია მხოლოდ ვენახებისა და ხეხილისათვის.

რელიეფურ პირობებთან არის დაკავშირებული მიწის სიმცირე, რამაც გამოიწვია რაჭა-ლეჩხუმში თავისებური დემოგრაფიული მოვლენა — მოსახლეობის მასობრივი ემიგრაცია საქართველოს ზოგიერთ რაიონებში და მის ფარგლებს გარეშეც. მასობრივი ფორმა ამ მოვლენამ მიიღო 1865 წლის გლეხთა რეფორმის შემდეგ. ეს პროცესი დღემდე გრძელდება, თუმცა მისი არსი ძირფესვიანად შეიცვალა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. თუ მეფის რუსეთის პირობებში იგი სტიქიურად წარმიებდა, უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე ხდება, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებების შესაბამისად, მისი გეგმაზომიერი რეგულირება. რაჭა-ლეჩხუმის მცირემიწიან რაიონებიდან ხდება მცხოვრებლების ჩასახლება ბარში, ნაკლებად ათვისებულ რაიონებში (აფხაზეთის ასსრ, ქვემო ქართლი, გარე კახეთი). ეს პროცესი, საქართველოს სხვა მთიან რაიონებსაც შეეხო. ჩვენი ძალზედ მიახლოებითი ვარაუდით, 70 წლის მანძილზე (1886—1956 წ.) რაჭა-ლეჩხუმიდან მუდმივად გადასახლდა არანაკლებ 60 ათასი სულისა.

რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიის მთიანი ხასიათის უფრო სრულ წარმოდგენას იძლევა 1 ცხრილში მოცემული ჰიფსომეტრიული ზონების მიხედვით განაწილება:

ცხრილი 1

№№ რიგ.	სიმაღლეთა საფეხურები მ-ში ზღ. დ.	ხვ. წონა პროცენტებში	
		საქართველოს ასსრ	რაჭა-ლეჩხუმი
1.	0—500	23,6	2,2
2.	501—1000	22,6	19,0
3.	1001—2000	34,0	54,2
4.	2000 და მეტი	19,8	24,6
	სულ.	100,0	100,0

როგორც ვხედავთ, საშუალოდ, ცაგერის, ამბროლაურის და ონის რაიონების სიმაღლე ზღ. დონიდან მეტია, ვიდრე მთლიანად საქართველოში. თვით რაჭა-ლეჩხუმის ცალკეულ რაიონთა შორის არსებითი სხვაობები არსებობს. 500 ქეტრზე დაბალი ზონა მხოლოდ ცაგერის რაიონშია წარმოდგენილი. მეორე ჰიფსომეტრიული ზონა (500-დან 1000 მ-მდე) კარგად არის გამოხატული ცაგერისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამბროლაურის რაიონებში, ხოლო ონის რაიონში ნაკლებად, სადაც მას უკავია რაიონის მთელი ტერიტორიის მხოლოდ 7%. მესამე ჰიფსომეტრიული ზონა (1 000-დან 2 000 მ-მდე) მკაფიოდ არის გამოკვეთილი სამივე ადმინისტრაციულ რაიონში. რაც შეეხება მეოთხე ზონას (2 000 მ-ზე მაღლა), მას ვრცელი ფართობი უკავია ონის რაიონში (მთელი ტერიტორიის მესამედზე მეტი), გაცილებით ნაკლები ამბროლაურის რაიონში (მოლიანი ფართობის 1/7-ზე ნაკლები), ხოლო ცაგერის რაიონში კიდევ უფრო ცოტა (ტერიტორიის 1/8);

რელიეფი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სახალხო მეურნეობის (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის) და მოსახლეობის ვერტიკალურ განლაგებაზე. პირველ ზონას (500 მ-მდე) შეგვიძლია ვუწოდოთ მევენახეობის ზონა (ტვიშის მიკრორაიონი), სადაც მოსახლეობის საკმაოდ დიდი სიმჭიდროვეა. აქ მდებარეობენ მსხვილი დასახლებული პუნქტები — რიონის ხეობაში — ტვიში, ალანა (რაჭა-ლეჩხუმის უდიდესი ავტოსატრანსპორტო კვანძი, რომელიც რიონის და ლაჯანურის ხეობების შეერთებისას მდებარეობს), ცხენისწყლის ხეობაში— (ცაგერი, წიფერჩი, ზუბი). განვითარებულია ღვინის მრეწველობა.

მეორე ზონა (500-დან 1 000 მ-მდე) წარმოადგენს მევენახეობის, (გამორჩევა ხვანჭკარის მიკრორაიონი), მეხილეობის და მარცვლეული კულტურების (სიმინდი, საშემოდგომო ხორბალი) რაიონს. განვითარებულია კვების მრეწველობა. ამ ზონაშია მოქცეული რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი და დიდი რაოდენობით მსხვილი დასახლებული პუნქტები, რომელთა შორის აღსანიშნავია ქ. ონი, დაბა ამბროლაური, სოფლები ჭრებალო, ხვანჭკარა, წესი, სორი, ღალაში და სხვ.

მესამე ზონას (1000-დან 2000-მდე) რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიის ნახევარზე მეტი უკავია. იგი წარმოადგენს მეცხოველეობის და მარცვლეული კულტურების (საგაზაფხულო ხორბალი, ქერი), მეკარტოფილეობის და ნაწილობრივად, მეხილეობის რაიონს. ამ ზონაში მდებარეობენ კურორტები — შოვი და უწერა — რაჭაში, ახალჭალა — ლეჩხუმში. დიდი მნიშვნელობა აქვს ტყის მეურნეობას, წარმოებს დარიშხანის (სოფ. ურავეში) და ბარიტის (სოფ. ირში) პირველადი გადამუშავება. მოსახლეობა აქ ნაკლებია, მაგრამ მაინც ამ რაიონში მთელი რიგი დიდი სოფლებია, სახელდობრ, ღება, ჭიორა, გლოლა, უწერა, შქმერი, სინათლე, თლუღი და სხვ. ეს ზონა იძლევა რაჭა-ლეჩხუიიდან ემიგრაციის ძირითად ნაკადს.

მეოთხე ზონა 2 000 მეტრზე მაღლა მდებარეობს. სამეურნეო თვალსაზრისით აქ საინტერესო ობიექტს სუბალპური და ალპური საძოვრები წარმოადგენენ; მუდმივი მოსახლეობა აქ სულ არ არის. თავისი მნიშვნელობით გამორჩევა დარიშხანის საბადო ლუხუმის წყლის ხეობის ზემო ნაწილში და ბარიტის მოპოვება გვალვანას მთაზე (სოფ. ჩორდთან). ამ წიაღისეულის გადამუშავება მესამე ზონის ფარგლებში წარმოება. მაღალმთიან ზონაში 1953 წლამდე წარმოებდა მოლიბდენის მოპოვება, მაგრამ სამრეწველო მარაგის გამოლევის შედეგად იგი შეწყდა.

ზემოთქმულიდან ნათელი ხდება, რელიეფის როლი (ფიზ. გეოგრაფიული გარემოს სხვა კომპონენტებთან ერთად) სახალხო მეურნეობის განლაგებაში. მართალია სოციალ-ეკონომიურ ფაქტორებს გადამწყვეტი როლი ეკუთვნით, მაგრამ გეოგრაფიული გარემოს უდიდესი მნიშვნელობის უგულვებელყოფა, დაუშვებელია, და სახალხო მეურნეობის ყოველი დარგის გადადგილების სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყითხი გაშუქებული უნდა იქნეს ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოს მნიშვნელობის გათვალისწინებით.

სასარგებლო წიაღისეული

რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე აღმოჩენილია და მეტწილად შესწავლილია მრავალგვარი სასარგებლო წიაღისეული, რამაც მოგვცა შესაძლებლობა სამთომოპოვებითი მრეწველობის განვითარებისა.

განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი საბადოები (უმეტესად ლითონური წიაღისეულის) არის მთიან რაჭაში, ეს უკანასკნელი შედის რაჭა-სვანეთის მადნიან ოლქში და ნაწილობრივ ფლიშის ზონას წარმოადგენს, ხოლო ნაწილობრივ აგებულია პორფირიტული წყებებით.

რაჭა-ლეჩხუმის წიაღისეული სიმდიდრეებიდან ამჟამად ათვისებულია ბარიტისა და დარიშხანის საბადოები.

ბ ა რ ი ტ ი ს მხრივ რაჭა-ლეჩხუმს განსაკუთრებული ადგილი უკავია საბჭოთა კავშირში. ბარიტის საბადო მდებარეობს ონის რაიონში, მდ. ჯეჯორას აუზში, გვალვანას მთაზე, სოფ. ჩორდის მიდამოებში.

ბარიტი წარმოდგენილია ძარღვების სახით პორფირიტულ ქანებში, 2 000—2 200 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. მისი სამრეწველო ექსპლუატაცია 1950 წელს დაიწყო. სოფ. ირში წარმოებს მისი კონცენტრატად გადამუშავება. ბარიტის შემდგომი გადამუშავება ხდება ლენინგრადისა და ქუთაისის ლითოფონის ქარხნებში. ბარიტის კონცენტრატის თვითღირებულების შემცირებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება სატრანსპორტო კავშირის გაუმჯობესებას, სახელდობრ, ირი-კვაისა-სტალინირის საავტომობილო გზის შენებლობის დასრულებას, რომელიც დაახლოებით 75 კმ-ით შეამცირებს მანძილს უახლოეს რკინიგზის სადგურამდე.

დ ა რ ი შ ხ ა ნ ი ს დიდი საბადო, ე. წ. ლუხუმის, მდებარეობს ამბროლაურის რაიონში მდ. ლუხუნის-წყლის მარცხენა შენაკადის მდ. მაგნის-ღელეს ხეობაში, 2 200 მ სიმაღლეზე მდებარე ძნელად მისადგომ ადგილში. უახლოესი რკინიგზის სადგური ქუთაისი დაშორებულია 135 კმ მანძილით, ხოლო უახლოესი მსხვილი დასახლებული პუნქტი სოფ. ურავი 27 კმ მანძილით. ეს საბადო აღმოჩენილია 1930 წელს.

ლუხუმის საბადოს მინერალური შედგენილობა მეტად მრავალფეროვანია, მთავარი მადანშემქმნელი კომპონენტებია რეალგარი და აურიპიგმენტი, დარიშხანის შემცველობა მერყეობს ფართო ფარგლებში 0,5%-დან 30%-მდე, შეადგენს საშუალოდ 7,0%. ძარღვთა საერთო სიმძლავრე საშუალოდ 6—6,5 მ-ს შეადგენს, სიგრძე — 150 მ-ს.

მოპოვებული მადნის გადამუშავება წარმოებს ურავის ქარხანაში. გარდა ზემოხსენებულისა აღნიშნულია დარიშხანის კიდევ რამოდენიმე საბადო: ურავის (რომლის დამუშავება დროგამოშვებით წარმოებდა), საკაურის და კოდისქირის.

ქ ვ ა ნ ა ხ შ ი რ ი ს სამრეწველო მოპოვების დიდი პერსპექტივები გააჩნია ამბროლაურის რაიონს, სადაც შაორის ქვაბულში 1951 წელს აღმოჩენილია ქვანახშირის მძლავრი საბადო. მისი მარაგი (ყველა კატეგორიების მიხედვით) შეადგენს 680 მლნ ტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვანახშირშემცველი ფენები დიდ სიღრმეზე მდებარეობენ — 1800 მეტრამდე, ე. ი. ზღვის დონეზე 700 მეტრით დაბლა, რადგან მის თავზე მდებარე შაორის წყალსაცავის სარკის სიმაღლე ზღვის დონიდან 1100 მეტრს შეადგენს.

შაორის ქვანახშირის აუზი მჭიდროდ არის დაკავშირებული ტყიბულის საბადოსთან და II-ჯერ ჭარბობს მას მარაგის მიხედვით. ქვანახშირშემცველი ფენების სიმძლავრე 20 მეტრს აღწევს. ხარისხობრივად ანალოგიური ტყიბულის ქვანახშირისა.

შაორის აუზში ქვანახშირის მოპოვება დიდ სიძნელეებს წააწყდება, რაც ყველაზედ მეტად განპირობებულია ქვანახშირშემცველი ფენების დიდ სიღრმეზე მდებარეობით.

ანთიმონიტის საბადოებიდან ყველაზე მეტად შესწავლილია ზოფეთის საბადოთა ჯგუფი. იგი განლაგებულია მდ. ზოფეთურას მარჯვენა კალთაზე ფერდობზე და შედგება 50-ზე მეტი ძარღვისაგან. მას სამრეწველო მნიშვნელობა გააჩნია და შემდგომ საძიებო სამუშაოთა ჩატარებას მოითხოვს.

ვერცხლისწყლის გამოვლინებები გენეტიკურად დაკავშირებულია ალბიტოფირების და ანდეზიტ-დაციტების ინტრუზიებთან. სულ აღნიშნულია ვერცხლისწყლის 15-ზე მეტი გამოვლინება, რომელთა შორის მნიშვნელოვანია მხოლოდ ტალახიანის საბადო. იგი მდებარეობს სოფ. ღებიდან აღმოსავლეთით 8 კმ მანძილზე, მდინარეების ცისეარგასა და ნოწარულას წყალგამყოფზე. ლითონის საშუალო შემცველობა საკმაოდ მცირეა. მოსალოდნელია კმ საბადოს მარაგის ზრდა, რის შემდეგ შეიძლება დადგეს საკითხი მისი ექსპლუატაციაში გადაცემის შესახებ.

მოლიბდენი საქართველოში მხოლოდ ონის რაიონში გვხვდება და წარმოდგენილი არის მდ. შვეშურას მარცხენა ნაპირზე მდებარე კარობის საბადოთი. იგი 2 500 მ სიმაღლეზე მდებარეობს და 175 კმ არის დაშორებული ქ. ქუთაისს, რომელთანაც დაკავშირებულია საავტომობილო გზით. ეს საბადო აღმოჩენილია 1930 წელს, ხოლო მისი დამუშავება 1938 წელს დაიწყო და წარმოებდა 1953 წლამდე, რის შემდეგ იგი შეწყდა მარაგის გამოლეგასთან დაკავშირებით.

ვოლფრამის საბადო მდებარეობს მდ. მოწაწწარის ხეობაში 2 500—2 600 მ სიმაღლეზე. სამადნო ზონა გადაჭიმულია თითქმის 400 მ-ზე. მისი სიმძლავრე მერყეობს 10—15 მ-დან 50 მ-დე. შემცველობა შეადგენს 0,1—0,4%-დან 2—5%-მდე, საშუალოდ დაახლოებით 1%-ს. მისი სამრეწველო მნიშვნელობა გაურკვეველია.

ნოწარას საბადო მდებარეობს მდ. ნოწარულის ხეობაში, 2 400—2 500 მ სიმაღლეზე. იგი შედგება რამოდენიმე ძარღვისაგან. შემცველობა ფრიად განსხვავებულია. ზოგიერთ შემთხვევაში იგი აღწევს 3—5 %. ამ საბადოს სამრეწველო მნიშვნელობა დადგენილი იქნება საძიებო სამუშაოების დამთავრების შემდეგ.

რკინა აღნიშნულია მდ. ჯეჯორის ხეობაში, მის მარცხენა ნაპირებზე. სოფ. წეფისის მახლობლად. მადნიანი მინერალები ავსებენ კირქვებში არსებულ ნაპრალებსა და კარსტულ სიცარიელეებს. ამჟამად ამ საბადოს პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. თუმცა ძველად მისი ექსპლუატაცია საკმაოდ ფართოდ წარმოებდა.

პ ო ლ ი მ ე ტ ა ლ ე ბ ი ს გამოვლინებები რაჭა-ლეჩხუმში მცირერიცხოვანია. მათ შორის ყველაზე მსხვილია დიდველის მადნის გამოვლინება, რომელიც მდებარეობს 5 კმ დაშორებით სოფ. გონადან (ონის რაიონი) და წარმოდგენილია ერთი კვარცის ძარღვით. სამრეწველო მნიშვნელობა მას არ გააჩნია. პოლიმეტალების მეორე, სკატი-კომის, სამადო მდებარეობს მდ. ჯეჯორის ხეობის მარჯვენა კალთებზე. ტყვიის საშუალო შემცველობა აქ შეადგენს 5%, თუთიის—2%. მიუხედავად მცირე მარაგისა, ამ სამადოს, კვაისის სამთომადნო საწარმოსთან ახლო მდებარეობის გამო, სამრეწველო მნიშვნელობა აქვს.

მ ა ნ გ ა ნ უ მ ი ს სამადოები გვხვდება ონისა და ამბროლაურის რაიონებში. სოფ. შქმერში (ონის რაიონი) სამივე მანგანუმშემცველი ფენის სიმძლავრე 1,1—1,2 მ შეადგენს, ხოლო მანგანუმის შემცველობა 42% აღწევს. მანგანუმის გამოვლინებები დადგენილია ახალსოფელში და ხარისთვალში (ამბროლაურის რაიონი). სამრეწველო მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ შქმერის სამადოს.

გარდა აღნიშნულისა, რაჭა-ლეჩხუმის ფარგლებში აღმოჩენილია სხვა სასარგებლო წიაღისეულიც, სახელდობრ: სპილენძი, ნიკელი, კობალტი, კალა, ოქრო-ლითონური წიაღისეულიდან და ასფალტი, ბაზალტი, თაბაშირი, მთის ბროლი, აქატი, იასპი, ტომსონიტი, კაჟი, მერგელი, სახურავი ფიქალი, ბუნებრივი გაზები, ნავთობი, გოგირდი, პირიტი, ისლანდიური შპატი — არალითონური წიაღისეულიდან. თანამედროვე ეტაპზე პრაქტიკული მნიშვნელობა თითქმის არც ერთ მათგანს არ აქვს.

კლიმატური პირობები

რაჭა-ლეჩხუმი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ნოტიო ზღვიური სუბტროპიკული კლიმატური ოლქის ფარგლებში, კერძოდ მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ამასთანავე ზღვიდან საკმაოდ დაშორების გამო კლიმატი რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე იჩენს კონტინენტურობის ნიშნებს ზღვისაკენ უფრო გაშლილ რაიონებთან შედარებით. რელიეფის სირთულე განაპირობებს მკვეთრად განსხვავებული კლიმატური რაიონების არსებობას, რაც თავის მხრივ, დღს ასკამს სასოფლო-სამეურნეო კულტურების განლაგებას. რაჭა-ლეჩხუმის კლიმატის პირველი და ერთადერთი დახასიათება მოცემული აქვს მ. კორძახიას.[12]

სუბტროპიკულ ზონაში მდებარეობამ და ზომიერმა ღრუბლიანობამ განაპირობა რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე მზის ნათების საკმაოდ დიდი ხანგრძლივობა და მზის რადიაციის მნიშვნელოვანი ინტენსივობა წლის ყველა სეზონში. შოვ-

ცხრილი 2

თვეები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური
	101,7	181,2	155,0	168,0	184,0	194,3	252,1	265,1	205,2	185,3	98,5	110,0	2050,8
ეხის ნათების ხანგრძლივობა													

[12] მ. კ ო რ ძ ა ხ ი ა, რაჭა-ლეჩხუმის კლიმატი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები, 1958.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში მზის ნათების ხანგრძლიობა შეადგენს 2 050 საათს წელიწადში და თვეების განმავლობაში შემდეგნაირად ნაწილდება (ცხრილი 2).

რიონის ხეობის იმ მონაკვეთში, რომელიც მდებარეობს სოფ. ალპანადან ქ. ონამდე, სადაც თავმოყრილია რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დიდი ნაწილი, ჰორიზონტის დახრილობა უმეტეს შემთხვევაში ნაკლებია, ვიდრე შოვში. ღრუბლიანობა აქ იმდენივეა, როგორც შოვში, ნისლიანობა — კი ნაკლები. აღნიშნული პირობების გამო მზის ნათების რეალური ხანგრძლიობა რამდენადმე მეტია, ვიდრე შოვში და შეადგენს დაახლოებით 2 200 საათს წელიწადში. მზის ნათების ასეთი ხანგრძლივობა ხელს უწყობს მრავალწლიანი კულტურების, განსაკუთრებით ვაზის გაშენებას. ის ვენახები, რომლებიც სამხრეთ ფერდობზეა განლაგებული, ყველაზე მეტ მოსავალს იძლევა.

რაჭა-ლეჩხუმი იძლევა ცნობილ ნახევრადტკბილ ღვინოებს: „ხვანჭკარას“, „ტვიშს“ და სხვ. ეს უნდა გამოწვეული იყოს მზის რადიაციის ინტენსივობით, რაც სხვა კლიმატურ პირობებთან ერთად, ხელს უწყობს ყურძენში შაქრის დაგროვებას. საინტერესოა, რომ ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე, სადაც მზის ნათების ხანგრძლიობა და ზაფხულის ტემპერატურები იგივეა, რაც რაჭა ლეჩხუმის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, დამზადებული ღვინოც შაქრის დახლოებით ისეთივე პროცენტს, შეიცავს, როგორც რაჭა-ლეჩხუმში.

ამინდის ხასიათი რაჭა-ლეჩხუმში მჭიდროდაა დაკავშირებული ატმოსფეროს ზოგად ცირკულაციასთან. საქართველოს ტერიტორიაზე ადგილი აქვს ძირითადად ორი ტიპის სინოპტიკური პროცესს: პირველი დაკავშირებულია ჰაერის მასების დასავლეთიდან შემოჭრასთან, ხოლო მეორე — აღმოსავლეთიდან შემოჭრასთან. უფრო მეტად მნიშვნელოვანია პირველი ტიპის სინოპტიკური პროცესი.[13].

ჰაერის ტემპერატურა რაჭა-ლეჩხუმის სხვადასხვა ნაწილში ფრიად განსხვავებულია. ეს გამოწვეულია ზღვის დონიდან სიმაღლეთა დიდი სხვაობით, რელიეფის ფორმათა სხვადასხვაობით და ზღვიდან არაერთნაირი დაშორებით. უფრო ნათელი რომ გავხადოთ ტემპერატურათა მსვლელობა თვეების მიხედვით, რაჭა-ლეჩხუმის სხვადასხვა პუნქტებში, საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი ცხრილის მოყვანა:

ცხრილი 3

ჰაერის საშუალოთვიური ტემპერატურები

მეტეოსადგურები	სიმაღლე ზ. დ.	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური
ქრებალო	525	—1,7	1,3	5,7	10,9	16,3	19,8	22,3	22,6	18,6	13,1	6,6	1,4	11,4
ამბროლაური	546	—0,9	2,4	6,1	11,0	16,1	19,4	21,8	22,5	17,0	12,6	7,3	1,5	11,5
ონი	789	—1,5	0,6	4,3	9,5	14,2	17,4	20,3	20,5	16,5	11,7	6,8	1,1	10,1
ლაილაში	853	—1,6	—0,1	3,4	9,1	12,2	16,7	19,3	19,6	15,8	11,4	5,6	1,2	9,5
ხარისთვალი	1156	—5,2	—3,2	0,6	5,2	11,3	14,0	17,0	17,4	15,0	8,0	2,7	—2,2	6,6
ხეოგა	1126	—6,4	—3,6	—0,1	5,6	11,2	14,6	17,3	17,5	15,3	8,6	3,2	—2,2	65

[13] ე. კ ო ბ ა ხ ი ძ ე, რაჭა-ლეჩხუმის კლიმატი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები, 1958.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტემპერატურის სიდიდეზე, გარდა სიმაღლისა, გავლენას ახდენს რელიეფის ფორმა და მცენარეული საფარი.

რაჭა-ლეჩხუმში შემოდგომა უფრო თბილია, ვიდრე გაზაფხული, მაგრამ არა იმდენად, როგორც დასავლეთ საქართველოს დაბლობ ადგილებში, რაც აიხსნება ძირითადად ამ მხარის ზღვიდან დაშორებით.

ჰაერის ტემპერატურის დღეღამური ამპლიტუდა რაჭა-ლეჩხუმში მეტად ზომიერია.

ქარი. რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე უმთავრესად დასავლეთური და აღმოსავლეთურია. ქარის რეჟიმი მნიშვნელოვნად არის შენაირობებული რელიეფის ფორმებით. სეზონების მიხედვით მისი სიმძლავრე თითქმის თანაბარია, თუმცა მაინც გაზაფხულის თვეებში მეტია.

ნალექები. რაოდენობა, როგორც ქვემოთ იყო აღნიშნული, რაჭა-ლეჩხუმში ნაკლებია, ვიდრე შავი ზღვისაკენ უფრო გაშლილ მხარეებში. ამასთანავე აღმოსავლეთიდან პაერის მასების გადმონაცვლება თითქმის არასდროს ნალექს არ იძლევა, რის შედეგადაც მხარის უმეტეს ნაწილში ნალექების წლიური რაოდენობა 1 000—1 300 მმ არ აღემატება და მხოლოდ ნაქერალა ქედის თხემზე 2 000 მმ აღწევს, ხოლო შაორის ქვაბულის სამხრეთ ნაწილში 1 800 მმ იძლევა. ნალექების მაქსიმუმი მოდის ზამთარ-შემოდგომაზე და მინიმუმი გაზაფხულ-ზაფხულში. წლიურ მსვლელობაში ორი მაქსიმუმია: ოქტომბერში (120—140 მმ) და იანვარში (90—110 მმ) და ორი მინიმუმია: აპრილსა და აგვისტოში (60 და 70 მმ შესაბამისად)[14].

სიმაღლის ზრდასთან ერთად მცირდება ნალექების ოდენობა ზამთარში, ხოლო ზაფხულში მატულობს, რის გამო 1 200 მ სიმაღლიდან ნალექების მაქსიმუმი უკვე ზაფხულში მოდის.

თოვლიან დღეთა რიცხვი შეადგენს: ჭრებალოში —30-ს, შოვში — 70-ს, ხოლო მამისონის უღელტეხილზე 135 დღეს.

სამეურნეო თვალსაზრისით უარყოფით მოვლენას წარმოადგენს სეტყვა, რომლისგანაც არ არის დაზღვეული რაჭა-ლეჩხუმის არც ერთი რაიონი. სეტყვის მარცვალი ზოგჯერ საკმაოდ მსხვილია, მაგრამ დასეტყვილი ფართობი მცირეა და შედარებით იშვიათად აზიანებს ვენახს, ყოველ შემთხვევაში კახეთთან შედარებით.

რაჭა-ლეჩხუმის მაღალ ზონაში ნისლი მეტად ხშირი მოვლენაა. მაგალითად, მამისონის უღელტეხილზე 215 დღეა წელიწადში ნისლიანი; უფრო დაბალ ზონაში ნისლის სიხშირე კლებულობს. ნისლიანი დღეების სიხშირე ონის და, განსაკუთრებით შოვის ზეგით, ამინდის სხვა უარყოფით მოვლენებთან ერთად, აბრკოლებს საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობას.

ჰაერის სინოტივეზე დიდ გავლენას ახდენენ ლეჩხუმისა და რაკის ქედები, რომლებიც აძნელებენ ნოტიო ჰაერის გავრცელებას შავი ზღვიდან. რის გამო ჰაერის სინოტივე რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიის უმეტეს ნაწილში უფრო ზომიერია, ვიდრე დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში. საშუალო წლიური შეფარდებითი სინოტივე მხარის უდიდეს ნაწილში უდრის 71—76 % და მხოლოდ შაორის ქვაბულში და მხარის ზედა ზონაში 80 % უახლოვდება.

[14] ბ. ყორძახია, რაჭა-ლეჩხუმის კლიმატი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები, 1958.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებს ზიანს აყენებს გვალვა. წლის განმავლობაში გვალვის ალბათობა უდიდესია აგვისტოში 20% და ივლისში 14%, ე. ი. გვალვა მოსალოდნელია აგვისტოში 5 წელიწადში ერთხელ და ივლისში 7 წელიწადში ერთხელ[15]. ვეგეტაციის პერიოდის დანარჩენ თვეებში გვალვის ალბათობა მხოლოდ 3—4% შეადგენს და მას დიდი ზიანი არ შეუძლია მიაყენოს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს.

კ ლ ი მ ა ტ უ რ ი რ ა ი ო ნ ე ბ ი რაჭა-ლეჩხუმში მოცემულია მ. კორძახიას მიერ[16] თვითეულ ამ რაიონს შეესაბამება სოფლის მეურნეობის გარკვეული სპეციალიზაცია.

რაჭა-ლეჩხუმის ქვედა ზონა დაახლოებით 600—700 მეტრის სიმაღლემდე ხასიათდება ზომიერად ცივი, მოკლე ზამთრით და ცხელი ხანგრძლივი ზაფხულით. სამუალოდ უარყოფითი ტემპერატურა აქ მხოლოდ იანვარში აღინიშნება, ხოლო ივლის-აგვისტოში 22—23° შეადგენს. აბსოლუტური მაქსიმუმი ზაფხულის თვეებში 40° აღწევს. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა — 150 დღეს, ნალექების წლიური რაოდენობა 1 000—1 500 მმ, თოვლის საბურველის ხანგრძლივობა 55—76 დღეა.

ეს ზონა ხელსაყრელი კლიმატური პირობების გამო, ოდითთვანვე წარმოადგენდა საქართველოში მევენახეობისა და მეხილეობის ერთ-ერთ წამყვან რაიონს. მე-18 საუკუნის გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი გვაძლევს ლეჩხუმის შემდეგ აღწერას: „არამედ თუმცა არს ლეჩხუმი მთის ადგილად თქმ�. განა არს ვენახანი, ხილიანი, მოვალს ყოველი მარცვალში, ბენეიერ ბრინჯბანნბისა. გარნა, სივიწროვისა და კლდიანობისათვის არა ეგოდენ სიმრავლეთ". შემდეგ იგი აღწერს რაჭას: „ამ საზღვართ შინაგან არს რაჭა ფრიად მაგარი, მთითა, კლდითა, ხრამითა, ხევითა და ტყითა. შეუალი გარე მტრისაგან. ჰავიერ არს კეთილ-მშვენი. ზაფხულს გრილი. ზამთარ თბილი და უქარო, მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯ ბამბისა ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი, ვენახნი, ხილნი. მტილოვანში, ყოველში"[17]. როგორც ეხედავთ, ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს ეგზის ფართო გავრცელებას და მის მაღალ ხარისხს.

განსახილველი კლიმატური ზონის ფარგლებში მდებარეობს უსახელოურტვიშის მიკრორაიონი, რომელსაც ლეჩხუმის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი უკავია, ვენახის ფართობი 300 ჰექტარს მეტია. მზადდება ორი ტიპის ნახევრადტკბილი ღვინო: „ტვიში" და „უსახელოური". ეს მეტად ორიგინალური ღვინოებია. სასიამოვნო ბუკეტი გააჩნიათ.

სოფ. ხვანჭკარის (ამბროლაურის რაიონი) მიდამოები წარმოადგენენ მევენახეობის მეორე მნიშვნელოვან მიკრორაიონს: აქ აყენებენ საქეეყნოდ ცნობილ ღვინოს — „ხვანჭკარას". იგი ლამაზი ვარდისფერია, ალკოჰოლს 12—13° შეიცავს. ამ ღვინომ თავისებურება მიკრორაიონის კირქვებზე და ორიგინალური მიროკლიმატის საფუძველზე შეიძინა.

ნეშომპალა-კარბონატულ კირქვიან ნიადაგზე გაშენებული ვენახი იშვიათი

---

[15] მ. კ ო რ ძ ა ხ ი ა, რაჭა-ლეჩხუმის კლიმატი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები, 1958.

[16] ი ბ ი ვ ე.

[17] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემოსი და არომატის ღვინოს იძლევა. ღვინის მრეწველობა მას „თეთრა"-ს სახელწოდებით უშვებს.

რაჭა-ლეჩხუმის ამ კლიმატურ ზონაში ძველთაგანვე იყო განვითარებული ბეხლეობა. ამ ზონაში კარგ, ლამაზად შეფერილ არომატულ ნაყოფს იძლევა ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ჭანჭური, თუთა, ბალი, ალუბალი და სხვ.

მარცვლეული კულტურებიდან გავრცელებულია ხორბალი და განსაკუთრებით სიმინდი.

განსახილველ კლიმატურ ზონაში საველეტაციო პერიოდი საშუალო დღეღამური ტემპერატურით 10°-ზე ზევით იწყება 10 აპრილიდან და მთავრდება 28 ოქტომბერს, ე. ი. 200 დღეს შეადგენს. ვაზისათვის და ხეხილისათვის კი საჭიროდ ითვლება 150 დღის ხანგრძლივობის საველეტაციო პერიოდი. ცნობილია, რომ დიდ ზიანს აყენებს ხეხილს და ვენახებს. გაზაფხულის დაგვიანებული ყინვები, განსაკუთრებით ყვავილობის დროს. განსახილველ ზონაში 10 აპრილის შემდეგ წყაინვებს, ჰაერის ტემპერატურის 0°-ზე ქვევით დაცემას, იშვიათად აქვს ადგილი. ისეთი ყინვები კი რომლებიც ყვავილობის დროს იწვევს მასიურ დაზიანებას, არ ყოფილა აღნიშნული 20 წლის განმავლობაში[18].

აბსოლუტური მინიმუმებიდან საშუალო — 10°-ს უდრის, რაც ჩვეულებრივად არ აზიანებს ვაზს.

შემდეგი, მ ე ო რ ე ზ ო ნ ა, ვრცელდება 700 მეტრის სიმაღლიდან დაახლოებით 1 200 მეტრის სიმაღლემდე და ხასიათდება ზომიერად ცივი კლიმატით, თბილი ხანგრძლივი ზაფხულით და ნალექის საკმაო რაოდენობით წლის განმავლობაში.

ზამთარში 2—3 თვის განმავლობაში ჰაერის ტემპერატურა 0°-ზე დაბალია. საშუალო თვიური ტემპერატურა 16°-ზე მაღალია 5—6 თვის განმავლობაში. აბსოლუტური მინიმუმი — 27° ეცემა. უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა 140—100 დღეს უდრის წელიწადში. ჰაერის ტემპერატურის მაქსიმუმი ზაფხულის თვეებში 38—35° აღწევს.

ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს 1 000—1 300 მმ ფარგლებში. თოვლის საბურველის ხანგრძლიობა 70—100 დღეს შეადგენს.

განსახილველ კლიმატურ ზონაში ვარგისი მიწები მთლიანად არის ათვისებული. მარცვლეულ კულტურებს, წინა ზონასთან შედარებით, აქ მეტი ხვედრითი წონა უკავიათ. ვაზისა და ხეხილის ნარგავები საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული.

თავისებურ კლიმატურ რაიონს წარმოადგენს შორის ქვაბული და ნაქერალას ეფექტებილი, რომელიც ხასიათდება ნოტიო კლიმატით, განსაკუთრებულად ცივი ხანგრძლივი ზამთრით, ზომიერად თბილი ზაფხულით და უხვი ნალექებით წლის ყველა სეზონში. ნალექების წლიური რაოდენობა აქ 1 300—1 800 მმ შეადგენს, ხოლო ნაქერალას ეფექტეხილზე 2 400 მმ აღწევს. იანვრის საშუალო ტემპერატურა უდრის — 5—6°, ხოლო ივლისის 17—18°. კლიმატური პირობები ამ რაიონში საადრეო სიმინდის მოყვანის საშუალებას იძლევა და სპერთოდ მემინდვრეობის განვითარებისათვის ხელსაყრელია.

მესამე კლიმატური ზონა ვრცელდება 1200 მ სიმაღლიდან 1800 მ სი-

[18] მ. ყ ო რ ძ ა ხ ი ა, რაჭა-ლეჩხუმის კლიმატი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები, 1958.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაღლემდე; იგი ხასიათდება ცივი ნოტიო კლიმატით, ზომიერად თბილი ზაფხულით და ცივი ხანგრძლივი ზამთრით. იანვრის საშუალო ტემპერატურები მერყეობენ —3° —7° შორის, რაც დამოკიდებულია ადგილის სიმაღლეზე. ივლისის საშუალო ტემპერატურა 18—15° უდრის. ნალექების წლიური რაოდენობა იცვლება 1100 მმ-დან განსახილველი ზონის აღმოსავლეთ ნაწილებში 1500 მმ-მდე დასავლეთ და სამხრეთ ნაწილებში, ამასთანავე მაქსიმუმი ზაფხულში მოდის. საველტაცეო პერიოდის ხანგრძლიობა 150—120 დღეს უდრის. დადებით ტემპერატურათა ჯამი არ არის საკმარისი საგვიანო სიმინდისათვის და მით უფრო ვენახისათვის და ხეხილისათვის. ამ ზონაში კარგი პირობები არსებობს მეცხოველეობის განვითარებისათვის კარგ მოსავალს იძლევა კარტოფელიც, რომლის დიდი ნათესები განლაგებულია სოფლების: ღების, ჭიოროს და გლოლას მიდამოებში. ხეხილისათვის, როგორც აღვნიშნეთ, დადებით ტემპერატურათა ჯამი არ არის საკმარისი, მაგრამ ამ ზონის ქვედა სახლ ვარზე ხეხილის ზოგიერთმა ჯიშმა შეიძლება კარგად გაიხაროს. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს სოფ. ღებში და სოფ. ჭიოროში არსებული ვაშლის ნარგავები, რომლებიც კარგი ხარისხის ნაყოფს იძლევიან. საინტერესო ფაქტია, რომ ამ რაიონში ვაშლის ნაყოფი სიჯანსაღითაც გამოირჩევა, რადგან ხეხილის მავნებლები სრულებით არ არის გავრცელებული. ზემოხსენებულიდან ცხადი ხდება, რომ ამ კლიმატური ზონის ქვედა ნაწილში, სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილია თავმოყრილი, საესებით შეიძლება მეხილეობის განვითარება. მეხილეობას უნდა მიეცეს სასაქონლო ხასიათიც, რადგანაც კურორტი შოვი ზაფხულში მოიხმარს ხილს მნიშვნელოვან რაოდენობას.

მეოთხე კლიმატური ზონა მდებარეობს 1 800—1 900 მეტრიდან 2 300—2 500 მეტრის სიმაღლემდე. აქ იანვრის საშუალო ტემპერატურა —7° —10° უდრის, ხოლო ივლისისა —10—15°. თოვლის საბურველის ხანგრძლიობა შეადგენს 9—10 თვეს, ნალექების წლიური რაოდენობა 1 200—1 600 მმ. ამ ზონის კლიმატი ხასიათდება სინოტივით, მოკლე გრილი ზაფხულით და ცივი ხანგრძლივი ზამთრით. კლიმატური პირობები იძლევა შესაძლებლობას მხოლოდ წიწვიანი ტყის აღმოცენებისათვის.

2 300—2 500 მეტრის სიმაღლიდან იწყება ალპური ზონა, სადაც ივლისის საშუალო ტემპერატურა 10°-ზე დაბალია. იანვრის ტემპერატურა —11°, —14° უდრის, თოვლი ზაფხულშიც მოდის. აქ ფართოდ არის გავრცელებული ალპური მცენარეულობა, რაც ქმნის ბუნებრივ ბაზას მაღალმთიანი მეცხოველეობის განვითარებისათვის.

2 950—3 300 მეტრის სიმაღლიდან კრცელდება მარადი თოვლის ზონა, რომელსაც პირდაპირი სამეურნეო მნიშვნელობა არ გააჩნია.

ᲨᲘᲓᲐ ᲬᲧᲚᲔᲑᲘ

რაჭა-ლეჩხუმი მთლიანად რიონის აუზში მდებარეობს. მის ტერიტორიაზე რიონი მოედინება თავისი ზემო და. ნაწილობრივ, შუა წელით, ცაგერის რაიონი გადაკვეთილია რიონის მარჯვენა შუმდინარის ცხენისწყლის შუა წელის მონაკვეთით.

რაჭა-ლეჩხუმში წარმოდგენილია მთის მდინარეთა მკაფიოდ გამოხატული ტიპი.

რიონს საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში მარჯვნიდან ერთვიან მდინა-

რეები: საკაურა, ლუხუნისწყალი, ასკისწყალი, რიცეული, ლაჯანური, ძაცარინდან კი ჭანჭახი, ღარული, ჯეჯორა, შარეული და სხვა. ცაგერის რაიონის ფარგლებში მდ. ცხენისწყალს მხოლოდ ერთადერთი მნიშვნელოვანი შენაკადი — მდ. ჯონოული გააჩნია. მათ დასახასიათებლად მოგვყავს შემდეგი ცხრილი[19].

ცხრილი 4

მდინარის დასახელება	მდინარის სიგრძე კმ-ში	აუზის ფართობი კვ. კმ-ში	მდინარის სათავის სიმაღლე მ-ში ზღ. დონიდან	მდინარის შესართავის სიმაღლე მ-ში ზღ. დონიდან	საშ. ვარდნა 1 კმ-ზე
ჭეშურა	15	98	2325	1340	65.5
ჯეჯორა	16	438	2915	755	38.6
ლუხუნიაწყალი	39	294	2454	612	47.2
რიცეულა	24	160	1989	510	61.6
ლაჯანური	41	297	2454	361	51.7
საკაურა	32	155	2880	853	63.3
ღარული	14	98	1272	821	32.2
ჯონოული	21	112	2027	392	77.9

რაჭა-ლეჩხუმის მდინარეებს ასაზრდოებს ყინვარები, ლანქერი, წვიმისა და მიწისქვეშა წყლები. რიონის და ჭანჭახის საზრდოობაში დიდი როლი ენიჭება ყინვარებს. უფრო ქვევით, კარსტულ ზონაში, დიდ როლს თამაშობენ მიწისქვეშა წყლები, კარსტულ ზონაში ბევრი პატარა მდინარე ვოკლუზებით იწყება.

საკვლევ რაიონში ჩამონადენის სიდიდე განიცდის საკმაოდ დიდ ცვალებადობას.

კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთული ფერდობის მაღალმთიან ზონაში ადგილი აქვს ყველაზე უხვ ჩამონადენს — 50 ლ/წკ კმ²-დან და მეტიც. ჩამონადენის მოდული მნიშვნელოვნად კლებულობს სიმაღლის შემცირებასთან ერთად და საშუალომთიან ზონაში შეადგენს 23—30 ლ/წკ კმ²-დან.[20]

უხვი ყინვარული საზრდოობა განსაზღვრავს რიონ-ჭანჭახის სათავეებში საზაფხულო ჩამონადენის ზრდას. ჩამონადენის მაქსიმუმი ივნისზე მოდის, ხოლო ზაფხულში რიონის აუზის ზედა ნაწილში წლიური ჩამონადენის ნახევარზე მეტი ჩამოედინება. ამ ზონაში ჩამონადენის მინიმუმი თებერვალზე მოდის, რაც შეეხება საშუალომთიან ზონას აქ ჩამონადენის მაქსიმუმი მაისზე მოდის, მინიმუმი კი იანვარზე.

მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასმელ წყალს. ამ მხრივ რაჭა-ლეჩხუმში კარგი პირობები არსებობს, რადგანაც მის ტერიტორიაზე არსებული სასმელი წყლის წყაროები გამოირჩევიან როგორც გემოვნებით, ასევე მაღალი ჰიგიენური თვისებებით.

---

[19] თ. კიკინილაშვილი, საქართველოს მდინარეები, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. III (ნაკვეთი 2) თბ., 1948.

[20] ლ. მარუაშვილი ნ. ასტახოვი, გ. დონდუა, ს. ნემანიშვილი, დ. უკლება, გ. ჩანგაშვილი, ე. სოხაძე, ვ. ვლადიმიროვი, მ. კორძახია, ჯ. გოგიშვილი, რაჭა-ლეჩხუმის ზოგადი ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები, 1958.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჭა-ლეჩხუმის მდინარეებს გააჩნიათ ჰიდროენერგიის მძლავრი მარაგი. მდინარე რიონის აუზში მოთავსებულ მდინარეთა ჰიდროელეკტრული ენერგიის საერთო პოტენციალური მარაგი 3 მლნ. კვტ. აღემატება. ბუნებრივი პირობები ხელს უწყობს მდინარე რიონზე მძლავრი ჰიდროდანადგარების შექმნას. ყველაზე ხელსაყრელია ამ მხრივ რიონის შუა წელი, სადაც საპროექტო მონაცემებით გათვალისწინებულია რიგი ჰიდროსადგურების აგება, მათ შორის პირველ რიგში ისეთი მძლავრი სადგურისა როგორიცაა ნამახვანჰესი, რომელსაც 1,3 მლრდ კვტს ელექტროენერგიის მიცემა შეუძლია. ისინი, როგორც მთის მდინარეები, გამოირჩევიან დიდი ვარდნილობით. ჩამონადენის მოდული აქ საკმაოდ მაღალია, რის გამო მდინარეებს წყლის დიდი მასა მოაქვთ. ჰიდრორესურსები ჯერ სუსტად არის ათვისებული. დღემდე აგებულია მხოლოდ რამოდენიმე მცირე ჰიდროსადგური.

დიდი ნაბიჯი გადადგმულ იქნა რაჭა-ლეჩხუმის ჰიდრორესურსების ათვისების საქმეში მას შემდეგ, რაც 1960 წელს მწყობრში ჩადგა ლაჯანურჰესი.

რიონის აუზისათვის საერთოდ დამახასიათებელია ტბების სიმცირე. ეს რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიასაც ეხება, სადაც შედარებით მცირე ზომის მეტწილად ყინვარული და კარსტული წარმოშობის ტბებია წარმოდგენილი.

რაჭა-ლეჩხუმის ტბებს შორის თავისი სიდიდით გამოირჩევა ქვედრულას ტბა. იგი მდ. ქვედრულას აუზში მდებარეობს. მისი წარმოშობა დაკავშირებულია მიმდებარე მთების ჩამონგრევასთან.

ხარისთვალასა და ძროხისთვალას ტბები მდებარეობენ ნაქერალის ქედის ჩრდილო ფერდობის ძირში, შაორის ტაფობის სამხრეთ-დასავლეთ კიდეზე. მათ უკავიათ კარსტული ძაბრები. ორივე ტბა დაკავშირებული იყო ერთმანეთთან ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევს.

ამ ტბების მახლობლად არის მეორე ხარისთვალას ტბა, რომელიც კარსტული გენეზისის მქონეა.

შედარებით მნიშვნელოვანი ზომისაა ჭელაღელეს ტბა, რომლის სიგრძე 195 მ-ია, სიგანე 80—120 მ, სიღრმე 8—მ-მდე. ტბა წარმოშობა ორი კარსტული ძაბრის შეერთებით ერთ ქვაბულში.[21]

ნაკარეკის ტბა მდებარეობს სოფ. შრომის დასავლეთით. მისი სიგრძე 125 მ-ია, სიგანე 80—90 მ, სიღრმე 6 მ-ზე მეტი. ხოლო ჭიქის ტბა მდებარეობს სოფ, მთის კალთას სამხრეთ-აღმოსავლეთით 3 კმ მოშორებით. ეს საკმაოდ მოზრდილი ტბაა (სიგრძე 200 მ, სიგანე — 80—90 მ, მაქსიმალური სიღრმე 2,5 მ).

გარდა ზემოხსენებულისა, გვხვდება კარსტულ ძაბრებში ჩაგუბებული ძალზე მცირე ტბები, ადგილ-ადგილ კი მეწყერული ტბები. ლეჩხუმში, ლანქორის უღელტეხილის, აღმოსავლეთით ღარისებულ დეპრესიებში პატარა, მოგრძო ფორმის ტბებია მოთავსებული.

დიდი მნიშვნელობა ექნება შაორის წყალსაცავს, რომელიც შაორჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით შეიქმნა შაორის ტაფობზე: მდ. ხრელეთის სათავესთან, ნაქერალას ქედში გაყვანილია 1 200 მ-ის სიგრძისა და 3 მ დიამეტრის გვირაბი, რომლის საშუალებითაც წყალი წყალსაცავიდან გადის ქედის სამხრეთ ფერდობზე და ჰიდროელექტროსადგურს ამუშავებს.

---

[21] В. И. Леонов, Озера Нижней Рачи (в Шаорской котловине), «Землеведение, т. 9, кн. II—III, 1902.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიადაგები

რაჭა-ლეჩხუმის რელიეფის სირთულემ, მისმა ლითოლოგიურმა შედგენილობამ კლიმატური პირობებისა და მცენარეული საფარის ნირგვარობამ განსაზღვრა ამ მხარის ნიადაგსაფარის მრავალფეროვნება. ამ უკანასკნელმა კი დიდი გავლენა მოახდინა სასოფლო-სამეურნეო კულტურების განლაგებაზე და სტრუქტურაზე.

ნიადაგები რაჭა-ლეჩხუმში, როგორც მთიან მხარეში, ვერტიკალური ზონალური გავრცელების კანონზომიერებას ემორჩილებიან. მკაფიოდ არის გამოკვეთილი აზონალური ნიადაგებიც. საკვლევ რაიონში წარმოდგენილია ტყის ყომრალი, ნეშომპალა-კარბონატული, ტყის გაეწრებული ყომრალი და მთამდელოთა ნიადაგები. გეოლოგიური აგებულების შესაბამისად რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიის დიდი ნაწილი ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებს უკავია, რომლებიც განვითარდნენ კირქვების, მერგელების და კარბონატული ქვიშაქვების გამოფიტვის ქერქზე და კირქვიან დელუვზე.

ყველგან გვხვდება კირქვებზე განვითარებული ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, თუმცა დიდი მასივების სახით ისინი გავრცელებულია მდ. რიონის მარცხენა მხარეზე. კირქვებზე განვითარებული სხვადასხვა ნიადაგი ჰუმუსსა და აზოტს ყველაზე მეტი რაოდენობით შეიცავს. ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები მდ. რიონის მარჯვენა მხარეზე მეტწილად განვითარებულია კარბონატული ქვიშაქვების გამოფიტვის ქერქზე, ხოლო ცაგერის რაიონში მდ. ლაჯანურას გაყოლებით და დაბა ცაგერის სამხრეთ-აღმოსავლეთით ისინი მერგელებზეა განვითარებული.

ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების სისქე საშუალოდ 40—60 სმ-ს უდრის. მათში ჰუმუსის შემცველობა — 8—9%-ს; ხასიათდებიან კარგი სტრუქტურითა და წყალ-ჰაეროვანი თვისებებით.

ზღვის დონიდან 300—400 მ-დან დაწყებული ტყის ზედა საზღვრამდე გავრცელებულია ყომრალი ნიადაგები. ისინი სამ ჯგუფად იყოფიან[22]: ღია ყომრალ, ყომრალ და წითელი ფერის ყომრალი ტიპის ნიადაგებად. მაღალ ზონაში ვხვდებით ღია ყომრალ ნიადაგებს, სუბტროპიკული ზონის საზღვრთან წითელი ფერის ყომრალ ნიადაგებს, ხოლო მათ შორის ფართო ზოლად გადაჭიმულია ტიპიური ყომრალი ნიადაგები.

ტყის ყომრალი ნიადაგები ხასიათდებიან საკმაოდ დიდი სიმძლავრით, მნიშვნელოვანი ხირხატიანობით. მკაფიოდ გამოხატული ჰუმუსინი ჰორიზონტით. ამ ტიპის ნიადაგების საშუალო სისქე 60—80 სმ-ს აღწევს, თუმცა მთიანი დანაწევრებული რელიეფის პირობებში ადგილი აქვს ამ ნიადაგების ჩამორეცხვას. ნაკლები სისქით და მეტი ხირხატიანობით ხასიათდებიან ტყის გაეწრებული ყომრალი ნიადაგები. მათში ჰუმუსის შემცველობა ძლივს აღწევს 7—8%.

ეწერი ნიადაგები რაჭა-ლეჩხუმში ნაკლებად არის გავრცელებული ჰატარა ლაქების სახით მათ ვხვდებით ცხენისწყლის მარცხენა მხარეს — ძველ ტერასებზე.

სიმაღლის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვან ტერიტორიაზე ვრცელდება

---

[22] ტ. ტალახაძე, რაჭა-ლეჩხუმის ნიადაგები, საქ. მეცნ. აკად. ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1948.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთა-მდელოს კორდიანი და სუსტად გაეწრებული ნიადაგები, რომლებსაც მცირე სიმძლავრე (სულ 30—46 სმ), მსუბუქი მექანიკური შემადგენლობა და ორგანული ნივთიერების დიდი შემცველობა ახასიათებთ. ჰუმუსს ისინი 15—26% ოდენობით შეიცავენ.

შედარებით მცირე ფართობზეა გავრცელებული ალუვიური ნიადაგები — მდ. რიონისა და უფრო მეტად ცხენისწყლის ხეობებში. ჯაობის ნიადაგები უმნიშვნელო ფართობზე არის წარმოდგენილი შაორის ქვაბულში.

სოფლის მეურნეობისათვის უარყოფით მოვლენას წარმოადგენს ნიადაგის ეროზია, რომელსაც დიდი გავრცელება აქვს რაჭა-ლეჩხუმში. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1940—1957 წლების მანძილზე ნათესი ფართობები შემცირდა ამბროლაურისა და ონის რაიონებში დაახლოებით 1,4-ჯერ, ხოლო ცაგერის რაიონში 1,5-ჯერ, რა თქმა უნდა რიგ შემთხვევებში ნათესი ფართობების შემცირება სხვა მიზეზებითაც არის გამოწვეული (მაგ., დამეწყვრა, შაორის წყალსაცავის შექმნა), მაგრამ ყველაზე დიდი ბრალი მიუძღვის ეროზიას; ამიტომაც რაჭა-ლეჩხუმში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნიადაგსაცავი ღონისძიებების ჩატარებას (ტყეების გაშენება და სხვ.).

კარგი მოვლისა და აგროტექნიკური წესების დაცვის შემთხვევაში რაჭა-ლეჩხუმის ნიადაგები საერთოდ კარგი პროდუქტიულობით გამოირჩევიან. ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებზეა გაშენებული ხეხილი და ვენახი. ქვემო რაჭისა და ლეჩხუმის მაღალხარისხოვანი ღვინოების მომცემი მიკრორაიონები ნიადაგების მხრივ გამოირჩევა მეზობელი უბნებისაგან. ხვანწკარის მიკრორაიონის პირობებში ვენახები გაშენებულია კარბონატულ ქვიშა-ქვებზე წარმოქმნილ ნიადაგებზე—ტვიში, ორბელის და ოყურეშის ცნობილი ვენახები გაშენებულია კირქვებზე და მერგელებზე წარმოქმნილ ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებზე, რომლებიც კირნარი ხირხატით, რკინის ქანგის საკმაო რაოდენობით, ჰუმუსისა და აზოტის შედარებით მცირე შემცველობით ხასიათდება. ამ მიკრორაიონებში გაშენებული ვენახები იძლევიან ისეთ სახელგანთქმულ ღვინობს, როგორიცაა: „ტვიში“, „ხვანწკარა“, „ესახელოური“, „თეთრა“ და სხვა.

ნიადაგური (და კლიმატური) პირობები შესაძლებლობას იძლევიან რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობის ზარდისათვის, განსაკუთრებით ამბროლაურის რაიონის ჩრდილო-დასავლეთ და ცაგერის რაიონის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებში. გარკვეული პერსპექტივები არსებობს ვენახის და, კიდევ უფრო მეტად, ხეხილის გაშენებისა უფრო მაღალ ჰიფსომეტრიულ ზონაში.

მცენარეულობა

რაჭა-ლეჩხუმის მცენარეულობა შედის კოლხეთის ბოტანიკურ-გეოგრაფიულ პროვინციაში.

რუჭა-ლეჩხუმის მცენარეულობის ძირითად ტიპებს წარმოადგენენ:

1. მეორადი მცენარეულობა რაჭა-ლეჩხუმის სინკლინალის რაიონში (1 000—1 200 მ-მდე ზ. დ. რაჭაში და 800 მ-მდე ლეჩხუმში). დიდი ნაწილი ამ ტერიტორიისა უკავია კულტურულ მცენარეულობას, აგრეთვე ბუჩქნარებს და ფრიგანის ტიპის მცენარეულობას.

2. მუხნარ-რცხილნარი ტყეები 1 200—1 400 მ-ის სიმაღლემდე ზ. დ. (კირქვებზე) და წაბლნარ-რცხილნარი ტყეები (პორფირიტებზე და ფიქლებზე).

3. წიფლის ტყეები 1000—1200 მ-დან ზ. დ. 1400—1500 მ-მდე და ზოგჯერ უფრო მაღლაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. წიფლისა და მუქწიწვიანი ტყეები 1400—1500 მ სიმაღლიდან 1600—2 000 მ-მდე. ეს ტიპი არ არის წარმოდგენილი მდ. ლაჯანურის ხეობაში.

5. სუბალპური და პარკული ტყეები 1 800—2 200 მ სიმაღლეზე ზ. დ., რომლებსაც უფრო ზევით სცვლის სუბალპურ და ალპურ მდელოთა მცენარეულობა.

რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიის სიგრძისა და ბუნებრივი პირობების ნაირფეროვნების გამო მიზანშეწონილია წარმოვბდეს ამ რაიონის მცენარეულობის აღწერა ცალკეულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ რაიონების მიხედვით, როგორც მოცემული აქვს ე. სოხაძეს.[23]

რაჭის სამხრეთი კირქვიანი ზოლის მცენარეულობა ორ ქვერაიონად იყოფა: 1) სამხრეთ დასავლეთის მდიდარი კოლხეთის ტიპის მცენარეულობით და 2) გაღარიბებული ჩრდილო-აღმოსავლეთის.

რაჭა-ლეჩხუმის ქვაბულის მცენარეულობა ბუნებრივი სახით მხოლოდ უმნიშვნელოდ არის შერჩენილი. აქ ტერიტორიის უმეტესი ნაწილი სახნავ მიწებს და მრავალწლიან ნარგავებს უკავია.

ბუნებრივი მცენარეულობა მეტწილად მუხის, რცხილისა და ფიჭვის ტყეების დერივატებით არის წარმოდგენილი.

ამ რაიონში მნიშვნელოვანი ფართობები ბუჩქნარებს, და მეორად ბალახულ საფარს უჭირავს. რაონის ნაპირებზე წარმოდგენილია ტირფი, ქაცვი, მურყანი და სხვ.

რაჭის ჩრდილოეთ საშუალო მთიან რაიონში, გამოიყოფა ორი ქვერაიონი: რაონის მარჯვენა სანაპიროზე ჩრდილო-დასავლეთის ქვერაიონი და რაონის მარცხენა სანაპიროზე სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვერაიონი.

ჩრდილო-დასავლეთ ქვერაიონი გამოირჩევა მუქწიწვიანი ჯიშების სიმრავლით. მცენარეულობის ძირითად ტიპებს წარმოადგენენ მუხისა და რცხილის, წიფლის (ყველაზე უფრო მეტად), და მუქწიწვიანი (მეტწილად ნაძვი) ტყეები, რომელთა ზევით სუბალპური და ალპური მდელოთა მცენარეულობა არსებობს.

განსახილველი ზონის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი გამოირჩევა მცენარეული საფარის ნაკლებად მეზოფილური ხასიათით და მუქწიწვიანი ჯიშების ძცირე როლით. საკმაოდ დიდი ფართობები კულტურულ მცენარეულობას უკავია.

ზემო-რაჭის მაღალმთიანი რაიონის მცენარეულობა წარმოდგენილია მთა-ტყეთა და მთა-მდელოთა ფორმებით. სოფ. ღებამდე ჭარბობენ წიფლისა და მუქწიწვიანი ტყეები. სოფ. ღების ზემოთ მუქწიწვიან ტყეებს სცვლიან ფოთლოვანი ტყეები (ქვედა ზონაში მუხა, რცხილა, წიფელი, ხოლო ზედა ზონაში წიფელი). გარკვეული ადგილი უკავია სახნავ-სათესს მიწებს და საძოვრებს. უნდა აღინიშნოს, რომ გადამეტებული რაოდენობით საქონლის ძოვების გამო, ეს საძოვრები დიდად დაზიანებულია. ამ მოვლენას საჭიროა მიექცეს ყურადღება, წინაადმდეგ შემთხვევაში ისინი დაკარგავენ სამეურნეო მნიშვნელობას.

ლეჩხუმის[24] მცენარეულობა მეტწილად მთის ტყეებით არის წარმოდგე-

---

[23] Е. В. Сохадзе, Краткий очерк растительности Рачи, фонды института географии им. Вахушти, 1958.

[24] Е. В. Сохадзе, О растительности Лечхуми, фонды института географии им. Вахушти, 1958.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილი, თუმცა ბუნებრივი მცენარეულობის გვერდით ვრცელი ფართობები კულტურულ მცენარეულობასაც უკავია. ტყის შემქმნელი ჯიშებია: მუხა, რცხილა, წიფელი, წაბლი, სოჭი, ნაძვი და მუურყანი.

ლეჩხუმის კირქვიანი ზონის მცენარეულობისათვის დამახასიათებელია უფრო მეტად მეორადი ფორმები — ბუჩქნაროვანი ტყეები, მეორადი მდელოები, ფრიგანული ტიპის ქსეროფიტული მცენარეულობა. მნიშვნელოვანი ფართობები უჭირავთ სახნავ მიწებს და მრავალწლიან ნარგავებს.

მესამეული ოუზის მცენარეულობა, რომელიც მდებარეობს რაჭა-ლეჩხუმის სინკლინალის ჩრდილო და სამხრეთი ფრთების—ორი კირქვიანი ზოლის—შორის გამოირჩევა ბუნებრივი მცენარეულობით დაფარული ადგილების ნაკლებობით. აქ გაბატონებულია კულტურული მცენარეულობა, რაც განპირობებულია რელიეფის მცირე დახრილობით და მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვით. თვით ბუნებრივმა მცენარეულობამ აქ დაკარგა თავისი პირველადი სახე და მეორადი ფორმებითაა წარმოდგენილი.

სამეგრელოს ქედის პორფირიტული ნაწილის და ლეჩხუმის ქედის პორფირიტულ-ფიქლებიანი ნაწილის მცენარეულობა დაახლოებით ერთგვაროვანია.

რაჭა-ლეჩხუმის მცენარეული რესურსები საკმაოდ მრავალფეროვანია. მის ტყეებს დიდი წყალდამცავი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით შედარებით მშრალ დაბლმთიან სარტყელში. უკანასკნელ დროს აღინიშნულია ტყის ქვედა საზღვრის აწევა, როგორც შედეგი მისი არარაციონალური ექსპლოატაციისა.

შუა და ზემო სარტყელებში რაჭა-ლეჩხუმის ტყეები მაღალი ბონიტეტისაა, კარგად არიან შენახულნი. მაგრამ აქაც ტყის ექსპლოატაცია დიდი სიფრთხილით უნდა წარმოებდეს.

ხშირად გვხვდება ტყეებში აგრეთვე თაფლოვანი მცენარეები, სახელდობრ, ნეკერჩხალი, ბზა, ასკილი, ცაცხვი, სამყურა და სხვ.

რაჭა-ლეჩხუმის ტყეები მდიდარია საკვები მცენარეებით. მათ შორის უნდა აღინიშნოს წაბლი, თხილი, წიფელი, ცირცელი, ყვავტყემალი, მოცვი, წყავი, ბალღოჯი. ბევრი მცენარე შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, მათ შორის ეკვასიური მოცვი, რცხილა, ჯაგრცხილა. ბროწეული, წაბლი, სოჭი, მუურყანი, არყის ხე და სხვ. ზოგიერთი მცენარე იძლევა საღებავ ნივთიერებებს, რომელთა შორის რაჭა-ლეჩხუმში აღსანიშნავია რცხილა, არყის ხე , უხრავი, კვდოო, წაბლი, ხარისთვალა, იორდასალამი, ენდრონიკა. რაჭა-ლეჩხუმში საკმაოდ გვხვდება სამკურნალო მცენარეებიც, რომლებიც გამოყენებულია როგორც ადგილობრივი მოსახლეობის ასევე რესპუბლიკის ქიმიურ-ფარმაცევტული საწარმოების მიერ. მათ შორის უნდა აღინიშნოს თავყვითელა, ფუტკარა, მახველი, შროშანა, კატაბალახა, ასკილი და სხვ.

დიდი სამეურნეო მნიშვნელობა გააჩნია სუბალპურ და ალპურ მდელოებს, როგორც საზაფხულო საძოვრებს. მათ, რაციონალური ექსპლოატაციის პირობებში, მაღალი პროდუქტიულობა აქვთ. უარყოფით გავლენას ახდენს საქონლის გაფანტულად და არა გარკვევით საფუძველზე ძოვება, რის გამო საძოვრების გამოყენების კოეფიციენტი არ აღემატება 35—40 პროცენტს., წინააღმდეგ 80—85 პროცენტისა რაციონალური ძოვების პირობებში.

უარყოფით გავლენას საძოვრების პროდუქტიულობაზე ახდენს ძოვების ადრეულ გაზაფხულზე დაწყება და გვიანი დამთავრება შემოდგომაზე.

რაჭა-ლეჩხუმის მდელოების წამყვან საკვებ მცენარეებს წარმოადგენენ

ზოგიერთი სახეობები, ქასრის, მდელოს, თივაქასრის, წივანა, ნამიკრეფიას, ტიმოთელას და სხვა. პარკოსნებიდან ცერცელი, ყვავისფრჩხილა, სამყურა, იონჯა.

მიუხედავად მრავალფეროვანი მცენარეული საფარისა, სამეურნეო თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ტყეებს ეკუთვნით, მათ რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიის დიდი ნაწილი უჭირავთ. ძირითად ტყისშემქმნელ ჯიშებს საკვლევ რაიონში წარმოადგენენ რცხილა, მუხა, წიფელი, ნაძვი, სოჭი, მურყანი, წაბლი.

ტყეების და ბუჩქნარების საერთო ფართობი რაჭა-ლეჩხუმში შეადგენს 190.324 ჰა, ანუ მთელი ტერიტორიის 59,0%, წინაადმდეგ 42.4% მთლიანად საქართველოში.

ამრიგად, ტყეების და ბუჩქნარების ხვედრითი წონა რაჭა-ლეჩხუმში საგრძნობლად მეტია, ვიდრე მთლიანად საქართველოში, ტყიანობის მაღალი პროცენტით გამოირჩევა ამბროლაურის რაიონი.

ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ ბუნებრივი მცენარეულობის ადგილი დიდ ფართობებზე კულტურულმა მცენარეულობამ შეცვალა. განსაკუთრებით რაჭა-ლეჩხუმის დადაბლებულ ადგილებში. სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან ფართოდ არის გავრცელებული ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი და სხვ. მაღალი ხარისხის ვენახები არის გაშენებული ამბროლაურის, ცაგერის და ნაწილობრივ ონის რაიონში.

ხეხილის წამყვან ჯიშებს წარმოადგენენ ჭერამი, ბალი, ვაშლი, მსხალი, ქლიავი და თხილი.

სახნავი მიწების ფართობი შეადგენს რაჭა-ლეჩხუმში 22.907 ჰექტარს, ანუ მთელი ტერიტორიის 7,2%, წინაადმდეგ 14,7% მთელ საქართველოში. ამავე დროს სათბ მიწების, რომლებიც კულტურული ლანდშაფტის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ, უფრო დიდი ხვედრითი წონა უკავიათ (3,7%) რაჭა-ლეჩხუმის მიწის ფონდში, ვიდრე მთლიანად რესპუბლიკაში (2,1%).

მთლიანად კულტურული მცენარეულობით (სახნავ-სათბებები და მრავალწლიანი ნარგავებით) დაფარულია საკვლევი ტერიტორიის 12,7%. ვინაიდან მისი უდიდესი ნაწილი თავმოყრილია დადაბლებულ ნაწილებში, ხეობების გასწვრივ და უმეტესად 1 000 მ-მდე ზღ. დონიდან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რაჭა-ლეჩხუმის ქვედა ზონაში უპირატესად წარმოდგენილია კულტურული ლანდშაფტი. ამ უკანასკნელის სხვა შემადგენელი ელემენტები, ე. ი. ქალაქები და სოფლები, თავისი სამრეწველო საწარმოებით (გარდა სამთამადნო მრეწველობისა), კულტურის და ჯანდაცვის ნაგებობებით, ისტორიული ძეგლებით და სხვ. სწორედ ამ ზონაშია მოქცეული. ასე, რომ ქვედა ზონაში მკაფიოდ არის გამოხატული კულტურული ლანდშაფტი, ჩაქსოვილი ბუნებრივ ლანდშაფტში. რაჭა-ლეჩხუმის პირობებში კულტურული ლანდშაფტს მაპროფილებელ ელემენტს კულტურბიოცენოზები წარმოადგენენ.

ცხოველები

ზოოგეოგრაფიული დაყოფის თვალსაზრისით რაჭა-ლეჩხუმი მთელ საქართველოსთან ერთად შედის პალეარქტიკის ოლქის ხმელთაშუა ზღვის ქვეოლქში.

ტყის ზონაში და მის ზემო საზღვარზე გავრცელებულია ძუძუმწოვართა კლასის შემდეგი წარმომადგენლები: ჯიხვი, შველი, დათვი, მგელი, ტურა, მელა, მაჩვი, თხუნელა, კურდღელი და სხვ. ზოგიერთი მათგანი ნადირობის ობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექტს წარმოადგენდა (ჯიხვი, მგელი, კურდღელი), მაგრამ ბოლო დროს ამ ცხოველების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა და სასარგებლო ფაუნის დაცვის მიზნით მათზე ნადირობა სრულებით აკრძალულია.

ფრინველებიდან რაჭა-ლეჩხუმში გავრცელებულია კავკასიის შურთხი, კავკასიის როჭო, შაშვი, ჩხართვი, ბოლოშავი, სკვინჩა, ღაჟო, თეთრი, მთის ბოლოქანქელა და სხვ. მტაცებელი ფრინველებიდან აღნიშნულია არწივი, სვავი, ორბი. მათ თითქმის არავითარი ზიანი არ მოაქვთ სახალხო მეურნეობისათვის, პირიქით, ზოგიერთი მათგანი სასარგებლოა (მაგ. სვავი).

ქვეწარმავლებიდან რაჭა-ლეჩხუმში გვხვდება ველის გველგესლა, სპილენძა, ანკარა, ხვლიკები: ამფიბიებიდან ჩვეულებრივ გვხვდება ტბის ბაყაყი, გომბეშო და სხვ.

მღრღნელებიდან სასოფლო-სამეურნეო კულტურებსა და ჭირნახულს ზიანს აყენებენ ტყის თაგვი, ბუჩქის მემინდვრია, სახლის თაგვი, შავი და რუხი ვირთხები.

რაჭა-ლეჩხუმის მდინარეების იხტიოფაუნა საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა მას რაოდენობრივი სიმცირის გამო მხოლოდ ადგილობრივი საწარმოო მნიშვნელობა გააჩნია. მდ. რიონის აუზი საკმაოდ წყალუხვია, და იძლევა შესაძლებლობას გარკვეული მოცულობით მეთევზეობის განვითარებისათვის. რაჭა-ლეჩხუმის ფარგლებში მდ. რიონი თავისი ფაუნის მიხედვით 2 უბნად იყოფა[25]: 1) საკალმახე უბანი, 2) ბენთოსითა და წყალმცენარეებით მკვებავი თევზების გავრცელების უბანი.

რაჭა-ლეჩხუმის მავნე მწერების შესახებ ლიტერატურა საკმაოდ მცირეა და ჩვენ მხოლოდ მოკლედ შევჩერდებით მის დახასიათებაზე.

საქართველოს კულტურულ მცენარეულობას დიდძალი მავნე მწერები ახლავს[26]. აღნიშნულია ვაზის 46 მავნე მწერის სახეობა, ხეხილის — 51, მინდერის კულტურების — 197, ბოსტნეული და ბახჩეული კულტურების—25, საკვები კულტურების — 77. მათი დიდი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოშია შესწავლილი. სულ დასავლეთ საქართველოში აღნიშნულია 52 სახეობის მავნე მწერი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი რაჭა-ლეჩხუმის ფარგლებშიაც არის გავრცელებული.

მავნე მწერებიდან პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ფილოქსერა. იგი საქართველოში 1831 წელს შემოიპარა. ფართოდ მოედვა ვენახებს და მათი მნიშვნელოვანი ნაწილის სრული განადგურება გამოიწვია. რაჭა-ლეჩხუმის ფარგლებში იგი გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან გვხვდება, მაგრამ აქ მან ნაკლებად დააზიანა ვენახები, რადგან რაჭა-ლეჩხუმის წამყვანი ვაზის ჯიში — ალექსანდროული — აღმოჩნდა საკმაოდ ფილოქსერაგამძლე. ფილოქსერა დიდ სიმაღლეზე გვხვდება. მის წინააღმდეგ დიდი ბრძოლა წარმოებს.

ხეხილს ზიანს აყენებენ ვაშლისა და მსხლის ფხილები, ქერცლფრთიანების წარმომადგენლები და სხვ.

ძველი ქრონიკული მავნებელია მახრა. იგი აზიანებს მეტწილად მცენარეთა ფესვებს, განსაკუთრებით გაზაფხულზე, რის შედეგადაც მცენარე იღუპება.

---

[25] რ. ე ლ ა ნ ი ძ ე, მდინარე რიონის იხტიოფაუნა, საქ. მეცნ. აკად. ზოოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XI, 1956.

[26] Д. Н. К о б а х и д з е, Вредная энтомофауна сельскохозяйственных культур Грузинской ССР, Тб., 1957.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე უფრო ხშირად იგი ბოსტნებში გვხვდება. თუმცა სიმინდსაც აყენებს დიდ ზიანს რიონისპირა ჭალებში.

მეტად სასარგებლო მწერს ფუტკარი წარმოადგენს. მთიანი რაიონებისათვის მეფუტკრეობა სპეციფიკურ დარგს შეადგენს, რაც ტყიან, სუბალპურ და ალპურ ზონაში თაფლისშემცველი მცენარეების სიმრავლით აიხსნება. გარკვეულ როლს ფუტკრების საზრდოობაში ხეხილის ბაღები (ყვავილობისას) ასრულებენ. რაჭა-ლეჩხუმი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მდიდარია თაფლისმომცემი მცენარეებით, რის გამო მეფუტკრეობას აქ მტკიცე ბაზა გააჩნია, სამწუხაროდ, მისი ზრდა-განვითარება არ წარმოებს.

შინაური ცხოველებიდან რაჭა-ლეჩხუმში წარმოებს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრების, თხების, ღორების და ცხენების მოშენება. მეცხოველეობას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ორნის რაიონისათვის და საერთოდ, მთიანი რაჭისათვის. მეცხოველეობის პროდუქციის ზრდა უნდა წარიმართოს ამ დარგის ინტენსიფიკაციის ხაზით. სულადობის რაოდენობრივი ზრდა ამ რაიონში ლიმიტირებულია საძოვრების პროდუქტიულობის სიმცირით.

რაჭა-ლეჩხუმის საკურორტო რიგდიდგეების და მათი გამოყენება

რაჭა-ლეჩხუმში საუკეთესო პირობებია საკურორტო მშენებლობის ფართოდ გაშლისათვის. იგი მდიდარია მინერალური წყაროებით; მას ახასიათებს საუკეთესო კლიმატი და მრავალფეროვანი მცენარეულობა.

რაჭა-ლეჩხუმის ყველაზე მნიშვნელოვანი კურორტი არის შოვი. იგი მდებარეობს ზემო რაჭაში (ონის ადმ. რაიონი), ქუთაისიდან 147 კმ მანძილზე ქუთაისი-ალაგირის გზატკეცილზე.

შოვი განლაგებულია მდ. ჭანჭახის წყლის ხეობის გაფართოებულ ნაწილში, მთებს შორის, რომელთა ფერდობები წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეებით არის დაფარული;

შოვი მიეკუთვნება მაღალმთიანი სადგურების ტიპს. იგი ზღვის დონიდან საშუალოდ 1 600 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს და ჩრდილოეთით მაღალი მთების არსებობის შედეგად დაცულია ჩრდილოეთის ცივი დინების გავლენისაგან. მზის ნათების ხანგრძლივობისა და ატმოსფეროს კარგი გამჭვირვალობის გამო შოვში მზის პირდაპირი რადიაციის ჯამი წლის ყველა სეზონში საკმაოდ მნიშვნელოვანია და უფრო მეტია, ვიდრე, ჩვეულებრივის ცნობილ კურორტ დაოსში. შოვში მზის ნათების ხანგრძლივობა შეადგენს 2.050 საათს წელიწადში, წინააღმდეგ 1.789 საათისა დავოსში. ამ მაჩვენებლებით შოვი სჯობნის საქართველოს სხვა მაღალმთიან კურორტებსაც — ბახმაროსა და ბაკურიანს.

დამატებით საკურნალო საშუალებას შოვის მინერალური წყაროები წარმოადგენენ, რომლებიც მდ. ბუბის-წყლის (ჭანჭახის-წყლის მარჯვენა შენაკადის) შესართავში მდებარეობენ.

შოვში მკურნალობენ ბრონქიალურ ასტმას, ქრონიკულ ბრონქიტებს, ნერვიულ დაავადებებს მსუბუქ ფორმაში, სისხლნაკლულობას, გადაღლილობას. ამ დაავადებათა მკურნალობა კარგ ეფექტს იძლევა. გარდა ამისა, მინერალური წყაროები, რომლებიც სასმელად იხმარება, დადებით გავლენას ახდენენ ქრონიკული გასტრიტებით, კოლიტებით და ქოლეცისტიტებით დაავადებულ ადამიანებზე.

პირველი სანატორიუმი შოვში ჩადგა მწყობრში 1928 წელს. მას შემდგ მომდინარეობს კურორტის სისტემატური გაფართოება. ამჟამად მოქმედებს სა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნატორიუმი (150 საწოლით), დასასვენებელი სახლი (75 საწოლით), პანსიონატი (50 საწოლით) და სასტუმრო (25 საწოლით). მათი წლიური გამტარუნარიანობა 1.200 სულზე მეტს შეადგენს. დამსვენებელთათვის შექმნილია პარკი, სამკითხველო და სხვ.; მომდინარეობს სოლარიუმის მშენებლობა,

შოვი სეზონური კურორტია. იგი მოქმედებს ივნისიდან ოქტომბრის დამლევამდე.

კურორტ შოვის მახლობლად მდებარეობს სოფ. გლოლა, სადაც საკმაოდ მძლავრი ნახშირმჟავა-კირიანი წყარო არსებობს, რომელსაც დღესდღეობით, მხოლოდ ადგილობრივი მცხოვრებლები იყენებენ.

კურორტი უწერა მდებარეობს ონის რაიონში, ქუთაისიდან 125 კმ მანძილზე. იგი განლაგებულია მდ. რიონის ლამაზ ხეობაში, 1 040 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან და გარშემორტყმულია წიწვიანი ტყეებით დაფარული მთებით. საუკეთესო მინერალურმა წყაროებმა შესაძლებელი გახადეს აქ ბალნეოლოგიური კურორტის შექმნა.

განსაკუთრებით პოპულარულია სასმელი ნახშირმჟავა-ტუტიანი წყარო, რომელიც კურორტიდან 1,5 კმ დაშორებით მდებარეობს მდ. რიონის გაყოლებით. თვით კურორტის ფარგლებში არის კიდევ რამოდენიმე გამოსავალი ნახშირმჟავა-რკინიანი წყაროები. მათი დღეღამური დებეტი 30.000 ლიტრია.

გარდა მინერალური წყაროებისა დადებითად მოქმედებს ავადმყოფებზე უწერის მთიანი კლიმატი. მას ახასიათებს ნათელი მზიანი დღეების დიდი რაოდენობა, დღეღამური ტემპერატურის მცირე რყევა, შედარებით მაღალი საშუალოთვიური ტემპერატურები.

ამრიგად, უწერა შერეულ, ბალნეო-კლიმატურ კურორტთა რიცხვს მიეკუთვნება. აქ მკურნალობენ ძირითადად კუჭნაწლავთა, ღვიძლისა და შარდსადენი გზების დაავადებებს.

უწერას მინერალური წყაროები ძველთაგან არიან ცნობილნი, მაგრამ მათი მეცნიერული შესწავლა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაიწყო. ავადმყოფთათვის შექმნილია 50 საწოლიანი პანსიონატი, რომელიც სეზონში (ივნის-სექტემბერი) 200 სულს ატარებს. არსებობს პრიმიტიული საბანაო შენობაც. ავადმყოფთა და დამსვენებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი კერძო სახლებში თავსდება. უკანასკნელ წლებში დაიწყო უწერის მინერალური წყლების ჩამოსხმა. საჭიროა აღინიშნოს, რომ კურორტი უწერა ჯერჯერობით არ არის საკმარისად კეთილმოწყობილი. ამ მხრივ მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩასატარებელი.

ლეჩხუმში არსებობს ადგილობრივი მნიშვნელობის კლიმატური კურორტი ახალუალა, რომელსაც ძირითადად, ცაგერის რაიონის მშრომელები იყენებენ საზაფხულო დასვენებისათვის. იგი მდებარეობს 1 885 მ სიმაღლეზე ზღ. დონიდან. მის მიდამოებში აღმოჩენილია მინერალური სამკურნალო წყარო. ანალოგიური მინერალური წყარო არის სოფ. ლაშუალაშიც.

რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე არის ბევრი მინერალური წყარო, რომელთა შედგენილობა დადგენილი არ არის და არც ადამიანთა სნეულებებზე მათი გავლენა არის გარკვეული. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ დიდი და რთული სამუშაოები არის ჩასატარებელი.

საერთოდ, მიუხედავად ჩატარებული მშენებლობისა, რაჭა-ლეჩხუმის საკურორტო სიმდიდრეები ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებლად არის თვისებული. ეს ითქმის როგორც შოვის, ისევე და უფრო მეტადაც უწერას მიმართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ უკვე მომდინარე შვიდწლედში უწერაშ. აგებულ იქნეს ტიპიური პროექტით 150—200 საწოლიანი სანატორიუმი. ასე თუ ისე არსებული პანსიონატი ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებებს და უნდა ეიზრუნოთ კურორტ უწერას გაფართოებაზე.

უახლოეს წლებში აუცილებელია უწერას მინერალური წყლის ჩამოსხმის ზრდა. ამჟამად წელიწადში წარმოებს 100.000 ბოთლამდე მინერალური წყლის ჩამოსხმა კუსტარულ საწარმოში, რაც აშკარად არასაკმარისია.

კურორტ შოვში მიზანშეწონილად მიგვაჩნია დასასვენებელი სახლების და, განსაკუთრებით პანსიონატების მშენებლობა. არის ტიპიური პროექტები პანსიონატებისა. ერთ-ერთი მათგანის საფუძველზე უკვე მომდინარე შვიდწლედში საჭიროა აშენდეს 200 ან 300 ადგილიანი პანსიონატი.

უნდა ითქვას, რომ მისასვლელი გზების კეთილმოწყობილობა საგრძნობლად აფერხებს ზემოხსენებული კურორტების განვითარებას. გარკვეულ როლს მათში დამსვენებელთა ნაკადის ზრდისათვის ითამაშებს ონი-კვაისა-სტალინირი გზატკეცილის მშენებლობის დამთავრება და მისი კეთილმოწყობა, რის შედეგადაც საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილთან და ქ. თბილისთან დამყარდება პირდაპირი საავტომობილო მიმოსვლა.

რაჭა-ლეჩხუმის და, განსაკუთრებით, ზემო რაჭის ლამაზი და მრავალფეროვანი ბუნება დიდძალ ტურისტებს იზიდავს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან და საზღვარგარეთიდანაც. მათი ძირითადი ნაკადი მამისონის უღელტეხილზე კადმოდის მდ. აჯდონის ხეობიდან (ჩრდილო-ოსეთის ავტ. რესპუბლიკა). ტურისტების წლიური რაოდენობა 4—5 ათასს სულს აღემატება. შოვში მათთვის შექმნილია 150 ადგილიანი ტურისტული ბაზა, რომელიც ივლის-აგვისტოში მეტისმეტად გადატვირთულია და საჭიროებს გაფართოებას.

პერსპექტივაში ზემო რაჭა შეიძლება ვაქციოთ საკურორტო ზონად. მდ. რიონისა და მისი მარცხენა შენაკადის ჭანჭახის-წყლის ხეობის ტერიტორია უნდა დაიფაროს დამსვენებელთა მომსახურეობისათვის შექმნილ ნაგებობებით. განსაკუთრებით დიდი შესაძლებლობა არსებობს ტურიზმის განსავითარებლად. ამჟამად ტურისტთა უმრავლესობა კადმოდის მამისონის უღელტეხილზე.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ ბოლო დროს კარვებიანი ბანაკების შექმნას, რომლებმაც ფართო გავრცელება პოვეს. საქართველოში ამ საქმეს ჯერჯერობით ვერ მოიკიდა ფეხი, თუმცა ძალზედ ხელშემწყობი პირობები არსებობს. თუ დასასვენებელი სახლის აგება ჯდება (ტიპობრივი პროექტით) 2—3,5 მლნ მან., კარვებიანი ბანაკის მშენებლობა მხოლოდ 20—50 ათასი მანეთი დაჯდება. ამასთანავე საგზურის ფასი (12—14 დღით) იქნება მხოლოდ 14—16 მან., ე. ი. რამდენჯერმე ნაკლები, ვიდრე დასასვენებელ სახლში. ზემო-რაჭაში ზემოხსენებული ტიპის დასასვენებელი დაწესებულებანი შეიძლება შექმნან ქუთაისისა და ტყიბულის მსხვილმა საწარმოებმა, ქუთაისის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა და სხვ.

მსუბუქი საზაფხულო ტიპის ნაგებობანი შესაძლებელია შეიქმნას სოფ. სოფ. ღებში, ჭიორაში, გლოლაში, თევრეშოში და სხვ. საერთოდ ამ სახის ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებობათა და კარგებიანი ბანაკების შექმნა იმიტომაც არის მიზანშეწონილი, რომ ზემო რაჭის კურორტები (უწერას გარდა) მომავალშიაც უნდა განვითარდნენ, როგორც საზაფხულო კლიმატური სადგურები და მათ სეზონური ხასიათი ექნებათ. გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის ფაქტიც, რომ ამ რაიონში საჭიროა გადიდდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. წინადმდეგ შემთხვევაში საკურორტო მშენებლობის გაშლის გეგმები საფუძველს მოკლებული იქნება.

შორის წყალსაცავის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მისი სანაპირო ხოლი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც საუკეთესო დასასვენებელი ადგილი, გრილი ზაფხული, ლამაზი ბუნება და მოზრდილი ხელოვნური ტბა დიდი რაოდენობით მიიზიდავს დამსვენებლებსა და ტურისტებს. საჭიროა დაისვას საკითხი ამ რაიონში დასასვენებელი სახლებისა და სასტუმრო-პანსიონატების შექმნის შესახებ.

გარდა მრავალრიცხოვანი „ორგანიზებული“ დამსვენებლებისა, ზაფხულში რაჭა-ლეჩხუმის სოფლებს ესტუმრებიან საქართველოს ქალაქების მცხოვრებლები. მათი უდიდესი ნაწილი ამა თუ იმ სოფლიდან არის წარმოშობით. აქვს კავშირი მასთან და ზოგიერთ შემთხვევაში სახლ-კარიც კი აქვთ.

ეს ნაკადი დამსვენებლებისა იწყება მაისის მეორე ნახევარში, მატულობს ივნისში და, განსაკუთრებით, ივლისში: აგვისტოს მეორე ნახევრიდან ადამიანთა ეს ტალღა ისევე უკან ბრუნდება ბარის რაიონში. მათი რაოდენობა არსად არ არის აღრიცხული, თუმცაღა საკმაოდ დიდია, ყოველ შემთხვევაში არანაკლებ 10—15 ათასისა სეზონში.

დაბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ზემო რაჭაში მდებარე ძნელად მისადგომი მწვერვალები იზიდავენ ალპინისტთა მნიშვნელოვან რაოდენობას. მათი რიცხვი უკანასკნელ პერიოდში რამოდენიმე ასეულს შეადგენს და წლითიწლით მატულობს. ჩვენი აზრით, მომწიფდა საკითხი შოვს ზემოთ ალპინისტური ბაზის მშენებლობის შესახებ.

Э. Д. КОБАХИДЗЕ

ПРИРОДНЫЕ УСЛОВИЯ И РЕСУРСЫ РАЧА-ЛЕЧХУМИ

Резюме

Рача-Лечхуми расположен на южном склоне Главного Кавказского хребта. Он представляет цельный и резко очерченный район. Его природные границы следуют вдоль восточной части Эгрисского хребта, участка Главного Кавказского хребта, вдоль Лечхумского и Рачинского хребта, массивов Хвамли и Асхи.

Несмотря на свою общую цельность, отдельные части территории Рача-Лечхуми резко отличны. При характеристике отдельных компонентов физико-географической среды, мы стремились отобразить природные особенности данного района и дать им хозяйственную оценку.

Главный Кавказский хребет в пределах Рачи имеет среднюю высоту ок. 3800 м, отдельные-же вершины достигают высоты 4300—4400 м. В этом районе Главный Кавказский хребет пересечен Кутаиси-Алагирской (Военно-Осетинской) дорогой через Мамисонский перевал (2829 м). Параллельно Главному Кавказскому хребту расположен хребет Шода-Кедела, прорезанный в своей пониженной части узким ущельем р. Риони.

ეროვნული ბიბლიოთეკა

На юге Рача-Лечхуми вытянут Рачинский хребет, отличающийся бо́льшими высотами в своей восточной части (до 2400 м). От него ответвляются Поцхвревский и Хихатский хребты. Территория между Рачинским хребтом и р. Риони имеет гористо-холмистый и долинный рельеф, причем высота отдельных гор достигает 1000—1500 м.

На Рачинском хребте и прилегающей местности распространены оползни, приносящие огромный вред сельскому хозяйству. Целые деревни вынуждены были покинуть место жительства ввиду оползневых явлений.

В южной Раче распространен и карст. В ряде случаев морфографический вид рельефа определяется карстовыми явлениями.

Северную часть данного района занимает Лечхумский хребет и его отроги, высота отдельных вершин которого превышает — 3500 м.

В своей центральной части Рача-Лечхуми представлен долиной р. Риони, которая является основным сельскохозяйственным районом данной территории. Освоенные земли расположены на речных террасах, достигающих местами довольно значительной ширины. В Лечхуми-же центром расселения человека и его хозяйственной деятельности является Цагерская и Орбельская котловина.

Горный характер Рача-Лечхуми подчеркивает тот факт, что лишь 2,2% всей территории расположено ниже 500 м. над ур. моря,в пределахже 501—1000 м. — 22,6%, 1001—2000 м. — 54,2%, и свыше 2000 м — 24,6%. В виду этого сельское хозяйство отличается ярко выраженной вертикальной зональностью.

Некоторые полезные ископаемые данного района имеют промышленное значение. В окрестностях с. Чорди (Онский район) добывается барит, в верховьях р. Лухунис-Цхали — мышьяк. До 1953 г. добывался молибден. В будущем возможно промышленное освоение месторождений сурьмы, вольфрама, ртути и др. В перспективе намечено освоение Шаорского угольного бассейна, запасы которого больше, нежели запасы всех остальных месторождений угля республики, вместе взятых.

Территория Рача-Лечхуми расположена во влажной морской субтропической климатической области западной Грузии, но несколько отлична от более пониженных районов. Среднегодовая температура составляет в Амболаури 11,5% (январь —0,9°, август +22,5°). С ростом высоты среднегодовая температура понижается и на высоте 3000 м. составляет — 3°. Осадков на большей части территории выпадает 1000—1300 мм, достигая на гребне Накеральского хребта 2000 мм. Число часов солнечного сияния составляет 2100—2200. Климат данной территории благоприятствует возделыванию целого ряда ценных культур, особенно винограда.

Рача-Лечхуми расположен целиком в бассейне р. Риони, которая представлена здесь своим верхним и, частично, средним течением. На западе протекает важнейший приток Риони, р. Цхенис-Цхали. Модуль стока довольно высок, благодаря чему притоки Риони многоводны и богаты гидроэнергией. С пуском Ланджанурской ГЭС положено начало серьезному использованию крупнейших запасов «белого угля».

Сложность рельефа и его литологическое строение, а также многообразие климатических условий и растительности определило разнообразность почв, основными типами которых являются: перегнойно-карбонатные, буроземы, подзолистые, аллювиальные, горнолуговые и слаборазвитые почвы с различными их модификациями. Почвенно-климатические условия благоприятствуют произрастанию некоторых ценных сельскохозяйственных культур, в особенности винограда. Отрицательным фактом является продолжающаяся эрозия почв.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Растительность Рача-Лечхуми входит в Колхидскую ботанико-географическую провинцию. Основными типами растительности являются: 1) Вторичная растительность (до 1000—1200 м в Раче и 800 м в Лечхуми), представленная культурной и фриганоидной растительностью, а также кустарниками; 2) дубово-грабовые (на известняках) и каштаново-грабовые (на порфиритах и сланцах) леса на высоте 1200—1400 м; 3) буковые леса на высоте от 1000—1200 до 1400—1500 м и выше; 4) буковые и темнохвойные леса на высоте от 1400—1500 м до 1600—2000 м; 5) субальпийские и парковые леса на высоте 1800—2200 м, сменяющиеся выше субальпийскими и альпийскими лугами. Ввиду хозяйственного освоения на территории до высоты 1000 м ясно выражен вписанный в природный, культурный ландшафт, профилирующим элементом которого являются культурные фитоценозы.

Животный мир довольно многообразен, но ввиду вмешательства человека количественно сильно обеднен. Более богато представлена энтомофауна, отдельные представители которой наносят значительный вред сельскохозяйственным культурам.

Курортные богатства Рача-Лечхуми весьма значительны. Надо отметить климатический курорт Шови, бальнео-климатический — Уцера, а также ряд дачных местностей. Быстро развивается горный туризм, для которого используется Военно-Осетинская дорога. Наконец, летом в сельские местности направляется поток неорганизованных отдыхающих из городов Грузии.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

ადონდუა გ., ჯეორასა და ღარულას აუზების გეომორფოლოგიური დახასიათება. ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები, 1958.

ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.

ვლადიმიროვი ლ., საქართველოს მდინარეთა ჩამონადენის რეჟიმი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ფიზიკურ-გეოგრაფიული სერია, ტ. III (ნაკვეთი 2), თბ., 1948.

კიკალიშვილი თ., საქართველოს მდინარეები, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ფიზიკურ-გეოგრაფიული სერია, ტ. III (ნაკვეთი 2), თბ., 1948.

კორძახია მ., რაჭა-ლეჩხუმის კლიმატი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები, 1958.

კორძახია მ., ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების კლიმატური რეჟიმი საქართველოში, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ფიზიკურ-გეოგრაფიული სერია, ტ. III (ნაკვეთი 1), თბ., 1948.

კეცხოველი ნ., საქართველოს მცენარეული საფარის ძირითადი ტიპები, თბ., 1935.

კეცხოველი ნ., კულტურული მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ., 1957.

მარუაშვილი ლ., ლეჩხუმის გეომორფოლოგიური დახასიათება, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები, 1958.

ნემანიშვილი ს., ქვემო რაჭის ჩრდილო ნაწილის გეომორფოლოგია, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები, 1958.

ტალახაძე მ., რაჭა-ლეჩხუმის ნიადაგები. საქ. მეცნ. აკად. ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის შრომები ტ. I, 1948.

ჩანგაშვილი გ., ქვემო რაჭის სამხრეთი ნაწილის გეომორფოლოგიური ნარკვევი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ფონდები, 1958.

ჯავახიშვილი ალ., საქართველოს გეოგრაფია, ტ. 1. გეომორფოლოგია, ტფ., 1926.

ჯავახიშვილი ალ., გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობის საკითხისათვის ეკონომიურ გეოგრაფიაში, ხელნაწერი.

Астахов Н. А., Геоморфологическое описание Верхней Рачи. Фонды ин-та географии им. Вахушти, 1958.

Верещагин И. К., Охотничьи и промысловые животные Кавказа, Баку, 1947.

Владимиров Л. А., Закономерности стока в бассейне Риони до Кутаиси, Фонды ин-та географии им. Вахушти, 1958.

Владимиров Производственное значение рек Грузии. «Тр. Геогр. об-ва Груз. ССР», № 1—2, 1949.

Гвоздецкий Н. А., Физическая геогр. Кавказа, вып. I, М., 1954.

Геология СССР, т. X, ч. I, Закавказье, М.-Л., 1941.

Гроссгейм А. А., Растительный покров Кавказа, М., 1948.

Гроссгейм А. А., Растительные богатства Кавказа, М., 1952.

Грузинская ССР, Экономико-географическая характеристика, 2-е изд., М., 1958.

Давитая Ф. Ф., Климатические зоны винограда в СССР, М.-Л., 1938.

Джавахишвили А. Н., Геоморфологические районы Грузинской ССР, Типы рельефа и районы их распространения, М.-Л., 1947.

Кобахидзе Д. Н., Вредная энтомофауна Грузинской ССР, Тб., 1957.

Минеральные ресурсы Грузии, Тб., 1933.

Природные ресурсы Грузинской ССР, т. I, 1958.

Сабашвили М. Н., Почвы Грузии, Тб., 1948.

Сохадзе Е. В., Краткий очерк растительности Рачи, Фонды ин-та географии им. Вахушти, 1958.

Сохадзе Е. В., Растительный покров Лечхуми, Фонды ин-та географии им. Вахушти, 1958.

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია—ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ., ტ. XV, 1960
Академия Наук Груз. ССР—Труды Института Географии им. Вахушти, т. XV, 1960

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძ. ანთაძე

რაჭა-ლეჩხუმის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი

(უძველესი დროიდან 1921 წლამდე)

რაჭა-ლეჩხუმი წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებულ, ქედებითა და მასივებით შემოზღუდულ, რამოდენიმე ქვაბულს, რომლებიც ერთმანეთთან და გარე სამყაროსთან კლდეკარებითა და უღელტეხილებით არიან დაკავშირებულნი. საკვლევი ქვეყანაონის ეს თავისებური გეოგრაფიული მდებარეობა და სპეციფიკური ბუნებრივი პირობები ისტორიის ყოველ ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რაჭა-ლეჩხუმს საქართველოს ეკონომიურ, სახელმწიფოებრივ და სამხედრო ცხოვრებაში და უდიდეს გავლენას ახდენდნენ ამ პროვინციის მოსახლეობის მოძრაობასა და განსახლებაზე, მეურნეობის სხვადასხვა დარგთა წარმოშობა-განვითარებასა და განლაგებაზე და საგზაო ქსელის მდგომარეობასა და მთავარი მაგისტრალების მიმართულებაზე.

თუმცა რაჭა-ლეჩხუმში ჯერჯერობით არაა მიკვლეული ქვის ხანის დროინდელი მატერიალური კულტურის ნაშთები, მაგრამ იმერთსა და სამხრეთ ოსეთში ამ ეპოქის ადამიანის სიმდგომენის აღმოჩენა გვაფიქრებინებს, რომ სათანადო საძიებო სამუშაოების ჩატარების შედეგად შესაძლოა საკვლევი ქვეყანაშიც აღმოჩნდეს ანალოგიური ბინადრობის ნიშნები.

რაჭა-ლეჩხუმის ბუნებრივი პირობები განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო ბრინჯაოსა და რკინის კულტურის მძლავრი კერების შექმნისათვის და ლითონის დამამუშავებელი პირველყოფილ-თემური საზოგადოების საწარმოო ძალთა სწრაფი განვითარებისათვის.

საკვლევი ქვეყანაონის მნიშვნელოვანი ნაწილია რაჭა-სვანეთის მადნიან ოლქში მდებარეობის გამო, აქ ხშირია სპილენძის, ანთიმონიტის, კალისა და რკინის წვრილი გამოვლინებანი[1], რომელნიც იოლი დასამუშავებელი იყო ადამიანისათვის მეტალურგიის წარმოშობის ადრეულ საფეხურებზე. ქართველი არქეოლოგები შესაძლებლადაც კი თვლიან ძვ. წ. II—I ათასწლეულებში რაჭიდან სპილენძისა და ანთიმონიტის გაზიდვას აფხაზეთსა და ~~ხამხეთ ოსეთში~~, სადაც ამ წიაღისეულთა მწვავე ნაკლოვანება იგრძნობოდა[2].

საკვლევ ქვეყანაონში ჰიდროგრაფიული ქსელის სიხშირე და ტყეების სიუხვე უადრესად აადვილებდა ლითონის გამოდნობისათვის საჭირო წყლისა და ხე-ტყის შოვნას.

---

[1] Природные Ресурсы Грузинской ССР, т. 1, М., 1958, стр. 15—19, 104, 164, 182 189—193.

[2] ც. აბესაძე, რ. ბახტაძე, თ. დვალი, ო. ჯაფარიძე, სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1958, გვ. 32, 39.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდიდარი ალპური საძოვრები საუკეთესო საფუძველს ჰქმნიდნენ მეცხოველეობის განვითარებისათვის, ვერტიკალური ზონალობა აადვილებდა ხელოვნური შეჯვარებით კულტურულ მეცნარეთა მიღებას, ხოლო რიონისა და მისი შემდინარების ხეობების ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობები საშუალებას იძლეოდნენ ბრინჯაოსა და შემდგომ რკინის იარაღების გამოყენებით ჩასახულიყო და განვითარებულიყო მიწათმოქმედება. მიწათმოქმედების, მეცხოველეობისა და მეტალურგიის მოთხოვნილებებისათვის ტყეების შემცირებამ გაძლიერა მეწყრული პროცესები, რომლებიც ისედაც დამახასიათებელი იყო საკავლო ქვერაიონისათვის. მეწყრები დღესაც დიდ ზიანს აყენებენ ამ მხარის მოსახლეობას და მეურნეობას.

ძვ. წ. II ათასწლეულიდან სამეურნეო ცხოვრების აღმავლობასთან ერთად ფართოვდებოდა კულტურული ლანდშაფტების მიერ დაკავებული არეალი. ყველაზე მეტ ცვლილებებს ბუნებრივი ლანდშაფტები განიცდიდნენ დასახლებული პუნქტების მიდამოებში. ერთ-ერთი ასეთი მსხვილი დასახლებათაგანი ყოფილა თანამედროვე სოფელ ღებთან, სადაც აღმოჩენილია ბრინჯაოს ნივთთა უმდიდრესი საგანძური რაჭაში — ბრილის სამაროვანი.

ბრილის სამაროვანი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ იქ მოპოვებული „მასალები მტკიცე რგოლებით აკავშირებს ფეოდალური დროის ქართული კულტურის ისტორიას ანტიკური, ადრეული რკინის ხანისა და ბრინჯაოს ხანის კულტურის ისტორიასთან. მტკიცდება აგრეთვე უკვე ძვ. წ. I ათასეულის დასაწყისში ადგილობრივი რკინის წარმოების გაჩენა, რასაც მოჰყვა მიწათმოქმედების განვითარება, სიმდიდრის სწრაფი ზრდა, გვაროვნული წყობილების სწრაფი რღვევა და ამგვარად საზოგადოების გათიშვა კლასებად"[3].

ბრინჯაოს ხანიდან რკინის ხანაზე გადასვლასთან ერთად გადაინაცვლა ზემო რაჭის მეტალურგიულმა ცენტრმაც ბრილიდან წედისისაკენ. სოფ. ბრილის მახლობლად განლაგებულია სპილენძის, ანთიმონიტისა და კალას მცირე გამოვლინებანი, რომლებიც აუცილებელი იყო ბრინჯაოს გამოდნობისათვის. რკინის მადნის პატარა საბადოები კი არსებობს სოფელ წედისთან. რკინის მოპოვება-დამუშავებამ იმდენად დიდი იდგილი დაიკავა წედისისა და მისი მახლობელი სოფლების მცხოვრებთა. ყოფა-ცხოვრებაში, რომ ამ მხარეს სარკინეთი ეწოდა, ხოლო ამ ხელობის მიმდევართ — რკინის კაცები. წედისის მაღაროები XIX საუკუნის შუა წლებამდე მოქმედებდნენ.

ისტორიული, ტოპონიმიკური და სხვა ლინგვისტიკური მასალების შესწავლა ცხადყოფს, რომ საკვლევი რაიონი უძველესი დროიდან ქართველებით ყოფილა დასახლებული. ეთნიური ცვლილებები შემოიფარგლებოდა ქართული ტომების — სვანებისა და ქართების განსახლებაში მომზდარი გადაადგილებით. თავდაპირველად რაჭაშიც და ლეჩხუმშიც სვანები ცხოვრობდნენ, თანდათან ჩამოსახლდნენ ქართები, შეიქმნა ქართული ენის რაჭული და ლეჩხუმური დიალექტები. რაჭულ-ლეჩხუმური მოსახლეობა მიიწევდა ჩრდილოეთისაკენ სანამ არ მიაღწია ლეჩხუმის და კავკასიონის წყალგამყოფ ქედებამდე. ეს პროცესი საქართველოში კლასობრივი საზოგადოების აღმოცენებამდე დაიწყო და გვიან შუასაუკუნეებამდე გრძელდებოდა.

გეოგრაფიული ტერმინები „რაჭა", „ლეჩხუმი" და მათგან წარმომდგარი სიტყვები შედარებით გვიანაა წარმოშობილი. თავდაპირველად კი, როგორც ეს

---

[3] გ. გობეჯიშვილი, ძველი ქართული სამთამადნო და მეტალურგიული წარმოების ნაშთები სოფ. ღებთან. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1952, ტ. XVII, № 3, გვ. 187.

ღიარებულია ქართულ საისტორიო მეცნიერებაში. საკლეკ ქვერაიონს „თაკეური“ ანუ „თაკვერი“ ეწოდებოდა[4].

ლენტი მროველი IV საუკუნის წინა დროისათვის „თაკეურს“ ხმარობს, როგორც ოსეთიდან მამისონის უღელტეხილით დასავლეთ საქართველოში გადმომავალი გზის გეოგრაფიულ სახელწოდებას.[5] ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი ჯუანშერი კი „თაკეურით“ აღნიშნავს V საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთ ქართულ საერისთაოს ნაწილს.[6]

როდესაც VIII საუკუნის მიწურულში აფხაზთა ერისთავმა ლეონ მეოთხემ, ხაზართა დახმარებით გაანთავისუფლა ბერძენთაგან „აფხაზეთი და ეგრისი ციდრე ლიხამდე“[7] და შექმნა აფხაზეთის ქართული სამეფო, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით მან თავისი სახელმწიფო რვა საერისთაოდ განჰყო. ერთ-ერთ საერისთაოს საკლეკეი ქვერაიონი შეადგენდა[8].

X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ერთიან სახელმწიფოს. დაიწყო 150 წლიანი ბრძოლა უცხოელ დამპყრობთაგან ქართული მიწა-წყლის გასანთავისუფლებლად და კუთხური პარტიკულარიზმის დასაძლევად. შექმნილ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში საკლეკეი ქვერაიონის ზოგიერთმა გეოგრაფიულმა თავისებურებებმა საშუალება მისცეს თაკეურს უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა აღმავლობის გზაზე მდგომ ქართული ფეოდალიზმის მოწინავე ძალების თაოსნობითა და ინიციატივით მიმდინარე ამ პროგრესულ მოძრაობაში.

XI საუკუნეში საქართველოს სამი მხრიდან ეტაკვნენ უცხოელები. ისინი აწიოკებდნენ და აოხრებდნენ სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის პროვინციებს. ამ პერიოდში საქართველოს იმერკავკასიიდან საფრთხე არ მოელოდა და თანაც კავკასიონის მარადთოვლიანი თხემები თითქმის გადაულახავ ფარად იყვნენ აღმართულნი რაჭა-ლეჩხუმის ჩრდილოეთ საზღვრებთან. თაკეურის სამხრეთიდან შემომფარგველი რაჭის ქედი და ხვამლის მასივი გაცილებით უფრო დაბალნი არიან, მათი მწვერვალებიც კი ვერ აღწევენ კავკასიონის უღელტეხილების სიმაღლეს. მაგრამ გარეშე მტრები ორაც იმდენად ძლიერნი იყვნენ, რომ შესწეოდათ უნარი მთლიანად გადაეთელათ საქართველო და მიეღწიათ ისეთ უშინაგანეს საერისთაოებამდე, როგორიც რაჭა-ლეჩხუმი იყო. ამიტომ მათთვის რაჭის ქედი და ხვამლის მასივიც კი უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენდა, მით უფრო, რომ რიონისა და ცხენისწყლის კლდეკარები და ნიკორწმინდის გადასასვლელი მტაც�cep იყო შეკრული.

ქართველთაგან რაჭა-ლეჩხუმის საგულდაგულო გამაგრების აუცილებლობა აიხსნება რამდენიმე გეოგრაფიული ფაქტორით.

თაკეური კავკასიონის ქართულ პროვინციებიდან ყველაზე ახლოს მდებარეობდა საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ ცენტრთან — ქუთაისთან. სატახტო ქალაქის მახლობლად გამუდმებული შემოსევების დროს მძლავრი თავშესაფარის არსებობა, რომელშიაც სწრაფად შეიძლებოდა ქვეყნის ხელმძღვანელების შეხიზნვა და სამეფო ქონების გადამალვა დიდად ზრდიდა ამ მხარის თავდაცვით მნიშვნელობას. საკლეკეი ქვერაიონის ამგვარ ფუნქციებზე

---

[4] იხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II თბ., 1948, გვ: 48, ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თბ., 1941, გვ. 148:

[5] ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 57.

[6] იქვე, გვ. 185.

[7] იქვე, გვ. 251.

[8] ძველთუნის ისტორია აღწერილი ბატონიშვილი ვახუშტის მიერ, თბ., 1902, გვ. 2—3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტყველებს სახელმწიფო საჭურჭლის შესანახად ხვამლის მთაზე აშენებულ ნაგებობათა და ბუნებრივი ქვაბულების გამოყენება.

თაკუერი არა მარტო ეროვნულ განძეულს ინახავდა, არამედ ქართულ მხედრობას აძლევდა რკინას იმათ დასაორგუნვად, ვინც საქართველოს ნაციონალურ სიმდიდრეებს ხელში ჩაგდებას ლამობდა. შუასაუკუნეობრივი არმიის ბრძოლისუნარიანობა დიდად იყო დამოკიდებული მის შეიარაღებაზე. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებდა საქართველოს ლაშქარი გარეშე მტრების მოგერებას, თუკი ის უკეთესად იქნებოდა აღჭურვილი. მრავალიანეხოვანი მხედრობისათვის იარაღის დამზადება დიდძალ რკინას მოითხოვდა. საზღვარგარეთიდან შემოზიდული რკინა, რა თქმა უნდა, ქვეყნის საჭიროებას ამ ლითონში ვერ დაკმაყოფილებდა. მთავარი წყარო მადნის ადგილზე მოპოვება იყო. საქართველოს რკინის ძირითადი საბადოები ორგან ჰქონდა: ქვემო ქართლში და ზემო რაჭაში. თბილისის ამირასა და კლდეკარის ერისთავთ-ერთისთავის სამფლობელოებს შორის მოქცეული ქვემო ქართლი, რომელიც ამასთანავე თურქ-სელჯუკთა შემოსევის პირველი მსხვერპლი ხდებოდა ხოლმე, ვერ გადაიქცეოდა საქართველოსათვის რკინის მთავარ მომწოდებლად. ეს გარემოება კიდევ მეტად ზრდიდა ზემო რაჭის რკინის მაღაროების სტრატეგიულ მნიშვნელობას და აიძულებდა ქართველებს სამეფოდან ჩაეკეტათ მამისონის უღელტეხილი და მომდებარე გადასასვლელები.

სამწუხაროდ ქართულ სისტორიო მეცნიერებაში თითქმის არაა დამუშავებული X—XII საუკუნეების საქართველოში იარაღ-საჭურველის დამზადების საკითხი. სათანადო კვლევა-ძიება უდავოდ გამოავლენს ზემო რაჭის რკინის კაცების დიდ დამსახურებასა და ღვაწლს ეროვნულ-გამათავისუფლებელი ომების დროს საქართველოს შეიარაღებული ძალების რკინით უზრუნველყოფის საქმეში.

თაკუერი საქართველოს ძნელად მისადგომ კავკასიის პროვინციებიდან გამოირჩეოდა არა მარტო ქუთაისთან სიახლოვით და რკინის საბადოების არსებობით, არამედ მაღალმთიანი მხარეების კვალობაზე სოფლის მეურნეობისათვის ვარგისი მიწების სიმრავლითაც. საკვლევი ქვერაიონის ტერიტორიის 1/5-ზე მეტი ზღვის დონიდან 1 000 მეტრზე დაბლა მდებარეობს. რაჭა-ლეჩხუმის დასახლებული და ეკონომიურად ათვისებული ნაწილის მიუვალობა, ხელს ვერ უშლიდა თაკუერის სამეურნეო დაწინაურებას, რადგან ფეოდალიზმის დროს გაბატონებული ნატურალური მეურნეობა არ მოითხოვს ქვეყნის კუთხეებს შორის ეკონომიური კავშირების დამყარებას. პირიქით, რაჭა-ლეჩხუმში შეღწევის სიძნელე იცავდა ამ კუთხეს გარეშე მტრთა შემოსევებიდან და საკვლევ ქვერაიონს დიდ სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობას ანიჭებდა.

საკვლევი ქვერაიონის ზემოთ ჩამოთვლილ უპირატესობათა გამო, თაკუერს ყურადღება მიაქცია გაერთიანებული საქართველოს პირველივე მეფემ—ბაგრატ მესამემ. მის მეფობისას, რაჭაში აშენდა ნიკორწმინდის მონასტერი. ამბროლაურის რაიონის სოფელ სინათლეში აგებული ნიკორწმინდის მონასტერი შეა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმშვენიერესი მიღწევათაგანია და მეტყველებს სააღმშენებლო საქმის მაღალ დონეზე X—XI სს. საქართველოში.

1010—14 წწ. დამთავრდა ტაძრის მშენებლობა; ნიკორწმინდის მონასტერმა მძლავრი მეურნეობა შექმნა. XIX საუკუნეში თედო ჟორდანიამ ნიკორწმინდის მონასტრის გუჯარებში იპოვა ხუცურ ნუსხად ნაწერი ტყავის გრძელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრაგნილი[9]. სიგელს თავი აკლდა და ბოლოც მოწყვეტილი და დაზიანებული ჰქონდა. ქართველმა ისტორიკოსებმა პალეოგრაფიული ნიშნებისა და სიგელში ცოხსენებულ პირთა საფუძველზე იგი XI საუკუნით დათარიღეს. ნიკორწმინდის „დაწერილი“ სამონასტრო მეურნეობის ხელმძღვანელის, უცნობი ნიკორწმინდელის მოღვაწეობისას შენაძენისა და დანახარჯის ნიას წარმოადგენს.

ჩვენამდე მოღწეული XI საუკუნის ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ იმდროინდელ რაჭის ეკონომიკაზე; რადგან შუა საუკუნეებში სასულიერო და საერო მეურნეობები ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებოდა, ნიკორწმინდის „დაწერილის“ მიხედვით საკვლევი ქვეყანიონის XI საუკუნის მეურნეობრივი განვითარების სურათი შემდეგნაირად წარმოგვიდგება.

იმდროინდელი რაჭის სოფლის მეურნეობაში მკვეთრად ვლინდებოდა ვერტიკალური ზონალობა. თანამედროვე სოფ. უწერას ქვემოთ მდინარე რიონისა და მისი შემდინარეთა შესართავების ზოლი დაფარული იყო ვენახებით. ყურძნის შორს გადაზიდვა რომ არ დასჭირებოდათ ვენახების მახლობლად აგებდნენ „სასაწნახელოებსა“ და „ყურძნის საწნეხებს“. დაწურვის შემდეგ ტკბილი გადაჰქონდათ ვენახების მფლობელების საკარმიდამოებში აშენებულ მარნებში, რომლებიც ხშირად ისეთ სოფლებში მდებარეობდნენ, სადაც ვაზი არ ხარობდა.

მარნებისა და სასაწნახელოების ასაგებად ხმარობდნენ ხე-ტყეს და ქვას. მარნებში ღვინის დასაყენებლად და შესანახად ჩაყრილი იყო ჭურები.

დაბალ ზონაში ვენახები ენაცვლებოდნენ ყანებს. ზღვის დონიდან 800 მეტრზე ზევით ვენახების ფართობი სწრაფად მცირდებოდა, მკვეთრად იზრდებოდა მარცვლეულის ნათესების ხვედრითი წონა. მარცვლეულიდან ძირითადად სთესდნენ ხორბალსა და ფეტვს.

ხორბალსა და ფეტვს ინახავდნენ სამეურნეო და საცხოვრებელ შენობებთან აგებულ ბეღლებში.

მიწათმოქმედების პარალელურად XI ს. რაჭის სოფლის მეურნეობაში დიდი ადგილი ეკავა მეცხოველეობასაც. საზაფხულო საძოვრების სიუხვე აადვილებდა მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის მოშენებას. მისდევდნენ ბაგურ-ბანაკურ მეცხოველეობას. ხარებისა და ძროხებისათვის აშენებდნენ ბოსლებს, ხოლო ცხვრებისათვის — ფარნებს. მსხვილ მეპატრონეს ნახირის მოშენელთათვის ჰქონდათ სპეციალური სამეხრეო სახლები. დიდად იყო განვითარებული მეცხენეობაც. მეფუტკრეობის უკეთესად წარმართვისათვის ფუტკრის ოჯახებს ინახავდნენ სასკეებში.

XI საუკუნისათვის რაჭაში საკმაოდ დიდი მასშტაბით მიმდინარეობდა სამხედრო, სასულიერო, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო შენებლობა. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ რამოდენიმე ციხემ და ეკლესიამ, რომელნიც მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო უადრესად მკვიდრად იყვნენ აგებულნი და მრავალჯზის განსახლებულან. ხოლო სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნაგებობათა შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვიქონიოთ წარმოდგენა ნიკორწმინდის „დაწერილის“ საშუალებით.

საერო და სასულიერო ფეოდალთა ქვითკირის, მუხის და ნაძვის საცხოვრებელი სახლები ხშირად ორსართულიანნი იყვნენ და ფართო აივნებითაც შემკობილნი. ისინი სპეციალურ დანიშნულების სახლებთან (სახუცო, სამზარე-

[9] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, წიგნი II, თბ., 1897, გვ. 43.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულ, სამეხრეო...) და სამეურნეო ნაგებობებთან (ბოსლები, ბეღლები, მარნები...) ერთად ჰქმნიდნენ სასახლეების კომპლექსებს.

მდიდრული სასახლეები, შუბნიერი ეკლესიები და მტკიცე ციხე-სიმაგრეები გაფანტული იყვნენ გლეხების ქოხებს შორის.

რაჭის მსგავს სურათს ჰქმნიდა ლეჩხუმიც თავისი ვენახებით, ყანებით, საძოვრებით, სასახლეებით, ქოხებით, ეკლესიებითა და ციხე-სიმაგრეებით.

თუმცა დავით აღმაშენებლის მეფობის შემდეგ საკვლევ ქვეყაიონის მოსახლეობასა და მეურნეობას არაფერი დაჰკლებია თუ არ შემატებია, მაგრამ თაკუერმა თავისი ძველი მნიშვნელობა საქართველოსთვის ვეღარ შეინარჩუნა, რაც აგრეთვე ზოგიერთი გეოგრაფიული მომენტით აიხსნება.

1122 წელს ობილისის დაბრუნების შემდეგ მოიხსნა ქუთაისის მახლობლად მდებარე მთიან თაკუერის მძლავრ თავშესაფარად გამოყენების საჭიროება.

საქართველოს სამთამადნო წარმოებაში პირველხარისხოვანი ადგილი დაიკავა პოლიტიკურ და სამხედრო ცენტრის მახლობლად მდებარე ქვემო ქართლის რკინის საბადოებმა, ხოლო რაჭის სარკინეთის დამხმარე მნიშვნელობაღა შერჩა.

გარეშე მტერთა განდევნის შემდეგ, საქართველოს ბარისა და სამხრეთ მთიანეთის პროვინციების სოფლის მეურნეობა სწრაფად აღორძინდა და დაწინაურდა, რის გამოც რაჭა-ლეჩხუმის ხვედრითი წონა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში მკვეთრად შემცირდა.

პოლიტიკური და სამხედრო ცენტრების რაჭა-ლეჩხუმიდან დამორებამ და აღმოსავლეთ საქართველოში გადატანამ მეურნეობრივად დაწინაურებული და ხალხმრავალი რაჭა-ლეჩხუმის ერისთავებს მეტი დამოუკიდებლობა მისცა და მნიშვნელოვნად გააძლიერა. რასაც ამტკიცებს XII საუკუნის 30-იან წლებში თამარის მეორედ მეფედ კურთხევის დროს თამარ მეფისათვის სამხედრო ძლიერებისა და უზენაესი სარდლობის უფლების სიმბოლოს — ხმლის გადამცემ დიდებულთა შორის „რაჭისა და თაკუერის“ ერისთავის კახაბერ კვირიკეს ძის დასახელება.[10]

კახაბერ კვირიკეს-ძის მოხსენება „რაჭისა და თაკუერის“ ერისთავად ააშკარავებს, რომ XII საუკუნეში თაკუერს დაუკარგია რაჭა-ლეჩხუმის ზოგადი სახელწოდების მნიშვნელობა. იმ დროისათვის უკვე შემოსულა თაკუერის აღმოსავლეთი ნაწილის აღმნიშვნელი სიტყვა რაჭა, რომელიც ვახუშტის მიხედვით წარმომდგარა ამ კუთხის „გარემოსთა დიდროვანთა მთათაგან და შინაგან ღრმის ადგილნისა მიერ — „იხილე, რა ჭაა არს ადგილი ესე“-ო[11]. გვიან შუასაუკუნეებში არც ლეჩხუმს შერჩა თაკუერის სახელი, ამიტომაც ქართლის ცხოვრების ბარათაშვილის ვარიანტზე კახაბერ კვირიკეს-ძის ტიტულში თაკუერის გასწვრივ აშიაზე შენიშვნაა „ლეჩხუმი“-ო.[12]

რაჭა-ლეჩხუმის უშინაგანესმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ XIII საუკუნის 30-იან წლებში იხსნა საკვლევი ქვეყაიონი მონღოლთა დარბევისაგან. 1264 წელს საქართველოს ერთიან სახელმწიფოს დაშლის შემდეგ რაჭისა და

---

[10] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1906, გვ. 400:

[11] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თბ., 1941, გვ. 162.

[12] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1906. გვ. 400.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თაკუერის საერისთაო შევიდა დასავლეთ საქართველოს სამეფოში. რომელშიც დაკი დავით რუსუდანის ძე გამეფდა.

დავით რუსუდანის ძის საპირისპიროდ, რომელიც აქტიურ ბრძოლას აწარმოებდა ილხანების წინააღმდეგ, განდიდებული რაჭისა და თაკუერის ერისთავი კახაბერი პრომონღოლურ პოლიტიკას ატარებდა. იგი სამშობლოს ღალატსაც არ მოერიდა და 70-იან წლებში მან ვერაგულად დაარბევინებინა მონღოლებს ქუთაისი. კახაბერი გამცემლური საქმიანობისათვის დავით რუსუდანის ძემ 80-იანი წლების დასაწყისში სიკვდილით დასჯა, ხოლო რაჭა და თაკუერი უშუალოდ სამეფო ხელისუფლებას დაუმორჩილა.

ბაღვაშ კახაბერის ძეთა საგვარეულოს ამოკვეთა და რაჭა-თაკუერის საერისთავოს გაუქმება საკვლევი ქვერაინონისათვის უმტკივნეულოდ ჩატარდა, რადგან ამ აქტს თან არ მოჰყვა შეიარაღებული ბრძოლა მეფესა და ერისთავს შორის და შესაწყალი პროვინციის აკლება-აწოკება.

1293 წელს დავით რუსუდანის ძე გარდაიცვალა, დასავლეთ საქართველოში გამეფდა მისი ვაჟი კონსტანტინე. „ამ კონსტანტინეს წინააღუდგა ძმა თავისი მიქელ... დაიპყრა რაჭა, ლეჩხუმი და არგვეთი და აქუნდათ დღეთა მათთა მარადის ბრძოლა, ზღილობა და შფოთი და ხდომა ურთიერთთა და იყო ოხრება ქვეყნისა“[13] ყამთა აღმწერლის გადმოცემით ძმებმა არა ყუფს მშვიდობა ვიდრე არ მიიცვალნესო.[14]

1330 წელს გიორგი ბრწყინვალის დასავლეთ საქართველოში გადმოსვლის ჟამდეგ, შეწყდა ფეოდალური არეულობა და რაჭა-ლეჩხუმი საქართველოს ერთიან სამეფოს შემადგენლობაში შევიდა.

ამ დროისათვის ძირეული ეთნიური ცვლილებები განიცადა რაჭის აღმოსავლეთით მოსაზღვრე საქართველოს პროვინციამ. მონღოლთა შემოსევების შემდეგ დაიწყო ცენტრალურ კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე ოსების ჩამოსახლება. გიორგი ბრწყინვალემ მხოლოდ შეზღუდა ოსების ბინადრობის არეალი ქართლის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილით. რაჭას აღმოსავლეთიდან ჩრდილო კავკასიიდან გადმოსული ოსები დაემეზობლნენ. შემდგომში რაჭის მოსაზღვარე სამხრეთ-ოსეთის დასავლეთ ნაწილს კუდარო ეწოდება.

1386—1403 წლებში რაჭა-ლეჩხუმი გადაურჩა თემურ-ლენგისაგან დარბევა-აწოკებას, მაგრამ შუა აზიელი დამპყრობლის შემოსევების შედეგად საქართველოს სახელმწიფო მეტად დასუსტდა, ხოლო სამეფო ხელისუფლების დაკნინებას XV საუკუნის მეორე ნახევარში მოჰყვა შიდაფეოდალური ბრძოლები, რომლებშიდაც რაჭა-ლეჩხუმიც აღმოჩნდა ჩათრეული.

დავით რუსუდანის ძის შთამომავალმა ალექსანდრე ბატონიშვილმა ისარგებლა არადეთთან ყვარყვარე ათაბაგის გამარჯვებით კონსტანტინე მეფეზე „შემოიკრიბა რაჭა, ლაჩხუმი... მოვიდა და აღიღო ქუთაისი 1484 წელს, დაჯდა მეფედ და დაიპყრა იმერეთი“.[15] გარე შე მტრების შემოსევამ არ მისცა საშუალება კონსტანტინეს საბოლოოდ დაემარცხებინა ალექსანდრე, რომელსაც მხარს უჭერდა რაჭა-ლეჩხუმის მოწინავე წოდება, და გაეუქმებია იმერეთის სამეფო.

---

13 ვახუშტი, იმერეთის ისტორია, გვ. 7.

14 ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1906, გვ. 721.

15 ვახუშტი, იმერეთის ისტორია, გვ. 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის გამო იმერეთის მეფე ალექსანდრე განსაკუთრებული პატივითა და გულისხმიერებით ეპყრობოდა რაჭის წარჩინებულთ ჯაფარიძეებს, კუჭაიძეებსა და ლაშხიშვილებს. როდესაც ამ უკანასკნელთ შურისძიების მიზნით შვიდი წლით შეუკრეს სვანეთის მცხოვრებთ გზები, ალექსანდრემ სვანებს ურჩია დაეთმოთ სამხრეთ მეზობლებისათვის.

ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა, ჩვენამდე მოღწეული სიგელი, რომელშიდაც ჩამოთვლილია თუ რა დაუთმეს ყოკელმხრივ შევიწროებულმა სვანებმა ჯაფარიძეებს, კუჭაიძეებსა და ლაშხიშვილებს.

ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ XV საუკუნის მიწურულში[16] რაჭის ფეოდალებს მიუღიათ სვანების კუთვნილი შოდა-კედელასა და კაკაჯსიონის მთავარ ეკედებს შორის მოქცეული ხეობა, მიმდებარე ადგილებით. ამ კუთხეს მთიულეთი ეწოდებოდა, აქ 400-მდე კომლი ცხოვრობდა მთის კალთებსა და ხეობებში გაშენებულ თორმეტიოდე სოფელში. თითქმის ყოველ სოფელში ციხესამაგრე ყოფილა; ზედაქალაქში მჯდარა ეპისკოპოსი, რომელსაც მთიულეთის ექვსივე ეკლესია-მონასტერი ემორჩილებოდა.[17]

ეს სურათი ნამდვილია, ეს მხარე XV საუკუნემდე, რაჭის საერისთაოს არსებობისას ან მისი გაუქმების შემდეგ, ემორჩილებოდა თუ არა ერისთავსა და მერე მის მაგიერ დანიშნულ მეფის მოხელეს, უფრო სავარაუდებელია, რომ დასავლეთ საქართველოს მთიულეთი სვანეთის განუყოფელი ნაწილი იყო და XV საუკუნის მიწურულამდე ამ უკანასკნელთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სვანეთის ტერიტორია დღევანდელთან შედარებით გაცილებით მეტი იყო, იგი თანდათან მცირდებოდა. XV საუკუნის ბოლო წლებში რაჭველ ფეოდალთა მიერ სიგელში დასახელებული სოფლებისა მიტაცება ამ პროცესის დასრულებას უნდა წარმოადგენდეს, რადგან რაჭასა და სვანეთს შორის სასაზღვრო ხაზის ჩრდილო-დასავლეთისაკენ გადატანითი იგი თითქმის დაემთხვა თანამედროვე ონი-ამბროლაურისა და ლენტეხის ადმინისტრაციული რაიონების საზღვარს.

1510 წელს ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ, იმერეთში გამეფდა მისი ვაჟი ბაგრატი. ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით „...ამანვე ბაგრატ მეფემან დასვა ერისთავად რაჭას ჩხეიძე შოშიტა და მისცა რომელიმე სახასო დაბანი და ციხე მინდა, რამეთუ აქომამდე იყო რაჭა სამეფოდ და კვლავ ჰყო საერისთაოდ“.[18] ბაგრატ ალექსანდრეს-ძის მიერ რაჭის საერისთაოს აღდგენა უნდა მომხდარიყო XVI ს. 30-იან წლებში.

ერისთავებად დასმული ჩხეიძეების ხელისუფლება მხოლოდ საკუთრივ რაჭაზე ვრცელდებოდა, ხოლო ლეჩხუმი კვლავ სამეფოდ, ე. ი. მეფის უშუალო გამგებლობაში მყოფ პროვინციად რჩებოდა.

ამგვარად, XVI საუკუნეში განახლებულ რაჭის საერისთაოს უფრო მცირე ტერიტორია ექცა, რადგან ლეჩხუმი მის საზღვრებს გარეთ აღმოჩნდა. ვახუშტის მიხედვით, „წესი ერისთავთა იყო მეფისა მიერ განწესება ქვეყანათა მიმართ და მის მიერ მოფრენობა, სამართალი და ლაშკარნი მის ქვეყნისანი მის ქვაშევე იყუნენ და იგინი მოჰკრეფდენ ხარკთა სამეფოთა.“[19] და მართლაც თავდაპირველ-

---

16 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1948, გვ. 144.

17 სარგის კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წიგნი I, თბ., გვ. 129—131.

18 ვახუშტი, მეფრეთის ისტორია, გვ. 16.

19 ვახუშტი, აღწერა.., გვ. 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად რაჭის ერისთავები იმერეთის მეფის ერთგული მოხელეები და უახლოესი პირები იყვნენ. ამაზე მიუთითებენ 1650—1652 წწ. იმერეთის მეფე ალექსანდრე ჰესამეულთან გამოგზავნილი რუსეთის ელჩებიც სტოლნიკი ტოლოჩანოვი და დიაკი ივანე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ა ჭ ა

ვახუშტი ბაგრატიონის დასავლეთ საქართველოს რუკიდან


ფოთი
ქუთაისი
ბორჯომი
ბაკურიანი
ბაზალეთი
ბაზალეთის ტბა
ბაზალეთის ეკლესია
ბაზალეთის ციხე
ბაზალეთის ბაზარი
ბაზალეთის ბაზარი
ბაზალეთის ბაზარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჭის ერისთავების პოლიტიკურ საქმიანობას მთლიანად ჩამოცილდა ძოწინავე მისწრაფებები.

ამ დროიდან რაჭის ერისთავები არაფრით არ განსხვავდებოდნენ ლიხთ-იმერეთის სხვა თავისნება და თავაშვებული მთავრებისა და თავადებისაგან, რომლებიც აღვივებდნენ შიდა ფეოდალურ არეულობას, ასუსტებდნენ იმერეთის სამეფოს და უადგილებდნენ ოსმალეთს დასავლეთ საქართველოს დაპყრობა-დამონებას.

XVII საუკუნის მიწურულიდან დაიწყო ბრძოლა რაჭველ ფეოდალებს შორისაც. 1700—1768 წწ. რაჭის ერისთავებმა დაიმორჩილეს გლოლაში გამაგრებული ჯაფარიძეები, აიღეს კვარას ციხე და დაეპატრონენ იაშვილების ყმა-მამულებს, განდევნეს წულუკიძეები ხოტევის სიმაგრიდან, ხოლო საწულუკიძეო საკუთრივ დაიკავეს.[22]

ლ ე ჩ ხ უ მ ი
ვახუშტი ბაგრატიონის დასავლეთ საქართველოს რუკიდან

ერისთავების განმგებლობაში მყოფი XVIII საუკუნის 30-იანი წლების რაჭის დეტალური აღწერა და რუკა დაგვიტოვა სახელგანთქმულმა ქართველმა გეოგრაფმა ვახუშტი ბაგრატიონმა.[23]

ვახუშტის გადმოცემით რაჭის სასაზღვრო უღელტეხილებთან და რიონის თითქმის ყველა შენაკადის შესართავთან აღმართული იყო სიმაგრეები; რომლებიც მეზობელ კუთხეებიდან მომავალ გზებსა და ხევების შესასვლელებს კეტავდნენ. ტოლას, ბარეულას, ზნაკვას, სადმელის, კვიტაშვილის, ხოტევის, კვარას, ხიდის-კარის, ნინიას, მინდას, წედისს, საქორიას და ჭიდროთას ციხეები ბუნებრივ პირობებთან შეხამებით ჰქმნიდნენ ძლიერ საფარტიფიკაციო სისტემას.

---

22 ვ ა ხ უ შ ტ ი, იმერეთის ისტორია, გვ. 63, 79.

23 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941. გვ. 158—162.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამაგრებული და ძნელად მისადგომი რაჭა ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით „ჰავით არს კეთილმშვენი, ზაჯხულის გრილი, ზამთარ თბილი და უქარო, მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯ-ბამბისა ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი, ვენახნი, ხილნი, მტილოვანნი (ბოსტნეული კ. ა.) ყოველნი. რიონის კერძოდ ამიერ და იმიერ, სრულიად რაჭას ესრეთ ნაყოფიერებს, არამედ მთათა კერძონი, ვითარცა სხვანი მთის ადგილნი. პირუტყვნი, აქლემს გარდა, ყოველნი და არა ბრავლად. ცხოვარი უდუმო, ღორი-სიცოცხლე მათი. მდინარეთა კალმახნი მრავალნი“.[24]

ონსა და ხოტევში მცხოვრები ებრაელები ეწეოდნენ ვაჭრობას,[25] წედისა და რაჭის ზოგიერთი სხვა სოფლების მკვიდრნი მისდევდნენ რკინის მდნის მოპოვებას, გადადნობას და რკინეულის ნაწარმის დამზადებას.

შეუწყვეტელი ფეოდალური ომები და რაჭის ერისთავების სეპარატიზმი აძლიერებდა ეკონომიურ კარჩაკეტილობას, აფერხებდა სამეურნეო განვითარებას.

ამ დროისათვის არა მარტო რაჭა, არამედ ლეჩხუმიც იმერეთიდან მოწყვეტილი აღმოჩნდა. XVII საუკუნის 70-იან წლებში ლეჩხუმი დადიანებმა ჩაიგდეს ხელში.[26] იმავე საუკუნის 80-იან წლებში კი იმერეთის მეფეები იძულებული გახდნენ სამეგრელოს ფაქტიური გამგებლისათვის — ლიპარტიანისათვის ლეჩხუმის თავობა ებოძებინათ, ე. ი. იურიდიულად ეღიარებიათ დადიანების ახალი საგვარეულოს დამაარსებლის უფლებამოსილება საქართველოს ამ კუთხეზე.[27]

ლეჩხუმის ოდიშში შესვლით შეიცვალა ძალთა შეთანაწყობა სამეგრელოს სამთავროს შიგნით. ამერიდან დადიანის ყველაზე უფრო დიდ მოხელე-ფეოდალად ლეჩხუმის თავი გახდა. ლეჩხუმის თავად ინიშნებოდა სამეგრელოს მთავრის ოჯახის რომელიმე წევრი, რომელიც ზნირად დეზვირის არბეთის, თაკვირის, მურის და ჭყვიშის ციხეებზე დაყრდნობით და მის გამგებლობაში მოხვედრილ ამ პროვინციის მხედრობის გამოყენებით ცდილობდა ხოლმე განდგომას ან გადადანებას. ასეთ შემთხვევაში სამეგრელოს მთავრები მოუწოდებდნენ მეზობელ ფეოდალებს ურჩ მოხელეთა საგანმგებლოზე სალაშქროდ და თვითაც იწყებდნენ ლეჩხუმის დარბევას. ამას ემატებოდა სამეგრელოს მთავრის მტრების მიერ ამ კუთხის აწიოკება დადიანებისადმი ლეჩხუმის თავების ერთგულების დროს.

ამგვარად, 1752 წელს, სოლომონ 1-ის ქუთაისის ტახტზე ასვლისას იმერეთის მეფის ხელისუფლება რაჭა-ლეჩხუმზე არ ვრცელდებოდა, რადგან ლეჩხუმი სამეგრელოს სამთავროში შედიოდა, ხოლო რაჭა განკერძოებულ საერისთაოს წარმოადგენდა.

როსტომ—რაჭის ერისთავი აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმერეთის მეფის წინააღმდეგ მიმართულ ყოველ აქციაში. უფრო მეტიც, იგი არ მოერიდა საქართველოს მოსისხლე მტრებთან—ოსმალოებთან კავშირს და მათი ერთგული მეგობარი და ხელისშემწყობი გახდა.

1756—1768 წწ. რაჭის ერისთავი მხარში ედგა თურქ აგრესორებს და ყოველნაირად ეხმარებოდა მათ დასავლეთ საქართველოს დაპყრობის საქმეში. ამდენადვე იმერეთის მეფის ბრძოლა თურქების წინააღმდეგ შეიცავდა ბრძოლას როსტომ ერისთავის წინააღმდეგაც.

---

[24] გ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1941. გვ. 162.
[25] ი ქ ვ ე. გვ. 162.
[26] ვ ა ხ უ შ ტ ი. იმერეთის ისტორია. გვ. 42.
[27] ი ქ ვ ე. გვ. 50, 52.

XVIII ს. 60-იან წლების ბოლოს შეიქმნა უაღრესად ხელსაყრელი პირობები როსტომ ერისთავის დასათრგუნავად, რადგან ჩხართან თურქების დამარცხებისა და რუსული სამხედრო ნაწილების მოახლოების ვითარებაში ვერავინ ვერ გაბედავდა რაჭის ერისთავის გამოქომაგებას.

1769 წლის 28 იანვარს სოლომონ პირველი მთელი თავის ძალებით რაჭაში შეიჭრა. მეფემ დაიპირა საერისთავოს ციხეები, გადასწვა სოფლები, პირუტყვი წამოასხა და ახნაურები დაიმძევლა. ერისთავი გაიქცა.[28]

სოლომონის ასეთი იერი გამარჯვება აიხსნება იმ გარემოებით, რომ შუასაუკუნეების სამხედრო ხელოვნება იმერეთის მეფეებს საშუალებას აძლევდა, მთელი მათი ლაშქრის გამოყენების შემთხვევაში, სწრაფად დაეძლიათ რაჭის ქედი, ხვამლის მასივი, რიონის ხეობის ვიწრო კლდეკარები, მათზე აღმართული ციხე-სიმაგრეები და გამანადგურებელი დარტყმა მიეტანათ რაჭის საერისთავოზე. და თუ აქამდე რაჭის სათავადო დამოუკიდებელ ფეოდალურ ერთეულის მდგომარეობას ინარჩუნებდა ეს შეპირობებული იყო არა იმდენად მისი განკერძოებული ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით, რამდენადაც დასავლეთ საქართველოს ხელმწიფეების მოუცელლობით ოსმალეთთან და გურია-სამეგრელოს მთავრებთან შეუწყვეტელი ბრძოლების გამო.

1769 წლის მაისში მეფემ ერისთავს ზავი დაუდო და მორჩილების ფიცი გამოართვა, აღადგინა რა ფეოდალურ მდგომარეობაში.

მაგრამ სამი თვის შემდეგ, 1769 წლის სექტემბერში, მეფემ არასაიმედო ერისთავი ვარციხეს მიიწვია, სადაც შეიპყრო, ხოლო მალე კიდეკაც დაანბრალებინა.[29]

სოლომონმა როსტომ ერისთავის ცოლ-შვილის დაპატიმრებაც ბრძანა და ანდერძი დასტოვა, რომ რაჭის ერისთავის შთამომავალნი „არცა რა მიღებულ იქმნენ მემკვიდრედ რაჭისა“-ო. იმერეთის მეფემ მთელი რაჭა სახასო საკუთრებად გადაქცია, იქ მოსახლე სამი ათასი კომლი ყმა-გლეხობის სამი მეოთხედი თვითონ მითვისა. დარჩენილი ერთი მეოთხედი კი სოლომონ პირველმა თავის ძმის იოსეს გენთალეს, როსტომ ერისთავის მიერ განდევნილ წულუკიძეებისა და იმერეთის მეფეების ერთგულო თანამებრძოლის ზემო მხარის სარდლის ქაიხოსროო წერეთლის ოჯახის წევრებს შორის გაანაწილა. სხარტალი თავის საზაფხულო სადგომად გაიხადა; საერისთავოს ბუდე-მინდას ციხეში და სხვა დაპყრობილ სიმაგრეებში მეფის მოხელეები და მეციხოვნეები ჩადგნენ.[30]

თუმცა 1768—1772 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს სოლომონ პირველმა ვერ შეძლო რაჭის მსგავსად ლეჩხუმიც სახასო პროვინციად გადაექცია, მაგრამ მან აიძულა ლეჩხუმის სამოურაოს მფლობელი დადიანი ეღიარებინა იმერეთის მეფის უზენაესობა.[31] სამაგიეროდ იმერეთის მხედრობა იცავდა სამეგრელოს სამთავროს აგრესორთა შემოსევებისაგან.

XVIII საუკუნის 70-იან წლებში საერისთავოს გაუქმების შემდეგ რაჭაში იმოგზაურა აკად. გილდენშტედტმა, რომელმაც თავისი ნაშრომის „საქართველოს

---

[28] შ. ბ ე რ ჯ ნ ა ძ ე, სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 41, 1950, გვ. 104—105.

[29] სოლომონ I-ის მიერ რაჭის ერისთავის დასჯა შესანიშნავი მხატვრული ძალით აღწერა აკადემიკოსმა ალექსანდრე ფაღავა: „სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე“, ალ. ფაღავა, ოხსნელებათა სრული კრებული, ტომი 8, თბ., 1958, გვ., 309—340.

[30] შ. ბ ე რ ჯ ნ ა ძ ე, სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი, სტალინის სახ. თსუ შრომები, 41, 1950, გვ. 106—109.

[31] Б у р н а ш е в. Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, Тифлис, 1896, стр. 24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კავკასიის გეოგრაფიული და სტატისტიკური აღწერის“ ერთი ქვეთავი უძღვნა ლიხთ იმერეთის ამ პროვინციას.

გილდენშტეიდტი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ რაჭის სოფლის მეურნეობაში მკვეთრად იყო გამოვლინებული ვერტიკალური ზონალობა.

ჩრდილო, ე. ი. ზემო რაჭაში მარცვლეულიდან სთესდნენ მხოლოდ ქერსა და საგაზაფხულო ხორბალს. ქვემო რაჭაში კი მოჰყავდათ როგორც საზაფხულო ისევე საშემოდგომო ხორბალი, ქერის რამდენიმე სახეობა და ჭვავი, რომელიც მეტწილად ბუნებრივად იყო შერეული ხორბალში.

სიმინდიცა და ფეტვიც მხოლოდ ქვედა ზონის სოფლებში გვხვდებოდა. ღომს გამონაკლისის სახით და ისიც მცირე რაოდენობით ძალზე დაბალ ადგილებში სთესდნენ.

ვაზი გაშენებული იყო უწერას ქვემოთ მდებარე სოფლებში, მდინარე რიონისა და მისი შენაკადების ხეობებში. ვენახები ერთდროულად ხილის ბაღებსაც წარმოადგენდნენ, რომლებშიდაც ვაზთან ერთად ხარობდა ბერძნული თხილის, ქლიავის, ალუბლის, ვაშლისა და მსხლის ხეები. შედარებით ნაკლებად, მაგრამ აქა-იქ მაინც, რგავდნენ თუთისა და ატმის ხეს.

ქვემო რაჭაში ბოსტნეული კულტურები ბევრად უფრო გავრცელებული და მრავალფეროვანი იყო ვიდრე ზემო რაჭაში. ბუნებრივ პირობებთან შესაბამისად მოჰყავდათ კიტრი, ნესვი, საზამთრო, გოგრა, ცერცვი, მუხუდო, სტაფილო, ბოლოკი, კომბოსტო, ხახვი და ჭარხალი.

გილდენშტეიდტი შენიშნავს, რომ რაჭაში შედარებით ნაკლებად იყო განვითარებული როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა მეცხოველეობა და შინაური ფრინველებიდან მხოლოდ ქათმები ჰყავდათ. ეს გარემოება აიხსნება რაჭის საერისთოს გაუქმებისას მომხდარ ბრძოლების დროს დიდძალი საქონლის დაღუპვითა და იმერეთში წაყვანით.

მთის სოფლებში სახლები ერთმანეთთან ახლოს მდებარეობდნენ, ხოლო ეკე ადგილებში — შედარებით მოშორებით. თავდაცვის მიზნით ყოველ სოფელში აგებული იყო ერთი ან რამდენიმე ქვითკირის ციხე-კოშკი. გილდენშტეიდტის დასკვნით რაჭას შეეძლო 6 ათასამდე მეომრის გამოყვანა.

ზემო რაჭაში სახლები მეტწილად ქვიდან იყო აგებული, ქვემო რაჭაში კი ხის შენობები ჭარბობდა. საცხოვრებელ ოთახში შუა ცეცხლი ენთო; მისგან გადატხრეული იყო ბოსელი და ბეღელი.

ბუნებრივი პირობების გამო მთის სოფლები უფრო ღარობად ცხოვრობდნენ, ბარის — უფრო შეძლებულად.

სოფელ წედისის მცხოვრებლები ტრადიციულად მისდევდნენ რკინის მოპოვება-დამუშავებას, — აკეთებდნენ ნამგლებს, ნალებს, ნაჯახის პირებს, ჯაჭვებს, სახნისებს და სხვა რკინეულს, რომლებსაც ცვლიდნენ ხორბლეულზე და სხვა სურსათზე.

ადგილობრივი გაქართველებული ებრაელები და სომხები მისდევდნენ ვაჭრობას. გაცვლა-გამოცვლის მთავარი საგანი იყო: რაჭული რკინის ნაწარმი, ქართლული ბამბის ქსოვილები, კახური მარცვლეული, ოსური საქონელი.

რაჭის ძირითადი საგზაო ქსელის დეტალური აღწერისას გილდენშტეიდტი არაერთგზის აღნიშნავს, რომ გზები უმეტესად გასდევენ ხეობების ფრიალო კალთებს, უაღრესად ვიწრო არიან და თანაც მნიშვნელოვან წილად ფხვიერ ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებზე გადიან, რის შედეგადაც ხშირია ჩამონგრევების შემთხვევები, მგზავრებისა და ცხენების გადაჩეხვა და დაღუპვა.[32]

1784 წელს სოლომონ 1-ის გარდაცვალების შემდეგ, იმერეთის მეფობის პრეტენდენტების დავით გიორგის ძის და დავით არჩილის ძის მომხრეებს შორის დაწყებული ბრძოლა რაჭასაც შეეხო. იმ დიდ ზიანს, რომელსაც რაჭის მოსახლეობასა და მეურნეობას აყენებდა დავით გიორგის ძის მეფობის დროს მიმდინარე ეს შიდა ფეოდალური ომები თვალნათლივ გვიჩვენებს სოფ. სხვავას მაგალითი, რომელიც შეიარაღებული შეტაკების დროს თითქმის მთლიანად გადაწვეს და გაძარცვეს მოქმშპე დასებმა.[33]

XVIII საუკუნის მიწურულში და XIX საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოს ფეოდალური დაჯგუფებათა ბრძოლის ასპარეზზე რაჭა-იმერეთიდან ლეჩხუმ-სამეგრელოში გადაინაცვლა, ამ დროს იმერეთის მეფე სოლომონ II ცდილობდა სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის და მისი მომხრეების წინააღმდეგობის გატეხვას და ოდიშ-ლეჩხუმის დამორჩილებას.

გრ. დადიანი შეუნელებელი ინტერესით ისწრაფოდა, რათა შეფარებოდა რუსეთს და ამით დამოუკიდებელი გამხდარიყო დასავლეთ საქართველოს მეფისაგან. 1803 წლის 4 დეკემბერს დადებული ხელშეკრულებით სამეგრელო ავტონომიური უფლებით ცხადდებოდა რუსეთთან შეერთებულად.[34]

ამ აქტში ციციანოვი კანონიერად ცნობდა სამეგრელოს მთავრის სამფლობელო უფლებებს ლეჩხუმზე,[35] რომელიც ამ დროისათვის თითქმის მთლიანად სოლომონ მეორეს ემორჩილებოდა.[36]

თუმცა რუსული სამხედრო ნაწილების მიერ ზემო იმერეთის სოფლების დაკავების შემდეგ სოლომონი იძულებული გახდა 1804 წლის 25 აპრილს მიეღო მთავარმართველი ციციანოვის მიერ ნაკარნახევი სამფარველო ტრაქტატი, მან დაეინებით მოსთხოვა მთავარმართველს, არ გადასცემოდ სამეგრელოს მთავარს ლეჩხუმის ციხე-სიმაგრეები და სოფლები, სანამ ამ საკითხს სპეციალურად არ განიხილავდა რუსეთის იმპერატორი. შემდგომი გართულების თავიდან აცილების მიზნით ციციანოვმა დააკმაყოფილა იმერეთის მეფის ეს სურვილი და წერილობით აღუთქვა, რომ უზენაესი ხელისუფლების გადაწყვეტილებამდე სოლომონ მეორის განკარგულებაში დარჩება ამ უკანასკნელის მიერ ლეჩხუმში დაკავებული სოფლები და ციხეები.[37]

იმერეთის მეფის კარზე დანიშნული ციციანოვის წარმომადგენელი ლიტვინოვი 1804 წლის 25 ოქტომბერს მთავარმართველის სახელზე დაწერილ რაპორტს თან ურთავს იმერეთისა და სამეგრელოს აღწერას, რომლის ერთი თავი მიძღვნილია ლეჩხუმისადმი.

ამ რუსი მოხელის განსაკუთრებული ყურადღება ლეჩხუმისადმი იხსნება

---

[32] И. А. Гильденштедт, Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа, СПб, 1809, стр. 289—296, 314—328.

[33] ნიკოლოზ დადიანის საქართველოს ისტორია, Такайшвили Е., Описание рукописей «Общества распространения грамматности среди грузинского населения», т. I, вып. 1, 1902—1904, стр. 14—15.

[34] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, (XIX საუკუნე), თბ., 1954, გვ. 52—53.

[35] Акты собранные Кавказской археографической комиссиею, т. II, Тф., 1868, № 780.

[36] იქვე № 685.

[37] Утверждение русского владычества на Кавказе, под редакцией Потто, т. I. Тф., 1901, стр. 117.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმით, რომ ციციანოვმა საქართველოს ეს პროვინცია იმერეთის სამეფოსა და სამეგრელოს სამთავროს შორის სადავო ტერიტორიად ჩათვალა.

სამეგრელოს სამთავროს რუსეთის მფარველობაში შესვლის შემდეგ ლეჩხუმის თავადაზნაურობის ნაწილს უცვლია დადიანის ხელისუფლება, დიდი ნაწილი კი სოლომონ მეორის ერთგული დარჩენილა. ლეჩხუმის ფერთმეტი ციხე-სიმაგრიდან ხუთი იმერეთის მეფის ხელთ ყოფილა, სამი — დადიანის, დანარჩენი სამი კი სამეგრელოს მთავრის ან იმერეთის მეფის მომხრე ადგილობრივ წარჩინებულთ ეკუთვნოდათ.

ლეჩხუმის კუთხეებს შორის კავშირს ამნელებდა არა მარტო პოლიტიკური ვითარებულობა არამედ უგზოობაც. ლეჩხუმში გზებად მდინარის ხეობებს იყენებდნენ, რომელთა მაღალ, კლდოვან და ფრიალო ფერდობებიდან გადმოხედვა შიშის ქრუანტელს ჰგვრიდა მგზავრებს. მთებზე გამავალი საცალფეხო ბილიკები კი ცხენოსნებისათვის გამოუსადეგარი იყო. გზების ასეთი სავალალო მდგომარეობა დიდად აფერხებდა სამეურნეო ცხოვრების განვითარებას.

ქვემო რაჭასთან შედარებით ლეჩხუმის დადაბლებული ნაწილის უკეთესი ნიადაგურ-კლიმატური პირობები საშუალებას იძლეოდნენ ამ ქართული პროვინციის სოფლის მეურნეობა უფრო მრავალფეროვანი ყოფილიყო, თუმცა აქაც მთავარი ყურადება მარცვლეულის მოყვანასა და ვენახის გაშენებას ექცეოდა. საზაფხულო საძოვრების უქონლობა მეტისმეტად ზღუდავდა მეცხოველეობას.

ბევრ ლეჩხუმელს სამეგრელოში სასენი ჰქონდა მოხეკილი, როგორც ხის საქმის კარგ ოსტატს. ლაილაშში მცხოვრები გაქართველებული სომხები და ებრაელები ადგილობრივი მოსახლეობისაგან ყიდულობდნენ მელიისა და კვერნის ბეწვს, რომელსაც შემდეგ ფოთში ცვლიდნენ მარილზე და ბამბის ქსოვილზე. უცხოელებზე საკუთარი ყმებით სამარცხვინო ვაჭრობას ეწეოდა ლეჩხუმის თავადაზნაურობის ერთი ნაწილი.[38]

იმერეთის სამეფოს გაუქმებამდე არ შეწყვეტილა დავა ლეჩხუმის გამო სოლომონ მეორესა და გრიგოლ დადიანს შორის. იმერეთის მეფე, რომელიც ადანაშაულებდა ამიერკავკასიის რუს მოხელეებს დადიანისაკენ მიკერძოებაში არ უფარავდა ციციანოვს, რომ მან სამფარველო ხელშეკრულება ლეჩხუმის შემომტკიცების მიზნით მიიღო.[39]

1810 წელს, იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, რაჭაში რუსული სამხედრო მმართველობა დაწესდა, ხოლო ლეჩხუმი მთლიანად გადაეცა სამეგრელოს მთავარს.

1810 წლის იმერეთის აჯანყებას რაჭაში თითქმის არავითარი გამოძახილი არ ჰქონია. დადიანის მომხრე ლეჩხუმის თავადაზნაურობა კი ბერი გელოვანის ხელმძღვანელობით იბრძოდა სოლომონ მეორის მომხრეთა წინააღმდეგ და ყოველნაირად ეხმარებოდა მთავარმართველ ტორმასოვს იმერეთის დამორჩილებაში.

1820 წლის იმერეთის აჯანყების დროს სულ სხვა სურათს ჰქონდა ადგილი. ამ აჯანყების ერთ-ერთ მთავარ ცენტრს რაჭა წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, ეს აჯანყება დაიწყო ეგზარხოს თეოფილაქტეს მიერ დასავლეთ საქართველოში საეკლესიო რეფორმის ჩატარების ცდის გამო. რაჭაში ისევე, როგორც იმერეთში ამ აჯანყების მონაწილე იყო თითქმის მთელი მოსახლეობა. უკვე 1919 წლის

---

38 Акты, т. II, გვ. 408—409.
39 იქვე, № 805.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულისში, აჯანყების დაწყებისთანავე. რაჭაში ამბოხებელთა შეიარაღებულ რაზმებში მებრძოლთა რიცხვი 2.000 კაცამდე აღწევდა.

რაჭაში, ისევე როგორც იმერეთში, სამღვდელობა და თავადაზნაურობა იბრძოდა იმ ძველი პრივილეგიების, შემოსავლისა და ქონების შესანარჩუნებლად, რომელთაც საეკლესიო რეფორმა ემუქრებოდა. გლეხობამ კი დაიწყო ამბოხება ფეოდალი საეკლესიო გადასახადების დაწესების წინააღმდეგ, ხოლო აჯანყების მსვლელობაში შეეცადა საერთოდ თავი დაეღწია სხვა მძიმე სახელმწიფო და საბატონო ბეგარა-გადასახადებიდან. რომლებიც მას კისერზე აწვა.

1820 წლის ზაფხულში შორაპნისა და ქუთაისის ოლქების დაკავების შემდეგ, მეფის რუსეთის გენერლებმა აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლის სამძიმის ცენტრი რაჭაში გადაიტანეს, სადაც ისინი თავს უყრიდნენ დიდ ძალებს. მათ შეძლეს აჯანყებულთა დამარცხება და მთებისაკენ განდევნა. იმერეთის მმართველმა გორჩაკოვმა ბრძოლაში ხელთ იგდო ერთ-ერთი რაზმის უფროსი ლომკაცა, ლეკავა. საკვდილით დასჯის მუქარით შეშინებულმა ლეკავამ გასცა აჯანყების ყველა ხელმძღვანელი. გორჩაკოვმა თავისთან ბანაკში მოიწვია აჯანყების მეთაურები, რომელთაც ვერ წარმოეედგინათ, რომ გაცემულები იყვნენ და მათი დაპატიმრება ბრძანა. ატყდა ხელჩართული ბრძოლა, ამბოხების რამდენიმე მოთავე მოჰკლეს, სხვები მძიმედ და მსუბუქად დაიჭრნენ.

ამის შემდეგ მეფის გენერლებმა აჯანყების ჩაქრობა უფრო იოლად მოახერხეს.

1846 წელს, ახლად დაარსებულ ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შეიქმნა რაჭის მაზრა.

ლეჩხუმი შედიოდა სამეგრელოს სამთავროში. დადიანებს ლეჩხუმის სათავეში ჩაყენებული ჰყავდათ მოურავები. ლეჩხუმი თავის მხრივ იყოფოდა წვრილ სამოურაოებად. 1857 წელს სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ, ლეჩხუმის სამოურაო გადაკეთდა ქუთაისის გუბერნიაში შემავალ ლეჩხუმის მაზრად.

რაჭისა და ლეჩხუმის მაზრების ფართობი ამბროლაურის, ონის და ცაგერის ადმინისტრაციული რაიონების ფართობზე მეტი იყო, როდგან ლეჩხუმის მაზრა ქვემო სვანეთსაც მოიცავდა. სამხრეთით კი რაჭის მაზრის მსგავსად თავის ფარგლებში მთელ რიგ ისეთ სოფლებს აერთიანებდა, რომლებიც ამჟამად არ შედიან ზემოთ დასახელებულ ადმინისტრაციული რაიონების შემადგენლობაში.

რაჭის მაზრაში ბატონყმობა გაუქმდა 1865 წელს, ხოლო ლეჩხუმის მაზრაში — 1966 წელს.[40] რუსეთის იმპერიაში ჩატარებული ამ საგლეხო რეფორმის შემამუშავებელი ხასიათი დასავლეთ საქართველოში გაძლიერებული იყო დამატებით გამოქვეყნებული წესებით.

ნადელის გამოსასყიდი ღალის გადახდა მძიმე ტვირთად დაედო რაჭა-ლეჩხუმის გლეხობას. ფეოდალიზმის ეს ძლიერი გადანაშთი 1913 წლამდე შერჩა და დიდად აბრკოლებდა საკვლევი ქვერაიონის სოფლის მეურნეობის განვითარებას.

დროებით ვალდებულ გლეხებზე ოდნავ უკეთეს ეკონომიურ მდგომარეობაში იყვნენ სახელმწიფო გლეხები. საკვლევ ქვერაიონში XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ოცი ათასი სახელმწიფო გლეხი ითვლებოდა, ამათგან

---

[40] ა. ყ ი ტ კ ი ნ ი ძ ე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), გვ. 28.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7.500-მდე რაჭაში და 2.500-ზე მეტი ლეჩხუმში. ისინი ფლობდნენ 7.336 დესეტინა სახელმწიფო და საკუთარ მიწას.[41]

საკვლევი ქვეყანაინის გლეხობა ყოველნაირად ცდილობდა თავის მცირე ნაკვეთებზე შრომის დაუზოგავი დახარჯვით და მეურნეობის რაც შეიძლება უფრო რაციონალურად მოწყობის გზით გაეზარდა მოსავალი.

მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან ლეჩხუმის, ქვემო და ზემო რაჭის მარცვლეული მეურნეობა. ლეჩხუმში წამყვანი მარცვლეული კულტურები იყო სიმინდი და ხორბალი, ქვემო რაჭაში — ხორბალი და სიმინდი, ზემო რაჭაში — ქერი.

კლიმატურ-ნიადაგური პირობების გამო მთის რაჭაში გაბატონებულ მარცვლეულ კულტურად ბოლომდე ქერი რჩებოდა. სიმინდს აშვიათად სთესდნენ და ისიც XIX საუკუნის მიწურულიდან. სამაგიეროდ გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან გლოლას, ჭიორას, ღების და ჩასავლის სასოფლო საზოგადოებებში, ქერის ნათესების შემცირების ხარჯზე, ფართოდ ვრცელდებოდა კარტოფილი.

საკვლევ ქვეყაინში მიწების ნაყოფიერების გაზრდის საუკეთესო საშუალებას მისი ნაკელით განოყიერება შეადგენდა. განსაკუთრებით კარგად ანოყიერებდნენ მიწებს ზემო რაჭაში, სადაც ნიადაგები უფრო მწირი იყო, ნაკელი კი მეცხოველეობის განვითარების გამო მეტი მოიპოვებოდა. ქვემო რაჭაში და ლეჩხუმში მეცხოველეობის ნაკლებად განვითარების გამო ნაკელით ანოყიერებდნენ მხოლოდ ე. წ. შინა ყანებს, ე. ი. სახლის მახლობლად განლაგებულ ყანებს, რომელთაც საურმე გზები უდგებოდა.

მოსავლიანობის გაზრდის მიზნით მიმართავდნენ მარცვლეულ კულტურათა მორიგეობას.

ლეჩხუმში ყანა ყოველწლიურად მუშავდებოდა. შენაცვლებით სთესდნენ სიმინდსა და საშემოდგომო ხორბალს.[42]

ქვემო რაჭაშიაც შინა ყანებს ყოველ წელიწადს ამუშავებდნენ. პირველ წელს მოჰყავდათ სიმინდი, მეორე წელს საკაზაფხულო ქერი, მესამე წელს კი საშემოდგომო ხორბალი. გარე ყანები ითესებოდა პირველ წელიწადს ქერით, მეორე წელიწადს — ხორბლით, მესამე წელიწადს კი მას ასვენებდნენ.[43]

ზემო რაჭაში გავრცელებული იყო ნაყოფცვლიანი სისტემა. პირველ წელიწადს თესავდნენ ქერს, მეორე წელიწადს — კარტოფილს.[44]

საკვლევი ქვეყაინის ნიადაგური და კლიმატური სიჭრელისა და ვერტიკალური ზონალობის შესაბამისად სიმინდის, ხორბლის და ქერის მოსავალი მკვეთრად იცვლებოდა არა მარტო ლეჩხუმის, ზემო და ქვემო რაჭის ფარგლებში არამედ სასოფლო საზოგადოებებშიაც კი მიკროარაინების მიხედვით.

ლეჩხუმიდან განსხვავებით რაჭის მაზრაში მარცვლეულის საშუალო წლიური მოსავალი ადგილობრივ მოთხოვნილებას ვერ ფარავდა, ამიტომაც რაჭაში დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ ხორბლეული საქართველოს სხვა კუთხეებიდან და ჩრდილო კავკასიიდან.

---

[41] И. Л. Бахтадзе. Экономический быт государственных крестьян Рачинского уезда, МИЭБГКЗК, т. II, ч. I, Т., стр. 16—18. Носович Д. П., Экономический быт государственных крестьян в Лечхумском уезде, МИЭБГКЗК, т. I, Т., стр. 170, 172.

[42] Д. П. Носович, დასახელებული ნაშრომი, გვ. 62.

[43] И. Л. Бахтадзе, დასახელებული ნაშრომი, გვ. 52.

[44] ალ. ბენდიანიშვილი, რაჭის მაზრის სოფელ 1900-იან წწ. (ს. წედისი), თბ., 1952, რემინტერნის მანქანაზე ნაბეჭდი საკანდიდატო დისერტაცია, ინახება სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, გვ. 62.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქვემო რაჭისათვის და ლეჩხუმისათვის სოფლის მეურნეობის სასაქონლო დარგს მევენახეობა წარმოადგენდა. ქვემო რაჭაში ვენახები თავმოყრილი იყო მდინარე რიონისა და მისი შემდინარეების ხეობებში. რიონის მარჯვენა მხარეზე ვენახები შეფენილი იყვნენ სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთის კალთების ყარბონატულ ნიადაგებზე, რის გამოც ეს ზონა იძლეოდა რაჭის სუფეთესო ღვინებს. მარცხენა მხარის ვენახებს კი ეკავათ მძიმე, ძნელად დასამუშავებელი ნიადაგებით დაფარული ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის ფერდობები, ამიტომაც აქ შედარებით მდარე ხარისხის ღვინოები მზადდებოდა.

ლეჩხუმის ყველა სასოფლო საზოგადოება ან მთლიანად, ან ნაწილობრივ ვდებოდა მევენახეობის ზონაში, რომელიც რიონის, ცხენისწყლისა და ლაჯანურას ხეობებს მოიცავდა.

მევენახეობა უდიდეს როლს თამაშობდა ქვემო რაჭისა და ლეჩხუმის მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებაში. გარდა იმისა, რომ მევენახეობის პროდუქტებს მნიშვნელოვან წილად მოიხმარდნენ თვით უშუალო მწარმოებელნი, ღვინის გაყიდვა აძლევდა გლეხურ მეურნეობებს ფულად შემოსავალს. მეღვინეობისაგან მიღებული ფულადი სახსრები ხმარდებოდა გადასახადების გადახდას, პირადი მოთხოვნილების საგნების შეძენას, ნადელების გამოსნასა, მიწის შესყიდვას და რაჭის მცირემიწიან სოფლებში ხორბლეულის ყიდვას.

ლეჩხუმში ვენახები ძირითადად თავმოყრილი იყო წვრილგლეხურ მეურნეობებში. ოშვიათად ეკუთვნოდათ გლეხებს ორ ქცევაზე მეტი ვენახი, ჩვეულებრივად კი მათი ვენახები 1—1,5 ქცევას შორის მერყეობდა. მემამულეებს თავიანთი ვენახები გადაცემული ჰქონდათ იჯარით გლეხებისათვის. იჯარით გადაცემულ ვენახებიდან მემამულეები ღებულობდნენ მოსავლის ¼, ⅓ და ზოგ შემთხვევაში ნახევარსაც კი.[45]

რაჭაშიაც ვენახები დანაწილებული იყო გლეხებს შორის, რომლებიც ამუშავებდნენ საკუთარ ან იჯარით აღებულ ვენახებს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ოიდიუმის, მილდიუს და ფილოქსერას გავრცელებას არ შეუუცვლია საკვლევ ქვეყანოწში მევენახეობის გეოგრაფიული გაადგილება. ამავე დროს ვაზის ავადმყოფობებმა და მავნებლებმა შეამცირეა ვენახების ფართობი რაჭა-ლეჩხუმში და სოფლის მეურნეობის ეს დარგი უფრო შრომატევადად აქცეს.

რაჭა-ლეჩხუმის ღვინოები ძირითადად ქუთაისის გუბერნიის ფარგლებში საღდებოდა. მთელ საქართველოში სახელი ჰქონდა მოხვეჭილი ხვანჭკარის საყიფიანო ღვინოებს.

მეცხოველეობა ზემო რაჭაში ისეთსავე როლს თამაშობდა, როგორსაც მევენახეობა ქვემო რაჭასა და ლეჩხუმში. მეცხოველეობა მთის რაჭის სოფლის მეურნეობის სასაქონლო და წამყვანი დარგი იყო. ღებში, გლოლაში, ჭიორაში, უწერაში, შქმერში და ჩასავალში მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის მაპროფილირებელ დარგს წარმოადგენდა, ამბარისა და ნიკორწმიდის სასოფლო საზოგადოებების ეკონომიკაში კი დიდი ადგილი ეკავა.

კონდრატენკოსა და ბახტაძის მიერ გამოქვეყნებული ცნობები ამ სასოფლო საზოგადოებების სახელმწიფო გლეხთა საკუთრებაში მყოფ პირუტყვის შესა-

---

[45] А. А. Яковлев, Виноградарство и виноделие в Лечхумском уезде, сборник сведений по виноградарству и виноделию на Кавказе, вып. III, Т., 1896, стр. 80—81.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებ.[46] რომლებიც ტიპიური იყო საერთოდ მთის რაჭის მოსახლეობისათვის აშკარას ხდიან, რომ ზემოთ დასახელებულ სოფლების ჯოგში ჭარბობდა პროდუქტული (მერძევე) პირუტყვი, რაც დამახასიათებელია მეცხოველეობის მაღალგანვითარებულ რაიონებისათვის.

რადგან ზემო რაჭაში მსხვილფეხა მესაქონლეობას სარძევე-სახორაგე მიმართულება ჰქონდა, დიდ ყურადღებას აქცევდნენ ძროხებისა და ხარების მოშენებას. ყველა ცდილობდა კარგი ჯიშის საქონელი ჰყოლოდა. საქონელი მოჰ. ყავდათ ყარაჩაიდან, ოსეთიდან, ქართლიდან და სხვა ადგილებიდან. ამ სოფლებში საშუალოდ ყოველ გლეხურ კომლზე რამოდენიმე ძროხა და ხარი მოდიოდა.

მეღორეობით პირველ ადგილზე იდგა ამბარის სასოფლო საზოგადოება, სადაც კომლზე ყავდათ საშუალოდ 4—5 ღორი.

ცხენებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოფ. შქმერის მოსახლეობისათვის. იქ თითქმის ყოველ კომლს ყავდა თითო ცხენი მაინც.[47]

ზემო რაჭიდან განსხვავებით ლეჩხუმსა და ქვემო რაჭაში ძროხების რაოდენობა ხარებისაზე ნაკლები იყო, რადგან იქ მეცხოველეობა შეეწინახეობისა და მემინდვრეობის დამამარე სასოფლო სამეურნეო დარგად გამოდიოდა.

ლეჩხუმსა და ქვემო რაჭაში, საშუალოდ გლეხურ კომლზე იმდენივე პირუტყვი მოდიოდა, რამდენიც იმერეთის მევენახეობისა და მემინდვრეობის რაიონებში და რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად უფრო ნაკლები ვიდრე ზემო რაჭაში.

ლეჩხუმის ქედის სამხრეთ ფერდობების და საერთოდ ზემო რაჭის საზაფხულო საძოვრები საშუალებას აძლევდნენ ღორის, გოლოს, ჯორას, ბბვარის და სადმელის მცხოვრებლებს ჰყოლოდათ ცხვარი. მეცხვარეობა კი ჰქმნიდა შესანიშნავ ბაზას შინამრეწველური ფეიქრობისათვის. ზოგიერთი მეურნე ცხვარს უმთავრესად მატყლის მისაღებად ინახავდა. ამიტომაც, ამ სასოფლო საზოგადოებებში მცხოვრებ მრავალ ოჯახს გააჩნდა შალის საქსოვი დაზგა. ფეიქრობას ძხოლოდ ქალები ეწეოდნენ. შალიდან კერავდნენ ჩოხებს, ხალათებს და შარვლებს.[48]

ბატონყმობის გაუქმებამ ბიძგი მისცა შინამრეწველობის ამ დარგის შემდგომ დაწინაურებას. მრავალმა გლეხმა დაიწყო შალისა და საერთოდ მატყლის ნაწარმის ბაზრისათვის დამზადება.

რადგან შალის მცირე რაოდენობის ონსა და ქუთაისში წაღება არახელსაყრელი იყო შინამრეწველები ამჯობინებდნენ თავიანთი პროდუქციის სასაქონლო ნაწილის გადამყიდველთათვის მიყიდვას.

შალეულის ყიდვა-გაყიდვა იმდენად სარფიან საქმედ გადაიქცა, რომ ღებისა და ონის მრავალი ვაჭარი მხოლოდ რაჭის ფარგლებით არ შემოიზღუდა. ერთიერთი თანამედროვის გადმოცემით რაჭველებს ჩრდილოეთი კავკასიიდან გადმოქონდათ შალის ქსოვილები, რომლებსაც დასავლეთ საქართველოში „ონურ შალს“ უწოდებდნენ. თუმცა ეს სახელწოდება დაბა ონისაგან წარმოსდგებოდა,

---

[46] И. Л. Бахтадзе, დასახელებული ნაშრომი, გვ. 118—125.
Е. Кондратенко, Сборник статистических данных о землевладении и способах хозяйства в пяти губерниях Закавказского края, Тиф., 1899, Приложение 1, стр. 90—96.

[47] ბ ე ნ დ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 76.

[48] Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, 1891, вып. XI, отд. II. Амбарское общество, стр. 239—240.

ამ ქსოვილებს ამზადებდნენ არა ონში და რაჭაში, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის ოსებისა და სხვა მთიელების სოფლებში. რაჭველები კი, უმეტეს წილად ონის მცხოვრებლები, აწარმოებდნენ ამ შალებით ვაჭრობას ქუთაისის გუბერნიაში, რისთვისაც მრავალ მათგანს ქ. ქუთაისში ჰქონდათ „ონური შალების“ მაღაზია; „ონური შალი“ საუკეთესოდ ითვლებოდა მიმოქცევაში არსებულ ადგილობრივად დამზადებულ შალთა შორის.[49]

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რაჭაში გავრცელდა შინამრეწველური ფეიქრობის მეორე დარგი — ბამბის ქსოვა, თუ შალი ადგილობრივი მატყლიდან კეთდებოდა და ნაწილობრივ საქონლური ხასიათის ატარებდა, ბამბეული ქსოვილი ნაყიდი ბამბისაგან მზადდებოდა და ისიც მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილებისათვის.

რაჭა-ლეჩხუმში მეაბრეშუმეობის განვითარებლობის გამო, თითქმის არ ამზადებდნენ აბრეშუმის ნაკეთობებს შინაური მოთხოვნილებებისათვისაც კი.

რაჭა-ლეჩხუმში კაპიტალისტური თაოსნობის ობიექტს უმთავრესად ხე-ტყე წარმოადგენდა. საკვლევი ქვეყაინოის მდიდარი ტყეები მრეწველობის ამ დარგის განვითარებისათვის მყარ საფუძველს ქმნიდა; მაგრამ საქართველოს ამ კუთხეში მხოლოდ 3—4 ხე-ტყის სახერხი ქარხანა იყო აგებული, რომელთაგან ყველაზე უფრო დიდი 1901 წელს მოწყობილ იქნა სადმელის მთაზე. ამ საწარმოში მუდმივ და სეზონურ მუშათა რაოდენობა 60—70 კაცს შეადგენდა. დამზადებული მასალა (ფიცარი და ყავარი) მდ. რიონამდე ურმებით ჩაჰქონდათ, შემდეგ კი ტივებზე აწყობდნენ და გზავნიდნენ ქუთაისში.

უფრო დიდი რაოდენობით იგზავნებოდა ქუთაისში დაუმუშავებელი ხე-ტყე, რომელსაც რაჭის მთებში სპეციალურად დაქირავებული პირები ამზადებდნენ.[50]

რიონის გასწვრივ მდებარე მრავალი მცირემიწიანი სოფლების მცხოვრებთათვის რიონზე ხე-ტყის დაცურება შემოსავლის უმნიშვნელოვანეს წყაროდ იქცა.[51]

ხე-ტყის გარდა რაჭიდან საკმაო რაოდენობით გაჰქონდათ ალებასტრი.[52]

ლეჩხუმის მაზრის დერჩისა და ონჭეშის სასოფლო საზოგადოებებში მოიპოვებოდა ბარიტი, XIX ს. მიწურულიდან ამ მინერალზე მოთხოვნილების მკვეთრად გაზრდასთან ერთად დაიწყეს ბარიტის გაზიდვა ლეჩხუმიდან.[53]

რაჭაში, სოფელ ცახში აღმოჩენილი კარგი ხარისხის თეთრი ფერის ცარცის ეკონომიურად გამოყენებლად, 1889 წელს მოეწყო ცარცის გასაწმენდი პატარა საწარმო.[54]

რაჭა-ლეჩხუმის არასასოფლო სამეურნეო შრომაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ხელოსნობას ეკავა. ხელოსნობის დარგებიდან რაჭაში მის დევდნენ მჭედლობას, დურგლობასა და კალატოზობას, ლეჩხუმში კი მეთუნეობას.

როგორც მიუთითებდით მჭედლობას რაჭაში დიდი ხნის ისტორია ჰქონდა. XIX ს. მეორე ნახევრიდან რაჭველი მჭედლები თანდათან გადავიდნენ რუსეთიდან შემოტანილ რკინის დამუშავებაზე. XX საუკუნის დასაწყისისათვის წუდისის მაღაროები საბოლოოდ მიტოვებულ იქნა, რადგან ადგილობრივად მოპო-

---

[49] СМОМПК, вып. 22, стр. 192.
[50] ალ. ბენდიანიშვილი, რაჭის სოფელი 1900-იან წწ. გვ. 82—83.
[51] СМОМПК, вып. 22, 1897, გვ. 191.
[52] იქვე, გვ. 195.
[53] Обзор Кутаисской губернии за 1906 год, Кутаиси, 1908, ведомость 14.
[54] გაზეთი „ივერია“, 1889 წ., 20 სექტემბერი, № 198, გვ. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეებულმა და გადაღნობილმა რკინამ მაღალი თვითღირებულების გამო ვერ გაუძლო რუსეთიდან შემოზიდულის კონკურენციას.

რაჭა-ლეჩხუმის თითქმის ყოველ სასოფლო საზოგადოებაში მუშაობდა მჭედელი. ყველაზე მეტი რაოდენობით სამჭედლები თავმოყრილი იყო ონში, სორში, ღებში და ამბროლაურში.

რაჭაში დურგლებთან შედარებით მჭედელთა რიცხვი რამდენჯერმე ნაკლები იყო.[55] მიუხედავად ამისა, მათი ნახევარი თუ მუშაობდა ადგილზე, მეორე ნახევარი იძულებული იყო სამუშაო მაზრის ფარგლებს გარეთ ეძებნა. მჭედელთა მრავალრიცხოვნება ახსნება წარმოების ამ დარგის ტრადიციულობით რაჭაში, ხოლო ამ სპეციალობის ხელოსანთა დიდი რაოდენობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში სამუშაოდ წასვლა გამოწვეული იყო ადგილობრივად რკინის მოპოება-გამოდნობის შეწყვეტით და ამ მთიანი კუთხის უგზოობით.

როგორც აღვნიშნეთ, რაჭაში ხელოსანთა ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან ჯგუფს ხეროები (плотники) და დურგლები (столяры) შეადგენდნენ. XX საუკუნის დასაწყისში ქუთაისის გუბერნიაში აღრიცხული ხეროებისა და დურგლების 2/5-მდე საკლეკე ქვერაიონზე მოდიოდა.[56]

მეთუნეობას საკვლე ქვერაიონში მხოლოდ ლეჩხუმში მისდევდნენ. ლეჩხუმში კერამიკული წარმოება ორი სახით იყო წარმოდგენილი: მექვეკრეობით და მეჭურჭლეობით. მექვეკრეობაში ძირითადად მამაკაცები იყვნენ დაკავებულნი, ქვეკრების დამზადების მთავარ ცენტრად სოფელი საირმე ითვლებოდა. მეჭურჭლეობაში მამაკაცებთან ერთად ქალებიც იყვნენ ჩაბმულნი.

სოფ. საირმე მდ. რიონის მარჯვენა მხარეს მდებარეობს, ლაჯანურასა და რიონს შორის. კერამიკული წარმოების ძირითადი კერა ზემო საირმეში იყო, რომელშიდაც რამდენიმე ათეული „მიწა მოხელე" ითვლებოდა. „მიწა" („თიხა" ლეჩხუმში არ იხმარებოდა, თიხას „მიწას" ეძახდნენ და მასზე მომუშავეს „მიწის მოხელეს"), რომლისაგანაც მზადდებოდა საირმული ქვევრ-ჭურჭელი, კახურაში (ადგილის სახელია) მოიპოვებოდა, რომელიც ს. საირმედან სამხრეთ-აღმოსავლეთით 4 კილომეტრზე მდებარეობს.[57] საირმეში დამზადებული მეთუნეობის პროდუქცია საღდებოდა, როგორც ლეჩხუმში, ისევე რაჭაში.

მეუხედავად ტერიტორიული სიახლოვისა, ლეჩხუმში დამზადებული ქვევრებისა და სხვა ჭურჭლეულის რაჭაში გადაზიდვა უაღრესად ძნელდებოდა საგზაო ქსელის საეალალო მდგომარეობის გამო.

გასული საუკუნის მიწურულში ე. წ. ოსეთის სამხედრო გზის გაყვანამ, რომელიც რიონს გასდევდა და ქუთაისს ალაგირთან აკავშირებდა ვერ გადასწყვიტა რაჭის სატრანსპორტო სიძნელეები.

უგზოობა დიდად აფერხებდა საქართველოში უკვე იმ დროს საყოველთაოდ ცნობილ კურორტ უწერით სარგებლობას.

ქუთაისიდან რაჭაში, ოსეთის სამხედრო გზით, საქონლის მიტანა იმდენად ძვირი ჯდებოდა, რომ ვაჭრები არჩევდნენ ამ მიზნებისათვის გამოეყენებიათ ნაქერალის და შქმერის ძველი გზები. პირველი მათგანით ისინი უკავშირდებოდნენ ტყიბულის რკინიგზის სადგურს, მეორეთი კი — საჩხერისას. ეს გზები გაცილებით ცუდად იყო მოწყობილი, მაგრამ საქონლის გადმოტანა, აღგილობრივ-

---

55 Обзор Кутаисской губернии за 1906 год, ведомость 16.

56 ი. ქვე.

57 ფ. გაფდაფხაძე, მეჭურჭლეობა და მექვაბეობა ლეჩხუმში, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIV, თბ., 1947, გვ. 383.

ჩალვადრების იაფი შრომის გამოყენების წყალობით, ზემოთ აღნიშნული რკინიგზების სადგურებიდან უფრო იაფი უჯდებოდათ ვაჭრებს.[58]

დიდი საგზაო დანახარჯები რამდენჯერმე აძვირებდნენ რაჭაში შემოტანილ საქონელს და თანაც უძნელებდნენ მოსახლეობას მეღვინეობისა და მეცხოველეობის გასასყიდათ განკუთვნილ პროდუქციის გასაღებას.

რაჭისათვის XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში და XX საუკუნის ორ პირველ ათწლეულში დამახასიათებელი იყო ერთი სპეციფიკური მოვლენა, რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებში გაცილებით უფრო სუსტი სახით გვხვდებოდა, ეს იყო — „საშოვარზე“ გასვლა.

რამ გამოიწვია გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან რაჭის შრომისუნარიანი მამაკაცი მოსახლეობის დიდი რაოდენობით ყოველწლიურად საშოვარზე გასვლა?

ჩვენის აზრით ეს აიხსნება რაჭის ზოგიერთი გეოგრაფიული, ეკონომიური და ისტორიული თავისებურებით.

რაჭის მდებარეობა რიონის ქვაბულში საქართველოს ჩრდილოეთ საზღვართან უძნელებდა სამხრეთიდან შემოსულ აგრესორებს ჩვენი ქვეყნის ამ პროვინციის დარბევა-აწიოკებას. საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე სულ რამდენჯერმე თუ გამოჩენილა რაჭაში საგარეო მტერი და მაშინაც კი მოსახლეობას მოუხერხებია მთებში შეხიზნვა. აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით სვანეთ-რაჭის უბანში კავკასიონის უფრო გაუვალი და მაღალი ქედები მეტ საშუალებას აძლევდნენ ადგილობრივ მცხოვრებთ მტკიცედ შეეკრათ ძნელად მისადგომი ულტეტხილები და თავიდან აეცილებინათ ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე მთიელ ტომთა გამუდმებული თარეში (როგორიც იყო მაგალითად ლეკიანობა ქართლ-კახეთში). მართალია, დიდ ზიანს აყენებდა რაჭას შიდაფეოდალური ომები, მაგრამ მათ არ გამოუწვევიათ მოსახლეობის მასობრივი მოსპობა, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოს იმ კუთხეებში, რომელთაც უცხო მტერი თავს ესხმოდა. რაჭა საქართველოს იმ მცირერიცხოვან პროვინციებს ეკუთვნოდა, რომლებშიდაც XIX საუკუნის დასაწყისისათვის შედარებით მრავალრიცხოვანი მოსახლეობა იყო.

დასავლეთ საქართველოში მეფის რუსეთის ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ დაიწყო რაჭის მშვიდობიანი განვითარების ხანა. მაგრამ ამ კუთხის მთიანი და დანაწევრებული რელიეფი, ყამრიანის უქონლობა, სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწების სიმცირე, შეუძლებელს ხდიდა კულტურულ მცენარეთა ნათესების გაფართოებას; ყოველივე ამის შედეგად, შედარებით ჭარბი მოსახლეობის პირობებში, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, ადგილობრივად მოყვანილი ხორბლეულისა და ზოგიერთი სხვა საკვები მკვიდრთ აღარ ყოფნიდათ. მევენახეობა და მთ უფრო მეცხოველეობა მიუხედავად მათი საასქონლო ხასიათისა ვერ იძლეოდნენ დეფიციტური სურსათის შესყიდვისათვის საჭირო ფულად თანხებს.

წედისისა და სხვა ადგილების რკინის საბადოები უაღრესად არახელსაყრელი გამოდგნენ მათ ბაზაზე კაპიტალისტური სამთომადნო წარმოების მოწყობისათვის. იმ დროს არც რაიმე სხვა წიაღისეული აღმოჩნდა რაჭაში, როგორიც მაგალითად მანგანუმი იყო ზემო იმერეთში, რომ მის მოპოვებას დამატებითი სახსრები მიეცა მცირემიწიანი გლეხებისათვის.

[58] ალ. ბენდიანშვილი, დასახელებული ნაშრომი, 102—103.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჭის სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა არ იძლეოდა საშუალებას საქართველოს ამ პროვინციაში შემოტანილი ნედლეულის ბაზაზე შექმნილიყო კაპიტალისტური ტიპის ქარხნები და საწარმოები, რომლებიც გამოიყენებდნენ ადგილობრივ მუშახელს და მოსახლეობის საწარმოო ჩვევებს (მჭედლობა, დურგლობა, ფეიქრობა და სხვ.).

თუმცა საქართველოს ზოგიერთი პროვინცია XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჯერ კიდევ ნახევრად გაუკაცრიელებელი იყო და იქ შრომისმოყვარე რაჭველი გლეხების ჩასახლება უაღრესად ასწევდა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას, მეფის მთავრობა მხოლოდ რუსი ნოვოსელების ჩამოსახლებით იყო დაინტერესებული. ხოლო საკუთარი ინიციატივით რაჭის მცხოვრებთა გადასახლება აღმოსავლეთ საქართველოს ნარბევ მიწებზე და მით უფრო ჩრდილოკავკასიაში უდიდეს სიძნელეებს აწყდებოდა.

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ნელი ტემპები ვერ ქმნიდნენ მრეწველობის შრომატევადი დარგების განვითარების შესაძლებლობას, რის გამოც რაჭის მოსახლეობა დიდი რაოდენობით ვერ დასახლდა ქალაქებში და ვერ შეუდგა მასობრივად საფაბრიკო-საქარხნო შრომას.

ამიტომ რაჭის მეცრემიწიან გლეხობას მხოლოდ ერთი გზაღა ურჩებოდა: თავის პატარა ნაკვეთების დამუშავებასთან ერთად წასულიყო გარე სამუშაოებზე.

სარკინისგზო მშენებლობასთან ერთად ფართოვდებოდა საშოვარზე გასულთა მოქმედების არე; თუ გასული საუკუნის 60—70-იან წლებში რაჭველები საქართველოსა და კავკასიის ფარგლებს არ სცილდებოდნენ, 90-იანი წლებიდან ისინი აღწევდნენ რუსეთის იმპერიის თითქმის ყველა მხარეს. საშოვარზე გასულთა პროფესია მეტად მრავალგვარი იყო.

სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში რაჭის მშრომელები ეცნობოდნენ სოციალ-დემოკრატიულ იდეებსა და კლასობრივი ბრძოლის ფორმებს, რამაც ხელი შეუწყო 1905—1907 წწ. რევოლუციის დროს საკვლევ ქვეყანაში აქტიურ გამოსვლებს ბატონყმობის გადანაშთებისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ ცარიზმი სასტიკად გაუსწორდა სახალხო მოძრაობაში მონაწილეთ.

1917 წლიდან განსაკუთრებულ საკვლევი ქვეყანაონის მშრომელთა რევოლუციური ბრძოლა. 1921 წლის დამდეგიდან რაჭაში, ლეჩხუმში[59] და სხვა მხარეებში დაწყებულმა აჯანყებებმა, წითელი არმიის ნაწილებთან ერთად დაამხეს მენშევიკთა ბატონობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში.

К. Д. АНТАДЗЕ

ИСТОРИКО-ГЕОГРАФИЧЕСКИЙ ОЧЕРК РАЧА-ЛЕЧХУМИ

Резюме

Своеобразие географического положения и специфика природных условий Рача-Лечхуми определили особое значение этих провинций в экономической, политической и военной жизни Грузии на каждой ступени ее исторического развития и оказали сильное влияние на движение и

[59] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები. ნაწილი 1, თბ., 1957, გვ. 470.

ეროვნული ბიბლიოთეკა

размещение населения, развития хозяйства и формирование дорожной сети края.

Мелкие месторождения меди, олова, антимонита и железа Рача-Лечхуми особенно благоприятствовали росту производительных сил после перехода к металлическим орудиям.

С древнейших времен в Рача-Лечхуми обитало грузинское население, издавна здесь жили сваны, а затем их оттеснили карты. Эти изменения в размещении грузинских племен начались до возникновения классового общества и продолжились до позднего средневековья.

С IV века исследуемый край в грузинских источниках упоминается под названием Таквери (Такуери); с VIII века Таквери вошел в состав Абхазского грузинского государства.

Благодаря своеобразию географических условий Рача-Лечхуми сыграла выдающуюся роль во время борьбы грузинского народа за создание единого, независимого национального государства.

Гористый характер края, находящегося у Главного Кавказского хребта делал его недосягаемым для агрессоров, вторгающихся с южных границ Грузии.

Близость к Кутаиси, столице Грузии того времени, превратило этот горный край в удобное убежище и хранилище ценностей.

Цедисское железорудное месторождение в Верхней Раче снабжало железом ремесленников, кующих оружие для средневековой грузинской армии.

Обширные котлованы Рача-Лечхуми способствовали развитию сельского хозяйства, а окружающие их хребты и массивы охраняли население края от нашествия врагов и разорений.

При первом царе объединенной Грузии Баграте III, в 1010—1014 гг. было закончено строительство замечательного памятника грузинского зодчества Никорцминдского монастыря. Дошедший до наших дней отчет хозяйственной деятельности игумена Никорцминдского монастыря в XI веке, дает нам возможность восстановить картину хозяйства этого края в эпоху развитого феодализма.

В сельском хозяйстве Рача-Лечхуми резко выявлялась вертикальная зональность. Узкие долины Риони и его притоков были покрыты виноградниками. Выше, виноградники чередовались с полями, засеянными пшеницей и ячменем, а еще выше виноградники исчезали, а над полосой полей были раскинуты роскошные летние пастбища.

Солидные двухэтажные дома феодалов, вместе с помещениями специального назначения (людская, кухня, жилище для пастухов...) и хозяйственными постройками (амбар, погреб, хлев...) составляли комплексы феодальных дворов.

С XII века Рача-Лечхумские Эристави (воеводы), играли большую роль в политической жизни Грузии. В 80-ых годах XIII столетия Рача-Лечхумский Эристави был казнен царем Западной Грузии Давидом Русудановичем за то, что он изменил Родине и продался монголам, а Рача-Лечхумское саэриставо (воеводство) было и вовсе упразднено. Рачинское саэриставо было восстановлено лишь в 30-тых годах XVI века царем Имеретии Багратом Александровичем, во главе же провинции Лечхуми был поставлен, т. н. Лечхумский голова.

Турецкая агрессия и деградация грузинского феодализма во второй половине XVII века имели следствием крайнее ослабление царской власти в Западной Грузии. Этим воспользовались рачинские Эристави (воеводы) из фамилии Чхеидзе, они превратились в сильных тавадов (князей), проводивших независимую политику.

В последней четверти XVII века они всячески поддерживали про-

ეროვნული ბიბლიოთეკა

грессивного грузинского политического деятеля Карталинского цесаревича Арчила Вахтанговича и старались возвести его на Имеретинский престол. Во время этих междуусобных столкновений Рача была трижды разорена.

К концу XVII века, после эмиграции Арчила Вахтанговича в Россию, политическая деятельность Рачинских Эристави лишилась своих прогрессивных устремлений. В XVIII веке Рачинские князья ничем не отличались от других своевольных феодалов Западной Грузии, разоряющих страну в междуусобных боях и тем самым облегчающих Турции захват грузинских земель.

В 70-ых годах XVIII века провинция Лечхуми была захвачена мингрельскими князьями Дадиани.

Детальную географическую характеристику и карту Рача-Лечхуми в первой трети XVIII века составил знаменитый грузинский ученый Бахушти Багратиони.

В 1769 году царь Имеретии Соломон I смог одолеть примкнувшего к Турции рачинского князья Ростома. Ростом был казнен, а Рачинское княжество упразднено.

После смерти Соломона I в 1784 году, Рача и Лечхуми оказались втянутыми в новые феодальные распри Западно-грузинского государства.

С присоединением в 1810 году Имеретии к России Рача подчинилась русской администрации, а в Лечхуми упрочилась власть мингрельского князя.

В связи с попыткой русского духовенства в 1820 году провести церковную реформу в Западной Грузии, в Раче, также как и в Имеретии, вспыхнуло восстание, которое было подавлено вооруженной силой.

В 1857 году, после присоединения Мингрелии к России, Лечхумская провинция была преобразована в Лечхумский уезд.

Крепостное право было упразднено в Раче в 1865 году, а в Лечхуми в 1866 году.

Между зерновым хозяйством Верхней и Нижней Рачи и Лечхуми была некоторая разница. В Лечхуми, главным образом культивировали кукурузу и пшеницу, в Нижней Раче — пшеницу и кукурузу, а в Верхней Раче ячмень и картофель.

Вследствие почвенной и климатической пестроты и вертикальной зональности Рача-Лечхуми, урожаи в этих привинциях резко менялись, даже в пределах микро-районов.

Товарной отраслью сельского хозяйства Нижней Рачи и Лечхуми было виноградарство и виноделие. Виноградники были сосредоточены в долинах Риони, Цхенис-цхали и Ладжанури.

Распространение вредителей и заболевания лозы во второй половине XIX века сократило площадь, занятую под виноградниками и сделало эту отрасль сельского хозяйства более трудоемкой.

В Верхней Раче животноводство носило товарный характер и тем самым играло такую же роль, как виноградарство в Нижней Раче и Лечхуми. Недостаток в зимних пастбищах значительно затруднял развитие животноводства как в Верхней Раче, так и во всем исследуемом крае.

Вывоз товарной части продукции сельского хозяйства, а также изделий ремесленного и кустарного производства крайне затруднялся вследствие весьма плохого состояния дорог. Даже после проведения Военно-Осетинской дороги, транспортные затруднения, мешающие использованию природных богатств этого края, не были преодолены.

Во второй половине XIX века из Рачи, по реке Риони, сплавляли лес

ეროვნული ბიბლიოთეკა

в Кутаиси; к этому времени в Рачинском уезде работало несколько небольших лесопильных заводов.

Кустари изготовляли шерстяные и хлопчатобумажные ткани, первые из местного, а вторые из привозного сырья. Частично шерстяное производство имело товарный характер, хлопчатобумажное лишь потребительский.

Рачинские кузнецы-ремесленники, работавшие раньше на базе местной руды с XIX века начали в основном пользоваться привозным железом. Столяры и каменщики Рачи славились во всей Грузии. Лечхумские гончары изготовляли посуду местного потребления для Лечхуми и Рачи.

В последней четверти XIX и в начале XX веков огромное значение для населения Рачи приобрел отхожий промысел, который в других частях Грузии не получил подобного развития. Трудоспособные мужчины ежегодно в большом количестве временно покидали родной край и отправлялись искать работу в другие места.

Как указывалось выше, географическое своеобразие Рачи защищало эту часть Грузии от вторжений внешнего врага. Внутрифеодальные войны причиняли ей большой ущерб, но не вызывали такого массового истребления населения, как нашествия извне. Поэтому население Рачи к началу XIX века было сравнительно многочисленным.

После присоединения Грузии к России, здесь создались условия для мирного развития хозяйства, но горный и расчлененный рельеф этого края, отсутствие целинных земель, малоземелие, — все это делало невозможным увеличение площади под культурными растениями. Своего хлеба с середины XIX века населению не хватало, доход от виноделия и животноводства не покрывал расходов на покупки продовольствия.

В Раче того времени не были обнаружены такие богатства недр, разработка которых на подобие чиатурского марганца Верхней Имеретии могла бы дать дополнительные средства малоземельному крестьянству.

Транспортно-географические условия Рачи исключали возможность создания фабрик и предприятий капиталистического типа на базе завозного сырья.

Можно было поселить часть трудолюбивого рачинского крестьянства в малонаселенные, еще не оправившиеся от разорений районы Грузии, но царское правительство предпочитало переселять в Грузию новоселов из России и Германии.

Медленные темпы развития капитализма в Грузии неблагоприятствовали созданию трудоемких отраслей фабрично-заводского производства; поэтому подавляющее большинство населения Рачи было лишено возможности пересилиться в крупные города и пополнить собой ряды рабочего класса.

Поэтому у рачинского крестьянства оставался лишь один выход: обрабатывая свои маленькие участки, одновременно заняться и отхожим промыслом.

Расширение железнодорожной сети способствовало тому, что жители Рачи растекались в поисках работы не только по Грузии и Кавказу, но и по всей России.

В торгово-промышленных центрах выходцы из Рачи знакомились с социал-демократическими идеями и с формами классовой борьбы. Во время революции 1905 года в Рача-Лечхуми имели место активные выступления против самодержавия и пережитков крепостничества. После поражения первой русской революции царизм жестоко репрессировал участников народного восстания.

ეროვნული ბიბლიოთეკა

С 1917 года революционная борьба в Раче возобновилась с новой силой.

В начале 1921 года в Раче, Лечхуми и других уездах начались восстания. Воставшие вместе с частями Красной Армии свергли господство меньшевиков и установили Советскую власть в Грузии.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. აბესაძე ც., ბახტაძე რ., დვალი თ., ჯაფარიძე ო., სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიისათვის საქართველოში, თბ. 1958.

2. ბენდიანიშვილი ალ., რიგის მაზრის სოფელი 1900-იან წწ. (ს. წედისი), თბ., 1952, მანქანაზე ნაბეჭდი საკანდიდატო დისერტაცია, ინახება სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

3. ბურჯანაძე შ., სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი, სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 41, 1950.

4. გოგებაშვილი გ., ძველი ქართული სამთამადნო და მეტალურგიული წარმოების ნაშთები სოფ. ღებთან, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1952, ტ. 17, № 3.

5. ნიკოლოზ დადიანის საქართველოს ისტორია, Такаишвили Е., Описание рукописей «Общества распространения граммотности среди грузинского населения», т. I. вып. 1, Т., 1902—1904.

6. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თბ., 1941.

7. იმერეთის ისტორია აღწერილი ბატონიშვილი ვახუშტის მიერ, თბ., 1902.

8. კაკაბაძე ს., წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წიგნი, I თბ., 1914.

9. კეკელიძე ა., საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1954.

10. პოლიეკტოვი, სტოლნიკ ტოლნიანოვისა და დიაკ ივანეულის ელჩობა იმერეთში 1650—1652 წწ., თბ., 1926.

11. ქორდანია თ., ქრონიკები, წიგნი II თბ., 1897.

12. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი 1, თბ., 1957.

13. ქართლის ცხოვრება, ტ. 1, თბ., 1955.

14. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1906.

15. წერეთელი აკაკი, სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 8, თბ., 1958.

16. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წიგ. 2, თბ., 1948.

17. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წიგ. 4, თბ., 1948.

18. Акты, собранные Кавказскою Археографической комиссиею, т. II, Тиф. 1868.

19. Бахтадзе И. Л., Экономический быт государственных крестьян Рачинского уезда, Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. II, Тиф., 1886.

20. Гильденштедт И. А., Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа, СПБ, 1809.

21. Кондратенко Е., Сборник статистических данных о землевладении и способах хозяйства в пяти губерниях Закавказского края, Т., 1899.

22. Носович Д. П., Экономический быт государственных крестьян в Лечхумском уезде, Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. I, Тиф., 1885.

23. Обзор Кутаисской губернии за 1906 год, Кутаис, 1908.

24. Природные рессурсы Грузинской ССР, т. 1, М., 1958.

25. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа (СМОМПК), вып. XI, 1891; вып. 22, 1897, вып. 27, 1900.

26. Цагарели А. А., Грамоты и другие исторические документы, относящиеся к Грузии, т. I, СПБ, 1891; т. II, вып. 1, СПБ, 1898.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია — ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ. ტ. XV. 1960
Академия наук Груз. ССР—Труды Института географии им. Вахушти, т. XV, 1960

ვ. ჯაოშვილი

რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობა და ქალაქები

მოსახლეობის დინამიკა, სიმჭიდროვე და ეროვნული შემადგენლობა

რაჭა-ლეჩხუმს დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი უკავია და თავისი ბუნებრივი პირობებით რამდენადმე იზოლირებული მდებარეობა აქვს. რესპუბლიკის დანარჩენი ტერიტორიიდან იგი გამოყოფილია საკმაოდ მაღალი ქედებით და მხოლოდ მდინარეთა ვიწრო ხეობებით ან საუღელტეხილო გზებით უკავშირდება მას. მოსახლეობა აქ განლაგებულია რიონის, ცხენისწყლის, ლაჯანურის და მათი შენაკადების შედარებით ვიწრო და ღრმა ხეობებში, რომლებიც ალაგ-ალაგ მეტად თუ ნაკლებად ფართოვდებიან და დასახლებისათვის გამოსაყენებელი ხდებიან. ეაკე რელიეფს რაჭა-ლეჩხუმში სრულიად უმნიშვნელო ფართობი უჭირავს, ამიტომ თითქმის ყველა დასახლებული პუნქტი გორაკ-ბორცვებზე და მთის კალთებზეა შეფენილი. ეს კალთები ერთმანეთისაგან განსხვავდება დახრილობითა და დანაწევრების ხარისხით, აგრეთვე ექსპოზიციით. რელიეფის მეტისმეტი დანაწევრების გამო დასახლებისათვის და დამუშავებისათვის ვარგისი ფართობების ხვედრითი წონა ძალზე მცირეა. რის შედეგადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე რაჭა-ლეჩხუმის მთელ ტერიტორიაზე განაწილებულია არ არის დიდი.

სწორედ ამის გამო, რომ დამუშავებისათვის ვარგის მიწებს რაჭა-ლეჩხუმში მცირე ფართობები უჭირავთ და ეს მიწები უმეტეს შემთხვევაში არ გამოირჩევიან მაღალი ნაყოფიერებით, ჯერ კიდევ გასული საუკუნის რეფორმის შემდგომ პერიოდში დაიწყო ამ მხარეში მოსახლეობის შედარებითი სიჭარბე. ერთი მხრივ, მიწების სივიწროვე და, მეორე მხრივ, მშრომელი ხალხის ექსპლოატაციისმამუღლებისა და ახლად წარმოქმნილი ვაჭარ-კულაკების მიერ მძიმე მდგომარეობაში აყენებდა რაჭველ და ლეჩხუმელ გლეხს და აიძულებდა მას გარესამუშაოებზე წასვლით გაეჩინა საჩრო თავისი ოჯახისათვის. რკინიგზების გაყვანამ და სამრეწველო განვითარების შედეგად საქართველოს ქალაქების შედარებით სწრაფმა ზრდამ დიდი რაოდენობით მიიზიდა ჭარბი მოსახლეობა სოფლებიდან. ამ გზით დაიწყო რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის ემიგრაცია საქართველოს ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში და მის ფარგლებს გარეთაც. რაც უფრო მეტად ვითარდებოდა კაპიტალისტური მეურნეობა, მით უფრო ფართოდ იშლებოდა ეს პროცესი. დიდი რაოდენობით მიდიოდნენ რაჭველი და ლეჩხუმელი გლეხები მშენებლობებზე სამუშაოდ, მტვირთავ მუშებად, პურის მცხობლებად, მზარეულებად და რიგ სხვა სამუშაოებზე. ნაწილი ამ მოსახლეობისა სეზონურ სამუშაოებზე იმყოფებოდა და ზაფხულის პერიოდში კვლავ უბრუნდებოდა თავის ოჯახს, ნაწილი კი თანდათან წყვეტდა კავშირს სოფელთან და მკვიდრდებოდა ქალაქად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფლის მოსახლეობის ქალაქად გადასვლის პროცესი გრძელდება საბჭოთა წლებშიც. მრეწველობის სწრაფი აღმავლობის შედეგად სოფლის ახალგაზრდობა თანდათან ებმება უფრო კვალიფიციურ შრომაში, მიიმზიდვრება ქალაქად უმაღლესი ცოდნის მისაღებად და ა. შ. ამის გამო ქალაქების მოსახლეობის ხვედრითი წონა სწრაფად იზრდება მოსახლეობის საერთო რაოდენობაში. ქალაქების და სამრეწველო ცენტრების უდიდესი ნაწილი განლაგებულია ეკონომიურად უფრო განვითარებულ რაიონებში, რომლებიც დასახლებისათვის უკეთესადაა ათვისებული და სატრანსპორტო ქსელის სიხშირითაც გამოირჩევიან. რადგან რაჭა-ლეჩხუმის მდებარეობა და ბუნებრივი პირობები არ ქმნიან ასეთი განვითარებისათვის საჭირო წინამძღვრებს, აქ არც საქალაქო ცხოვრებას მიუღია ფართო ხასიათი. ასე რომ, ამ მხარის სოფლის მოსახლეობა უფრო მარისაკენ მიისწრაფოდა და აქაურ ქალაქებში მკვიდრდებოდა. რაჭა-ლეჩხუმის მდებარეობის სუსტი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ იგი საკმაოდ დაცილებულია საქართველოს მსხვილი ეკონომიური ცენტრებიდან, რკინიგზის მაგისტრალებიდან და მნიშვნელოვანი სანავსადგურო ქალაქებიდან. ადგილობრივი ბუნებრივი რესურსები არ იძლევიან მძლავრი სამრეწველო ცენტრების შექმნის საშუალებას, ხოლო სასოფლო-სამეურნეო წარმოების არეალი იმდენად შეზღუდულია, რომ მის საფუძველზე შეუძლებელია გაიშალოს ისეთი ეკონომიური ბაზა, რომელიც დიდი ოდენობით მიიზიდავდა მუშახელს. ამ მიზეზით უნდა ახსნას ის გარემოება, რომ აქ არსებული ქალაქი ონი, იგრეთვე დაბები — ამბროლაური და ცაგერი ძალზე ნელა ვითარდებიან და მოსახლეობის მიზიდულების მნიშვნელოვან ცენტრებს არ წარმოადგენენ.

ყველა ამ მოვლენამ თავისი ზეგავლენა მოახდინა რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის დინამიკაზე უკანასკნელი 70—80 წლის მანძილზე და გამოიწვია ამ მხარის მოსახლეობის ხვედრითი წონის თანდათან შემცირება საქართველოს მთელ მოსახლეობაში, რასაც ნათლად გვიჩვენებს ქვემოთ მოტანილი ცხრილი.[1]

ცხრილი 1

რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის დინამიკა[2]

ადმინისტრაციული რაიონები	მოსახლეობის რაოდენობა			
	1886 წ.	1926 წ.	1939 წ.	1959 წ.
ონის რაიონი	30200	2[illegible]270	28654	218[illegible]0
ამბროლაურის რაიონი	34055	40170	38191	268[illegible]0
ცაგერის რაიონი	28036	31852	32281	27600
სულ რაჭა-ლეჩხუმი	92291	10[illegible]292	99126	76200
სულ საქართველოს მოსახლეობა	1697700	2677200	3542300	404[illegible]600
რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის ხვედრითი წონა საქართველოს მოსახლეობაში (პროცენტობით)	5,41	3,72	2,80	1,[illegible]8

[1] მოსახლეობის რაოდენობა 1886, 1926 და 1939 წლებში აღებულია დასახლებული ადმინისტრაციული რაიონების თანამედროვე საზღვრებში.

[2] ვაზაშტის სახ. გეოგრაფიის, ინსტიტუტის საფონდო მასალები, საქმე № 676, 1958

[3] გაზეთი „კომუნისტი", 1959 წ., 17 ივლისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორც ვხედავთ, უკანასკნელი 73 წლის მანძილზე რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის ხვედრითი წონა საქართველოს მთელ მოსახლეობაში შემცირდა თითქმის სამჯერ (5,44 %-დან 1,88 %-მდე). მაშინ, როდესაც აღნიშნულ პერიოდში მთელი საქართველოს მოსახლეობა საკმაოდ სწრაფად იზრდებოდა (გადიდდა დაახლოებით 2,4-ჯერ), რაჭა-ლეჩხუმში 1959 წელს ბევრად ნაკლები იყო მოსახლეობის რიცხვი, ვიდრე 1886 წელს. საყურადღებოა, რომ საქართველოს ბარის არც ერთ რაიონში არ ჰქონია ადგილი მოსახლეობის ამსოლუტურ შემცირებას 1886 წელთან შედარებით. ამ მეტად თავისებურ მდგომარეობაში რომ გავერკვევთ, საჭიროა უფრო დეტალურად გავეცნოთ რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის მაჩვენებლებს.

პირველ ყოვლისა, განსახილველი პერიოდი უნდა გაიყოს ორ ნაწილად. პირველ მათგანს მიეკუთვნება 1886—1926 წლები, ე. ი. მეფის ხელისუფლების, მეწმეველების პერიოდის და საბჭოთა წყობილების დასაწყისი წლები, მეორეს კი — 1926—1959 წლები. პირველ პერიოდში, მართალია შედარებით მცირე ოდენობით, მაგრამ მოსახლეობა მაინც გაიზარდა. იმავე პერიოდში საქართველოს მთელი მოსახლეობა გადიდდა 57,7 %-ით, რაჭა-ლეჩხუმისა კი მხოლოდ 9,7 %-ით. მოსახლეობის ნელი ტემპით ზრდა რაჭა-ლეჩხუმში იმის შედეგი იყო, რომ, ჯერ ერთი, მეცხოვრებთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიდიოდა თავისი მშობლიური კუთხიდან და, მეორეც, უარყოფითად იმოქმედა ამ მიმართულებით პირველმა მსოფლიო ომმა, რომელმაც იმსხვერპლა ბევრი ადამიანის სიცოცხლე და გამოიწვია დაბადებათა რიცხვის შესამჩნევი კლება.

მეორე პერიოდში (1926—1959 წწ.) დაიწყო რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის შემცირება და ეს პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა 1939—1959 წლებში, ე. ი. მეორე მსოფლიო ომისა და მის მომდევნო წლებში. აშკარაა, რომ ომიც უარყოფით გავლენასთან ერთად კვლავ გრძელდებოდა მოსახლეობის წასვლა სხვა რაიონებში. სამამულო ომისა და მის მომდევნო პერიოდში ადგილი ჰქონდა არა მარტო ინდივიდუალურ მიგრაციას, არამედ სოფლის მოსახლეობის ორგანიზებულ ჩასახლებას რაჭა-ლეჩხუმიდან სხვა მხარეებში. საკმაოდ დიდი რაოდენობით ჩასახლდა აქედან მოსახლეობა მესხეთში, ქვემო ქართლში, კახეთში, აფხაზეთში და საქართველოს რიგ სხვა კუთხეებში. რაჭა-ლეჩხუმის ისეთი სოფლებიდან, როგორიცაა ოფიტარა, მუხურა, ოყურეში, ლუხვანო, წიფერჩი (ცაგერის რ.), ურავი, სხვავა (ამბროლაურის რ.), ღუნდა, ხეკა, ვომი, ფარახეთი (ონის რ.) და სხვ., ათასობით მეცხოვრები ჩასახლდა საქართველოს ბარის რაიონებში. კიდევ უფრო ინტენსიურად წარმოებდა მოსახლეობის წასვლა 1944—1946 წლებში. უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ბევრი ლეჩხუმელი გლეხის ოჯახი ჩასახლდა ინდივიდუალური წესით ქვემო იმერეთის სოფლებში.

რადგან თვით რაჭა-ლეჩხუმში სუსტადაა განვითარებული მრეწველობა, ნაწილი მოსახლეობისა აქედან მიდიოდა რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში და სამრეწველო-სატრანსპორტო ცენტრებში. მაგრამ მოსახლეობის შემცირება არ გამოუწვევია მარტო აღნიშნულ მიზეზებს, თუმცა სხვა რაიონებში ჩასახლებას ბევრ ადამიანს გავლენა მოახდინა ამ მიმართულებით. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ ქალაქად მიდიოდა მოსახლეობა ყველაზე უფრო მწარმოებლური ნაწილი — ახალგაზრდობა და შრომისუნარიანი მამაკაცები. ამას კი შედეგად მოჰყვა დაბადებათა რიცხვის შემცირება და სახეზე მყოფი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლეობის ბუნებრივი ზრდის ტემპის შენელება. ამ მიზეზით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ რაჭა-ლეჩხუმში და, განსაკუთრებით, ამბროლაურის და ონის ადმინისტრაციულ რაიონებში ბევრად უფრო ნაკლებია მოსახლეობის ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ზ რ დ ა, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში ან მეზობელ ბარის რაიონებში.

ქვემოთ მოგვყავს რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის მაჩვენებლების შედარება მთლიანად რესპუბლიკისა და მისი ცალკეული მხარეების მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის მონაცემებთან.

ცხრილი 2

მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა

რ ა ი ო ნ ი	1950 წელი			1957 წელი		
	ყოველ ათას სულ მცხოვრებზე			ყოველ ათას სულ მცხოვრებზე		
	დაიბადა	გარდაიცვალა	ბუნებრივი ნამატი	დაიბადა	გარდაიცვალა	ბუნებრივი ნამატი
ონის რაიონი	22,0	10,0	12,0	18,0	9,0	9,0
ამბროლაურის რაიონი	14,0	6,3	7,7	15,7	8,5	7,2
ცაგერის რაიონი	20,9	7,8	13,1	20,1	7,7	12,4
ქვემო იმერეთი	—	—	—	22,0	6,8	15,2[4]
ზემო იმერეთი	—	—	—	24,6	7,1	17,5[5]
მთლიანად რესპუბლიკა	—	—	—	23,5	6,6	16,9[5]

მოტანილი მონაცემები ნათლად გვიჩვენებენ, რომ რაჭა-ლეჩხუმი ბევრად ჩამორჩება მოსახლეობის ბუნებრივი მატებით როგორც მთლიანად რესპუბლიკას, ისე მეზობლად მდებარე ქვემო და ზემო იმერეთს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ასეთი სხვაობის წარმომქმნელია უმთავრესად დაბადებათა მცირე რიცხვი რაჭა-ლეჩხუმში. ეს უკანასკნელი გარემოება კი იმის შედეგია, რომ შესასწავლ რაიონში დარღვეულია მოსახლეობის ნორმალური ა ს ა კ ობ რ ი ვ ი ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა. რაჭა-ლეჩხუმის სოფლებში შესამჩნევად მეტია 50 წელზე უხნესი მცხოვრებლების ხვედრითი წონა მოსახლეობის მთელ რაოდენობაში, ვიდრე საქართველოს სხვა რაიონებში.

დაბადებათა სიმცირის მაჩვენებელია აგრეთვე 19 წლის ასაკამდე ბავშვებისა და ახალგაზრდობის შედარებით მცირე ხვედრითი წონა მოსახლეობის მთელ რაოდენობაში. 1957 წლის ბოლოს აღნიშნული ასაკის მცხოვრებთა ხვედრითი წონა რაჭა-ლეჩხუმის მთელ სოფლის მოსახლეობაში შეადგენდა 33,4 %-ს, ხოლო ზემო იმერეთში (1955 წელს) და გარე კახეთში (1953 წელს) — 40,8 %-ს.

ამრიგად, რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოს ბარის რაიონების მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურისაგან, რაც გამოწვეულია ამ მხარის მოსახლეობის მექანიკური კლებით და მის შედეგად წარმოქმნილი ნელი ბუნებრივი ზრდით.

რაჭა-ლეჩხუმი უძველესი დროიდანაა დასახლებული ქართველებით და ამჟამადაც გამოირჩევა მოსახლეობის საკმაოდ ერთგვაროვანი ეროვნული შემად-

[4] 1956 წლის მონაცემებით.
[5] 1955 წლის მონაცემებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენლობით. ასეთ გარემოებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ საქართველოს ეს კუთხე საკმაოდ მოცილებით მდებარეობს მთავარი საკომუნიკაციო მაგისტრალებიდან და აქ უფრო ნაკლებად ხდებოდა მოსული მოსახლეობის დამკვიდრება. უკანასკნელ ხანებამდე მხოლოდ ქალაქ ონში და სოფელ ლაილაშში ცხოვრობდნენ ებრაელები და ნაწილობრივ სომხები. იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელ წლებში ლეჩხუმში წარმოებს მსხვილი ჰიდროელექტროსადგურის (ლაჯანურჰესის) მშენებლობა, ხოლო რაჭაში ვითარდება სამთო-მოპოვებითი მრეწველობა, აქ უკვე გაჩნდა რუსი მოსახლეობა და ზოგიერთი სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც; რუსები მცირე რაოდენობით დამკვიდრდნენ აგრეთვე ამ მხარის დაბებსა და ქალაქში. საკმაოდ დიდი რაოდენობით ცხოვრობენ რუსები სოფელ ორბელის მეზობლად მდ. ლაჯანურის მარცხენა სანაპიროზე წარმოქმნილ მშენებელთა დასახლების ცენტრალურ უბანში. აგრეთვე სოფელ ალამასია და აკარასთან გაშენებულ დასახლებაში. მაგრამ ეს მოსახლეობა აქ დროებით ცხოვრობს და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მოსულთა მცირე რიცხვი თუ დამკვიდრდება ადგილობრივ. მათგან განსხვავებით, მუდმივ სამუშაოზეა ის რუსი მოსახლეობა, რომელიც ჩორდის (ონის რაიონი) ბარიტის წარმოებაშია ჩაბმული; მათი რიცხვი აქ 200—300 კაცს არ აღემატება. მნიშვნელოვანი რაოდენობით მონაწილეობენ რუსები აგრეთვე სხვადასხვა გეოლოგიურ-საძიებო პარტიების მუშაობაში, კერძოდ, შაორის ქვანახშირის ძიებაში. აქ შექმნილია მუშათა დაბა-ხარისთვალა, რომლის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი რუსებისაგან შედგება.[6] რაჭა-ლეჩხუმის მეურნეობის დანარჩენ დარგებში თითქმის მთლიანად ადგილობრივი ქართველი მოსახლეობაა ჩაბმული.

როგორც ვხედავთ, რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის დინამიკას გამომსახველია არა მარტო მცხოვრებთა მნიშვნელოვანი ნაწილის წასვლა ამ მხარიდან, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის შევსებაც გარედან მოსულთა მიერ. ამ უკანასკნელთა შორის მცირე ნაწილი მკვიდრდება ადგილობრივ. უდიდესი ნაწილი კი დროებით მცხოვრებად ითვლება.

უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე მოსახლეობის მნიშვნელოვან ტერიტორიალურ გადაადგილებას აქვს ადგილი აგრეთვე თვით რაჭა-ლეჩხუმის შიგნით. ადმინისტრაციული რაიონების ცენტრები — ქალაქი ონი, დაბა ამბროლაური და დაბა ცაგერი იზიდავდნენ სოფლის მოსახლეობას, რის შედეგადაც

ცხრილი 3

რაჭა-ლეჩხუმის სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის დინამიკა

წლები	რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობა				საქართველოს მთელი მოსახლეობიდან ცხოვრობს		რაჭა-ლეჩხუმის ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა მთელი საქართველოს ქალაქების მოსახლეობაში (%%)
	სოფლის		ქალაქის				
	აბსოლუტური	პროცენტი	აბსოლუტური	პროცენტი	სოფლად (პროცენტ.)	ქალაქად (პროცენტ.)	
1886	92291	100	—	—	88,5	11,5	—
1926	96504	95,3	4788	4,7	77,8	22,2	0,8
1939	93611	94,4	5515	5,6	69,9	30,1	0,5
1959	63900	83,7	12.00	16,3	58,1	42,4	0,7

[6] ხარისთვალა ადმინისტრაციულად ტყიბულის რაიონში შედის და ამიტომ რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობაში ამ დაბის მცხოვრებლები არ შეგვყავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანდათან იზრდებოდა ქალაქად მცხოვრებთა ხვედრითი წონა რაჭა-ლეჩხუმის მთელ მოსახლეობაში.

1926 წლიდან 1959 წლის 15 იანვრამდე ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წონა რაჭა-ლეჩხუმის მთელ მოსახლეობაში მართალია გაიზარდა 4,7 %-დან 16,3 %-მდე, მაგრამ ამ პერიოდის ბოლოსათვისაც ძალზე მცირე იყო ქალაქად მცხოვრებთა რაოდენობა. გარდა მაღალმთიანი რაიონებისა, საქართველოს არცერთ მხარეში არ არის ასე მცირე ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი რაოდენობა. თუ რესპუბლიკის მოსახლეობის მთელ რაოდენობაში რაჭა-ლეჩხუმის ხვედრითი წონა 1,88 %-ს შეადგენს, ანალოგიური მაჩვენებელი ქალაქის მოსახლეობაში არ აღემატება 0,7 %-ს. აქედან ჩანს, თუ რამდენად სუსტადაა განვითარებული ქალაქური ცხოვრება ამ მხარეში. ამჟამად აქ არსებობს ერთი ქალაქი (ონი) და ორი დაბა (ამბროლაური და ცაგერი), რომლებიც ამავე დროს ადმინისტრაციული რაიონების ცენტრებსაც წარმოადგენენ. ამ პუნქტებში სუსტადაა განვითარებული მრეწველობა: მათ არ გააჩნიათ აგრეთვე სხვა რაიმე სერიოზული სამეურნეო ფუნქციები, ამიტომ სოფლის მოსახლეობას ისინი იზიდავენ მეტად ზეზღუდული რაოდენობით, რის გამო ნელა იზრდებიან. ეს უკანასკნელი გარემოება მათი სამეურნეო განვითარების ჩამორჩენით იხსნება. ონის, ამბროლაურისა და ცაგერის არახელსაყრელი ეკონომიურ-გეოგრაფიული მდებარეობა მათი ეკონომიკური ჩამორჩენის მთავარი მიზეზია. სწორედ ამიტომ რაჭა-ლეჩხუმი ჩამორჩა ქალაქების განვითარებით და ამ მხრივ ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე დგას საქართველოს ცალკე კუთხეებს შორის. ასეთ მდგომარეობას ადგილი აქვს მიუხედავად იმისა, რომ 1926 წლიდან 1959 წლამდე აქ ქალაქების მოსახლეობა გაიზარდა 2,5 ჯერ. მაგრამ ამჟამადაც (1959 წ.) ქალაქების მოსახლეობის ხვედრითი წონა რაჭა-ლეჩხუმის მთელ მოსახლეობაში არ აღემატება 16,3 %-ს, მაშინ, როდესაც ანალოგიური მაჩვენებელი მთელი რესპუბლიკისათვის შეადგენს 42,4 %-ს.

ხსენებულ პერიოდში სოფლის მოსახლეობის დინამიკა რაჭა-ლეჩხუმში 1926—1959 წლებში. ქალაქის მოსახლეობა ასე თუ ისე მაინც იზრდებოდა, სოფლის მოსახლეობა კი უფრო სწრაფად მცირდებოდა, ვიდრე რაჭა-ლეჩხუმის მთელი მოსახლეობა. აღნიშნულ პერიოდში მთელი მოსახლეობა შემცირდა 101,3 ათასიდან 76,2 ათასამდე, ანუ 24,8 %-ით, ხოლო სოფლის მოსახლეობა 96,5 ათასიდან 63,9 ათასამდე, ანუ 33,8 %-ით. სოფლის მოსახლეობა მცირდებოდა არა მარტო იმის შედეგად, რომ საერთოდ მოსახლეობა მიდიოდა რაჭა-ლეჩხუმის ფარგლებს გარეთ, არამედ შიდა მიგრაციის შედეგადაც, რაც გამოი-

ცხრილი 4

რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის სიმჭიდროვე

ადმინისტრაციული რაიონები	მოსახლეობის რაოდენობა 1957 წ. ბიბლიოთ.	მთელი ტერიტორია კვ. კილომეტრებში	ცხოვრებთა რაოდენობა ერთ კვ. კმ-ზე	1 კვ. კმ. სასოფლო-სამეურნეო ფართობზე მოდის მცხოვრები	1 კვ. კმ. დამუშავებულ ფართობზე მოდის ცხოვ
ონის რაიონი	25740	1237,5	20,8	88,2	322,6
ამბროლაურ. რაიონი	31733	1159,5	27,4	118,8	31[illegible],6
ცაგერის რაიონი	28759	820,4	35,0	145 5	273,4
სულ რაჭა-ლეჩხუმი	86232	3217,4	26,8	113,8	301,0
სულ საქართველო	3970000[7]	70166,2	57,0	144,7	312,4

[7] 1956 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახებოდა ონის, ამბროლაურის და ცაგერის მოსახლეობის შევსებით იმავე ადმინისტრაციული რაიონების სოფლის მოსახლეობის ხარჯზე.

მოსახლეობის ეკონომიურ-გეოგრაფიული შესწავლის თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მცხოვრებთა სიმჭიდროვე ტერიტორიის განსაზღვრულ ფართზე.

ცხრილი გვიჩვენებს, რომ რაჭა-ლეჩხუმში ორჯერ და კიდევ უფრო მეტად ჩამორჩება მოსახლეობის სიმჭიდროვით მთლიანად რესპუბლიკას. ეს ფაქტი აიხსნება პირველ ყოვლისა იმით, რომ აქ ძალზე მცირეა სასოფლო-სამეურნეო მიწების ხვედრითი წონა. ამ მიწებს უჭირავთ რაჭა-ლეჩხუმის მთელი ტერიტორიის 23,7 %, მაშინ, როდესაც მთლიანად რესპუბლიკაში ასეთი ფართობების ხვედრი წონა შეადგენს 39,3 %-ს. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა დამუშავებისათვის ვარგისი მიწებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების უზრუნველყოფის მხრივ: სახნავ მიწებს უკავია მთელი ტერიტორიის მხოლოდ 7,2 %, ხოლო ბრავალწლიან ნარგავებს 1,8 %. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ აქაური პიწები მეტწილად ფერდობებს წარმოადგენენ და ხშირ შემთხვევაში არ გამოირჩევიან მაღალი ნაყოფიერებით. მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვის ერთ-ერთი მიზეზია აგრეთვე რაჭა-ლეჩხუმის ქალაქების სუსტი განვითარება. მთავარი კი ის არის, რომ ამ მხარის მთელი ტერიტორიის სამ მეოთხედზე მეტი გამოუყენებელია დასახლებისათვის. მარტო ტყეებსა და ბუჩქნარებს უკავიათ მთელი მიწების სამი მეხუთედი, ხოლო უვარგის ფართობებს 17,3 %.

რაჭა-ლეჩხუმი ბევრად უფრო სუსტადაა დასახლებული, ვიდრე მის მეზობლად განლაგებული იმერეთი. მოსახლეობის საშუალო სიხშირით იგი ოთხჯერ და კიდევ უფრო მეტად ჩამორჩება ქვემო იმერეთს, ზემო იმერეთს კი სამჯერ. დასახლებით თანაბარი სიმჭიდროვითაა დასახლებული რაჭა-ლეჩხუმი და ბარე-კახეთი. მოსახლეობის სიხშირით რაჭა-ლეჩხუმს უკავია გარდამავალი ადგილი ბარის რაიონებიდან მაღალმთიან რაიონებისკენ: პირველზე ბევრად უფრო სუსტადაა დასახლებული და მეორეზე მჭიდროდ. ეს სავსებით კანონზომიერი მოვლენაა, რადგან თავისი მდებარეობითა და ბუნებრივი პირობებითაც იგი გარდამავალია ბარიდან მთისაკენ. მაშინ, როდესაც ლეჩხუმისა და ქვემო რაჭის განსახლების ზონები ძირითადად ბარს მიეკუთვნებიან, ზემო რაჭის უმეტესი ნაწილი მთიან ზონას წარმოადგენს.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის განსაზღვრულ ფართზე რაჭა-ლეჩხუმში ბევრად უფრო ნაკლებია მოსახლეობის რაოდენობა, ვიდრე საშუალოდ მთელ რესპუბლიკაში (ერთ კვად. კმ სას.-სამ. მიწებზე შესაბამისად მოდის 113,8 და 144,7 მცხოვრები). აქედან თითქოს ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობა უკეთაა უზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწებით, ვიდრე მთლიანად რესპუბლიკა. მაგრამ აქ მარტო რაოდენობითი მაჩვენებლები ვერ ასახავენ ჭეშმარიტ სურათს. საქმე იმაშია, რომ თვით სასოფლო-სამეურნეო მიწების შედგენილობა ინტენსიური მეურნეობისათვის უფრო ნაკლებად ხელსაყრელია რაჭა-ლეჩხუმში რესპუბლიკასთან შედარებით. კერძოდ, რაჭა-ლეჩხუმის სასოფლო-სამეურნეო მიწებში ჭარბობს საძოვრები, რომლებიც არ გამოიყენებიან ინტენსიური მეურნეობისათვის, ხოლო მთლიანად რესპუბლიკაში უფრო დიდი ადგილი უკავია დამუშავებისათვის ვარგის მიწებს. გარდა ამისა, თვით დამუშავებაში მყოფი მიწები რაჭა-ლეჩხუმში ხშირად ჩამორეცხილი არიან და ნაკლები ნაყოფიერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით ხასიათდებიან. ეს მიწები ხელოვნურად არ ირწყვიან და არც თე ისე იშვია-თად განიცდიან გვალვის უარყოფითი გავლენას. მართალია, ლეჩხუმში და ქვემო რაჭაში საკმაოდ დიდი ადგილი უკავია მევენახეობას, მაგრამ მოლიანად რაჭაში სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის შესაძლებლობანი უფრო შეზღუდულია, ვიდრე ბარის დაწინაურებულ რაიონებში. სასოფლო-სამეურნეო მიწების ერთეულზე აქ გაცილებით ნაკლებ შემოსავალს ღებულობენ, ვიდრე ქვემო იმერეთში, შიდა და ქვემო ქართლში და საქართველოს რიგ სხვა მხარეებში. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის ერთ სულზე მოდის 0,88 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწა, რესპუბლიკაში კი საშუალოდ 0,69 ჰა, შესასწავლი რაიონის მოსახლეობა უფრო არახელსაყრელ პირობებში იმყოფება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხრივ, ვიდრე საშუალოდ მთელი რესპუბლიკის მოსახლეობა. ეს სურათი კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ აღნიშნულ განგარიშებას ჩავატარებთ მარტო სოფლის მოსახლეობაზე. რაჭა-ლეჩხუმის სოფლის ერთ მეცხოვრეზე მოდის 0,98 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწა, ხოლო საშუალოდ რესპუბლიკაში კი 1,12 ჰა, ე. ი. აქ უკვე რაოდენობრივი უპირატესობაც ალარ არის რაჭა-ლეჩხუმის მხარეზე.

მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვით შესამჩნევად განსხვავდება ერთმანეთისაგან რაჭა-ლეჩხუმის ცალკეული ნაწილები. ყველაზე უფრო მჭიდროდ დასახლებულია ლეჩხუმი, და რაც უფრო ზევით მივდივართ რაიონის ხეობით, მით უფრო კლებულობს მოსახლეობის სიმჭიდროვე. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნული მიმართულებით თანდათან იმატებს რელიეფის დანაწევრება და ბუნებრივი პირობები სულ უფრო ნაკლებად ხელსაყრელი ხდება დასახლებისათვის. საკმაოდ სწრაფად კლებულობს ლეჩხუმიდან ზემო რაჭის მიმართულებით დამუშავებისათვის ვარგისი მიწების ხვედრითი წონა მიწის ფონდში და, მაშასადამე, დასახლებისათვის ვარგისი ფართობებიც.

მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება

მიუხედავად იმისა, რომ რაჭა-ლეჩხუმის სოფლების უდიდეს ნაწილს არ აქვს მაღალი ჰიფსომეტრული მდებარეობა, ისინი მაინც მთა-გორებზე არიან უმთავრესად შეფენილი და ტერიტორიის დიდი დანაწევრებით გამოირჩევიან. რაიონი, ცხენისწყალი და მათი მრავალრიცხოვანი შემდინარეები რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე მეტად ღრმა და ვიწრო ხეობებს აჩენენ, რის გამო მთის კალთები უმეტეს შემთხვევაში ძალზე დახრილია და დასახლებისათვის გამოუყენებელი. ალაგ-ალაგ ხეობები ოდნავ ფართოვდება და მდინარეთა ნაპირების გასწვრივ მთის კალთების დახრილობაც მცირდება. აი ეს ფართობები ყოფილა პირველ რიგში გამოყენებული უძველესი დროიდან სოფლების გასაშენებლად. საკმაოდ ხშირია აგრეთვე მთის დანაოჭებული კალთები, რომლებიც თავისი რელიეფის ხასიათით გორაკ-ბორცვებს უახლოვდება, მაგრამ დაღარულია პატარა ხევებით და მეტი დანაწევრებით გამოირჩევა. ბევრი სოფელი ასეთ რელიეფზეა განლაგებული და თავისი გარეგნული სახით საკმაოდ ემსგავსება ზემო იმერეთის ტიპიურ სოფლებს. არსებობს აგრეთვე სოფლების მცირერიცხოვანი ჯგუფი, განლაგებული მაღალმთიან ზონაში; ეს სოფლები ბევრად განსხვავდება დანარჩენი დასახლებული პუნქტებისაგან.

თავისი მდებარეობისა და გარეგანი შეხედულების მიხედვით რაჭა-ლეჩხუმში შეიძლება გამოიყოს ხუთი ტიპის დასახლებული პუნქტები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ვაკე ან სუსტად დახრილ რელიეფზე განლაგებული დასახლებული პუნქტები, რომლებიც მდებარეობენ მდ. მდ. რიონის, ცხენისწყლისა და ლაჯანურის ნაპირების გასწვრივ — ისეთ ადგილებში, სადაც აღნიშნული მდინარეების ხეობები ოდნავ ფართოვდება და პატარა ვაკეები წარმოიქმნება. აქ ჩაისახა და განვითარდა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტები: ქალაქი ონი, დაბა ამბროლაური, დაბა ცაგერი, ლაჯანურაჩესის მეშათთა დასახლება და ზოგიერთი სოფელი. ამ ვაკეებს, ჯერ-ერთი, მეტად თუ ნაკლებად ცენტრალური მდებარეობა აქვთ ირგვლივ განლაგებული მთაგორიანი ტერიტორიის მიმართ: მეორეც, თავისთავად ვაკე რელიეფი კარგ ბუნებრივ ფაქტორს წარმოადგენს დასახლებული პუნქტის სწორი დაგეგმარებისათვის, მესამეც, აღნიშნულ ადგილებში თავს იყრის საკომუნიკაციო ხაზები, რაც აადვილებს კავშირს ირგვლივ მდებარე სოფლებთან და მეზობელ ადმინისტრაციულ რაიონებთან. ამ უპირატესობათა გამო შეიქმნენ აღნიშნულ ვაკეებზე რაჭა-ლეჩხუმის ქალაქი და დაბები, აგრეთვე რიგი სოფლები. მათი რიცხვი არ არის დიდი, რადგან ვაკეები სულ რამდენიმე ადგილას გვხვდება და თითოეული მათგანი მცირე ტერიტორიას მოიცავს. ეს დასახლებული პუნქტები ქმნიან ყველაზე დაბალ საფეხურს კომპაქტური განსახლების ზონებში, თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელია შედარებით სწორი დაგეგმარება და დასახლების მაღალი სიმჭიდროვე. ზოგჯერ ასეთი სოფელი ან დაბა მოსახზღვრე მთის კალთებზედაცაა შეფენილი და უერთდება მეზობელ სოფელს.

2. მეტად თუ ნაკლებად ვიწრო ხეობებში, დიდი მდინარეებისპირა კალთებზე შეფენილი სოფლები. ამ სოფლების ტერიტორია საკმაოდ დანაწევრებულია პატარა ხევებითა და ღელეებით. ამავე დროს, რაც უფრო ვწორდებით მდინარეთა ნაპირებს, კალთები თანდათან დაქანებული ხდება, დასახლებაც უფრო თხელდება და მალე სრულიად წყდება. ასეთი სოფლები მეტად მრავალრიცხოვანია და რაჭა-ლეჩხუმის ყველა ნაწილში გვხვდება. ისინი არ გამოირჩევიან კომპაქტურობით და ხშირად დიდ ტერიტორიაზე არიან გაფანტული. თითოეულ საცხოვრებელ სახლს თან ახლავს სხვადასხვა სახის სამეურნეო ნაგებობანი და ირგვლივ საკარმიდამო ნაკვეთი აკრავს. ამ ნაკვეთებზე მეტწილად ვენახი და ხეხილია გაშენებული, ითესება აგრეთვე ტიდი რაოდენობით სიმინდი. პატარა-პატარა უბნები და ცალკეული საცხოვრებელი სახლები ქაოტურადაა გაბნეული დასახლებისათვის ყველაზე უფრო ვარგის ნაკვეთებზე. რელიეფის დანაწევრება თითქმის გამორიცხავს სწორი დაგეგმარების შესაძლებლობას. მეტ შემთხვევაში ასეთი სოფლები განლაგებულია მთავარი გზების გასწვრივ, მაგრამ დასახლების საკრძნობი ნაწილი მთავარი გზის მოშორებითაა გაშლილი. როგორც წესი, სოფლები არ არიან დიდი და თითოეული მათგანი რამდენიმე ასეულ მეცხოვრებს ითვლის. ტიპიურ ასეთ სოფლებს წარმოადგენენ ალპანა, ორბელი, ლაჯანა, ლასტრიაში, წიფურჩი, ლარჩვალი, ტვიში, ქორენინი (ცაგერის რაიონი), ქვიშარი, ეოშხა, ტოლა, ბაჯი, ხვანწკარა, სადმელი (ამბროლაურის რ.), ზუდალი, ღარი, უწერა, ნაკეეთი (ონის რ.) და მრავალი სხვა. ეს სოფლები ქმნიან განსახლების მეორე საფეხურს.

3. დიდი მდინარეების ნაპირებიდან საკმაოდ დაცილებული სოფლები. ისინი განლაგებული არიან რიონის, ცხენისწყალისა და ლაჯანურის გვერდით ხეობებში, მთის უფრო მაღალ კალთებზე, ვიდრე მეორე ჯგუფის სოფლები. აქ გვხვდება მეტ შემთხვევაში საკმაოდ დანაწევრებული, დახრილი რელიეფის მქონე საშუალო სიდიდის სოფლები, რომლებიც

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

შედარებით პატარა მდინარეების ღრმა ხეობებში არიან განლაგებული. ამ სოფლებს უფრო ხშირად იზოლირებული მდებარეობა აქვთ და მდინარეთა ხეობების გასწვრივ გამავალი გზებით უკავშირდებიან მთავარ მაგისტრალებს. დასახლებისათვის აქ გამოყენებულია დამუშავებისათვის ვარგისი მცირე ფართობები, რომლებიც საკმაოდ დახრილ კალთებს წარმოადგენენ. გარეგნული სახით ისინი უახლოვდებიან მეორე ჯგუფის სოფლებს, მაგრამ მათზე უფრო მაღალ მდებარეობენ და შედარებით პატარა მდინარეთა ხეობებში არიან განლაგებული. ამ სოფლების რიცხვს მიეკუთვნება სურმეში, ლაილაში, ღვირიში, ისუნდერი (ცაგერის რ.), ჭყვიში, პატარა ონი, შრომა, ღადენი, ლიხეთი, კრიხი და სხვაგა (ამბროლაურის რაიონი), ყვაშხეთი, ფარახეთი, ქვემო ბარი, ჰიპილეთი (ონის რ.) და სხვ.

4. მეოთხე ჯგუფის დასახლებულ პუნქტებს მიეკუთვნება ის სოფლები, რომლებიც მთის მაღალ კალთებზე არიან განლაგებული. ზღვის დონიდან დაახლოებით 800—1300 მეტრზე და დანაწევრებული რელიეფით გამოირჩევიან. ამ სოფლებიდან ყველაზე ტიპიური ამბროლაურის რაიონის სამხრეთ ნაწილში შორის წყალსაცავის მეზობლად მდებარე სოფლების ჯგუფი: სინათლე (ნიკორწმინდა), ხოტევი, ზემო და ქვემო თლუღი, ჭელიაღელე და სხვ. დაახლოებით ასეთივე მდებარეობა აქვთ ცაგერის რაიონის სოფლებს— ცხეკუშერსა და ნაფურალეში, უცხერს, ნასპერს; ონის რაიონში — ირს, წედისს, ცხმორს, სევას, ფარახეთს და სხვ. თუ წინა ჯგუფის სოფლები უფრო ბარს მიეკუთვნებოდნენ,მეოთხე ჯგუფის დასახლებული პუნქტები უფრო მთის სოფლებს მოგვაგონებენ. მაგრამ თავისი გარეგნული სახით დიდად არ გამოირჩევიან უფრო დაბალ ზონაში განლაგებული სოფლებისაგან; აქაც დასახლების საკარმიდამო ტიპი ჭარბობს, თუმცა ეზოები უფრო პატარაა და საცხოვრებელი სახლები შედარებით მჭიდროდაა განლაგებული. მოსახლეობის საქმიანობაში მთავარია მემინდვრეობა (სიმინდის კულტურა); საკმაოდ დიდი ადგილი უკავია აგრეთვე მეცხოველეობას. გავრცელებულია უმთავრესად საშუალო სიდიდის სოფლები.

5. დასახლებული პუნქტების უკანასკნელ დაჯგუფებას მიეკუთვნებიან ტიპიური მთის სოფლები, რომლებიც 1300—1900 მეტრზე არიან განლაგებული ზღვის დონიდან და თავისი გარეგნული სახით მკვეთრად გამოირჩევიან რაჭა-ლეჩხუმის დანარჩენი სოფლებისაგან. მათ რიცხვს მიეკუთვნებ. ონის რაიონის სოფლები: ღები, ჭიორა, შქმერი, უშოლთა, ხარისთვალა, მთისკალთა და რიგი სხვა პატარა სოფელი. ამ სოფლების რელიეფი არ არის დანაწევრებული და მეტწილად ვაკეს ან მთის სუსტად დახრილ კალთას წარმოადგენს. მათთვის დამახასიათებელია დასახლების დიდი სიჭიდროვე. საცხოვრებელი სახლები მეტ შემთხვევაში ერთმანეთის გვერდითაა განლაგებული და ძალზე პატარა ეზოებით უკავშირდებიან ერთმანეთს. შენობები თითქმის მთლიანად ქვითკირისაა და ხშირად ორსართულიანი. ხეხილს ან სხვა ნარგავებს ეზოებში აშეფთად შეხვდებით. თითოეულ სოფელს ირგვლივ აკრავს კარტოფილის მოზრდილი ნათესები; მოსახლეობის საქმიანობაში მთავარი ადგილი უჭირავ. მეცხოველეობას, რისთვისაც ფართოდ იყენებენ სუბალპური ზონის სათიბ-საძოვრებს. ეს სოფლები ყველაზე მეტად არიან დაშორებული ქალაქ ონიდან და ზამთრის თვეებში დიდი თოვლის გამო საკმაოდ ცუდად არიან დაკავშირებული გარეშე სამყაროსთან. შრომისუნარიანი მამაკაცების მნიშვნელოვანი ნაწილი აქედან ზამთარში მიდის გარე სამუშაოებზე. სოფლების ერთი ჯგუფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდებარეობს მდ. რიონის ზემო დინების ნაპირებზე (ღები, ჭიორა და სხვ.), ხოლო მეორე ჯგუფი — რაჭის ქედის თხემურ ნაწილში (შქმერი, უშოლთა, ხარისთვალი, მთისკალთა და სხვ.).

რაჭა-ლეჩხუმის დასახლებული პუნქტების მდებარეობისა და გარეგნული სახის ასეთი მრავალფეროვნება გამოწვეულია რელიეფის მეტისმეტი დანაწევრებითა და ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით ტერიტორიის დიდ ფარგლებში მერყეობით. საკმარისია აღინიშნოს, რომ ლეჩხუმის ყველაზე დაბალი ჰიფსომეტრული მდებარეობის მქონე სოფელი ტვიში განლაგებულია ზღვის დონიდან 400 მეტრზე, ხოლო ონის რაიონის მაღალმთიანი სოფელი მთისკალთა — 1840 მეტრზე. ყველა დასახლებული პუნქტი ამ ორ უკიდურეს ზღვარს შუაა მოქცეული.

ცხრილი 5

რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის განლაგება ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით

სიმაღლე ზღვის დონიდან (მეტრობით)	ფართობი კვ. კმ-ში	1926 წელი			1957 წელი		
		მოსახლეობის რაოდენობა		სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე	მოსახლეობის რაოდენობა		სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე
		აბსოლუტური	პროცენტობით		აბსოლუტური	პროცენტობით	
400—600	128,53	14816	14,6	115,3	17585	20,4	136,7
600—800	214,91	29376	28,9	136,6	22706	26,3	105,1
800—1000	316,15	24709	24,3	78,1	18981	22,0	60,0
1000—1200	397,33	18904	18,8	47,6	15401	17,9	38,8
1200—1400	391,54	11390	11,3	29,1	9734	11,3	24,8
1400—1600	352,28	439	0,4	1,2	413	0,5	1,2
1600—1800	316,73	1227	1,2	3,9	1059	1,2	3,3
1800—2000	252,79	457	0,5	1,8	358	0,4	1,4
სულ 400—2000 მ.	2370,29	101292	100	42,8	86232	100	36,4

მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად რაჭა-ლეჩხუმში მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა 1926—1957 წლებში შემცირდა 14,9 %-ით, ამ მხარის ყველაზე დაბლა განლაგებულ ზონაში (ზღვის დონიდან 400—600 მეტრ სიმაღლეზე) მოსახლეობის რაოდენობა არამც თუ არ შემცირებულა, არამედ ბევრად გაიზარდა კიდეც (18,7 %-ით). ამავე დროს მოსახლეობა 600 მეტრზე ზემოთ განლაგებულ ზონებში შემცირდა 20,7 %-ით, ე. ი. მოსახლეობა ბევრად უფრო სწრაფად მცირდებოდა მაღალ ზონებში, ვიდრე მთლიანად რაჭა-ლეჩხუმში. მაგრამ მაღალ ზონებშიაც ერთნაირად არ მიმდინარეობდა ეს პროცესი. 1200 მეტრზე ზევით მდებარე სოფლებში 1926—1957 წლების მანძილზე მოსახლეობამ მოიკლო საშუალოდ იმავე რაოდენობით, როგორც მთელ რაჭა-ლეჩხუმში, ამიტომ ამ ზონების მოსახლეობის ხვედრითი წონა მთელი რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობაში უცვლელი დარჩა 1957 წლის ბოლოსათვის და კვლავ 1926 წლის დონეზე იყო (13,4 %). მაშასადამე ყველაზე სწრაფად იკლებდა მოსახლეობა 600—1.200 მეტრს სიმაღლეზე განლაგებულ სოფლებში. მართლაც, შემცირება

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ შეადგენს 12,7 %-ს, ხოლო მთელი რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობაში ამ ზონის მცხოვრებთა ხვედრითი წონა დაეცა 72 %-დან 66,2 %-მდე. ეს გარემოება მით უფრო საყურადღებოა, რომ აღნიშნულ ზონაში განლაგებულია ქალაქი ონი (860 მეტრზე ზღვის დონიდან) და დაბა ამბროლაური (600 მეტრზე), რომელთა მოსახლეობა არამც თუ არ შემცირებულა, არამედ გაიზარდა 69,6 %-ით (ერთად აღებული).[8] ამრიგად, გამოდის, რომ ყველაზე მეტი რაოდენობით წავიდა მოსახლეობა 600—1200 მეტრ სიმაღლეზე მდებარე სოფლებიდან. სწორედ ამ ზონაში არიან განლაგებული ოფიტარა, ქულბაქი, ლუხვანი, გაგულეჩი, ურავი და სხვ., რომელთა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ჩასახლდა საქართველოს სხვადასხვა მხარეში.

რაჭა-ლეჩხუმის დასახლებული პუნქტებიდან ბევრად უფრო დაბალი მდებარეობა აქვთ ლეჩხუმის სოფლებსა და დაბა ცაგერს, ხოლო მაღალი მდებარეობით გამოირჩევიან ონის რაიონის (ზემო რაჭის) დასახლებული პუნქტები; მათ შორის გარდამავალი ადგილი უკავია ამბროლაურის რაიონს (ქვემო რაჭა). ასე მაგალითად, ცაგერის რაიონის (ლეჩხუმის) მოსახლეობის 82,3 % ცხოვრობს 400—800 მეტრ სიმაღლეზე მდებარე ზონაში და საერთოდ არც ერთი სოფელი არ არის განლაგებული 1000 მეტრზე მაღლა. ამბროლაურის რაიონის მოსახლეობის 4/5-ზე მეტი (82,4 %) ცხოვრობს 600—1200 მეტრ სიმაღლეზე მდებარე დასახლებულ პუნქტებში, ხოლო ზოგიერთი სოფელი კიდევ უფრო მაღლაა განლაგებული. ონის რაიონის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი (90,0 %) ცხოვრობს 800—1400 მეტრზე მდებარე ზონაში; აქ მხოლოდ ერთი დასახლებული პუნქტი (სოფელი სორი) მდებარეობს 800 მეტრზე დაბლა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასახლებისათვის რაჭა-ლეჩხუმში ძირითადად გამოყენებულია მდინარეთა ხეობები, ხოლო ტერიტორიის უდიდესი ნაწილი, წარმოდგენილი მკვეთრად დახრილი მთის კალთებით, სრულიად არ არის ამ მიზნისათვის ვარგისი. იმის გამო, რომ დასახლებული პუნქტები ამ მხარის მხოლოდ განსაზღვრულ ნაწილში გვხვდება, წარმოიქმნება განსახლების გარკვეული ჯგუფები ანუ ზოლები. თითოეული მთგანი შედგება ტერიტორიულად ახლო განლაგებული სოფლებისაგან, რომლებიც ან ერთმანეთის გვერდით მდებარეობენ, ან დასახლებისათვის უკარგანი ორარაკებით არიან განცალკევებული, მაგრამ მანძილი მათ შორის არ აღემატება რამდენიმე კილომეტრს. განსახლებია ასეთი ზოლების (ჯგუფების) გამოყოფის თავარი ნიშანია ტერიტორიის ძთლიანობა, რელიეფის ერთგვაროვნება და დასახლებული პუნქტების მსგავსება მდებარეობის მიხედვით. რაჭა-ლეჩხუმში შეიძლება გამოიყოს განსახლების სამი ძირითადი ზოლი: რიონის, ცხენისწყლის და ლაჯანურის ხეობათა და მათი მოსაზღვრე მთის კალთების ზოლები.

იმის გამო, რომ რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორია მთაგორიანია და რელიეფის დიდი დანაწევრებით გამოირჩევა, აქ ნაკლებად ვხვდებით მსგავლ დასახლებულ პუნქტებს, რადგან რელიეფის ხასიათი ხელს არ უწყობს ასეთ დასახლებათა წარმოქმნას. მთელ რაჭა-ლეჩხუმში მხოლოდ 12 დასახლებული პუნქტია ისეთი, სადაც თითოეულში 1000 კაცზე მეტი ცხოვრობს. აქედან ერთი ქალაქია, ორი დაბა, ერთი მუშათა დასახლება და რვა სოფელი. ორი ათას კაცზე მეტი ცხოვრობს მხოლოდ სამ დასახლებულ პუნქტში. მსგავლ დასახლებულ პუნქტებში თავმოყრილია მთელი მოსახლეობის 24,7 %. ყველაზე მეტად გავრცელებული

[8] ამბროლაურის და ონის მოსახლეობა როგორც 1926, ისე 1957 წლისათვის ამ განაგარეშებაში აღებულია საქალაქო და სადაბო საბჭოებში შემავალი სოფლების მოსახლეობის გარეშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვრილი სოფლები, თითოეული 500-მდე მცხოვრებით. ასეთი სოფლების რიცხვი უდრის 144-ს, ხოლო მათი ხვედრითი წონა მთელი რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობაში შეადგენს 44,4 %-ს. მაშინ, როდესაც მსხვილი დასახლებული პუნქტები განლაგებულია უმთავრესად დიდი მდინარეებისპირა ვაკეებზე, პატარა სოფლები გვხვდება უფრო რთული რელიეფის პირობებში; ასეთი სოფლები დასახლებითაც უფრო ნაკლებად კომპაქტურია და ხშირად მთავარი გზებიდან დაცილებით მდებარეობენ. საკმაოდ დიდი ადგილი უკავიათ აგრეთვე საშუალო სიდიდის სოფლებს (500-დან 1000 მცხოვრებამდე); მათზე მოდის მთელი მოსახლეობის 30,9 %.

ცხრილი 6

რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის განაწილება დასახლებული პუნქტების სიდიდის მიხედვით 1957 წელს

თითოეული დასახლებული პუნქტის მცხოვრებთა რიცხვი	მოსახლეობის რაოდენობა			სულ რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობა		სულ რაჭა-ლეჩხუმის დასახლებული პუნქტების რაოდენობა	
	ონის რაიონი	ამბროლაურის რაიონი	ცაგერის რაიონი	აბსოლუტური	პროცენტობით	აბსოლუტური	პროცენტობით
1—99 კაცი	601	164	93	858	1,0	11	5,7
100—199 „	3785	2190	1036	7011	8,1	43	22,3
200—499 „	8074	12331	10018	30423	35,3	90	46,6
500—999 „	6453	9938	10259	26650	30,9	37	19,2
1000—1999 „	—	4841	7353	12194	14,2	9	4,6
2000 და მეტი	6827	2269	—	9096	10,5	3	1,6
სულ	25740	31733	28759	86232	100,0	193	100,0

ინტერესმოკლებული არ არის აღინიშნოს, რომ რაჭა-ლეჩხუმში ბევრად უფრო პატარა სოფლებია გავრცელებული, ვიდრე მეზობლად მდებარე ზემო ან ქვემო იმერეთში. ქვემო იმერეთში ერთ დასახლებულ პუნქტზე მოდის საშუალოდ 1393 მცხოვრები, ზემო იმერეთში — 834, ხოლო რაჭა-ლეჩხუმში — 447. თუ ავიღებთ მხოლოდ სოფლების საშუალო სიდიდეს, შესაბამისი მაჩვენებლები ასეთი იქნება: ქვემო იმერეთში ერთ სოფელზე მოდის 825 მცხოვრები, ზემო იმერეთში — 690, რაჭა-ლეჩხუმში — 405.

რაჭა-ლეჩხუმში მეტწილად გავრცელებულია ისეთივე საცხოვრებელი სახლები, როგორც იმერეთში. იმერული ტიპის ხის ოდა ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება აქაურ სოფლებში. მის ასაგებად ფართოდაა გამოყენებული ადგილობრივი ხის მასალა. ჩვეულებრივ ასეთი სახლი დგას ქვის ცოკოლზე; ზოგჯერ ცოკოლი საკმაოდ მაღალია და იგი სახლის პირველ სართულს წარმოადგენს, სადაც სამზარეულო და საზამთრო ბინა აქვთ მოწყობილი. თითოეულ ოდაში 2 ან 3 ოთახია, რომელთაგან ერთი „ზალას“ სახელწოდებითაა ცნობილი და სასტუმრო ოთახადაა გამოყენებული. ოდას აქვს საკმაოდ მოზრდილი ივანი; ეს უკანასკნელი ზოგჯერ გადაკეთებულია შუშაბანდად. ეზოში ხშირად შეხვდებით სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობებს — ბოსელს, ბეღელს, სასიმინდეს, მარანს და სხვ. ბევრი სოფელი დაყოფილია უბნებად. რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოადგენს ერთმანეთის მეზობლად განლაგებულ კარმიდამოთა ჯგუფს. ეზოებში ბევრია ხეხილი და ზოგჯერ დეკორაციული მცენარეებიც. რელიეფის ხასიათის მიხედვით იცვლება სოფლების შიდა კომპაქტურობა. ზოგ სოფელს 100—200 ჰექტარი ფართობი უჭირავს, მაგრამ მეტი ნაწილის ტერიტორია რამდენიმე ათეული ჰექტარს არ აღემატება.

რაჭა-ლეჩხუმის სოფლების დიდი უმრავლესობისაგან ბევრად განსხვავდება მაღალმთიანი სოფლები: ღები, ჭიორა, შქმერი, უშოლთა და სხვ. ამ სოფლებში მეტწილად ქვით ნაშენი შენობებია; აქ იშვიათად შეხვდებით ეზოებში ხეს და მით უმეტეს — ხეხილს. შენობები ერთმანეთის ახლოს მდებარეობენ და ქვის ღობით (ყორით) შემოვლებული პატარა ეზოები აქვთ, სადაც უმთავრესად კარტოფილს თესენ. ეს სოფლები მდინარისპირა მთის კალთებზეა შეფენილი და დასახლების მაღალი კომპაქტურობით გამოირჩევა. სოფელ ღებში შემორჩენილია ფეოდალური ეპოქის ე. წ. „დურეოებიანი“ სახლი, რომელიც სვანური ტიპის საცხოვრებელ სახლს მოგვაგონებს. იგი ოთხკუთხა კოშკისმაგვარი ქვითკირის შენობაა. ამ ოთხსართულიანი სახლის ზედა სართულს დატანებული აქვს სათოფურები, რომლებიც სახლის შორეული მისადგომებისა და უახლოესი ტერიტორიის დაცვისათვის შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული. თავისი გარეგანი შეხედულებით და თავდაცვითი დანიშნულებით იგი ძალზე უახლოვდება სვანურ კოშკს.

მოსახლეობის საქმიანობა

რევოლუციამდელი რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობა თითქმის მთლიანად სოფლის მეურნეობაში იყო ჩაბმული. მოსახლეობის შრომით საქმიანობაში დიდი ადგილი ეჭირა გარე სამუშაოებზე წასვლას. ბევრგან შეხვდებოდით რაჭა-ლეჩხუმში დურგლებს და სხვა კვალიფიკაციის ოსტატებს, რომლებიც ზამთრის განმავლობაში მიდიოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ზოგჯერ მის ფარგლებს გარეთაც, ხოლო გაზაფხულზე, ძიწის სამუშაოების დაწყების დროს, კვლავ ბრუნდებოდნენ თავის ოჯახში. შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილი მიდიოდა ქალაქებში სხვადასხვა სახის სამუშაოების შესასრულებლად. ძალზე უმნიშვნელო იყო რევოლუციამდელ რაჭა-ლეჩხუმში ინტელექტუალურ შრომაში ჩაბმული მოსახლეობის რაოდენობა.

რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ამჟამადაც სასოფლო-სამეურნეო შრომას მისდევს. მრეწველობის შედარებით სუსტი განვითარება და ქალაქად მცხოვრებთა სიმცირე ხელს არ უწყობს ინდუსტრიული შრომის ფართო დანერგვას. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის შრომით საქმიანობაში უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე მაინც ჰქონდა ადგილი სერიოზულ ძვრებს, რაც თან მოჰყვა ამ მხარის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში შეტანილ ცვლილებს. ამ მიმართულებით სერიოზული გავლენა მოახდინა სამთო-მოპოვებითი მრეწველობის გაშლამ, ღვინის ქარხნების აგებამ, ჰიდროენერგომშენებლობამ, სკოლებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ფართო ქსელის შექმნამ. ყოველივე ამის შედეგად მკვეთრად გაიზარდა მუშა-მოსამსახურების რაოდენობა.

კოლმეურნეები და მათი ოჯახის წევრები შეადგენენ რაჭა-ლეჩხუმის მთელი მოსახლეობის სამ მეოთხედზე მეტს, მუშა-მოსამსახურეების და მათი ოჯახის წევრების ხვედრითი წონა კი 23,46 %-ს არ აღემატება. შედარებისთვის შეიძლება მოვიგონოთ, რომ ქვემო იმერეთში მუშა-მოსამსახურეებზე მოდის მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის თითქმის ნახევარი (49,1 %), ხოლო ზემო იმერეთში 33,9 %. აქედან ჩანს, რომ ზემო იმერეთს, ისე როგორც რიგი სხვა მონაცემებით, ამ მაჩვენებლებითაც გარდამავალი ადგილი უჭირავს ქვემო იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმს შორის. ეს სხვაობანი აიხსნება თითოეული დასახლებული მხარის მრეწველობის განვითარების დონით. ამ მხრივ ყველაზე დაწინაურებულია ქვემო იმერეთი, სოლო რაჭა-ლეჩხუმი უკანასკნელ ადგილზე დგას, ამიტომ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვიც ამ შედარებით მცირეა. სრულიად უმნიშვნელო რაოდენობითაა შემორჩენილი ერთპიროვნული გლეხური მეურნეობანი.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მუშა-მოსამსახურეთა ფაქტიური რაოდენობა ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ზემოთ მოტანილი მონაცემი გვიჩვენებს. საქმე იმაშია, რომ კოლმეურნე მოსახლეობის ნაწილი მუშაობს სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებში და უკვე აღარ ეწევა სასოფლო-სამეურნეო შრომას. მათ რიცხვს ეკუთვნიან დროებით გარე სამუშაოებზე წასულნი, მასწავლებლების ნაწილი და მთელი რიგი სხვა შრომითი დარგების მუშაკები.

რაჭა-ლეჩხუმის შრომისუნარიანი მოსახლეობის თითქმის ორი მესამედი ჩაბმულია სოფლის მეურნეობაში. ამ მხარის სამრეწველო განვითარების დაბალი დონე ჩანს იმ ფაქტიდანაც, რომ წარმოების ამ დარგში დაკავებულია თვითმომქმედი მოსახლეობის მხოლოდ 6,2 %, ბევრად ნაკლები, ვიდრე განათლებისა და კულტურის დარგში.

განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში ჩაბმულია თვითმომქმედი მოსახლეობის 12,5 %, რაც სწავლა-განათლების, კულტურულ-ცხოვრების და ჯანმრთელობის დაცვის საქმის ახლებურად დაყენების ერთ-ერთი მაჩვენებელია.

ცხრილი 7

რაჭა-ლეჩხუმის მუშა-მოსამსახურეთა განაწილება შრომის დარგების მიხედვით 1958 წ. 1 იანვრისათვის

შრომის დარგები	ონის რაიონი	ამბროლაურის რაიონი	ცაგერის რაიონი	სულ რაჭა-ლეჩხუმში	
				აბსოლუტური	პროცენტობით
მრეწველობა	691	703	272	1666	16,9
სოფლის მეურნეობა .	145	195	97	437	4,4
მშენებლობა	142	4	1428	1574	16,0
ტრანსპორტი	8	207	256	471	4,8
ვაჭრობა	168	200	344	712	7,2
კომუნალური მეურნეობა	75	122	70	267	2,7
განათლება	552	757	701	2010	20,4
კულტურულ-საგანმანათლებლო	66	59	124	249	2,5
ჯანმრთელობის დაცვა	386	362	350	1098	11,2
დანარჩენი დარგები .	381	584	401	1366	13,9
ს უ ლ	2614	3193	4043	9850	100,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი ონისა და ამბროლაურის რაიონებში უკანასკნელი ათი წლის მანძილზე უმნიშვნელოდ შეიცვალა. გამონაკლისს შეადგენს ლეჩხუმი, სადაც 1950—1957 წლებში მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა გადიდდა ორჯერ და კიდევ უფრო მეტად. ეს გარემოება გამოიწვია ლაჯანურიტესის მშენებლობის ფართოდ გაშლამ. ამ მსხვილ მშენებლობას მოჰყვა მთელი რიგი დამხმარე საწარმოების მოწყობა, განათლებისა და ჯანმრთელობის დაწესებულებების შექმნა. ამის შედეგად რამდენიმე წლის მანძილზე ცაგერის რაიონის მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი ორი ათას კაცზე მეტით გადიდდა. ამავე მიზეზით შეიცვალა რაჭა-ლეჩხუმის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალური შემადგენლობა — მკვეთრად გადიდდა მშენებლობაში და ტრანსპორტში მომუშავეთა ხვედრითი წონა. ამჟამად მშენებლობაში თითქმის იმდენივე კაცია ჩაბმული, რამდენიც რაჭა-ლეჩხუმის მთელ მრეწველობაში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მნიშვნელოვნად შემცირდა რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით ვაჭრობაში ჩაბმული მოსახლეობის ხვედრითი წონა. ადრე ქალაქ ონის ებრაელი მოსახლეობა თითქმის მთლიანად ვაჭრობაში იყო დასაქმებული, ამჟამად კი მოსახლეობის ეს ნაწილი სხვადასხვა მეწარმოებლურ დარგებშიც აქტიურად მონაწილეობს.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა

თუ მეფის დროინდელ რუსეთში სწავლა-განათლების ზოგად ჩამორჩენასთან ერთად გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ რაჭა-ლეჩხუმი თავისი მთაგორიანი რელიეფისა და გზებით ცუდად უზრუნველყოფის გამო საკმაოდ მოწყვეტილი იყო საქართველოს მაშინდელი კულტურული ცენტრებიდან, ჩვენთვის ნათელი გახდება რევოლუციამდელ პერიოდში ამ მხარის კულტურულად ჩამორჩენის მიზეზები. უგზოობა და მრეწველობის სრული განუვითარებლობა ასევე ხელს უშლიდა ქალაქების ჩასახვასა და ზრდას, ე. ი. კულტურული ცხოვრების კერების შექმნას. საბჭოთამდელ რაჭა-ლეჩხუმში არ იყო არც ერთი საშუალო სასწავლებელი, ან კულტურის ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი დაწესებულება. თუმცა არც თუ ისე მცირე რაოდენობით არსებობდნენ დაწყებითი სასწავლებლები, მაგრამ მათ შორის ჭარბობდა საეკლესიო-სამრევლო სკოლები, სადაც მთავარი ყურადღება რელიგიურ აღზრდაზე იყო გადატანილი და სასაარგებლო ცოდნის მიღება მხოლოდ წერა-კითხვის შეძენით ამოიწურებოდა. მეფის მთავრობამ 1909 წელს რაჭაში სწავლა-განათლების საქმეზე სულ დახარჯა 8851 მანეთი, ანუ ერთ მცხოვრებზე სწავლა-განათლების ხარჯები არ აღემატებოდა წლიურად 11—12 კაპიკს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ისე როგორც მთელ ჩვენ ქვეყანაში, რაჭა-ლეჩხუმში განხორციელდა კულტურული რევოლუცია. ყველაზე უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს ამ მხრივ წარმოადგენდა **სწავლა-განათლების** საქმის სრულიად ახლებურად დაყენება. განათლებაში ჩაება არა მარტო ახალგაზრდობა, არამედ უფროსი ასაკის მოსახლეობაც. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე გატარდა რიგი ღონისძიებანი მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, გაიხსნა ზოგადი განათლების სკოლები და მკვეთრად გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა. ომამდელი ხუთწლედების მანძილზე სასკოლო მშენებლობამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ რაჭა-ლეჩხუმში არ დარჩენილა არც ერთი ცოტა თუ ბევრად მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი, რომ იქ არ შექმნილიყო ზოგადი განათლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა. თუ ადრე სკოლების ქსელის მეტისმეტი სიმცირე და მოსახლეობის მძიმე მატერიალური პირობები ბევრ ნიჭიერ ახალგაზრდას არ აძლევდა ცოდნის შეძენის საშუალებას, ჯერ კიდევ ამ 20—25 წლის წინათ ლიკვიდირებულ იქნა ეს არანორმალური მოგომარეობა და მოზარდი თაობა მასიურად დაეწაფა ცოდნის შეძენას. რაჭველ ან ლეჩხუმელ ახალგაზრდას უკვე აღარ ჭირდებოდა საშუალო ცოდნის მისაღებად დაეტოვებინა მშობლიური სახლი და ქუთაისში ან სხვა რომელიმე ქალაქში წასულიყო სწავლის გასაგრძელებლად; ყველა ქალაქში, დაბაში და მოზრდილ სოფელში შეიქმნა ასეთი სასწავლებლები.

ცხრილი 8

სახალხო განათლება რაჭა-ლეჩხუმში 1958 წლის
1 იანვრისათვის

ძირითადი მაჩვენებლები	ონის რაიონი	ამბროლაურის რაიონი	ცაგერის რაიონი	სულ რაჭა-ლეჩხუმი
ზოგადი განათლების სკოლების რიცხვი	45	59	53	157
მათ შორის:				
სრული საშუალო სკოლები	7	12	10	29
არა სრული საშ. სკოლები	16	19	14	49
დაწყებითი სკოლები	22	28	29	79
მოსწავლეთა რიცხვი ყველა სკოლებში	4124	4553	4943	13620
მასწავლებლების რიცხვი	397	622	535	1554
ტექნიკუმების რაოდენობა	—	1	1	2
მათში მოსწავლენი	—	154	115	269
მათში მასწავლებლები	—	19	11	30
სულ განათლების მუშაკთა რიცხვი	549	804	744	2097
განათლების წლიური ბიუჯეტით დახარჯული თანხა (ათას მან.)	5406,4	7290,5	6528,2	19225
განათლების მუშაკთა ხელფასის წლიური ფონდი (ათას მან.)	4135,5	5213,4	4962,2	14311,1

სულ რაჭა-ლეჩხუმში 159 სასწავლებელია, რომლებშიაც ირიცხება 13889 მოსწავლე და 1584 მასწავლებელი. ერთ სკოლაზე მოდის საშუალოდ 87,3 მოსწავლე და 10 მასწავლებელი. ერთი მასწავლებელი მოდის საშუალოდ ყოველ 8, 7 მოსწავლეზე. საერთოდ სკოლები კარგადაა უზრუნველყოფილი მასწავლებელთა კადრებით. მათ დიდ ნაწილს მიღებული აქვს უმაღლესი პედაგოგიური განათლება, ან ამჟამად სწავლობს დაუსწრებელ პედაგოგიურ ფაკულტეტზე. თითქმის ყველა სკოლისათვის შექმნილია კარგი სასწავლო-მატერიალური ბაზა. უკანასკნელი წლების მანძილზე სკოლებში ფართოდ ინერგება პოლიტექნიკური სწავლება; ეწყობა სხვადასხვა სახელოსნოები, სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები და სხვ.

მნიშვნელოვან მოვლენას რაჭა-ლეჩხუმის სწავლა-განათლების საქმეში შეადგენს სპეციალური საშუალო განათლების შემოღება, რადგან რესპუბლიკის ამ

7. გეოგრაფიის ინსტ. შრ., ტ. XV

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარეში საკმაოდ განვითარებულია მებაღეობა-მევენახეობა, ჯერ კიდევ ომამდელი ხუთწლედების მანძილზე შეიქმნა ორი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი ცაგერში და ამბროლაურში.

თუ წინათ სწავლა-განათლების საქმეს რაჭა-ლეჩხუმში რამდენიმე ათეული კაცი ემსახურებოდა, ამჟამად განათლების მუშაკთა საერთო რიცხვი შეადგენს 2100-მდე კაცს. მასწავლებელთა უდიდესი ნაწილი გამოსულია ადგილობრივი მშრომელი მოსახლეობიდან და კეთილსინდისიერად ემსახურება ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. ხელისუფლების ორკანონი ყოველწლიურად დიდ სახსრებს ხარჯავენ რაჭა-ლეჩხუმში სწავლა-განათლების საქმეზე. ამ მიზნით გაწეული ხარჯები 1958 წელს შეადგენდა 19225,2 ათას მანეთს, ანუ ერთ მოსწავლეზე დაიხარჯა 1384 მანეთი, ხოლო ერთ მცხოვრებზე საშუალოდ — 223 მანეთი.

გარდა სწავლა-განათლების საქმის ძირეულად გადახალისებისა, უდიდესი ღონისძიებები განხორციელდა რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის კულტურული მომსახურებისათვის. ამ დიდ ამოცანას ასრულებს კულტურის დაწესებულებათა ფართო ქსელი, რომელიც მთლიანად საბჭოთა წლებში შეიქმნა.

ცხრილი 9

რაჭა-ლეჩხუმის კულტურულ-საგამანათლებლო დაწესებულებები
1958 წლის 1 იანვრისათვის

კულტურის დაწესებულებები	ონ-ს რაიონი	ამბროლა-ურის რაიონი	ცაგერის რაიონი	სულ რაჭა-ლეჩხუმში
ბიბლიოთეკების რიცხვი	18	36	15	69
სამკითხველოების „	5	12	6	23
კლუბების „	24	25	17	76
კულტურის სახლების „	3	2	1	6
კინოდანადგარების „	11	12	11	34
მათ შორის სტაციონალური დანადგარები	9	7	7	23
მუზეუმების რიცხვი	1	—	1	2
კულტ. საგ. დაწესებ. ბიუჯეტი (ათას მან.)	940.1	977.4	876.2	2793.7
კულტ. საგ. მუშაკთა რიცხვი	112	121	95	328
მათი წლიური ხელფასის ფონდი (ათას მან.)	526.4	606.1	443.7	1576.2

თითოეულ ადმინისტრაციულ რაიონში კულტურულ-მასობრივი მუშაობის ცენტრია რაიონული კულტურის სახლი; ქალაქსა და დაბებში გაბნეულია აგრეთვე კინოთეატრები. კულტურის სახლებთან ჩამოყალიბებულია ხალხური შემოქმედების ანსამბლები, მოქმედებენ აგრეთვე თვითმოქმედი დრამატიული კოლექტივები. სისტემატურად იმართება როგორც კულტურის სახლის, ისე სასოფლო კლუბების სცენაზე ხალხური სიმღერისა და ცეკვების საღამოები, ედგმება თეატრალური წარმოდგენები. გარდა ამისა, რაიონულ ცენტრში და სასოფლო კლუბებში საგასტროლოდ ჩამოდიან საქართველოს ფილარმონიის, რაიონული და რესპუბლიკური თეატრების შემოქმედებითი კოლექტივები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჭა-ლეჩხუმში ერთი ბიბლიოთეკა ან სამკითხველო მოდის საშუალოდ ყოველ 937 მცხოვრებზე, ერთი კლუბი ან კულტურის სახლი — ყოველ 1051 მცხოვრებზე, ხოლო ერთი კინოდანადგარი 2536 მცხოვრებზე.

მნიშვნელოვან მოვლენას რაჭა-ლეჩხუმის კულტურულ ცხოვრებაში შეადგენს აქ ორი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გახსნა (ონში და ცაგერში). თითოეულ მუზეუმში თავმოყრილია მრავალმხრივ საინტერესო ექსპონატები, რომლებიც ასახავენ ამ მხარის მატერიალური კულტურის ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე. ონის მუზეუმი კარგად მოწყობილ შენობაშია მოთავსებული, ხოლო ცაგერის მუზეუმისათვის 1958 წელს წარმოებდა ახალი შენობის აგება.

ქალაქ ონში და დაბა ამბროლაურში გახსნილია მუსიკალური სკოლები ბავშვებისათვის. ონში არსებობს კულტურისა და დასვენების პარკი.

რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით არსებობს ძველი საქართველოს ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები: ეკლესია-მონასტრები, ციხე-სიმაგრეები, ფეოდალური ეპოქის კოშკები და საცხოვრებელი სახლები. ბევრი მათგანი ქართული არქიტექტურისა და სამშენებლო ხელოვნების ძვირფასი ნიმუშია და შესულია ჩვენი ხალხის კულტურის ძეგლთა საგანძურში. მათ შორის აღსანიშნავია XI საუკუნის ქართული არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლი — ნიკორწმინდის ტაძარი, მიუვალი ციხე-სიმაგრე — კვარას ციხე, შუა საუკუნეების საცხოვრებელი სახლი და კოშკი სოფელ ღებში, XVIII საუკუნის არქიტექტურის ძეგლი — ბარაკონის ეკლესია, მურის ციხე ცაგერის მაღლობლად, ეკლესიის და ციხე-სიმაგრის ნარჩენები ხვამლის მთაზე და მრავალი სხვა. ყველა ეს ძეგლი დაცულია სახელმწიფოს მიერ და პერიოდულად წარმოებს სამუშაოები მათ შესანარჩუნებლად.

ცხრილი 10

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები რაჭა-ლეჩხუმში
1958 წლის 1 იანვრისათვის

	ონის რაიონი	ამბროლაურის რაიონი	ცაგერის რაიონი	სულ რაჭა-ლეჩხუმში
საავადმყოფოების რიცხვი	7	7	8	22
საწოლების რაოდენობა ყველა საავადმყოფოში	120	120	130	370
სამშობიარო სახლები	2	5	3	10
საწოლების რიცხვი ყველა სამშობიარო სახლში	23	22	9	54
დედათა და ბავშვთა კონსულტაციები	1	1	1	3
საექიმო ამბულატორიები და ჯანმრთელობის პუნქტები	5	10	7	22
საფერშალო-საბებიო პუნქტები	15	21	14	50
საბავშვო ბაღები	1	3	4	8
აფთიაქები	5	12	10	27
სამედიცინო კადრების რიცხვი	195	245	206	646
მათ შორის ექიმები	51	58	38	147
ჯანმრთელობის დაცვის ბიუჯეტი (ათას მან.)	3141,0	3834,0	3402,3	10377,3
ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა საერთო რიცხვი	310	391	339	1040
მათი ხელფასის ფონდი (ათას მან.)	2052,0	2583,0	2285,0	6920,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი გარდატეხა მოხდა საბჭოთა წლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. რევოლუციამდელ რაჭა-ლეჩხუმში არსებობდა სამი პატარა ქსენონი (ონში, ამბროლაურში და ლაილაშში); თითოეულ მათგანს შეეძლო ერთდროულად 6 ავადმყოფის მოთავსება. მთელ ამ მხარეში მუშაობდა სულ რამდენიმე ექიმი, ათიოდე ფერშალი და 4 პატარა აფთიაქი.[9] მეტად ცუდი სამედიცინო მომსახურების გამო ფართოდ იყო გავრცელებული სხვადასხვა ინფექციური და ენდემიური სახის ავადმყოფობანი, რაც იწვევდა დიდ სიკვდილიანობას. თანამედროვე რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეზე წარმოდგენას გვაძლევს მე-10 ცხრილი.

რაჭა-ლეჩხუმის ყოველ 586 მცხოვრებზე მოდის ერთი ექიმი, ხოლო საშუალოდ 233 კაცზე ერთი საწოლი საავადმყოფოში. თითოეულ რაიონულ ცენტრში მდებარეობს 50 საწოლიანი კარგად მოწყობილი საავადმყოფო, რომელიც უზრუნველყოფილია შესაბამისი სამედიცინო პერსონალით და აღჭურვილობით კვალიფიციური საექიმო დახმარების აღმოსაჩენად. საავადმყოფოები გახსნილია აგრეთვე რიგ მსხვილ სოფლებში და ლაჯანურჰესის მშენებლობის მუშათა დასახლებაში. ბევრ სოფელში არსებობს საექიმო ამბულატორია და ჯანმრთელობის პუნქტები; უფრო წვრილ დასახლებულ პუნქტებში მოწყობილია საფერშლო და საბებიო პუნქტები.

დიდი ყურადღება ექცევა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას. ამ მიზანს ემსახურება სამშობიარო სახლების, დედათა და ბავშვთა კონსულტაციების და საბავშვო ბაღების ფართო ქსელი. სისტემატურად ტარდება პროფილაქტიკური ღონისძიებები სხვადასხვა სახის ინფექციურ დაავადებათა გავრცელების წინააღმდეგ, რის შედეგად მკვეთრად შემცირდა ავადმყოფობათა რიცხვი და სიკვდილიანობა.

როგორც ადგილობრივი, ისე ჩვენი ქვეყნის სხვა მხარეებიდან მოსულთა ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება რაჭის ორი კურორტი — შოვი და უწერა.

რაჭა-ლეჩხუმის ეკონომიურ წინსვლას, კულტურული ცხოვრების განვითარებას და ჯანმრთელობის საქმის ძირეულ გარდაქმნას თან მოჰყვა მოსახლეობის მატერიალური პირობების გაუმჯობესება. მატერიალური წარმოების სფეროში მოსახლეობის სულ უფრო მეტი რაოდენობით ჩაბმამ გაზარდა შრომითი შემოსავალი. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის სისტემატიურ ზრდას თან ადევდა რეალური ხელფასის გადიდება. ყოველწლიურად იზრდება სოციალ-კულტურულ ღონისძიებებზე სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრების რაოდენობა. მარტო 7 წლის მანძილზე — 1950 წლიდან 1957 წლამდე, ეს ხარჯები გადიდდა 26,5 მლნ მანეთიდან 34,9 მლნ მანეთამდე, ანუ 31,7 %-ით. სოციალ-კულტურულ ღონისძიებებზე სახელმწიფომ დახარჯა 1957 წელს საშუალოდ რაჭა-ლეჩხუმის ერთ მცხოვრებზე 405 მანეთი. მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი მაჩვენებელია მშრომელთა მიერ შემნახველ სალაროებში დანაზოგი სახსრების შეტანა. ომის შემდგომ პერიოდში სისტემატურად იზრდებოდა როგორც მეანაბრეთა რიცხვი, ისე დანაზოგი თანხის რაოდენობა. 1951 წლის 1 იანვრიდან 1957 წლის 1 იანვრამდე

---

[9] Обзор Кутаисской губернии за 1909 год. Кутаиси. 1910. стр. 90—91, 98—101.

რაჭა-ლეჩხუმის შემნახველ სალაროებში მეანაბრეთა რიცხვი კიოხარდა დაახლოებით ორჯერ, ხოლო დანაზოგი თანხა — 7,3-ჯერ. ცხადია, ასეთ ცვლილებებს არ შეიძლება ჰქონოდა ადგილი მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების გარეშე.

რაჭა-ლეჩხუმის ქალაქები

მრეწველობის სუსტმა განვითარებამ და არახელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობეს რაჭა-ლეჩხუმში ქალაქების განუვითარებლობა. ქალაქი ონი, აგრეთვე დაბა ამბროლაური და ცაგერი მოკლებული არიან რაიმე მნიშვნელოვან ეკონომიურ ფუნქციებს და ამაში მდგომარეობს მათი, როგორც სავაჭრო-ადმინისტრაციული ფუნქციებისა; ისინი წარმოადგენენ ადმინისტრაციული რაიონების ცენტრებს. მაგრამ ასეთი ფუნქცია არ ქმნის იმ ჯარათ ბაზას, რომლის საფუძველზეც შეიძლება განვითარდეს მნიშვნელოვანი ქალაქი. მართალია, რაჭა-ლეჩხუმში მოიპოვება რიგი წიაღისეული სიმდიდრეები და ზოგიერთი მთგანის დამუშავებაც წარმოებს, მაგრამ აქ არ არსებობს რაიმე ძვირფასი მინერალური ნედლეულის არც ერთი ისეთი საბადო, რომლის დამუშავების ბაზაზე შესაძლებელი იყოს ახალი ქალაქის შექმნა. გამონაკლისს შეადგენს შაორის ქვანახშირის საბადო, რომელიც ამბროლაურის რაიონის სამხრეთ საზღვარზე, ნაქერალას ქედში მდებარეობს. ქვანახშირის დიდ სიღრმეზე განლაგების გამო, მისი მოპოვების არსებული ვარიანტები ითვალისწინებენ მაღაროებისა და შახტების გაყვანას აღნიშნული ქედის სამხრეთ კალთებიდან, რომლებიც რაჭა-ლეჩხუმის ფარგლებს გარეთ მდებარეობენ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლეჩხუმში ამჟამად მთავრდება საქართველოს უმსხვილესი ჰიდროელექტროსადგურის — ლაჯანურჰესის მშენებლობა, მაგრამ თუ ამ სადგურის ბაზაზე ადგილობრივ არ შეიქმნა რაიმე ახალი სამრეწველო ობიექტი (რაც ჯერ-ჯერობით გათვალისწინებული არ არის), თვით ჰიდროელსადგურის ექსპლოატაციაზე არ იქნება დაკავებული მუშა-მოსამსახურეთა დიდი რიცხვი, რის გამო უახლოეს მომავალში აქ ახალი ქალაქის წარმოქმნა და განვითარება არ არის მოსალოდნელი. ამრიგად, უახლოეს პერსპექტიულ პერიოდში არ არსებობს რაიმე რეალური შესაძლებლობანი რაჭა-ლეჩხუმის ქალაქისა და დაბების სწრაფი განვითარებისა ან ახალი ქალაქების შექმნისა. ამ გარემოების მიზეზთა შორის უნდა აღინიშნოს რკინიგზის მაგისტრალებიდან რაჭა-ლეჩხუმის საკმაოდ დაცილებული მდებარეობა, რელიეფის მთაგორიანი ხასიათი და არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო მატერიალური წარმოების სფეროს შეზღუდულობა. ეს უკანასკნელი გარემოება შეეხება სასოფლო-სამეურნეო წარმოებასაც, იგი არ იძლევა მასიური რაოდენობით ისეთ ნედლეულს, რომლის ბაზაზეც შეიძლებოდა შექმნილიყო მსხვილი გადამუშავებითი მრეწველობის საქალაქო დარგები (როგორც ამას ადგილი აქვს, მაგალითად, ქვემო იმერეთის მეაბრეშუმეობაში და აბრეშუმის მრეწველობაში). რაც შეეხება რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობას, ჯერ ერთი, მისი განვითარების შესაძლებლობანიც შეზღუდულია დამუშავებისათვის ვარგისი ფართობების სიმცირის გამო და, მეორეც, არც თუ ისე მძლავრი ღვინის ქარხნები იქმნება უმთავრესად ვენახების განლაგების ადგილებში, მეტწილად სოფლად, რაც ქალაქების განვითარებაზე ნაკლებ გავლენას ახდენს.

ქვემოთ მოგვყავს ონის, ამბროლაურისა და ცაგერის მოკლე დახასიათება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქი ონი

ონი მდებარეობს მდინარე რიონის საკმაოდ ვიწრო ხეობაში და თითქმის ყოველი მხრიდან მთის კალთებითაა მოზღუდული. საქალაქო დასახლებას უმირავს ვაკის ვიწრო ზოლი მდინარის მარცხენა ნაპირის გასწვრივ. ამ ადგილას რიონის ხეობა ოდნავ ფართოვდება და მდინარე ორთებს თავის მარცხენა შემდინარეებს ჯეჯორას (ქალაქის დასავლეთ საზღვართან) და ღარულას (ქალაქის ოდნავ ჩრდილო-აღმოსავლეთით). საქალაქო დასახლების მიერ დაკავებული ბალა თანდათან ვიწროვდება სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ; მისი საშუალო სიგანე რამდენიმე ასეულ მეტრს არ აღემატება, ხოლო სიგრძე ქალაქის ფარგლებში 2—3 კმ შეადგენს. ქალაქის დასახლებულ კვარტალებს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან უშუალოდ ესაზღვრება არც თუ ისე მაღალი მთის მკვეთრად დახრილი და ტყით შემოსილი კალთები. მთელი ეს გარემო დიდ სილამაზეს ანიჭებს ონს და მიმზიდველს ხდის მის მდებარეობას.

ქალაქის პირდაპირ, რიონის მარჯვენა ნაპირისაკენ ეშვებიან ხევებით დაღარული მთის კალთები, რომლებსაც მდინარის პარალელურად ჰკვეთს ქუთაისი-ლაგირის გზატკეცილი. ამ გზით (რომელთანაც ქალაქს აერთებს რიონზე აგებული კაპიტალური ხიდი) ონი უკავშირდება ერთი მხრივ, ქუთაისს და რესპუბლიკის დანარჩენ რაიონებს, მეორე მხრივ, კი მამისონის უღელტეხილით — ჩრდილო კავკასიას. აღნიშნული გზატკეცილით მანძილი ქუთაისამდე შეადგენს 118 კმ-ს, ხოლო უღელტეხილამდე—55კმ-ს. იგივე გზა აკავშირებს ქალაქს ქვემო რაჭასთან და ლეჩხუმთან. უკანასკნელ წლებში საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებს ონი დაუკავშირდა მეტად მოკლე და მოხერხებული გზით. ეს უკანასკნელი აჰყვება ჯეჯორის ხეობას, შემდეგ გაივლის კვაისაზე (სამხრეთ ოსეთის აეტ. ოლქი), ერწოს ტბის მიდამოებში და მდ. ფაცას ხეობით ჩამოდის დიდი ლიახვის ხეობაში. მანძილი ონიდან გორამდე არ აღემატება 115 კმ-ს.

მართალია, საერთოდ ონის მდებარეობა არ არის ხელსაყრელი ქალაქის ზრდა-განვითარებისათვის, მაგრამ თვით ზემო რაჭის მიმართ, რომლის ცენტრსაც იგი წარმოადგენს, მას საკმაოდ მოხერხებული განლაგება აქვს. ჯეჯორასა და ღარულას გარდა ქალაქის მიდამოებში რიონს უერთდებიან აგრეთვე მარჯვენა შენაკადი საკაო და მარცხენა შენაკადი ხეორი (ქალაქს ცოტა ქვემოთ, სოფელ ზუდალთან). თვით რიონისა და ყველა ამ მდინარის ხეობები მარაოს მსგავსად იშლებიან ონის სამხრეთით, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით. ამ ხეობებში მდებარეობს ზემო რაჭის თითქმის ყველა დასახლებული პუნქტი და ონი წარმოადგენს ყველაზე უფრო მოხერხებულ ადგილს მათი ერთმანეთთან დაკავშირებისათვის, რაც ქალაქის მდებარეობის უპირატესობას შეადგენს.

ქალაქი მდებარეობს ზღვის დონიდან 860 მეტრ სიმაღლეზე. ჰავა აქ ჯანსაღია და რაიმე დაბრკოლებას საქალაქო დასახლებისათვის არ ქმნის. რაც შეეხება რელიეფს, ონს არ აქვს ისეთი მიწები, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იყოს მსხვილი სამრეწველო საწარმოთა მშენებლობისათვის; ასეთი მშენებლობის შესაძლებლობას გამორიცხავს თვით ქალაქის მდებარეობის უარყოფითი მხარეებიც, შედარებით მცირეძალოვან საწარმოთა განლაგებისათვის, აგრეთვე საცხოვრებელი უბნების განვითარებისათვის ქალაქს ჯერ კიდევ აქვს საკმაოზომა ტერიტორია სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და რიონის სანაპიროზე (მდინარის კალაპოტის რეგულირების შემთხვევაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის გამო, რომ ონი მოცილებულია რესპუბლიკის ბარის რაიონებიდან, აგრეთვე რკინიგზის მაგისტრალებიდან, და საკმაოდ იზოლირებული მდებარეობით გამოირჩევა, მისი სამეურნეო მნიშვნელობა არ სცილდება ადგილობრივ ფარგლებს. ამიტომ ონი არ მონაწილეობს რესპუბლიკის ქალაქებს შორის არსებულ შრომის დანაწილებაში და მისი მთავარი ფუნქცია რაიონის ადმინისტრაციული ცენტრის მოვალეობის შესრულებაში გამოიხატება. წინათ, როცა კერძო ვაჭრობა არსებობდა და მოსახლეობა პირველი მოთხოვნილების საგნებით ხელოსნური ნაწარმით მარაგდებოდა, ონელი ვაჭრები და ხელოსნები მთელ ზემო რაჭასა და ზოგიერთ სხვა კუთხესაც აწოდებდნენ მოხმარების საგნებს. ამჟამად კი ქალაქის ეს ფუნქცია მნიშვნელოვნად შეიცალა. ხელოსნური ნაწარმის ადგილი მოსახლეობის მომარაგებაში ფაბრიკა-ქარხნების პროდუქციამ დაიკავა. ეს პროდუქცია ონში შეიზიდება ჩვენი კვეყნის სხვა ქალაქებიდან და სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით მიეწოდება სოფლის სავაჭრო ქსელს. ასე რომ, ადგილობრივ ნაწარმს უმნიშვნელო ადგილი უკავია მოსახლეობის მომარაგებაში; ამიტომ ხელოსნურმა წარმოებამაც დაკარგა თავისი ადრინდელი მნიშვნელობა და მისი მასშტაბიც მკვეთრად შეიზღუდა. კერძო ვაჭრობის გაუქმების გამო, ონი ამჟამად სოფლის სავაჭრო ქსელში საქონლის განმანაწილებელისა და რეგულიატორის როლს უფრო ასრულებს, ვიდრე პირდაპირი სავაჭრო ცენტრისას.

ცვლილებები განიცადა ქალაქის ადმინისტრაციულმა ფუნქციამაც. წინათ ონი რაჭის მაზრის ცენტრს წარმოადგენდა. რევოლუციამდელ პერიოდში აქ იყო მაზრის უფროსის რეზიდენცია, სასამართლოს და პოლიციის ადგილსამყოფელი. სამაზრო ცენტრი თითქმის არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა რაჭის სოფლების სამეურნეო ცხოვრების ძირითად მიმართულებაში — სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. სამაგიეროდ ონელი ვაჭრები სპეკულაციისა და მევახშეობის გზით ექსპლოატაციას უწევდნენ სოფლის მშრომელ მოსახლეობას. თანამედროვე ონი წარმოადგენს იმავე სახელწოდების რაიონის ადმინისტრაციულ ცენტრს. გარდა ამისა, ქალაქში არსებობს რიგი ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმონი, მაგრამ არც პირველი (ადმინისტრაციული) და არც მეორე (სამეურნეო) ფუნქცია არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ გამოიწვიოს ქალაქის სწრაფი ზრდა. ამიტომ ონი რესპუბლიკის ქალაქთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელნიც ნელა ვითარდებიან.

ამ გარემოებას ნათლად გვიჩვენებს ონის მოსახლეობის დინამიკა.

წელი	მოსახლეობა
1897	1255
1922	2699
1926	2932
1939	3684
1959	4400

33 წლის მანძილზე (1926—1959 წლები) ონის მოსახლეობა გაიზარდა 50 %-ით, მაშინ როდესაც იმავე პერიოდში საქართველოს ქალაქების მოსახლეობა დაახლოებით გასამკეცდა. ცხადია, რომ ონი ბევრად უფრო ნელა იზრდებოდა, ვიდრე საქართველოს ქალაქების დიდი უმრავლესობა. მოსახლეობა ამ პერიოდში იზრდებოდა უმთავრესად ბუნებრივი მატების შედეგად, მაგრამ მექანიკურ მოძრაობასაც ჰქონდა ადგილი. კერძოდ, ქალაქში ჩასახლდა მახლო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბელი სოფლებიდან ქართველი მოსახლეობის ნაწილი. ამავე დროს ადგილ ჰქონდა ნაწილობრივ ქალაქიდან როგორც ქართველების, ისე ებრაელებისა და სომხების წასვლას, რადგან შეიკვეცა საქმიანობის იმ დარგების მოცულობა (ვაჭრობა, ხელოსნობა) რომლებშიაც წინათ მოსახლეობის ეს ნაწილი იყო ჩაბმული. ამჟამად ქალაქად მცხოვრებთა უდიდეს ნაწილს შეადგენენ ქართველები. მეორე ადგილი უკავიათ ქართველ ებრაელებს, ხოლო სომხებს უჭირავთ შედარებით მცირე ადგილი. უმნიშვნელო რაოდენობით ქალაქში გაჩნდა აგრეთვე რუსი მოსახლეობა.

ონის მრეწველობას მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს. გამონაკლისს შეადგენს რძის ქარხანა, რომელიც თავის პროდუქციას აწვდის ქალაქ ქუთაისსა და საქართველოს ზოგ სხვა რაიონს. 1958 წელს აშენდა რძის ახალი ქარხანა. მას შეუძლია დღე-ღამეში 5 ტონა რძის გადამუშავება.

ონის სამრეწველო საწარმოთა მეტი ნაწილი ეკუთვნის რაიმრეწკომბინატს. მათ შორის ყველაზე მსხვილი საწარმოა აგურ-კრამიტის ქარხანა, რომელიც წელიწადში უშვებს დაახლოებით 250 ათას ცალ აგურს და 100—150 ათას ცალ კრამიტს, ამზადებს აგრეთვე თიხის ჭურჭელს. ქარხანა მდებარეობს ქალაქის დასავლეთ განაპირა უბაწში და იყენებს ადგილობრივ ნედლეულს. მუშების საშუალო რიცხვი შეადგენს 25 კაცს. პროდუქცია იყიდება როგორც თვით ქალაქში, ისე მეზობელ სოფლებში. ადგილობრივ მრეწველობას აქვს აგრეთვე კირის პატარა ქარხანა, რომელმაც 1957 წელს დაამზადა 66 ტონა კირი. რაიმრეწკომბინატის სხვადასხვა ცეხები ამზადებენ ავეჯს, თუნუქის ღუმელებს, აწარმოებენ წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტს, ხე-ტყის დახერხვას, ფეხსაცმელისა და ტანსაცმლის შეკერვას და სხვ. ქალაქში არსებობს აგრეთვე ღვინისა და ლიმონათის ქარხანა, რომელიც აწარმოებს მასიური მოხმარების ღვინის ჩამოსხმას და ამზადებს ლიმონათს. ამ საწარმოს პროდუქციაც განკუთვნილია ადგილობრივი მოხმარებისათვის.

ქალაქში არსებულ სტამბაში იბეჭდება ადგილობრივი გაზეთი „სოციალისტური მშენებლობა“; სულ ონის სამრეწველო საწარმოებმა 1957 წელს დაამზადეს 6,7 მლნ მანეთის საერთო პროდუქცია.

სერიოზული ცვლილებები განიცადა უკანასკნელი 10—15 წლის მანძილზე ონის კომუნალურმა მეურნეობამ. ქალაქის მიერ დაკავებული ტერიტორია შეადგენს 300 ჰექტარს, ქუჩების რიცხვი კი 18-ს. 1956—1957 წლებში ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ საზღვარზე მდებარე, წინათ სახნავ-სათესად გამოყენებული მიწები (ყოფ. სოფ. მაიდანი), ხელახლა დაიგეგმა და დაიწყო მისი განაშენიანება. აქ შენდება უმთავრესად ორსართულიანი ქვითა და აგურით ნაგები სახლები; თითოეულ მათგანს აქვს საკმაოდ ვრცელი ეზო. სულ ქალაქში 1958 წელს იყო 845 შენობა, რომელთაგან 830 წარმოადგენს საცხოვრებელ სახლს. აქედან ქალაქის საბჭოს ეკუთვნოდა მხოლოდ ხუთი საცხოვრებელი სახლი 1610 კვ. მეტრი საერთო ფართობით. დანარჩენი 825 სახლი კი შეადგენს მუშა-მოსამსახურეთა საკუთრებას; მათი საცხოვრებელი ფართობი უდრის 46,5 ათას კვ. მეტრს. სახლები გეზვდება ერთ და ორსართულიანი. სახლების მნიშვნელოვან ნაწილს გარს არტყია საკმაოდ მოზრდილი ეზო, რომელიც მეტწილად ხეხილის ნარგავებითაა დაფარული. სახლები ხშირად ეზოს სიღრმეშია ჩადგმული და ტროტუარისაგან ხის ან ქვის (აგურის) ღობითაა გამოყოფილი. თითქმის ყველა ქუჩა ასფალტირებულია; მათ მეტ ნაწილს მოწყობილი აქვს ტროტუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები, რომელთა გასაწვრივ დარგულია დეკორაციული მცენარეები. ყველაზე მჭიდროდ დასახლებულია ქალაქის აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც ცხოვრობენ ებრაელები. აქ ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული ძველი დგეგმარება; ქუჩები ვიწროა და არაპირდაპირი. ქვითა და აგურით ნაგებ სახლებთან ერთად ონში ხშირად შეხვდებით ხის სახლებსაც, რომლებიც ათეული წლების წინათაა აგებული. ადრე ქალაქში თითქმის სულ ყავრით დახურული ხის სახლები ყოფილა. ახალი სახლები კი კრამიტით იხურება. ახალი საცხოვრებელი სახლებისა მშენებლობამ ფართო ხასიათი მიიღო უკანასკნელ 5—6 წლის მანძილზე. 1950 წლიდან 1958 წლამდე ქალაქში 300-მდე კერძო საცხოვრებელი სახლი აშენდა, ხოლო მთელი საცხოვრებელი ფონდი გაიზარდა 28,1 ათასი კვ. მეტრიდან 48,1 ათას კვ. მეტრამდე.

ადრე ქალაქს არ ჰქონდა წყალსადენი და მოსახლეობა ხმარობდა ჭის წყალს. პირველი წყალსადენი გაიყვანეს 1935 წელს. მისი სიმძლავრე შეადგენდა 7 ლიტრს წამში. შემდგომში იგი საკმარისი აღარ აღმოჩნდა გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და 1954 წელს დაიწყო წყალსადენის გაფართოება. ამ ღონისძიების შედეგად ქალაქში წყლის მოწოდება გაიზარდა ორჯერ. ქალაქს ჯერჯერობით არ აქვს კანალიზაცია.

ელექტროენერგიით ონი მარაგდება ქალაქის განაპირა უბანში მდებარე ჯეჯორაპესისაგან, აგრეთვე ზვარეთაჰესისაგან, რომელიც რვა კილომეტრითაა დაცილებული ონიდან. ქალაქი ხარჯავს წლიურად დაახლოებით 200 ათას კილოვატსაათამდე ელექტროენერგიას. ზაფხულის თვეებში წყლის დონე მდინარეებში ეცვამ და ელექტროენერგია ქალაქს არ ყოფნის. ქალაქის ქუჩებში დგას 160-მდე ლამპიონი. მაგრამ მთლიანად ქალაქი არ არის კარგად განათებული. უკვე შედგენილია პროექტი და გათვალისწინებულია უახლოეს წლებში როგორც ონს, ისე ზემო რაჭის სოფლებს მიეწოდოს ელექტროენერგია საქენერგოს სისტემიდან. ამ სისტემაში ჩართული იქნება რიეეულჰესი, რომლის გაფართოებაც უკვე მიმდინარეობს. ამ სამუშაოების დამთავრების შემდეგ ონის ელექტროენერგიით მომარაგების საკითხი საბოლოოდ იქნება მოგვარებული.

საბჭოთა წლებში ონში შეიქმნა განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაწესებულებების ფართო ქსელი, რომელიც ემსახურება არა მარტო ქალაქის მოსახლეობას, არამედ მნიშვნელოვანწილად მთელი ზემო რაჭის სოფლებსაც. ქალაქში გახსნილია ორი სრული საშუალო სკოლა, სადაც 1958 წელს 1100-ზე მეტი ბავშვი სწავლობდა; არსებობს აგრეთვე საბავშვო ბაღი. აქ მდებარეობს რაიონის კულტურის სახლი, რომლისათვისაც აიგო ახალი შენობა. კულტურის სახლის შენობაში მოთავსებულია აგრეთვე ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ქალაქს აქვს კინოთეატრი; გახსნილია საქალაქო, სარაიონო და საბავშვო ბიბლიოთეკები.

ონში არსებობს 50 საწოლიანი რაიონული საავადმყოფო და პოლიკლინიკა. სამშობიარო სახლი, ტუბდისპანსერი. ეს სამედიცინო დაწესებულებები ემსახურებიან აგრეთვე რაიონის სოფლის მოსახლეობას.

ქალაქის ცენტრში მოწყობილია ფეხბურთის მოედანი, არსებობს აგრეთვე სპორტული დარბაზი.

ონის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს ქალაქის ცენტრში გაშენებული ბაღი. იგი არ გამოირჩევა თავისი სიდიდით, მაგრამ ჩრდილოვანხეივნებით და შიდ ჩადგმული კულტურის სახლით ქალაქის ყველაზე ლამაზი ადგილია. ბაღს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ვრცელი მოედანი, სადაც დადგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მულია ი. ბ. სტალინის ძეგლი. მოედნის კიდეზე 1958 წელს მიმდინარეობდა ახალი კინოთეატრის მშენებლობა. ამ მოედანზე გამოდის თავისი ფასადით სასტუმროს ორსართულიანი შენობა

ონის ტერიტორია ახლო მომავალში მნიშვნელოვნად შეივსება მდ. რიონის კალაპოტის რეგულირების შედეგად. საყრდენი კედლის აგებით გათვალისწინებულია კალაპოტის შეკეთება, რის შემდეგაც ამჟამად რიყით დაფარული რამდენიმე ათეული ჰექტარი ტერიტორია ქალაქისათვის სასარგებლო მიწებად გადიქცევა. ამ კედლის მშენებლობა უკვე დაწყებულია ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. შედგენილია პროექტი და დაწყებულია აგრეთვე კულტურისა და დასვენების ვრცელი პარკის მშენებლობა რიონის მარცხენა ნაპირზე.

დაბა ამბროლაური

თავისი ძირითადი ფუნქციით და მდებარეობით დაბა ამბროლაური ბევრად გავს ონს, თუმცა საგრძნობლად ჩამორჩება მას მოსახლეობის რაოდენობით. 1959 წლის 15 იანვრისათვის დაბის მოსახლეობა შეადგენდა 3100 მცხოვრებს. მაგრამ ამ მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს ამბროლაურის მეზობელ რამდენიმე სოფელში, რომლებიც ადმინისტრაციულად ემორჩილებიან სადაბო საბჭოს; საკუთრივ დაბის მოსახლეობა კი 1958 წლის 1-ლ იანვრისათვის შეადგენდა 1457 კაცს. რადგან ხსენებული სოფლების მეტი ნაწილი უშუალოდ ესაზღვრებიან ამბროლაურს და ადმინისტრაციულად ერთ სადაბო საბჭოს შეადგენენ, ამიტომ მათი მცხოვრებლებიც ქალაქის მოსახლეობადაა ჩათვლილი.

ქვემო რაჭის ტერიტორიაზე რიონის ხეობა საგრძნობლად ფართოვდება. მდინარის ნაპირების გასწვრივ ჩნდება 1-2 კმ სიგანის ჭალა, ხოლო მოსახზღვრე მთის კალთები უფრო სუსტად დაქანებული ხდებიან. ამნაირად წარმოიქმნება ყველა მხრიდან მთებით გარშემორტყმული ვრცელი ქვაბული, სადაც განლაგებულია ქვემო რაჭის დასახლებული პუნქტების უმეტესი ნაწილი და მათ შორის დაბა ამბროლაურიც. იგი მდებარეობს მდ. რიონის მარცხენა ნაპირის მახლობელ სუსტად დახრილ ტერასაზე. ამ ადგილას რიონი იერთებს თავის მარცხენა შენაკადს კრიხულას. დაბის ძირითადი ნაწილი აღნიშნული პატარა მდინარის მარჯვენა ნაპირზეა განლაგებული, ხოლო თანდათან მის მარცხენა ნაპირსაც იკავებს. დასახლება გაშლილია ზღვის დონიდან 600 მეტრ სიმაღლეზე.

ამბროლაური დაბად გარდიქმნა 1944 წლის სექტემბერში იმასთან დაკავშირებით, რომ იგი წარმოადგენდა იმავე სახელწოდების რაიონის ადმინისტრაციულ ცენტრს და თავისი ძირითადი მაჩვენებლებით აკმაყოფილებდა დაბისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ამბროლაურს მოხერხებული მდებარეობა აქვს ქვემო რაჭის დასახლებული პუნქტების მიმართ, რაც პირველ ყოვლისა იმაში გამოიხატება, რომ იგი წარმოადგენს რაჭის ამ ნაწილის გეოგრაფიულ ცენტრს; აქედან ყველაზე უფრო მოხერხებულია ადმინისტრაციული რაიონის სოფლებთან კავშირის დამყარება. არა ნაკლები გავლენა იქონია აგრეთვე ამბროლაურის დაწინაურებაზე იმ გარემოებამ, რომ იგი პირდაპირი გზით უკავშირდება ნაქერალას ქედზე გავლით ქუთაისს, დასავლეთ საქართველოს ამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ქალაქს. როცა რაჭა რიონის ხეობაზე გამავალი გზითაც დაუკავშირდა ქუთაისს (XIX საუკუნის მეორე ნახევარში), ამბროლაური აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჩნდა სწორედ ამ ორი მთავარი გზის შესაყარზე, რამაც კიდევ უფრო გააუმჯობესა მისი მდებარეობა.

ამბროლაურის სადაბო საბჭოს მთელი მოსახლეობა 1958 წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 3005 კაცს; ამავე ტერიტორიაზე 1926 წელს ცხოვრობდა 2288 კაცი, ე. ი. მოსახლეობის ზრდა აღნიშნულ პერიოდში შეადგენს 31,3 %-ს. საკუთრივ დაბის მოსახლეობა იმავე წლებში გაიზარდა 345 კაციდან 1457 კაცამდე, ანუ 4,2-ჯერ. ამავე ციფრებიდან ჩანს, რომ 1926 წელს ამბროლაური პატარა სოფელი იყო. მოსახლეობის ზრდა აქ წარმოებდა უმთავრესად მექანიკური მატების შედეგად. პირველ რიგში დაბაში დამკვიდრდნენ მეზობელი სოფლების ყოფილი მცხოვრებლები. მოსახლეობა მოდიოდა აგრეთვე უფრო დაცილებული სოფლებიდანაც. ამჟამადაც დაბის მუშა-მოსამსახურეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობს არა თვით ამბროლაურში, არამედ მეზობლად განლაგებულ სოფლებში — იწაში, გორში, ახალსოფელში და რიგ სხვა დასახლებულ პუნქტში. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე დაბის მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა, ამბროლაური მაინც არ გამოირჩევა თავისი სიდიდით. საქართველოს დაბა-ქალაქებს შორის იგი ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე დგას მოსახლეობის რაოდენობით. ის ფაქტი, რომ მუშა-მოსამსახურეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ახლოს მდებარე სოფლებში ცხოვრობს, ყოველთვის რიდი აიძულებს მათ დატოვონ მამა-პაპეული კარმიდამო და გადასახლდნენ დაბაში. თუ ამავე დროს იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დაბაში არ ვითარდება მრეწველობა, ჩვენთვის ნათელი გახდება ამბროლაურის მოსახლეობის სიმცირის მიზეზი.

მართალია, ონთან შედარებით ამბროლაური ცოტა უფრო წინ დგას სამრეწველო წარმოებით, მაგრამ დაბის ეს ფუნქცია აქაც არ არის მაინცდამაინც განვითარებული. მუშა-მოსამსახურეთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ამბროლაურშიც ჩაბმულია ადმინისტრაციულ და პარტიულ აპარატში, აგრეთვე განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. ეს გარემოება სავსებით ბუნებრივია, რადგან ამბროლაური, ონის მსგავსად, წარმოადგენს რაიონის ადმინისტრაციულ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს. დაბის მუშა-მოსამსახურეთა ნახევარზე მეტი ჩაბმულია არამწარმოებლურ დარგებში.

გარდა ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოებისა, ამბროლაურში არსებობს აგრეთვე ღვინის და რძის ქარხნები, რომელთა პროდუქციის ძირითადი ნაწილი გაიზიდება რაიონის ფარგლებს გარეთ.

ადგილობრივ მრეწველობას თვით ამბროლაურში მოუყობილი აქვს კირის ქარხანა, ავეჯის წარმოება, უალკოჰოლო სასმელების ქარხანა და სხვადასხვა სახელოსნოები. გათვალისწინებულია უახლოეს ხანში მოეწყოს გრეხილი ავეჯის წარმოება. დაბის სამრეწველო საწარმოთა წლიური პროდუქცია, 1957 წლის მონაცემებით, შეადგენს დაახლოებით 10—11 მლნ მანეთს.

მოსახლეობის ზრდის პარალელურად იზრდებოდა დაბის ტერიტორიაც, ფართოვდებოდა ქუჩების ქსელი. 1958 წელს დაბას ეკავა 45 ჰექტარი ფართობი, ნაცვლად 1950 წლის 33 ჰექტარისა. იმავე წლებში ქუჩების რიცხვი გაიზარდა 10-დან 14-მდე, ხოლო მათი საერთო სიგრძე 3,8 კმ-დან 5,8 კმ-მდე. დაბა ნელ-ნელა იკავებს ქვედა ტერასას, რომელიც ამბროლაურსა და რაონის მარცხენა ნაპირს შუა მდებარეობს. აქ განაშენიანება თანდათან მიიწევს დაბის ცენტრალური (ლენინის სახელობის) ქუჩის გასწვრივ მდინარის ნაპირისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ქუჩა იმ გზატკეცილს ემთხვევა, რომელიც ქუთაისი-ონის მთავარ გზას გამოეყოფა რაინის მარჯვენა მხარეს, შემდეგ რაინზე აგებული ხიდით მიემართება ამბროლაურისაკენ და უერთდება დაბის ცენტრალურ მოედანს. რაინის მარცხენა ნაპირიდან დაბის ცენტრამდე, მის ორივე მხარეს, ჩამწკრივებულია ახალგაზრდა, ლამაზკრონიანი კედრები, რომლებიც მეტად კოხტა ხეივანს ქმნიან. ეს ხეივანი ფერდობს აყვება და მთავრდება ქუჩის ორივე მხარეს ვეებერთელა ასწლოვანი ცაცხვებით. ადრე ამ ადგილას იყო დაბის დასახლების საზღვარი და ერთმანეთში ტოტებგადაჯდომილი ორი გიგანტური ცაცხვი დაბაში შესასვლელ თავისებურ ტრიუმფალურ თაღს მოაგონებს მნახველს. ამჟამად როგორც საცხოვრებელი, ისე საზოგადოებრივი შენობები უკვე შენდება ცაცხვებს ქვემოთაც და მთავარი ქუჩა, რომელსაც კრიხულას პარალელური მიმართულება აქვს, თანდათან უახლოვდება რაინის მარცხენა ნაპირს. კედრების ხეივნიდან აღმოსავლეთით მიემართება ახლად გაჭრილი ქუჩა; მის ორივე მხარეს უკვე შენდება კაპიტალურად ნაგები ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები. ცენტრალური მოედნის ჩრდილო საზღვარზე, ლენინის ქუჩის მართობულად, გადის სტალინის ქუჩა, რომელიც მდ. კრიხულაზე არსებულ ხიდს უერთდება და შემდეგ გადადის ტყიბულისა და ქუთაისისაკენ მიმავალ გზატკეცილში (მანძილი ტყიბულამდე 42 კმ-ს შეადგენს). ხსენებულ ორ ქუჩაზე მდებარეობს ამბროლაურის საზოგადოებრივი შენობების მეტი ნაწილი.

ცენტრალურ მოედანზე გამოდის ამბროლაურის რაიონული კულტურის სახლის კოლონნებიანი ფასადი. ეს საკმაოდ დიდი და მოხდენილი შენობა ყველაზე მნიშვნელოვანია დაბაში.

დაბაში სულ 358 შენობაა (1958 წლის მონაცემებით), რომელთაგან 314 საცხოვრებელი სახლია, აქედან 249 სახლი ეკუთვნის მუშა-მოსამსახურეებს. მთელი საცხოვრებელი ფართობი შეადგენს 18840 კვ. მეტრს.

პირველი წყალსადენი ამბროლაურში გაიყვანეს 1937—1938 წლებში. ამჟამად ეს წყალსადენი გამოიყენება სარეზერვოდ. ხოლო ახალი, უფრო ძლაერი წყალსადენი, ექსპლოატაციაში გაუშვეს 1958 წელს. დღეღამეში იგი აწოდებს დაბას 1400 კუბურ მეტრამდე წყალს, რაც მთლიანად უზრუნველყოფს ამბროლაურის მოთხოვნილებას წყალზე. 1939 წლიდან დაბაში მოქმედებს ამბონ, რომელიც საათში ატარებს 20 კაცს.

ამბროლაური ელექტროენერგიით მარაგდება რიცეულჰესიდან. 1958 წელს დაბა ხარჯავდა ყოველთვიურად დაახლოებით 48 ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას.

დაბის კეთილმოწყობა უკანასკნელ ხანებში საკმაოდ ფართოდ გაიშალა. მოასფალტებულია ყველა ცენტრალური ქუჩა, მიმდინარეობს მწვანე ნარგავების გაშენება, ახალი ქუჩების მშენებლობა, ჩატარდა წყალსადენის და ელექტრომეურნეობის გაფართოება და ა. შ. 1958 წელს სახელმწიფო ხარჯები დაბის კომუნალურ მეურნეობაზე შეადგენდა ნახევარ მილიონ მანეთზე მეტს.

ონისა და ცაგერის მსგავსად, ამბროლაურში მოწყობილია საყოფაცხოვრებო ბაზარი, სადაც კვირა დღეობით საკმაოდ დიდი რაოდენობით შემოიზიდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები რაიონის სოფლებიდან.

დაბაში არსებობს ორი სრული საშუალო სკოლა, რაიონული კულტურის სახლი, კინოთეატრი, სარაიონო და სამაგშვო ბიბლიოთეკები, სტადმბა. კვირაში ორჯერ გამოდის პარტიის რაიონული კომიტეტისა და რაიალმასკომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანო გაზეთი „კომუნარი“. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება 50 საწოლიანი საავადმყოფო, 10 საწოლიანი სამშობიარო სახლი და ტუბდისპანსერი.

დაბა ცაგერი

ცაგერი ჯერ კიდევ რევოლუციამდელ პერიოდში წარმოადგენდა ლეჩხუმის მაზრის ადმინისტრაციულ ცენტრს. მაშინ ლეჩხუმის მაზრაში შემოდიოდა აგრეთვე ქვემო სვანეთიც, ამიტომ ცაგერი იყო საკმაოდ დიდი, მაგრამ სუსტად დასახლებული მხარის ცენტრი. მას მოხერხებული მდებარეობა ჰქონდა მთელი ამ ვრცელი ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილებთან დაკავშირებისათვის, თუმცა უაღრესად მთაგრეხიანი რელიეფის და უგზოობის პირობებში კავშირი სვანეთთან საკმაოდ სუსტი იყო.

თანამედროვე ცაგერი თავისივე სახელწოდების ადმინისტრაციული რაიონის ცენტრია. ამ რაიონის ტერიტორია თითქმის მთლიანად მოიცავს ლეჩხუმს და ორი ნაწილისაგან შედგება. ერთია რიონ-ლაჯანურის ხეობა და მეორე — ცხენისწყლის ხეობა. მდ. ცხენისწყალი, გასცდება რა ლეჩხუმის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთებს, რამდენადმე გაფართოებულ ხეობას აჩენს. დაახლოებით 9—10 კმ სიგრძეზე მდინარის გასწვრივ წარმოიქმნება ვაკის ვიწრო ზოლი, რომლის ორივე მხარეს მთის კალთების დაქანებაც სუსტდება. მალე მდინარე ე. წ. სარეწკელას კალოვან კარიბჭეში შედის და ხეობა კვლავ ვიწროვდება. დაბა ცაგერი მდებარეობს ხეობის გაფართოების დასაწყისში. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 495 მეტრზე. დასახლება გაშლილია, როგორც მდინარისპირა ვაკეზე, ისე დასავლეთიდან მოსაზღვრე მთის ქვედა კალთებზე. დაბის ტერიტორიას თითქმის შუაზე ჰკვეთს კეკნარის ღელე. იგი დასავლეთიდან აღმოსავლეთითაა მიმართული და წლის მეტი დროის განმავლობაში წარმოადგენს მშრალ ხევს, რომლის ზემო ნაწილის ფერდობები ძალზე შლადი ქვიშნარი ქანებისაგან შედგება. თოვლის დნობისა და წვიმების დროს წყალს დიდი რაოდენობით მოაქვს ქვა და ღორღი, რის გამო წარმოქმნილია ვეებერთელა გამოზიდვის კონუსი. ღელის ჩრდილოეთით მდებარეობს დაბის დასახლების ძირითადი ნაწილი ანუ ზედა ცაგერი, სამხრეთით კი ქვედა ცაგერია: მის ვაკე ნაწილში ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირის მახლობლად მდებარეობს ფეხბურთის სტადიონი, სარემონტო-საქარაქტორო საადგური, ღვინის ახალი ქარხნის მშენებლობა და ზოგიერთი საწარმო. დაბის მთავარი ქუჩები და წარმოება-დაწესებულებები კი კეკნარის ღელის ჩრდილოეთითაა განლაგებული.

თავისი მდებარეობით ცაგერი ბევრნაირად ემსგავსება ამბროლაურს. ორივე დაბა განლაგებულია ქვაბულის ფსკერზე, დიდი მდინარის ნაპირას, თუმცა ცაგერი უფრო პატარა ქვაბულშია მოქცეული, ვიდრე ამბროლაური. ორივე დაბას უკავია როგორც ვაკე, ისე მოსაზღვრე მთის კალთები. ლეჩხუმი და ქვემო რაჭა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურითაც ეახლოვდებიან ერთმანეთს. როგორც ცაგერის, ისე ამბროლაურის მეზობელ სოფლებში დიდი ადგილი უკავია მევენახეობას და ნახევრადტკბილი ნატურალური ღვინოების წარმოებას (ხვანჭკარა, ტეში, უსახელაური). ორივე დაბის სამეურნეო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფილი და მთავარი ფუნქციაც იდენტურია; არც მოსახლეობის ოდენობით განსხვავდებიან ისინი ბევრად ერთმანეთისაგან. ცაგერშიაც, მსგავსად ამბროლაურისა, დაბის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ მეზობელი სოფლების მცხოვრებლები. სოფლები გვესო, ჭალისთვი და ჩხუტელი შედიან სადაბო საბჭოში და მათი მცხოვრებლებიც დაბის მოსახლეობად ითვლება. სულ 1959 წლის 15 იანვრისათვის ცაგერის მოსახლეობა შეადგენდა 4800 კაცს. 1958 წლის 1 იანვრისათვის საკუთრივ დაბაში ცხოვრობდა 2133; კერძოდ, ზედა ცაგერში კი 1566. აღნიშნული სოფლებიდან ცაგერს უშუალოდ ესაზღვრება გვესო. 1926 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დროს ცაგერის და გვესოს მოსახლეობა შეადგენდა 1856 კაცს; 1958 წლის დასაწყისისათვის კი 2390 კაცს, ანუ ზრდა შეადგენს 28,8 %-ს. მხოლოდ ცაგერის შესახებ გვაქვს 1922 წლის ცნობა, როცა აქ მცხოვრებთა რიცხვი შეადგენდა 1575 კაცს. 35 წლის მანძილზე საკუთრივ ცაგერში მოსახლეობა გაიზარდა მხოლოდ 35,5 %. როგორც ვხედავთ, ცაგერის ზრდის ტემპი საკმაოდ დაბალია. მიზეზი აქაც დაბის სუსტ სამრეწველო განვითარებაში უნდა ვეძებოთ. ცაგერისათვის მთავარია არა სამეურნეო, არამედ ადმინისტრაციული ფუნქცია, რაც საკმაოდ ნათლად ჩანს დაბის მუშა-მოსამსახურეთა საქმიანობის ანალიზიდან.

ადმინისტრაციულ და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, აგრეთვე მომსახურე დარგებში (კომუნალური მეურნეობა და ვაჭრობა) 1957 წელს ჩაბმული იყო მთელი მუშა-მოსამსახურეების თითქმის სამი მეხუთედი (58,7 %). ყურადღებას იქცევს მშენებლობასა და ტრანსპორტში ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა შედარებით მაღალი ხვედრითი წონა (22,7 %), აქედან მარტო მშენებლობაზე მოდის 20,2 %, რაც გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ დაბის ტერიტორიაზე მდებარეობდა ლაჯანურჰესის მშენებლობის ერთ-ერთი უბანი. აქ, მდ. ცხენისწყალზე, აშენდა კაშხალი, რათა ამ მდინარის წყლის ნაწილი არხითა და შემდეგ გვირაბით გადაგდოთ ლაჯანურის ხეობაში. ეს კაშხალი დაბის ჩრდილო საზღვართან მდებარეობს და როცა იგი მდინარეს გადაეტაკვნა, წყლით დაიფარება ცაგერში ჩრდილოეთიდან შესასვლელი გზა მურის ხიდიდან დაბამდე. ამიტომ მაშინ გზა ორბელიდან ცაგერში მურის ხიდზე კი აღარ გაივლის, არამედ თვით კაშხალზე, და პირდაპირ შევა დაბაში.

რესპუბლიკური მნიშვნელობის საწარმოებიდან ცაგერში მდებარეობს ღვინის ქარხანა. იგი ამზადებს ნახევრადტკბილი ღვინის (№ 19) მასალას, აგრეთვე ორდინარულ ღვინოებს — № 6 და № 10. ღვინის ქარხანა ჯერჯერობით მდებარეობს დაბის ცენტრში და არ არის შესაფერისად მოწყობილი, მაგრამ უკვე დაწყებულია ცაგერის სამხრეთ განაპირა უბანში ახალი ქარხნის მშენებლობა. დაბაში შენდება აგრეთვე საკონსერვო ქარხანა, რომელიც გამოუშვებს სხვადასხვა სახის კონსერვებს.

ცაგერში არსებობს ადგილობრივი მრეწველობის წვრილი საწარმოები. აქ მზადდება ფეხსაცმელი, სამკერვალო ნაწარმი, აგური და კირი, ავეჯი, წვრილი სას.-სამეურნეო ინვენტარი, ლიმონათი და სხვ. სამომხმარებლო კოოპერაციას მოწყობილი აქვს პური საცხობი.

დაბის მიერ დაკავებული ტერიტორია შეადგენს 125,3 ჰექტარს. სამხრეთიდან დაბას ეკვრის სახნავ-სათესად გამოყენებული მიწების ვრცელი მასივები, ისე რომ, ადგილობრივი ბუნებრივი პირობები არ ქმნიან რაიმე დაბრკოლებას ცაგერის ტერიტორიულად გაფართოებისათვის.

დაბაში სულ 12 ქუჩაა, რომელთა საერთო სიგრძე შეადგენს 7270 მეტრს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი მაგისტრალია ლენინის ქუჩა; იგი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გადაჭრის დაბას მთელ სიგრძეზე, ცხენისწყლის პარალელურად. მის გასწვრივ განლაგებულია რაიონული ცენტრის ყველა უმთავრესი დაწესებულებები: საშუალო-სამეურნეო ტექნიკუმი და საშუალო სკოლა, საავადმყოფოს ახალი შენობა, რომელსაც ამშვენებს ბაღის ლამაზი ღობით მოზღუდული და კარგად გამწვანებული ეზო; რაიაღმასკომისა და პარტიის რაიონული კომიტეტის შენობა, კულტურის სახლი, ფოსტა-ტელეგრაფი, კინოთეატრი და სხვ. დაბის ცენტრალურ მოედანს ჩრდილოეთიდან ეკერის არც თუ ისე დიდი, მაგრამ მეტად ლამაზი ბაღი, იგი დიდი ხნის წინათაა გაშენებული და თავისი ვეებერთელა ცაცხვებითა და დეკორაციული ნარგავებით ცაგერის მცხოვრებთა მშვენიერ დასასვენებელ ადგილს წარმოადგენს.

ცაგერში სულ 460 შენობაა, რომელთაგან 420 საცხოვრებელი სახლია; მათ შორის კერძო საცხოვრებელი სახლია 410. მთელი საცხოვრებელი ფონდი შეადგენს 31500 კვ. მ-ს. აქედან კერძო საცხოვრებელ სახლებზე მოდის ფართობის 83,9 %, საადმ. საჯარო სახლებზე — 13,3 % და საეწყვნო სახლებზე — 2,8 %. საცხოვრებელი სახლების უმრავლესობა აგებულია ხისაგან და ერთსართულიანია. ახალი სახლები უმთავრესად შენდება ქვისა და აგურისაგან. ზოგჯერ გვხვდება ხის ორსართულიანი ოდის ტიპის სახლები. თითქმის ყველა კერძო საცხოვრებელი სახლი გადახურულია ყავრით. საზოგადოებრივ შენობებს ხურავენ მეტწილად კრამიტით, ზოგჯერ კი თუნუქით. თითოეულ საცხოვრებელ სახლს აქვს საკმაოდ ვრცელი ეზო, რომელიც ხეხილით ან ვაზის ნარგავებითაა დაფარული. დაბის ეკეკ ნაწილში ქუჩები საკმაოდ განიერი და პირდაპირია. ფერდობებზე კი უფრო ვიწრო და შედარებით დაკლაკნილი ქუჩებია.

წყალსადენი დაბაში გაიყვანეს 1927 წელს. 1950—1952 წლებში აშენდა მეორე, უფრო მძლავრი წყალსადენი.

ელექტროენერგიას ცაგერი ღებულობს ორბელჰესიდან. ეს ჰესი 600 კვტ სიმძლავრისაა და მდებარეობს მდ. ლაჯანურზე, სოფელ ორბელში. გარდა ცაგერისა, იგი აწოდებს ელექტროენერგიას ლეჩხუმის რიგ სოფლებს. 1957 წელს დაბამ დახარჯა 400 ათასზე მეტი კილოვატსაათი ელექტროენერგია, მომავალში გათვალისწინებულია დაბის მომარაგება ელექტროენერგიით საქენერგოს სისტემიდან.

დაბის ტერიტორიაზე 1958 წლის პირველ აგვისტოსათვის ასფალტირებული იყო 25 ათასამდე კვ. მეტრი ქვაფენილები და ტროტუარები. მთავარ ქუჩაზე და ნაწილობრივ სხვა ქუჩებზეც მოწყობილია ბაზრები. უკანასკნელ წლებში წარმოებს ქუჩების გაფართოება და სხვა კეთილმოწყობითი სამუშაოები. მიმდინარეობს ქუჩების გამწვანება და სხვ. 1958 წელს მწვანე ნარგავების საერთო ფართობი შეადგენდა 7,8 ჰექტარს.

ცაგერში არსებობს სრული საშუალო სკოლა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, კულტურის სახლი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, კინოთეატრი, საერაიონო და საბავშვო ბიბლიოთეკები. 1958 წელს დაბის ცენტრში მიმდინარეობდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის და კინოთეატრის ორსართულიანი შენობის აგება. იმავე წელს მწყობრში ჩადგა ცაგერის რაიონული საავადმყოფოს კარგად მოწყობილი ახალი შენობა.

В. Ш. ДЖАОШВИЛИ

НАСЕЛЕНИЕ И ГОРОДА РАЧА-ЛЕЧХУМИ

Резюме

Рача-Лечхуми почти со всех сторон окружен горами и занимает несколько изолированное положение; связь с остальными районами республики осуществляется через узкие ущелья рек и горные перевальные дороги. Население здесь расположено по сравнительно узким и глубоким ущельям Риони, Цхенис-цкали, Ладжанури и их притоков, а также на высоких склонах гор.

В связи с сильным расчленением рельефа, удельный вес годных для заселения и обработки земель слишком незначителен; поэтому еще во второй половине прошлого века возникло относительное перенаселение Рача-Лечхуми, что привело к систематическому уходу части населения в другие районы и города Грузии. В довольно широких размерах проводилось плановое переселение населения Рача-Лечхуми в советский период, в особенности в послевоенное время, в другие, лучше обеспеченные землей районы республики. В результате, население этого края уменьшилось с 1886 года по 1959 год с 92.291 чел. до 76.200 чел., вследствие чего удельный вес населения Рача-Лечхуми в общем количестве населения всей Грузии уменьшился за указанный период с 5,4% до 1,9%. Уходу части населения способствовало не только малоземелье, но и слабое развитие промышленности и сети городов Рача-Лечхуми, в связи с чем выезжавшее из него население включалось в более квалифицированные отрасли труда в других городах и промышленных центрах республики. Среди ушедших преобладает трудоспособная часть населения, что привело к нарушению нормальной возрастной структуры и к более медленному естественному приросту населения Рача-Лечхуми. В частности, по сравнению с низинными районами Грузии, в Рача-Лечхуми значительно выше удельный вес населения старших возрастов (свыше 50 лет).

Рача-Лечхуми заселен в основном грузинами. Вместе с тем в гор. Они и сел. Лаилаши проживает сравнительно небольшое число грузинских евреев и армян. За последние годы в горнодобывающую промышленность и на строительство включились и русские. Сельское население почти целиком состоит из грузин.

За советские годы значительное перемещение населения имело место внутри самого Рача-Лечхуми; происходил механический рост населения городов за счет сельского населения. Удельный вес городского населения вырос с 4,7% в 1926 году до 16,3% к 1959 году. Несмотря на это, по удельному весу городского населения Рача-Лечхуми сильно отстает от среднего показателя в целом по республике (городское население Грузии в 1959 году составляло 42,4% всего населения республики).

Средняя плотность населения Рача-Лечхуми составляет 26,8 человека на 1 кв. км территории (по данным 1957 г.), т. е. приблизительно в два раза меньше, чем в среднем по республике. Что же касается количества населения на единицу обрабатываемой сельскохозяйственной площади, то этим показателем Рача-Лечхуми приближается к среднереспубликанским данным; на 1 га обрабатываемой площади приходится 3 чел., а в целом по Грузии — 3,1 чел.

В связи с тем, что годные для заселения земли в основном расположены по дну ущелий и примыкающим к ним более пологим склонам гор, с повышением местности над уровнем моря, плотность населения быстро

ეროვნული ბიბლიოთეკა

уменьшается. Ниже приводятся соответствующие показатели за 1957 год.

Высота зон над уровнем моря (в метрах)	Среднее количество населения на 1 кв. км.
400 — 600	136,7
600 — 800	105,1
800 — 1000	60,0
1000 — 1200	38,8
1200 — 1400	24,8
1400 — 2000	2,0

Характерным является то положение, что в зоне 400—600 м (н. у. м.) количество населения за 1926—1957 годы увеличилось на 18,7%, тогда как в более высоких зонах (600—2000 м) за тот же период население не только не увеличилось, но даже уменьшилось на 20,7%. Таким образом, здесь также, как и в других районах Грузии, происходит перемещение населения с высоких в более низко расположенные зоны, что объясняется быстрым ростом производительных сил в низинных районах республики.

По своему микрогеографическому положению, густоте застройки и внешнему виду в Рача-Лечхуми выделяется пять типов сельских населенных пунктов.

1. Селения, расположенные на берегах сравнительно больших рек (Риони, Цхенис-цкали, Ладжанури) и примыкающих к ним низких, пологих склонах ущелий. Здесь села встречаются в местах, где ущелья несколько расширяются, образуя узкие полосы небольших прибережных равнин. Такое же расположение имеют город Они и поселки городского типа Амбролаури и Цагери. Населенные пункты этого типа выделяются сравнительно правильной планировкой и значительной густотой застройки.

2. Селения, расположенные в некотором отдалении от берегов больших рек на значительно расчленном холмисто-гористом рельефе. Территория здесь изрезана маленькими речками и оврагами, что снижает компактность застройки и определяет разбросанность населенных пунктов на значительной территории, при сравнительно небольшой их величине.

3. Селения, расположенные в боковых ущельях Риони и Цхенис-цкали, на более высоких склонах гор. Здесь встречаются в большей части изолированные друг от друга села средней величины. По внешнему виду они приближаются к населенным пунктам второй группы, но имеют более высокое гипсометрическое положение, создавая третью ступень расселения.

4. Расположенные на высоте 900—1200 м средне-горные селения, которые занимают более или менее пологие верхние склоны вдоль гребневой части Накеральского хребта, водораздела Риони и Цхенис-цкали, а также водораздельных хребтов Верхней Рачи. Для большинства таких сел характерно групповое расположение (например, Синатле и соседние с ним несколько селений), но некоторые из них имеют изолированное положение (в Верхней Раче). Здесь хотя в основном сохранен усадебный тип расселения, который господствует в селах первых трех групп, но чувствуется и влияние более холодного климата (чаще встречаются каменные дома, отсутствуют виноградники, площадь дворов значительно уменьшена и т. д.).

5. Типичные горные селения, расположенные на высоте 1300—1900 м. Они резко отличаются по внешнему виду от остальных населенных пунк-

тов Рача-Лечхуми, но число их не велико. Эти села имеют весьма компактную застройку. Дома каменные и расположены рядом друг с другом, а приусадебные участки, как правило, вынесены за пределы населенного пункта. Вокруг домов редко можно увидеть фруктовые или другие деревья. В летние месяцы эти селения окружены картофельными полями.

Горный характер рельефа влияет и на величину населенных пунктов. В Раче-Лечхуми преимущественное распространение имеют небольшие деревни с населением в каждой из них до 500 чел. Часто встречаются также села средних размеров, с населением от 500 до 1000 чел. В среднем на одно село приходится 405 жителей.

Широкое распространение имеют в Раче-Лечхуми деревянные дома, построенные из дубовых, буковых или каштановых досок или срубов и установленные на каменном цоколе. Обычно такой дом имеет название «ода» и широко распространен во всех западных районах Грузии. За последние десятилетия все чаще строятся каменные и кирпичные дома. Кровельным материалом используются черепица и драть.

Больше половины населения Рача-Лечхуми занято в сельском хозяйстве. Колхозники составляют 76,5% всего населения, а рабочие и служащие 23,5%. Ввиду невыгодного экономико-географического положения, промышленность развита слабо. В этой сфере трудовой деятельности занято меньше населения, чем в просвещении и культурно-просветительной работе. Часть членов семьи колхозников занята в несельскохозяйственных отраслях труда. Всего в сельском хозяйстве работает 64,8% самодеятельного населения; в промышленности 6,2%; в школах и культурно-просветительных учреждениях — 8,4%; в строительстве — 5,9%; в торговле — 2,7%; в здравоохранение — 5,1%; в остальных отраслях — 6.9%.

Большие изменения произошли за годы советской власти в культурной жизни населения и в области охраны здоровья трудящихся. В 1909 году царское правительство израсходовало на нужды просвещения в Раче 11 коп. в среднем на душу населения. В 1958 году расходы на народное просвещение в Раче-Лечхуми составляли 19,2 млн. руб., или свыше 223 руб. в среднем на одного жителя. В 1958 году здесь существовало 157 общеобразовательных школ и два сельскохозяйственных техникума, в которых числились 13889 учащихся и 1584 преподавателя. В Раче-Лечхуми создана широкая сеть культурно-просветительных учреждений — библиотек, клубов, кинотеатров, домов культуры; в Они и Цагери созданы краеведческие музеи. На каждые 586 жителей приходится один врач, а на 233 жителя — одна койка в больницах; имеются также много амбулаторий, родильных домов и других учреждений здравоохранения.

Вторая часть труда посвящена характеристике гор. Они и поселков городского типа Амболаури и Цагери.

Слабое развитие промышленности и невыгодное экономико-географическое положение обусловили медленный рост городов Рача-Лечхуми. Они, Амболаури и Цагери лишены каких-либо значительных экономических функций и в этом заключается основная причина их отставания; главной для каждого из них является административная функция, как центров адм. районов. Однако, это не может служить той базой, на основе которой мог бы развиться город сколько-либо значительных размеров и поэтому население каждого из них не превышает 3—4 тыс. чел. Отдаленность от железнодорожных магистралей, гористый характер рельефа и отсутствие более или менее крупных естественных ресурсов вокруг этих городов препятствуют быстрому их развитию. За последние три десятилетия население Они выросло только на 40%, тогда как за тот же период городское население Грузии приблизительно утроилось. Помимо общих

ეროვნული ბიბლიოთეკა

сведений о городах Рача-Лечхуми, в труде даются более подробные характеристики Они, Амбролаури и Цагери — каждого в отдельности.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა, 1926 წლის, ტ. I, 1929, ტ. II, 1930, ტ. III, 1932.
2. სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის 30 ნოემბრის აღწერის ჯამები, თბილისი, 1923.
3. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, გამოცემები 1930 და 1949 წლების.
4. სტატისტიკური კრებული, თბილისი, 1927.
5. ვ. კ ა ბ ა ძ ე, მოეწველობის განვითარება და განლაგება რაჭა-ლეჩხუმში, თბილისი, 1959.
6. ვ. ჯ ა ო შ ვ ი ლ ი, ქვემო იმერეთის მოსახლეობა და ქალაქები, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრომები, ტ. XIII, თბილისი, 1959.

6. Н. Н. Баранский, Экономическая география, экономическая картография, Москва, 1956.

7. Грузинская ССР, экономико-географическая характеристика, издание второе, Москва, 1958.

8. В. Т. Маевский, Кутаисская губерния, военно-статистическое описание, Тифлис, 1896.

9. Народное хозяйство СССР в 1956 году, статистический ежегодник, Москва, 1957.

10. Народное хозяйство Грузинской ССР, Тбилиси, 1957.

11. Обзоры Кутаисской губернии (все издания за 1889—1915 гг.).

12. Природные ресурсы Грузинской ССР, том I, Москва, 1958.

13. Сборник статистических сведений по Закавказскому краю, под редакцией Е. Кондратенко, Тифлис, 1902.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურ. 1. ტიპიური სოფელი ლეჩხუმში (ღვირიში)

სურ. 2. ცაგერის რაიონის სოფელ ლასურიაშის ერთ-ერთი უბანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურ. 1. სანატორიუმი შოვში

სურ. 2. ამბროლაურის რაიონის სოფელ წესის კულტურის სახლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურ. 1. მთიანი რაჭის ტიპიური სოფელი (ღები)

სურ. 2. ქალაქ ონის ერთ-ერთი ნაწილის ხედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურ. 1. დაბა ამბროლაურის ცენტრალური ნაწილი

სურ. 2. საავადმყოფოს ახალი შენობა ცაგერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია — ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ., ტ. XV, 1960
Академия Наук Груз. ССР—Труды Института Географии им. Вахушти. т. XV, 1960

Ზ. ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ

რაჭა-ლეჩხუმის მრეწველობის განვითარება და განლაგება

1. მრეწველობის ზოგადი დახასიათება

როგორც არსებული ლიტერატურული წყაროებიდან და ადგილზე ჩატარებული კვლევითი მუშაობის შედეგად ჩანს, რაჭა-ლეჩხუმი ძველთაგანვე ცნობილი იყო რიგი შინამრეწველური დარგებით. ლითონი, სამშენებლო მასალები და საფეიქრო ნაწარმი, კვების პროდუქტები, კერამიკული ნაწარმი და სხვა მზადდებოდა შინამრეწველურ საწარმოებსა და სახელოსნოებში და ამ დროისათვის საკმაოდ მაღალი ხარისხიანობით ხასიათდებოდა.

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი [17] საქართველოს ლითონის მოპოვებისა და დამუშავების უძველეს კერად თვლის. რკინის მადნის მოპოვებითა და გამოდნობით ქვემო ქართლთან და იმერეთთან (საშირე) ერთად საქართველოში მნიშვნელოვან რაიონს რაჭა-ლეჩხუმი წარმოადგენდა, კერძოდ კი ზემო რაჭის რაიონის — ღების, ბრილის, წედისის და „ქვაწოფილას“ მიდამოები, სადაც სპილენძის, ანთიმონისა და რკინის მადნები გვხვდება. დასახელებული, ადგილების მიდამოებში, მრავალ ადგილას ნაპოვნია მაღაროები, რკინის წიდები, აგრეთვე ძველი პრიმიტიული მადანსადნობი ღუმელები, რაც იმას მოწმობს, რომ ძველად ზემო რაჭის რიგ ადგილებში ფერადი ლითონებისა და რკინის მადნის მოპოვება და ლითონის გამოდნობა ხდებოდა.

სოფ. ღების ახლოს, ბრილში ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალის შესწავლის პროცესში (1939—42 წწ.). დადასტურდა, რომ ბრილის ძველი მოსახლეობა მეტალურგიაში რაციონალურად იყენებდა ადგილობრივ რესურსებს. რაჭის ტერიტორიაზე სპილენძისა და ანთიმონის მადნები საკმაო რაოდენობით მოიპოვებოდა. ეს ორი ლითონი საკმაო იყო იმ მდიდარი ბრინჯაოს კულტურის შესაქმნელად. რომლის ნაშთები დიდი რაოდენობით შემოინახა ბრილის ნეკროპოლმა. აქ ნაპოვნია ანთიმონის 25 ძველი მაღარო. მონგრეული მადნის პირველადი გამდიდრება იქვე მაღაროებში ხელით წარმოებდა, გამდიდრებული მადანი შემდეგ გადაჰქონდათ ტყის ზონამდე. აქ, საწვავი მასალით მდიდარ ადგილებში, გამართული ყოფილა მადნის სადნობი ღუმელები, სადაც ნახულია წიდა, გამომდნარი მადნის სხვადასხვა ზომის ნატეხები, გამოუდნობელი მადანი და ნახშირი. როგორც არქეოლოგიური გათხრებიდან მტკიცდება ლითონის გამოდნობას ზემო რაჭაში საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების დასაწყისამდეც აწარმოებდნენ.

ონის რაიონში ქვედრულას ხეობაში წედისისა და „ქვაწითელას“ სანახებში მოიპოვებოდა რკინის საბადოები. ადგილობრივი მოსახლეობა რკინის ამ მადნებს ამუშავებდა. ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რკინის მწარმოებელ მთელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეობას „სარკინეთი“ ეწოდებოდა. აქ დამზადებულ რკინას „წედური რკინას“ უწოდებდნენ.

არსებობს ფაქტიური ცნობები იმის შესახებ, რომ სოფ. წედისი და მისი მეზობელი ოფმები „სარკინეთისა“ ძირითადად რკინის გამოდნობით და მჭედლობით ცხოვრობდნენ.

დადასტურებულია, რომ „უძველესი რკინა“ ნაკეცი რკინის სასოფლო-სამეურნეო იარაღები და ჭურჭლები რაჭიდან გაჰქონდათ მეზობელ კუთხეებში: ლეჩხუმში, იმერეთში, ქართლში, კახეთში და აგრეთვე საქართველოს სხვა კუთხეებში და ცალკიდნენ მათ მათთვის საჭირო საგნებში ან ჰყიდდენ ფულად.

ამას გარდა უფრო საყურადღებოა რაჭიდან რკინეულის გატანის ფაქტები ჩრდილო კავკასიის ზოგიერთ კუთხეში: დიგორსა, ბასიანსა და ყაბარდოში, სამაგიეროდ ჩრდილო კავკასიიდან შემოქონდათ ჩოხა-ნაბადი და მატყლი.

საქართველოში „წედური რკინის“ დამუშავებამ XIX ს. 70—80 წწ-მდე მოაღწია.

რაც შეეხება ლეჩხუმს, აქ უძველესი დროიდან ყურადღებას იპყრობს მჭედლობა და განსაკუთრებით კერამიკული ჭურჭლის წარმოება, როგორც ადგილზე შესწავლიდან გამოიკვეა, იგი ორი ძირითადი სახით იყო წარმოდგენილი: მეკვევრეობა და მეგურჭლეობა. კერამიკის წარმოების მთავარ ცენტრად სოფ. საირმე ითვლებოდა. ამჟამად ლეჩხუმში კვევრებს მხოლოდ სოფელ საირმეში აკეთებენ, სამაგიეროდ მეჭურჭლეობას ცაგერის რაიონის ზოგიერთ სოფლებში ეწევიან.

ლეჩხუმის სოფლებში დამზადებული კვევრები და ჭურჭელი გაქონდათ რაჭაში — ამბროლაურისა და ონის რაიონებში და აგრეთვე საქართველოს სხვა რაიონებშიაც. უმეტეს შემთხვევაში ჭურჭელს ცალიდნენ სიმინდზე, ხორბალზე და ღვინოზე. აგრეთვე ყიდდენ ფულზედაც.

მეფის რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ, შეწყდა საქართველოს ტერიტორიაზე გარეშე მტრების თარეში, მაგრამ მეფის მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა აშკარად აფერხებდა საქართველოში მრეწველობის დანერგვასა და განვითარებას.

პირველი მსოფლიო ომის, სამოქალაქო ომებისა და საქართველოში მენშევიკების ბატონობის წლებში, საქართველოს ისედაც დაქვეითებული მრეწველობა კიდევ უფრო განადგურდა და დაეცა.

1921 წლიდან დაიწყო ზრუნვა მრეწველობის განვითარებისათვის. სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღება მოექცა მძიმე მრეწველობის განვითარებას. საბჭოთა პერიოდში დიდი გარდატეხა მოხდა რაჭა-ლეჩხუმის სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეშიაც.

ამჟამად რაჭა-ლეჩხუმში შექმნილია მრეწველობის რიგი ახალი დარგები, რომლებიც ძირითადად ეყრდნობიან რაიონში არსებულ ბუნებრივი რესურსებისა და სოფლის მეურნეობის ნედლეულის ბაზას. ხუთწლედების მანძილზე აგებულ იქნა ცაგერის, ტყვიშის, ორბელის, ოყურეშის (ცაგერის რაიონში), ამბროლაურის, ხვანწკარის, ჭრიშალოს, ონის ღვინის ქარხნები: ამბროლაურისა და ონის ყველ-კარაქის ქარხნები: პურის საცხობები, განვითარდა სამთომოპოვებითი მრეწველობა და სხვა. რაიონში არსებულ ნედლეულის ბაზაზე 1950 წლის დაიწყო ჩორდის ბარიტის წარმოება, რომელიც ქუთაისისა და ლენინგრადის ლიოოფონის ქარხნებს აწვდის მაღალხარისხოვან ნედლეულს.

ამბროლაურის რაიონის ლუხუმის დარიშხანის მადნის ბაზაზე 1932 წელს ამუშავდა რაჭის საძთო მეტალურგიული კომბინატი. სრულიად ახლად შეიქმნა ელექტროენერგეტიკული მრეწველობა, რაიონში აშენდა ისეთი ელსადგურები, როგორიცაა ჯვეროჰესი, ორბელჰესი, რიცეულაჰესი; მშენებლობის პროცესში იმყოფება რესპუბლიკაში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ჰიდროელსადგური — ლაჯანურჰესი. სამშენებლო მასალათა საწარმოებიდან, აღსანიშნავია ჭრებალოსა და ონის აგურ-კრამიტის მექანიზებული ქარხნები. შეიქმნა აგრეთვე ხე-ტყის მძლავრი საწარმოები, როგორიცაა ამბროლაურის, სადმელის, შხივანის, ქარმმანის, ონის ხე-ტყის დამამზადებელი პუნქტები, სახერხი ქარხნები და ავეჯის საამქროები.

სახელმწიფო მრეწველობის ცალკეული დარგების ხვედრითი წონა რაჭა-ლეჩხუმის მრეწველობის მთლიანი პროდუქციაში 1955 წ

(% -ით)



რაჭა-ლეჩხუმის დღევანდელი სახელმწიფო მრეწველობაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი დარგები: სამთომოპოვებითი, ელექტროენერგეტიკული, სამშენებლო მასალათა, მსუბუქი, კვების და პოლიგრაფიული მრეწველობის დარგები. 1957 წელს რაჭა-ლეჩხუმის სახელმწიფო მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქცია რამდენიმე ათეულ მილიონ მანეთს უდრიდა. რაიონის მრეწველობის დარგთა შორის ყველაზე მძლავრია კვების მრეწველობა, რომელმაც გამოუშვა რაიონის მთელი სამრეწველო პროდუქციის 67,2%. კვების მრეწველობის შემდეგ აღსანიშნავია სატყეო მრეწველობა, რომლის წილად მო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დის რაიონის მთელი სამრეწველო პროდუქციის 15,7 %, შემდეგ თანმიმდევრობით მიჰყვება სამთო მოპოვებითი 10,4 %, სამშენებლო მასალათა 2,6 %, ელექტროენერგეტიკული 2,5%, მსუბუქი 1,3 % და ბოლოს პოლიგრაფიული 0,4 %.

რაჭა-ლეჩხუმის სახელმწიფო მრეწველობის ძირითადი საშუალებების ღირებულება 1957 წლის პირველი იანვრისათვის შეადგენდა სულ 52,7 მილიონ მანეთს. მათ შორის სამთო-მოპოვებითი მრეწველობაზე 27,8 მილიონი მანეთი (52,8 %), შემდეგ თანმიმდევრობით მიჰყვება სატყეო 22,8 %, კვების 18,9 %, სამშენებლო მასალათა 4,6 % და ა. შ.

1957 წელს რაჭა-ლეჩხუმის მრეწველობაში კაპიტალური დაბანდება შეადგენდა სულ 4,7 მილიონ მანეთს. სახელმწიფო მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება ერთ სულ მოსახლეზე 668 მანეთს უდრიდა წელიწადში. ამ მაჩვენებლებით იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება საქართველოს რიგ ეკონომიურ რაიონებს.

როგორც დავინახეთ, რაჭა-ლეჩხუმის სახელმწიფო მრეწველობაში საერთო პროდუქციის ღირებულებით ძირითადი წამყვანი დარგია კვების მრეწველობა, რომელიც იძლევა რაიონის მთლიანი სამრეწველო საერთო პროდუქციის ღირებულების ორ მესამედს (57,2 %). რაიონის კვების მრეწველობაში წამყვანი დარგია შეღვინობა, რომელიც იძლევა რაიონის კვების მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულების 82,5 %. ღვინის წარმოების შემდეგ აღსანიშნავია

ადმინისტრაციული რაიონების ხვედრითი წონა რაჭა-ლეჩხუმის სახელმწიფო მრეწველობის მთლიან პროდუქციაში 1955წ

(% - ით.)



ჰური ცხობა, ყველ-კარაქის წარმოება და სხვა. შემდეგ მიდის სატყეო მრეწველობა, სამთო მოპოვებითი მრეწველობა — უპირატესად დარიშხანისა და ბარიტის მოპოვება და დამუშავება. რაც შეეხება მრეწველობის დანარჩენ დარგებს, როგორიცაა მსუბუქი, სამშენებლო მასალათა წარმოება, ელექტროენერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტიკული და პოლოგრაფიული მრეწველობის დარგებს, მათი ხვედრითი წონა რაიონის მთელ სამრეწველო პროდუქციაში ძალზე უმნიშვნელოა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ როგი მიზეზების გამო რაჭა-ლეჩხუმის მრეწველობა საქართველოს მთელ რიგ ეკონომიურ რაიონებთან შედარებით ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული. ეს მდგომარეობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა ავხსნათ რაჭა-ლეჩხუმის ეკონომიურ-გეოგრაფიული მდებარეობით. ეს ქვერაიონი არ იმყოფება მაგისტრალურ სარკინიგზო კომუნიკაციების სფერში და მისი სატრანსპორტო მდგომარეობა ხელს არ უწყობს მსხვილი სამრეწველო საწარმოთა შექმნა-განვითარებას. გარდა ამისა, რაჭა-ლეჩხუმში არ მოიპოვება რაიმე ინდუსტრიული ნედლეულის დიდი საბადო, რომლის გამოყენება მძლავრი საწარმოთა შექმნა-განვითარების შესაძლებლობას შექმნიდა. აღნიშნულ გარემოებათა მეოხებით რაჭა-ლეჩხუმში მრეწველობა შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი და ის უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის საფუძველზე ვითარდება. რაჭა-ლეჩხუმის მრეწველურ ჩამორჩენას თუნდაც ის ფაქტი ადასტურებს, რომ მრეწველობაში ჩაბმული მუშა-მოსამსახურეთა ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში 1,7 % უდრის, მაშინ როდესაც საქართველოში საშუალოდ დაახლოებით 6 პროცენტს აღწევს.

რაჭა-ლეჩხუმის მრეწველობაში ადმინისტრაციული რაიონების ხვედრითი წონა შემდეგ სურათს იძლევა. რაიონის სახელმწიფო მრეწველობის მთელი პროდუქციის ღირებულების 33,9 % აკაგირის რაიონზე, 44,6 % ამბროლაურის, ხოლო 21,5 % ონის რაიონი იძლევა.

როგორც ზემოთ დავინახეთ, რაჭა-ლეჩხუმში შემადგენ ადმინისტრაციული რაიონებიდან სახელმწიფო მრეწველობაში ყველაზე დიდი ხვედრითი წონა აქვს ამბროლაურის რაიონს, რომლის წილად მოდის ქვერაიონის სამრეწველო პროდუქციის 44,6 %.

ქვერაიონში აღსანიშნავია აგრეთვე კოლმეურნეობათა დამხმარე საწარმოები, რომლებიც საკმაოდ გავრცელებულია ყველა ადმინისტრაციულ რაიონში, მაგრამ ისინი თითქმის მთლიანად კუსტარულადაა მოწყობილი.

რაც შეეხება სარეწაო კოოპერაციულ მრეწველობას, ის 1957—1958 წლების პერიოდში რაჭა-ლეჩხუმის ადმინისტრაციულ რაიონებში ლიკვიდირებულ იქნა და მასში შემავალი საწარმოები გადაეცა სათანადო რაიონების რაიმრეწვკომბინატებს.

როგორც დავინახეთ, ეკონომიურ რაიონის მრეწველობაში ძირითადი, წამყვანი როლი სახელმწიფო მრეწველობას უკავია.

განვიხილოთ სახელმწიფო მრეწველობის ცალკეული დარგები:

2. ელექტროენერგეტიკული მრეწველობა

ისეთ მთაგორიანი რაიონისათვის, როგორიცაა რაჭა-ლეჩხუმი, დამახასიათებელია ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელის განვითარება; რაჭა-ლეჩხუმის მდინარეები: რიონი, ცხენისწყალი, ლაჯანური, ჯიჯორა, რიცეულა და სხვა თავიანთი ჰიტარა შენაკადებით უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობის არიან ირიგაციისა და ელექტროფიკაციის საქმეში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ რაჭა-ლეჩხუმის მთავარი მდინარეები რიონი, ცხენისწყალი, ლაჯანური და სხვა, როგორც მთის წყალუხვი მდინარეები, ძალზე დიდი რაოდენობის ჰიდროენერგიის გამომუშავების საშუალებას იძლევიან. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის დამყარებამდე რაჭა-ლეჩხუმის ჰიდროენერგო რესურსები სრულებით არ იყო გამოყენებული ელექტროენერგიის მისაღებად. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ხუთწლედების პერიოდში, დაიწყო მდინარეთა ენერგიის გამოყენება.

საქართველოში მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და ტრანსპორტის ზრდა-განვითარება, მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება დიდ მოთხოვნილებას აყენებს ენერგიის ადგილობრივი წყაროების მაქსიმალურად გამოყენების მიმართ, ამიტომ ხუთწლედების პერიოდში ფართოდ გაიშალა რესპუბლიკაში მძლავრი და პატარა სასოფლო ჰიდრო-ელსადგურების მშენებლობა. მართალია, რაჭა-ლეჩხუმის მდინარეებს გააჩნიათ დიდი რაოდენობის ჰიდროენერგიის მარაგი, მაგრამ უკანასკნელ პერიოდამდე (ლაჯანურჰესის მშენებლობამდე) ისინი უმნიშვნელოდ იყო გამოყენებული; აქ ექსპლოატაციაში იმყოფებოდა მხოლოდ რამდენიმე პატარა სასოფლო ჰიდროელსადგური, რომელთაც ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდათ.

რაჭა-ლეჩხუმში ამჟამად მუშაობს ადგილობრივი მნიშვნელობის ხუთი ჰიდროელსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე 1988 კილოვატია და წლიურად საშუალოდ იძლევიან 3438,4 ათას კილოვატსაათ ენერგიას.

რაჭა-ლეჩხუმში არსებულ ელსადგურებიდან აღსანიშნავია ორბელჰესი (ცაგერის რაიონი), იგი აშენდა 1951 წელს მდინარე ლაჯანურზე სოფ. ორბელთან. სადგურის სიმძლავრე 440 კილოვატია და წლიურად საშუალოდ 1.164,8 ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას იძლევა. მომსახურეობას უწევს დაბა ცაგერის მრეწველობასა და კომუნალურ მეურნეობას.

ამბროლაურის რაიონში აღსანიშნავია რიცეულჰესი; რომელიც 1938 წელს აშენდა მდ. რიცეულაზე. სადგურის სიმძლავრე ამ პერიოდში 625 კილოვატს უდრიდა და იძლეოდა წელიწადში 910 ათას კილოვატსაათ ენერგიას. 1957 წელს დაიწყო სადგურის რეკონსტრუქცია, წყლის ჩამოსაშვები ხის მილი შეიცვალა 1 მეტრი დიამეტრის ლითონის მილით. 1958 წლის მარტში დამატებით დაიდგა 1200 კილოვატის სიმძლავრის ახალი აგრეგატი. პირველი აგრეგატი მუშაობს მხოლოდ ღამ-ღამობით, ხოლო მეორე ახალი აგრეგატი მთელი დღე-ღამის განმავლობაში. ამჟამად მიმდინარეობს სადგურის სათავის ნაგებობის რეკონსტრუქცია, ამავე დროს მიმდინარეობს მუშაობა მახლობელი ხიდეთურის ღელის რიცეულის კალაპოტში გადასაგდებად, რითაც წყლის მინიმალური ხარჯი 2,5 კუბ. მეტრ სეკუნდიდან გაიზრდება 3,8-მდე. დაიდგმება 4200 კილოვატის სიმძლავრის ახალი აგრეგატი, რისთვისაც გაყავთ მეორე მილგაყვანილობა, აღნიშნული მილები გაივლის ორ გვირაბში: ერთის სიგრძე იქნება 50 მეტრი და მეორესი 220 მეტრი.

რიცეულჰესის სათავის ნაგებობა მდებარეობს 986 მეტრ სიმაღლეზე. ხოლო თვით სადგური 680 მეტრზე ზღვის დონიდან. წყლის ვარდნა 306 მეტრია. 1958 წელს რიცეულჰესი გამოიმუშავა 2500,0 ათას კილოვატსაათ ენერგიას. იგი ემსახურება დაბა ამბროლაურის წარმოება-დაწესებულებებს და რაიონის 35 კოლმეურნეობას. სადგურის მთლიანი რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ იგი ჩართული იქნება საქენერგოს სისტემაში.

ონის რაიონში აღსანიშნავია სამი ჰიდროელსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე 923.კილოვატია და იძლევა 1363,6 ათას კილოვატსაათ ელექტრონის ენერგიას. მათ შორის აღსანიშნავია ქვედრულჰესი, რომელიც 1956 წელს აშენდა ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოს მიერ. მისი სიმძლავრე 630 კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგატია და შეუძლია მოგვცეს 800 ათასი კილოვატსაათი ენერგია წელიწადში, იგი ემსახურება ჩორდის ბარიტის წარმოებას.

ონის რაიონში მეორე მნიშვნელოვანი სადგურია ზვარეთჰესი, რომელიც 1950 წელს აშენდა და რომლის სიმძლავრე 218 კილოვატია და იძლევა საშუალოდ 585 ათას კილოვატსაათ ელენერგიას წელიწადში. იგი მომსახურეობას უწევს ონის საქალაქო მეურნეობას და წარმოება-დაწესებულებებს და რაიონის შვიდ კოლმეურნეობას.

შედარებით პატარა ელსადგურია ჯეჯორჰესი (მდ. ჯეჯორაზე ონის მახლობლად), რომლის სიმძლავრე 75 კილოვატია და იძლევა 211,0 ათას კილოვატსაათ ენერგიას წელიწადში. ეს სადგური ქალაქის კომუნალური განყოფილებისაა და ემსახურება ქალაქის კომუნალურ მეურნეობას.

გარდა ამისა, რაჭა-ლეჩხუმში აღსანიშნავია მშენებლობაში მყოფი სამი ჰიდროელსადგური, რომელთაგან აღსანიშნავია ლაჯანურჰესი (ცაგერის რაიონში), ლუხუნჰესი (ამბროლაურის რაიონი) და ჯეჯორჰესი (ონის რაიონი). მათ შორის მეტად მნიშვნელოვანია ლაჯანურჰესი. რომლის მშენებლობა დაიწყო 1953 წელს და დამთავრდა 1960 წელს. იგი იქნება ყველაზე მსხვილი ჰიდროელსადგური საქართველოში. იგი იმუშავებს მდ. ცხენისწყლისა და ლაჯანურის ხარჯზე. დაა ცაგერთან მდ. ცხენისწყალზე შენდება კაშხალი, საიდანაც მდინარე ცხენისწყლის წყალი გვირაბით შეუერთდება მდ. ლაჯანურს. აქედან წყალი შევა ორი კილომეტრის სიგრძის გვირაბში და საწნეო მილებით გადაეცემა ელსადგურს და გადამუშავებული წყალი შეუერთდება მდ. რიონს. ამით მდინარე რაიონის ხარჯი მნიშვნელოვნად გაიზრდება, რის გამოც რიონზე არსებული ჰიდროელსადგურების (გუმათჰესი № 1 და 2, რიონჰესი) ელექტროენერგიის გამომუშავება მნიშვნელოვნად გაიზრდება და ამავე დროს ქალაქი ქუთაისის ფარგლებში რიონის ნახევრად მშრალი ძველი კალაპოტი მიიღებს აგრეთვე წყალს. ლაჯანურჰესის სადგური აიგება სოფელ ალაპანაში. ელსადგურის ძირითადი მართვა ავტომატიზირებული იქნება ქალაქ ქუთაისიდან.

გარდა ამისა, რაჭის დარიშხანის წარმოების მიერ მიმდინარეობს მშენებლობა ჰიდროელსადგურისა ლუხუნის წყალზე, რომლის საპროექტო სიმძლავრე 340 კილოვატია.

ჩორდის ბარიტის წარმოება, მდინარე ჯეჯორაზე აშენებს მეორე ჰიდროელსადგურს, რომლის სიმძლავრე 1500 კილოვატია და იგი მომსახურეობას გაუწევს ჩორდის ბარიტის წარმოებას და მახლობელ სოფლებს.

როგორც დავინახეთ, ახლო მომავალში, როდესაც დამთავრდება მშენებლობაში მყოფი ჰიდროელსადგურები, რაჭა-ლეჩხუმი გადაიქცევა ელექტროენერგეტიკის მწარმოებელ მძლავრ რაიონად.

3. ნამთო-მოპოვებითი მრეწველობა

რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე სამთო მოპოვებით მრეწველობას უძველესი ისტორია აქვს. ზემო რაჭაში, სოფ. ღების ახლოს ბრილში და ქვედრულის ხეობაში წედისის მიდამოებში ნაპოვნია სპილენძის, ანთიმონისა და რკინის მადნის მაღაროები, სადაც წარსულში წარმოებდა მადნის მოპოვება და ლითონის გამოდნობა. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ რაჭა-ლეჩხუმში დიდი რაოდენობით მოიპოვება ისეთი წიაღისეული სიმდიდრეები, როგორიცაა, შორის ქვანახშირი, ბარიტი ჩორდის მიდამოებში. რიონის სათავეებში — სპილენძის და პოლიმეტონების (თუთია, ტყვია) მადნები, ქვედრულის ხეობაში — რკინისა, მანგანუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და ვერცხლისწყლის საბადოები, შქმერში — მანგანუმის მადანი, ლუხუმის წყლის ეხობაში—დარიშხანის საბადოები და სივა მრავალი. რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე ამჟამად (1958 წ.) მუშაობს ხუთი გეოლოგიური პარტია, რომლებიც აწარმოებენ გეოლოგიურ კვლევა-ძიებას ზემოთ დასახელებული მადნები-საექსპლოატაციო მარაგის დასადგენად.

რაჭაში არსებულ სამთამადნო მრეწველობიდან აღსანიშნავია ლუხუმის დარიშხანის მადნის მოპოვება და დამუშავება, რომელიც რაჭის სამთო მეტალურგიული კომბინატის სახელწოდებითაა ცნობილი.

რაჭის დარიშხანის წარმოება 1931 წლიდან დაიწყო და 1932 წელს მოგვცა დარიშხანის პირველი პროდუქცია. კომბინატს აქვს ორი ძირითადი საამქრო, ლუხუმის დარიშხანის მაღაროები და დარიშხანის გადამამუშავებელი ქარხანა. დარიშხანის ქარხანას აქვს აგრეთვე დამხმარე საამქროები: ხეტყის დამამზადებელი, ხისა და ლითონის ტარის დამამზადებელი, მექანიკური სახელოსნო, ელსადგური და სხვ.

1932 წლიდან 1940 წლამდე მადნის გადამუშავება წარმოებდა მცირე წარმადობის ღუმელში. 1940 წელს ჩატარდა ქარხნის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია, აშენდა უფრო დიდი წარმადობის ღუმელი, მაგრამ კომბინატი მაინც ვერ მუშაობდა სრული დატვირთვით. ამის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ მაღაროებიდან ქარხანამდე მადნის გამოზიდვა უგზოობის გამო ცხენით და ურმებით წარმოებდა, რის გამოც 1940 წლამდე ქარხანა მუშაობდა წელიწადში მხოლოდ 4—5 თვეს.

1940 წელს ქარხნიდან მაღაროებამდე გაყვანილ იქნა სამანქანე გზა, რის შემდეგ ქარხანაში პროდუქციის გამოშვება მნიშვნელოვნად გაიზარდა.

1951 წლამდე კომბინატი უშვებდა მხოლოდ ერთი სახის პროდუქციას. ტექნიკურ დარიშხანს, ამჟამად უშვებს სამი სახის პროდუქციას: ტექნიკურ, რაფინირებულ და ოპტიკურ დარიშხანს. თავისი ხარისხით და სისუფთავით გამოირჩევა რაფინირებული და ოპტიკური დარიშხანის პროდუქცია, ამიტომ მოთხოვნილება მასზე დიდია. კომბინატის მიერ გამოშვებული პროდუქციის ძირითადი მომხმარებელია სოფლის მეურნეობა, მეტალურგია, მინის, ბროლისა და ფარმაცევტული ქარხნები.

გამოშვებული სასაქონლო პროდუქციის 6,4 % ხმარდება საქართველოს რესპუბლიკას, ხოლო 93,6 % სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში და აგრეთვე სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებშიაც იგზავნება.

იმასთან დაკავშირებით, რომ დარიშხანის პროდუქციაზე დიდია მოთხოვნილება საბჭოთა კავშირის მასშტაბით და ამავე დროს აქ, რაჭაში მოიპოვება დარიშხანის მადნის საკმაო დიდი მარაგი, ამიტომ საესებით მომწიფებულია საკითხი კომბინატის მთლიანი რეკონსტრუქციის შესახებ, იმ ვარაუდით, რომ ამჟამად არსებული პროდუქციის გამოშვება გაიზარდოს 2,5-ჯერ. ამ მიზნით 1958 წელს დაიწყო ახალი ქიმიური საამქროს მშენებლობა, რომელიც გამოუშვებს დარიშხანის სხვადასხვა სახის მარილებს, რომელიც გამოყენებული იქნება მედიცინაში. ქარხანა მდინარე ლუხუმზე აშენებს 340 კილოვატის სიმძლავრის ჰიდროელსადგურს.

რაჭა-ლეჩხუმის სამთამადნო მრეწველობის მეორე მნიშვნელოვანი დარგია ბარიტის წარმოება. მას შემდეგ რაც გეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოირკვა, ბარიტის დიდი საექსპლოატაციო მარაგი, რითაც ჩორდის ბარიტის საბადოს მარაგით პირველი ადგილი უკავია საბჭოთა კავშირში. ჩორდის ბარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის მარაგის ბაზაზე 1950 წლიდან დაიწყო მშენებლობა ბარიტის მოპოვების ორგანიზაციისათვის. ჩორდში აშენდა ბარიტის გამამდიდრებელი ფაბრიკა, მუშა-მოსამსახურეებისათვის საცხოვრებელი სახლები; გამამდიდრებელ ფაბრიკიდან ბარიტის საბადოებამდე გაყვანილ იქნა 12 კმ სამანქანო გზა, მთა გველავანაზე დაიწყო ბარიტის მაღნის ღია და დახურული კარიერული წესით მოპოვება. ბარიტის კარიერებიდან გამამდიდრებელ ფაბრიკამდე გაყვანილია 3,5 კილომეტრის სიგრძის საჰაერო საბაგირო ხაზი, რომლითაც მოპოვებული მადანი გადმოაქვთ ბარიტის გამამდიდრებელ ფაბრიკაში. წარმოებას აქვს თავისი საკუთარი ჰიდროელსადგური.

იმასთან დაკავშირებით, რომ ჩორდის ბარიტმა ახლო მომავალში უნდა დააკმაყოფილოს ქუთაისისა და ლენინგრადის ლითოფონის ქარხნების მთლიანი მოთხოვნილება, ბარიტის მოპოვება გადიდებული უნდა იქნეს. ამ მიზნით ამჟამად მიმდინარეობს ჩორდის ბარიტის წარმოების საფუძვლიანი რეკონსტრუქცია. რაზედაც დაიხარჯება დაახლოებით 70 მილიონი მანეთი. უნდა აშენდეს დიდი წარმადობის ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკა, 1500 კილოვატის სიმძლავრის ჰიდროელსადგური მდ. ჯეჯორაზე; სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ონი-ლესელინრის გზატკეცილის გაუმჯობესება, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 20 მილიონი მანეთი. ამ გზით ჩორდის ბარიტის კონცენტრატი ავტომანქანებით გადაიზიდება სტალინირში და შემდეგ რკინიგზით ლენინგრადისა და ქუთაისის ლითოფონის ქარხნებში. მოეწყობა მადნის მოპოვების მექანიზაცია. აშენდება შვიდი საცხოვრებელი სახლი 1500 კვ. მეტრი ფართობით, უნდა აშენდეს ბანო, კინოთეატრი, ოთხკლასიანი სკოლა, სასადილო, საბავშო ბაღი, ამბულატორია, სასტუმრო, სავაჭრო მაღაზიები და სხვ. ახლო მომავალში ჩორდის ბარიტის წარმოება ორჯერ და უფრო მეტად გაიზრდება.

ნაქერალას ქედის ჩრდილო ფერდობზე და შაორის ქვაბულის ტერიტორიაზე გეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად აღმოჩენილია ქვანახშირის მნიშვნელოვანი მარაგი. გეოლოგიური კვლევა-ძიება აქ დაიწყო 1938 წლიდან, ხოლო ქვანახშირის საექსპლოატაციო მარაგის დადგენის სამუშაოები—1951 წლიდან. რის შედეგადაც დღეისათვის შაორის ქვანახშირის საბადოს მარაგი გამოვლენებულია დაახლოებით 700 მილიონი ტონის რაოდენობით. ქვანახშირის ეს საბადო წარმოადგენს ტყიბულის ქვანახშირის საბადოს გაგრძელებას. ქვანახშირი აქ შედარებით ღრმადაა ჩაწოლილი დედამიწის წიაღში, იგი ზედაპირიდან მერყეობს 800—1800 მეტრ სიღრმემდე, ანუ ყველაზე ღრმა ფენები ზღვის დონედან 700 მეტრით დაბლა მდებარეობს (შაორის წყალსაცავის სარკე ზღვის დონედან 1100 მეტრზე მდებარეობს). ქვანახშირი ისეთივე ხარისხისაა, როგორც ტყიბულისა, ქვანახშირის ქანების სისქე მერყეობს 2—20 მეტრამდე. გეოლოგიური ძიება აქ რამდენიმე კვადრატულ კილომეტრ ფართობზე წარმოებს. საძიებო სამუშაოები გრძელდება. ქვანახშირის ექსპლუატაციის დაწყებისათვის რელიეფის თავისებურების გამო რთული პირობებია. განსაკუთრებულ სირთულეს იწვევს მოპოვებული ქვანახშირის გამოზიდვა. ამ მიმართებით ორი ვარიანტია:

პირველი ვარიანტით, ქვანახშირის მოპოვება და გამოზიდვა უნდა დაიწყოს მუხურიდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეორე ვარიანტით შაორის ქვანახშირის ექსპლოატაცია უნდა დაიწყოს ტყიბულიდან, სტალინის სახელობის შახტის გაგრძელებით. ჯერჯერობით არც ერთი ვარიანტი გადაწყვეტილი არაა. ფიქრობენ შაორის ქვანახშირის ექსპლოატაციის დაწყების ტყიბულის სტალინის სახელობის შახტიდან, თუმცა აქ გათვალისწინებული მარაგი და მოპოვება ტყიბულიდან (სტალინის სახელობის შახტიდან) მეტად გადატვირთავს ტყიბულის რკინიგზას.

შაორის ქვანახშირის სამადო საქართველოს სამადოებს შორის მეტად პერსპექტიულია. წინასწარი გაანგარიშებანი ცხადყოფენ, რომ მის ბაზაზე შესაძლებელია ქვანახშირის მოპოვება რესპუბლიკაში გავადიდოთ ერთი ხუთად და კიდევ უფრო მატად.

შაორის ქვანახშირის სამადოს მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

1970 წლისათვის შაორში უნდა იყოს 6—7 შახტი, თითოეული შახტის სიმძლავრე იქნება ერთი მილიონი ტონა წელიწადში. გაიკვლის დრო და შაორის ქვანახშირი შეემატება ჩვენი ქვეყნის სათბობის ბალანსს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ რაჭა-ლეჩხუმში სამთო-მოპოვებითი მრეწველობის განვითარებას საკმაოდ დიდი პერსპექტივები აქვს. ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად ფართოვდება ამჟამად არსებული სამთამადნო მრეწველობის დარგები — დარიშხანისა და ბარიტის მოპოვება-დამუშავება, დ.მეორე მხრივ, ახლო მომავალში მწყობრში ჩადგება შაორის ქვანახშირის მრეწველობა და შესაძლებელია მოიწყოს შქმერის მანგანუმისა და სხვა მადნების მრეწველობა.

4. სატყეო მრეწველობა

რაჭა-ლეჩხუმი ძალზე მდიდარია ტყის მასივებით. ტყეებს აქ 175537 ჰექტარი უკავია, ე. ი. მთელი ტერიტორიის ნახევარზე მეტი — 54 %, რაც ერთ ნახევარჯერ აღემატება რესპუბლიკის ანალოგიურ მაჩვენებელს. მართალია პროცენტულად ტყეებს რაიონში დიდი ფართობი უჭირავს, მაგრამ რაჭა-ლეჩხუმის ტყეებს უმთავრესად ნიადაგდაცვითი, წყალშენახვითი და საკურორტო მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება საექსპლოატაციოდ გამოსადეგ ტყეებს, ისინი ნედარებით საკმაო რაოდენობით მაღალმთიან ზონაშია განლაგებული; ასეთია ხარისთვალის, ლეხურნის, სადმელის, შიდვანის, ქარძმანის, საგლოლის, შოვის, ჯორისა და ღიბის სატყეო აგარაკები. რაიონში არსებულ ტყის მასივების ბაზაზე ხეთუნდების პერიოდში მოეწყო ხე-ტყის დამამზადებელი პუნქტები, ხე-ტყის სახეობი ქარხნები და ავეჯის საამქროები. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ რაიონში სატყეო მრეწველობა, მრეწველობის სხვა დარგებთან შედარებით, კარგადაა განვითარებული და მას მეორე ადგილი უკავია კვების მრეწველობის შემდეგ. იგი რაჭა-ლეჩხუმის მთელი სამრეწველო პროდუქციის 15,7 % იძლევა. ამბროლაურის რაიონზე მოდიოდა ქვეყნიერის სატყეო მრეწველობის 69,2 %, ცაგერის რაიონი 18,8 % და ონის რაიონი 12,0 %. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ რაჭა-ლეჩხუმიდან რესპუბლიკის რაიონებში საკმაო რაოდენობის ხე-ტყე, დაბერხილი ხის მასალა და შეშა იგზავნება.

რაჭა-ლეჩხუმის სატყეო მრეწველობის საწარმოებიდან აღსანიშნავია: 1. სადმელის სატყეო მრეწველობის მეურნეობა, რომელიც დაარსებულია 1956

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს. აღნიშნული საწარმო ხე-ტყის დამზადებას აწარმოებს სადმელის, შხივანის და ქარძმანის (ჯავის რაიონი) სატყეო აგარაკებზე. სადაც წარმოებს ხის მორებისა და შეშის დამზადება. დამზადებული ხის მორები და შეშა დამზადების ადგილიდან საავტომობილო გზამდე მიზიდვა ხდება ჯალამბრებითა და ტრაქტორებით, ხოლო შემდეგ საავტომობილო ტრანსპორტით რკინიგზამდე და შემდეგ რკინიგზით. აქ წარმოებს როგორც ფოთლოვანი, ისე წიწვიანი ხის მორების დამზადება. ფოთლოვანიდან ძირითადად მზადდება წიფელი, ხოლო წიწვიანიდან ფიჭვი და ნაძვის მორები. 1957 წელს წარმოებამ დამამზადებელი პუნქტებიდან გამოზიდა და მომხმარებელს მიაწოდა 35004 m^3 ხის მორები. დამზადებული ხე-ტყისა და შეშის 92 % გაიგზავნა საქართველოს სხვადასხვა რაიონებსა და ქალაქებში, ასე მაგალითად, წიფლის მორებს ეს საწარმო გზავნის ბათუმის ფანერის ქარხანაში, სტალინირის სატყეო კომბინატში, მცხეთის ასანთის და თბილისის ავეჯის ფაბრიკებში. წიწვიანი ხე-ტყე იგზავნება ამბროლაურის რაიონის ფარგლებში და ქუთაისის ტყეჩის ქარხანაში.

დამამზადებელ პუნქტებში ხე-ტყის დამზადება ძირითადად მექანიზებულია. წარმოების სისტემაში მუშაობს 8 ტრაქტორი, 38 ავტომანქანა, 6 ავტომაწყები, 9 ბულდოზერი, 17 ცალი ხის სახერხი მანქანა და სხვა. ეს საწარმო იძლევა რაჭა-ლეჩხუმის სატყეო მრეწველობის მთელი სასაქონლო პროდუქციის თითქმის ⅔.

1958 წელს გეგმის თანახმად წარმოებამ უნდა დამამზადოს 52000 m^3 ხე-ტყის მასალა.

ამბროლაურის რაიმრეწვკომბინატს მოწყობილი აქვს ხარისთვალის, ლუხუნის, წესურისა და წესის ხე-ტყის სახერხი ქარხნები და ამბროლაურის ავეჯის საამქრო.

1957 წელს ამ საწარმოებმა გამოუშვეს 2793 m^3 საქმიანი მერქანი, 1364 m^3 შეშა და 341600 მანეთის ღირებულების სხვადასხვა სახის ავეჯი. გამოშვებული პროდუქციის 82,3 % ადგილობრივ ამბროლაურის რაიონს ეხმარება, ხოლო 17,7 % საქართველოს სხვა რაიონებში გაიგზავნა. 1958 წელს გეგმით გათვალისწინებულია გრეხილ-ავეჯეულობის საამქროს მშენებლობის დამთავრება, რომელიც 300 ათასამდე მანეთის პროდუქციას გამოუშვებს წლიურად (600 ცალი ვენურ სკამს და სხვა სახის ავეჯს).

თანახმად რესპუბლიკის მთავრობის 1958 წლის 15 მარტის დადგენილების ხე-ტყის დამზადება გადაეცა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ხე-ტყის და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს სისტემას.

1957 წელს ამბროლაურის რაიონის სამრეწველო კომბინატის სატყეო მრეწველობის საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქცია ხე-ტყის მრეწველობის გამოშვებული მთელი პროდუქციის ⅓-ზე მეტს შეადგენს.

ამბროლაურის რაიონის შემდეგ სატყეო მრეწველობის განვითარებით მეორე ადგილზეა ცაგერის რაიონი. აქ სატყეო მრეწველობის საწარმოებიდან აღსანიშნავია რაიმრეწკომბინატის ცაგერის ავეჯის საამქრო და ცაგერისა და სოფ. ქულბაქის ხე-ტყის სახერხი ქარხნები. აღნიშნულ საწარმოებმა 1957 წელს დაამზადა და გამოუშვა 2270 m^3 საქმიანი მერქანი, 2012 m^3 შეშა, 1467 m^3 დახერხილი ხის მასალა და 144500 მანეთის სხვადასხვა სახის ავეჯი, რაც რაჭა-ლეჩხუმის სატყეო მრეწველობის მთელი პროდუქციის ღირებულების 18,8 % შეადგენდა. სატყეო მრეწველობის საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქცია მთლიანად ხმარდება ადგილობრივი რაიონის მოთხოვნილებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიურ-გეოგრაფიულ ქვერაიონში სატყეო მრეწველობის განვითარებით მესამე ადგილზეა ონის რაიონი. აქ აღსანიშნავია რაიმრეწკომბინატის ქ. ონის და სოფ. საგლოლოს ხე-ტყის სახერხი ქარხნები და ონის ავეჯის საამქრო. რაიმრეწკომბინატი ხე-ტყის დამზადებას აწარმოებს შოვის, ჭიორისა და ღუბის სატყეო აგარაკებზე. 1957 წელს ონის რაიონის აღნიშნულმა საწარმოებმა გამოუშვეს 5782 m^3 საქმიანი მერქანი, 4680 m^3 შეშა, 820 m^3 დახერხილი ხის მასალა და 99700 მანეთის სხვადასხვა სახის ავეჯი, რაც რაჭა-ლეჩხუმის ხე-ტყის მრეწველობის მთელი სამრეწველო პროდუქციის ღირებულების 11,4 % შეადგენდა.

5. საშენებლო მასალათა წარმოება

რაჭა-ლეჩხუმი მდიდარია რიგი ბუნებრივი სამშენებლო ნედლეულით (კერამიკული თიხები, კირქვები, გრანიტი, ბაზალტი და რიგი სხვა სამშენებლო მასალები). ეს ძვირფასი სამშენებლო ნედლეული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სუსტად იყო შესწავლილი და იგი პრიმიტიული წესით მოწყობილ აგურ-კრამიტის, კირის საწარმოებსა და საშენი ქვის კარიერებში მუშავდებოდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო რაჭა-ლეჩხუმის ბუნებრივი სამშენებლო ნედლეულის შესწავლა-გამოვლენება და მისი დამუშავება. ერთი მხრივ, რაჭა-ლეჩხუმის უხვი სამშენებლო ნედლეულის არსებობამ და, მეორე მხრივ, რაიონის სამრეწველო და კომუნალური მშენებლობის გაფართოებამ, ხელი შეუწყო სამშენებლო მასალათა მრეწველობის განვითარებას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში რაჭა-ლეჩხუმში შეიქმნა სამშენებლო მასალათა წარმოების რიგი დარგები — აგურ-კრამიტის, კირის და საშენი ქვის წარმოება. რაიონის სამშენებლო მასალათა საწარმოები ძირითადად განლაგებულია ნედლეულის ბაზებთან და მოხმარების ცენტრებში.

გაშლილ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობასთან დაკავშირებით. სისტემატურად იზრდებოდა სამშენებლო მასალათა პროდუქცია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რაჭა-ლეჩხუმის დღევანდელი სამშენებლო მასალათა მრეწველობა თავის პროდუქციით ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს რაიონის სამრეწველო და კომუნალურ მშენებლობას.

რაჭა-ლეჩხუმის სამშენებლო მასალათა საწარმოებიდან აღსანიშნავია: ამბროლაურის რაიონის სოფ. ჭრებალოს კრამიტის ქარხანა, რომელიც 1944 წელს აშენდა, ჭრებალოს ადგილობრივი კერამიკული თიხების ბაზაზე. იგი აშენდებს მარსელის კრამიტს. ქარხანა პირველ ხანებში პრიმიტიულად იყო მოწყობილი, მაგრამ 1950 წელს მოხდა მისი ძირფესვიანი რეკონსტრუქცია, რის გამოც მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი წლიური წარმადობაც. 1957 წელს ქარხანამ გამოუშვა 450 ათასი ცალი მარსელის კრამიტი. გამოშვებული პროდუქციის 80 % მოხმარებულ იქნა ადგილობრივ ამბროლაურის რაიონში, ხოლო 20 % გაიგზავნა მეზობელ ცაგერისა და ონის რაიონებში. 1958 წელს ჭრებალოს ქარხანაში დაიწყო აგურის ახალი საამქროს მშენებლობა, რომელიც წელიწადში გამოუშვებს ერთ მილიონ ცალ აგურს.

ამბროლაურის რაიონში სამშენებლო მასალათა საწარმოებიდან აღსანიშნავია აგრეთვე რაიმრეწკომბინატის ამბროლაურის კირის ქარხანა, რომელიც ადგილობრივ ნედლეულის ბაზაზე 1946 წელს აშენდა. მისი წლიური წარმადობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განისაზღვრება 596 ტონა კირის გამოშვებით. გამოშვებული პროდუქცია თითქმის მთლიანად ხმარდება ამბროლაურის რაიონის შშენებლობასა და სოფლის მეურნეობას (ვაზის შესაწამლად).

ამბროლაურის რაიონში სამშენებლო მასალათა საწარმოებიდან აღსანიშნავია სოფელ იწის სამშენებლო ქვის წარმოება. აქ ფიგურირებდა საშენი ქვის დამუშავება დაიწყო 1956 წელს. 1957 წელს გამოშვებულ იქნა 1000 m^3 ფლეთილი საშენი ქვა და 500 ცალი თლილი ქვა. საშენი ქვის წარმოება აქ პრიმიტიული წესით წარმოებს, მაგრამ ახლო მომავალში გათვალისწინებულია მისი მექანიზებული დამუშავება.

ცაგერის რაიონში სამშენებლო მასალათა საწარმოებიდან აღსანიშნავია რაიმრეწკომბინატის დაბა ცაგერის აგურის და სოფ. ღვირიშის კირის ქარხნები. ადგილობრივ თიხების ბაზაზე ცაგერის აგურის ქარხანა დაარსდა 1934 წელს. პირველ ხანებში ქარხანა პრიმიტიულად იყო მოწყობილი და აგურის დამზადება ეუსტარულად წარმოებდა. 1950 წელს მოხდა ამ ქარხნის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია და ამჟამად აგურის დამზადება ნახევრად მექანიზებულია. ყოველივე ამის შედეგად აგურის გამოშვება ყოველწლიურად იზრდებოდა, ასე მაგალითად, 1949 წელს ქარხანამ გამოუშვა 9,7 ათასი ცალი აგური, 1957 წელს კი 445 ათასი ცალი, ხოლო 1958 წელს გეგმით ქარხანამ უნდა გამოუშვას 600 ათასი ცალი აგური. გამოშვებული პროდუქციის ⅔ ადგილობრივ რაიონის საჭიროებას მოხმარდება, ხოლო ⅓ მეზობელ ამბროლაურის რაიონში გაიგზავნება.

ცაგერის რაიონის სამშენებლო მასალათა მრეწველობის მნიშვნელოვანი საწარმოა სოფ. ღვირიშის კირის ქარხანა, რომელიც ადგილობრივ კირქვების ბაზაზე 1953 წელს აშენდა. 1957 წელს ამ საწარმომ გამოუშვა 420 ტონა კირი, გამოშვებული პროდუქციის 57 % ადგილობრივ ცაგერის რაიონის საჭიროებას მოხმარდა, ხოლო 33 % მეზობელ რაიონებში გაიგზავნა.

ონის რაიონში სამშენებლო მასალათა საწარმოებიდან აღსანიშნავია ქ. ონის რაიმრეწკომბინატის აგურ-კრამიტის ქარხანა და სოფ. მოედნის კირის ქარხანა.

ქ. ონის აგურ-კრამიტის ქარხანა 1940 წელს აშენდა ადგილობრივ ნედლეულის ბაზაზე. აქ აგურ-კრამიტის დამზადება ნახევრად მექანიზებულია. 1957 წელა ქარხანამ გამოუშვა 281 ათასი ცალი აგური და 110 ათასი ცალი კრამიტი. გამოშვებული პროდუქცია მთლიანად ადგილობრივ რაიონის საჭიროებას მოხმარდა.

ონის რაიმრეწკომბინატმა 1956 წელს სოფ. მოედანში ადგილობრივ კირქვების ბაზაზე ააგო კირის ქარხანა, რომელმაც 1957 წელს გამოუშვა 400 ტონა კირი. გამოშვებული პროდუქცია მთლიანად რაიონის საჭიროებას მოხმარდა.

1957 წელს რაჭა-ლეჩხუმში რაიმრეწკომბინატის სამშენებლო მასალათა 7 საწარმო იყო, რომელშიაც მუშაობდა 90 მუშა-მოსამსახურე. რაჭა-ლეჩხუმის აღნშნულმა საწარმოებმა ამავე 1957 წელს გამოუშვეს 726 ათასი ცალი აგური, 560 ათასი ცალი კრამიტი, 1418 ტონა კირი, 1000 m^3 ფლეთილი და 500 ცალი თლილი სამშენებლო ქვა. ეს ციფრები აშკარად ლაპარაკობს რაიონში ამ დარგის ჩამორჩენილობაზე. ამიტომ რაჭა-ლეჩხუმში შემავალ ადმინისტრაციულ რაიონებში უნდა მიექცეს ყურადღება სამშენებლო მასალათა საწარმოების გაფართოებას, რაც ხელს შეუწყობს რაიონში საბინაო და სამრეწველო შშენებლობის დაჩქარებას. ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამშე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებლო მასალათა მრეწველობაში მექანიზაციის დანერგვას, რაც გაუმჯობესებს საწარმოებში შრომის პირობებს, გაზრდის გამოშვებული პროდუქციის მოცულობას და შეამცირებს მის თვითღირებულებას.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული რაჭა-ლეჩხუმის სამშენებლო მასალათა წარმოების ხვედრითი წონა ცალკეულ ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით შემდეგნაირად წარმოგვიდგება: პირველ ადგილს იკავებს ამბროლაურის რაიონი, რომლის წილად მოდის რაჭა-ლეჩხუმის მთელი სამშენებლო მასალათა პროდუქციის ღირებულების 64,5 %, შემდეგ ონის რაიონი 20,1 % და ბოლოს ცაგერის რაიონი 15,4 %.

6. მსუბუქი მრეწველობა

რაჭა-ლეჩხუმის მსუბუქი მრეწველობა შემოზიდულ და ნაწილობრივ ადგილობრივ ნედლეულის ბაზაზე ფართო მოხმარების საგნებს ამზადებს. რაჭა-ლეჩხუმის დღევანდელი მსუბუქი მრეწველობა ძირითადად საოჯახო ნივთების, ტანსაცმელისა და ფეხსაცმელის სამკერვალო სახელოსნობის სახითაა წარმოდგენილი. დასახელებული სახელოსნოების პროდუქციას მნიშვნელობა აქვს რაიონის ადგილობრივი მოსახლეობის ფართო მოხმარების საგნებით უზრუნველყოფისათვის.

ომის შემდგომ წლების მანძილზე ომამდელთან შედარებით, რაჭა-ლეჩხუმის მსუბუქ მრეწველობაში მიღწეული და მნიშვნელოვნად გადიდებულია ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის გამოშვება, მაგრამ ეს მიღწევები ჯერ კიდევ საკმარისი არაა. რაჭა-ლეჩხუმის მსუბუქი მრეწველობა მცირე მოცულობის, კუსტარული საწარმოებითაა წარმოდგენილი. მრეწველობის ამ დარგის ხვედრითი წონა რაჭა-ლეჩხუმის მთელი მრეწველობის პროდუქციის ღირებულების 1,3 % შეადგენს, ამავე დროს მსუბუქ მრეწველობაში მუშაობს რაჭა-ლეჩხუმის მთელი სამრეწველო მუშების 3,6 %. ეს მაჩვენებლები თავისთავად ლაპარაკობს ამ დარგის ჩამორჩენილობის შესახებ.

1957 წელს. რაჭა-ლეჩხუმის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა გამოუშვეს 85,5 ათასი ცალი სხვადასხვა სახის საოჯახო კერამიკული ჭურჭელი, 820,5 ათასი მანეთის შეკერილი ტანსაცმელი, 1656 წყვილი სხვადასხვა სახის ფეხსაცმელი, 156,0 ათასი მანეთის სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო იარაღი და 566 ცალი თუნუქის ღუმელი. გამოშვებული პროდუქცია თითქმის მთლიანად მოხმარებულ იქნა რაჭა-ლეჩხუმის რაიონების მოსახლეობის მიერ.

რაჭა-ლეჩხუმის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებიდან აღსანიშნავია: ამბროლაურის რაიმრეწკომბინატის ფეხსაცმელების, ტანსაცმელის სამკერვალო სახელოსნოები და სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემკეთებელი სახელოსნოები. მსუბუქი მრეწველობის აღნიშნული საწარმოები 1956 წლამდე ეკუთვნოდა ამბროლაურის სარეწაო კოოპერაციას, მაგრამ 1956 წელს ამბროლაურში სარეწაო კოოპერაციის გაუქმების შემდეგ, აღნიშნული საწარმოები გადაეცა ადგილობრივ რაიმრეწკომბინატს. 1957 წელს ამბროლაურის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა გამოუშვეს 629,5 ათასი მანეთის ღირებულების ფართო მოხმარების პროდუქცია. გამოშვებული პროდუქციის რეალიზაცია ხდება რაიონის სავაჭრო ორგანიზაციების საშუალებით.

ონის რაიონში მსუბუქი მრეწველობის საწარმოებიდან აღსანიშნავია რაიმრეწკომბინატის ტანსაცმელისა და ფეხსაცმელის სამკერვალო სახელოსნობები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კერამიკული სპორტული ჭურჭლების საწარმო, სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემკეთებელი და თუნუქის ღუმელების დამამზადებელი სამეწარმოები.

1957 წელს აღნიშნულმა საწარმოებმა გამოუშვეს 35,5 ათასი ცალი სხვადასხვა სახის კერამიკული ჭურჭელი, 516,6 ათასი მანეთის შეკერილი ტანსაცმელი, 554 წყვილი ფეხსაცმელი, 166 ცალი თუნუქის ღუმელი და შეაკეთეს 45 ათასი მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღი.

ცაგერის რაიონში მსუბუქი მრეწველობის საწარმოებიდან აღსანიშნავია რამმრეწველკომბინატის ტანსაცმლის სამკერვალო სახელოსნო, ფეხსაცმლის სამკერვალო და შემკეთებელი სამეწარმოები; თუნუქის ღუმელებისა და საყოფაცხოვრებო ინვენტარის სამეწარმოები. 1957 წელს ცაგერის რაიონის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა გამოუშვეს 44,9 ათასი მანეთის შეკერილი ტანსაცმელი, 502 წყვილი ფეხსაცმელი, შეაკეთეს 70,7 ათასი მანეთის ფეხსაცმელი, 11,0 ათასი მანეთის საყოფაცხოვრებო ინვენტარი და გამოუშვეს 400 ცალი თუნუქის ღუმელი. რაიონის მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია თითქმის მთლიანად მოხმარდა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

7. კვების მრეწველობა

რაჭა-ლეჩხუმის მრეწველობაში თავისი მრავალფეროვნებითა და პროდუქციის ღირებულებით პირველ ადგილს იკავებს კვების მრეწველობა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ისე როგორც რესპუბლიკის სხვა ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რაიონებში, რაჭა-ლეჩხუმშიაც აღდგენილი, გარდაქმნილი და გაფართოებულ იქნა კვების ყველა ძველი სამრეწველო საწარმოები; გაიშალა კვების მრეწველობის ახალი საწარმოების შენებლობა.

ხუთწლედების პერიოდში რაჭა-ლეჩხუმში მნიშვნელოვნად გაფართოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. სოფლის მეურნეობა დიდი რაოდენობით აძლევს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს (ყურძენი, ხილბოსტნეული, მესაქონლეობის პროდუქტები) რაიონის კვების მრეწველობას. ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ბაზაზე, შექმნილია და მნიშვნელოვნად განვითარდა კვების მრეწველობის რიგი დარგი, რომელთაგან ზოგიერთს რესპუბლიკური და საკავშირო მნიშვნელობაც კი აქვთ. კვების მრეწველობა ეკონომიურ-გეოგრაფიული ქვერაიონის მთელი სამრეწველო პროდუქციის 67,2 % აძლევდა. მიუხედავად ამისა, კვების მრეწველობის განვითარება ჯერ კიდევ ვერ შეესაბამება ქვერაიონის ბუნებრივ შესაძლებლობას, ამავე დროს სასურსათო საქონლის მოცულობა და ზრდის ტემპი ამჟამად ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მატერიალურ და კულტურული დონის გაზრდილ მოთხოვნილებას.

რაჭა-ლეჩხუმის კვების მრეწველობა ჯერ კიდევ შედარებით პატარა მოცულობის საწარმოებითაა წარმოდგენილი და მათში სუსტად არის დანერგილი მექანიზაცია.

მიუხედავად ერთგვარი წარმატებისა, კვების მრეწველობა რაჭა-ლეჩხუმში ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს განვითარების შესაძლებლობას. საწარმოების ხელმძღვანელებმა ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით უნდა იბრძოლონ იმისათვის, რათა გაფართოვონ საწარმოთა ქსელი, მოამარაგონ ისინი საჭირო თანამედროვე მანქანა-დანადგარებით, აღზარდონ კვალიფიციური მუშახელი, გამოაცალონონ ადგილობრივი ნედლეული და რესურსები, განსაკუთრებული ყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადღება მიაქციონ ასორტიმენტის დაცვასა და მის ხარისხობრივ მაჩვენებლებს. ამ დარგის წინაშე დგას ამოცანა მიაწოდოს მომხმარებელს მეტი და ძაღლ-ხარისხოვანი ფართო მოხმარების კვების პროდუქტები.

რაჭა-ლეჩხუმის კვების მრეწველობის დარგთაგან აღსანიშნავია ღვინის, ყველ-კარაქის, პურისა და მინერალური წყლის წარმოება და სხვ.

რაჭა-ლეჩხუმის კვების მრეწველობის წამყვანი დარგია მეღვინეობა; 1957 წელს ამ დარგმა გამოიმუშავა რაიონის კვების მთელი სამრეწველო პროდუქციის ღირებულების 82,0 %, ამავე დროს, მეღვინეობაში მუშაობს კვების მრეწველობაში მომუშავე მთელი პერსონალის 68,7 %.

რაჭა-ლეჩხუმის ღვინის ქარხნებმა 1957 წელს გადაამუშავეს 5325 ტონა ყურძენი და დაამზადეს 106449 დ/ლიტრი № 6 ღვინო, 80890 დ/ლიტრი № 10 ღვინო, 2900 დ/ლიტრი № 21 უსახელაური, 54500 დ/ლიტრი № 19 ტვიში, 14000 დ/ლიტრი № 24 ოჯალეში, 30648 დ/ლიტრი № 20 ღვინო, 31290 დ/ლიტრი № 26 ღვინო, 39885 დ/ლიტრი სასპირტე ღვინო მასალა და 1725 კილოგრამი ღვინის ძეკვა.

რაჭა-ლეჩხუმის ღვინის ქარხნებიდან აღსანიშნავია სამტრესტის ცაგერისა და ამბროლაურის ღვინის ქარხსამმართველოები, რომელიც აერთიანებს ცაგერის, ორბელის, ტვიშის და ოყურეშის, ხვანჭკარის, ჩრებალოს და ამბროლაურის ღვინის ქარხნებს. რაჭა-ლეჩხუმში საერთოდ და კერძოდ ცაგერის და ამბროლაურის რაიონში მევენახეობა-მეღვინეობა რაიონის ერთ-ერთი წამყვანი და შემოსავლიანი დარგია. რაიონის ღვინის ქარხნების სასაქონლო პროდუქციის ღირებულება, რაიონის მთელი მრეწველობის სასაქონლო პროდუქციის ღირებულების 78,4 % შეადგენს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობა-მეღვინეობა (განსაკუთრებით ეს ითქმის ცაგერისა და ამბროლაურის ადმინისტრაციულ რაიონებზე) მაღალი ხარისხის ღვინის წარმოებით ხასიათდება. საქართველოს დანარჩენი მეღვინეობის ძირითადი რაიონებიდან განსხვავებით აქ ამ ორ ადმინისტრაციულ რაიონში მზადდება მაღალი ხარისხის ბუნებრივი ნახევრადტკბილი ღვინოები, როგორიცაა, სახელგანთქმული ხვანჭკარა, ოჯალეში, ტვიში, უსახელაური და სხვა, რომელსაც კარგად იცნობენ საბჭოთა კავშირში.

რაჭა-ლეჩხუმის მეღვინეობის წამყვანი რაიონებიდან პირველ რიგში დასახელებული უნდა იქნეს ცაგერის რაიონი, სადაც აღსანიშნავია სამტრესტის ცაგერის ღვინის ქარხნების სამმართველო, რომელიც აერთიანებს: ცაგერის, ტვიშის, ორბელის და ოყურეშის ღვინის ქარხნებს. აქ ყურძნის დამზადება და გადამუშავება 1929 წლიდან დაიწყო. 1929 წლიდან 1940 წლამდე ყურძნის დამზადებასა და გადამუშავებას აწარმოებდა რაიკავშირი. 1940 წლიდან 1947 წლამდე ეს საქმე გადაეცა ცაგერის რაიკომსაკომის ადგილობრივ მრეწველობას. 1947 წლიდან 1954 წლამდე კი რაიმრეწკომბინატს, ხოლო 1954 წლიდან დღემდე სამტრესტს. ცაგერის რაიონში ვენახების ფართობის ზრდასთან დაკავშირებით სისტემატიურად იზრდებოდა ყურძნის დამზადება და ღვინის გადამუშავება, ასე მაგალითად, 1930 წელს დამზადდა 250 ტონა ყურძენი, 1940 წელს—400 ტონა, 1950 წელს—700 ტონა, ხოლო 1957 წელს—2656 ტონა. ყურძნის დამზადებისა გადიდების პარალელურად საჭირო გახდა, ერთი მხრივ, ღვინის ძველი საწარმოების რეკონსტრუქცია (ცაგერისა და ოყურეშის ქარხნები) და აიგო ღვინის ახალი ძლაერი, კეთილმოწყობილი ქარხნები მაცივრით, სოფ. სოფ. ტვიშში და ორბელში, რომელთა წლიური წარმადობა 2300 ტონას უდრის, მათ შორის ორ-

ბელისა — 1500 ტონას. ამჟამად მიმდინარეობს დაბა ცაგერში ღვინის ახალი ქარხნის მშენებლობა, რომელიც წელიწადში 1500 ტონა ყურძენს გადაამუშავებს, განხორციელდება აგრეთვე ოყურეშის ღვინის ქარხნის გაფართოება.

ცაგერის რაიონის ღვინის ქარხნებში 1957 წელს გადაამუშავეს 2656 ტონა ყურძენი და გამოუშვეს სუფრის ღვინოები № 6 39885 დ/ლიტრი და № 10 35170 დ/ლიტრი; ნახევრად ბუნებრივი ტკბილი ღვინოები: 2900 დ/ლიტრი უსახელაური, 54500 დ/ლიტრი ტვინო, 1400 დ/ლიტრი ოჯალეში; სასპირტე ღვინის მასალა 39885 დ/ლიტრი და 925 კილოგრამი ღვინის მჟავა.

მიღებული პროდუქცია — ნახევრადტკბილი ღვინოები — სამტრესტის განრიგის მიხედვით ეგზავნება თბილისის № 1 და მოსკოვის ღვინის ქარხნებს; მშრალი ღვინოები — თბილისის № 2 და ქუთაისის ღვინის ქარხნებს; საკონიაკე მასალა — ვარციხის ღვინის ქარხანას; 26 ათასი დ/ლიტრი ეძლევა ცაგერის და ლენტეხის სავაჭრო ორგანიზაციებს ადგილობრივი მოხმარებისათვის.

როგორც ცნობილია, სახელგანძმული ოჯალეშის № 24 ღვინოს მხოლოდ ორბელის ღვინის ქარხანა უშვებს, ხოლო უსახელაურს — № 21 ოყურეშის ქარხანა.

ცაგერის რაიონის ღვინის ქარხნების მიერ 1957 წელს გამოშვებული პროდუქციის ღირებულება რაიონის მთელი სამრეწველო პროდუქციის ღირებულების 78,4 % შეადგენდა. ცაგერის რაიონი რაჭა-ლეჩხუმის ღვინის წარმოების 48,8 % იძლევა და მას პირველი ადგილი უკავია ქვეყანაში.

მეღვინეობის განვითარებით მეორე ადგილზეა ამბროლაურის რაიონი. აქ აღსანიშნავია სამტრესტის ამბროლაურის ღვინის ქარხნების სამმართველო, რომელიც აერთიანებს ამბროლაურის, ხვანჭკარისა და ჭრებალოს ღვინის ქარხნებს. 1957 წელს აღნიშნულმა საწარმოებმა გადაამუშავეს 2269 ტონა ყურძენი და გამოუშვეს ნახევრადტკბილი ღვინოები: 30648 დ/ლიტრი ხვანჭკარა № 20, 31290 დ/ლიტრი რაჭული თეთრა № 26; მშრალი ღვინოები: 65564 დ/ლიტრი № 6, 20720 დ/ლიტრი № 10 და 900 კილოგრამი ღვინის მჟავა. გამოშვებული პროდუქციის ღირებულებამ შეადგინა რაჭა-ლეჩხუმის ღვინის ქარხნების მიერ გამოშვებული საერთო პროდუქციის 44,4 %. ისე, როგორც ცაგერის რაიონში, ამბროლაურის რაიონშიაც მრეწველობის საერთო შემოსავალში დიდია მეღვინეობის ხვედრითი წონა. 1957 წელს ამბროლაურის რაიონის ღვინის ქარხნების პროდუქციის ღირებულება შეადგენდა რაიონის მთელი სამრეწველო პროდუქციის ნახევარზე მეტს (53,6 %).

იმის გამო, რომ ამბროლაურის ღვინის ქარხნები ძირითადად ნახევრადტკბილ ღვინოებს ამზადებენ, ამიტომ საჭირო და აუცილებელია ღვინის ქარხნებთან მოეწყოს მაცივრები. 1958 წელს მაცივარი მოეწყო ჭრებალოს ღვინის ქარხანაში. ახლო მომავალში მაცივრების მოწყობა განსაზღვრულია ხვანჭკარისა და ამბროლაურის ღვინის ქარხნებში.

ამბროლაურის ღვინის ქარხნების მიერ გამოშვებული პროდუქცია, განსაკუთრებით ნახევრადტკბილი ღვინოები, იგზავნება თბილისისა და მოსკოვის ღვინის ჩამომსხმელ ქარხნებში.

ამბროლაურის ღვინის ქარხნები ძირითადად მაღალი ხარისხის ნახევრადტკბილ ბუნებრივ ღვინოებს ამზადებენ, რომელთაგან აღსანიშნავია სახელგანძმული ხვანჭკარა და თეთრა. იმასთან დაკავშირებით, რომ მევენახეობა ამბროლაურის რაიონში თანდათან ფართოვდება, საჭირო იქნება არსებული ქარხნების რეკონსტრუქცია და მაცივრის მოწყობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შედარებით უმნიშვნელო ადგილი უჭირავს მეღვინეობას ონის რაიონში. აქ მაღალი ჰიპსომეტრიულ მდებარეობასთან დაკავშირებით მევენახეობას შედარებით არახელსაყრელი ბუნებრივი პირობები აქვს. მევენახეობა ონის რაიონში ძირითადად გავრცელებულია რიონის ხეობაში, დაწყებული სოფ. სორიდან სოფ. უწერამდე, ე. ი. 660 მეტრიდან 1000 მეტრამდე. უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ ონის რაიონის მევენახეობა-მეღვინეობა, მისი მაღალი მდებარეობის გამო, ცაგერისა და ამბროლაურის მევენახეობა-მეღვინეობასთან შედარებით დაბალი ხარისხის პროდუქციას იძლევა. ამიტომ აქ მევენახეობა-მეღვინეობას დამხმარე ხასიათი აქვს. ღვინის საწარმოებიდან ონის რაიონში აღსანიშნავია რაიმრწყვკომბინატის ონის ღვინის ქარხანა, რომელმაც 1957 წელს გადაამუშავა 400 ტონა ყურძენი და გამოუშვა 26000 დ'ლიტრი სუფრის ღვინო. გამოშვებული პროდუქციის ღირებულებამ შეადგინა რაჭა-ლეჩხუმის ღვინის ქარხნების მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულების 6,8 %, ხოლო ონის რაიონის მთელი სამრეწველო პროდუქციის 17,0 % უდრის. გამოშვებული პროდუქციის რეალიზაცია ხდება ადგილობრივი რაიონის სავაჭრო ორგანიზაციების საშუალებით.

რაჭა-ლეჩხუმის კვების მრეწველობის მეორე დარგს პურის ცხობა წარმოადგენს, იგი რაიონის მთელი კვების მრეწველობის პროდუქციის ღირებულების 15,7 % იძლევა. რაჭა-ლეჩხუმში შემავალ რაიცენტრებში, მსხვილ მუშათა დასახლებულ პუნქტებში და სოფლებში მოწყობილია 8 პურის საცხობი საწარმო.

ეკონომ-გეოგრაფიულ ქვერაიონში კვების მრეწველობის არსებულ საწარმოებიდან აღსანიშნავია ყველ-კარაქის ქარხანები, რომელიც წარმოდგენილია დაბა ამბროლაურისა და ქ. ონის ქარხნებით. რაჭა-ლეჩხუმში, მესაქონლეობის ზრდასთან დაკავშირებით და რძის პროდუქტების დამუშავების მიზნით, 1954 წელს მოეწყო ამბროლაურისა და ქ. ონის ყველ-კარაქის ქარხნები. აღნიშნულ საწარმოებს რაიონის ფარგლებში სასოფლო საბჭოების მიხედვით აქვთ რძისა და ყველის დამამზადებელი პუნქტები, საიდანაც რძე და რძის პროდუქტები იგზავნება ქარხანაში.

1957 წელს აღნიშნულ ქარხნებმა გადაამუშავეს 12858 ცენტნერი რძე და გამოუშვეს 94 ცენტნერი კარაქი, 278 ცენტნერი თუშური ყველი, 958 ცენტნერი ლეჩხური ყველი, 7 ცენტნერი მოხდილი ყველი, 11 ცენტნერი ცხიმიანი ხაჭო და 325 ცენტნერი პასტერიზებული რძე. გამოშვებული პროდუქციის 85 % იგზავნება ქუთაისისა და სამტრედიის ცხომის ბაზებში.

1958 წელს ამბროლაურში დაიწყო ტიპიური პროექტით ყველ-კარაქის სპეციალური ქარხნის მშენებლობა, რომელიც დღე-ღამეში ხუთ ტონამდე რძეს გადაამუშავებს. ასეთივე ტიპიური ყველ-კარაქის ქარხანა შენდება ქ. ონშიაც. მოკლე ხანში ამბროლაურისა და ონის რაიონებს ექნებათ თანამედროვე ტიპის კარგად მოწყობილი ყველ-კარაქის ქარხნები.

რაც შეეხება ცაგერის რაიონს, მას ყველ-კარაქის ქარხანა არ აქვს და ამ მხრივ რაიონს მომსახურობას უწევს წყალტუბოს რაიონები.

რაიონის კვების მრეწველობის საწარმოებიდან აღსანიშნავია ლიმონათის წარმოება, რაჭა-ლეჩხუმის რაიცენტრებში მოწყობილია ლიმონათის საწარმოები, რომლებმაც 1957 წელს გამოუშვეს 181,7 ათასი მანეთის პროდუქცია.

აღსანიშნავია აგრეთვე 1954 წელს დაარსებული უწერის მინერალური წყლის ჩამომსხმელი საწარმო. იგი პრიმიტიულადაა მოწყობილი და წელიწადში 10,0 ათას ლიტრ მინერალურ წყალს უშვებს. 1958 წელს საწარმოს წლიური წარმადობა უნდა გაიზარდოს 2 მილიონ ლიტრამდე წელიწადში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის კვების მრეწველობაში სასაქონლო პროდუქციის ღირებულებით პირველ ადგილზე ღვინის წარმოებაა, რომელიც იძლევა კვების მთელი მრეწველობის პროდუქციის ღირებულების 82,0 %.

პროდუქციის ღირებულებით მეორე ადგილს იკავებს პურის წარმოება (15,7 %), მესამე ადგილზეა ყველ-კარაქის წარმოება (1,8%). შემდეგ თანმიმდევრობით მოყვება ლიმონათის (0,4 %), და უწერის მინერალური წყლის ჩამოსხმა (0,1 %).

რაიონის კვების მრეწველობის საწარმოების ძირითადი საშუალებების ღირებულება 16246,0 ათას მანეთს უდრის, მათ შორის ღვინის წარმოებაზე 15346,8 ათასი მანეთი, ე. ი. 94,4 % მოდის. ასეთი მდგომარეობა იმით აიხსნება, რომ ღვინის ქარხნები შედარებით უფრო კეთილმოწყობილია და შევსებულია ახალი მანქანა-დანადგარებით; კვების მრეწველობის დანარჩენი დარგების საწარმოები კუსტარულადაა მოწყობილი და მათი ძირითადი საშუალებების ღირებულებაც უმნიშვნელოა.

იმასთან დაკავშირებით, რომ ცაგერისა და ამბროლაურის რაიონებში მევენახეობა-მეღვინეობა ძირითადი შემოსავლიანი დარგია, ახლო მომავალში გათვალისწინებულია ღვინის ძველი ქარხნების საფუძვლიანი რეკონსტრუქცია და ღვინის ახალი ქარხნების მშენებლობა.

ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით კვების მრეწველობის განვითარებით პირველი ადგილი უკავია ცაგერის რაიონს, რომლის წილად მოდის რაჭა-ლეჩხუმის მთელი კვების მრეწველობის პროდუქციის ღირებულების (44,2 %), შემდეგ თანმიმდევრობით მიდის ამბროლაურის რაიონი (42,7 %) და ონის (13,1 %).

8. პოლიგრაფიული მრეწველობა

რაჭა-ლეჩხუმის პოლიგრაფიული მრეწველობა წარმოდგენილია ადმინისტრაციული რაიონების სტამბებით, რომელიც პირველ რიგში ემსახურება რაიონული გაზეთების გამოშვებას, ამავე დროს იგი მომსახურეობას უწევს რაიონის წარმოება-დაწესებულებებს და მოსახლეობას განცხადებების, ბლანკების, ქვითრების ბეჭდვით და სხვა.

რაჭა-ლეჩხუმში არსებული სტამბები აგებულია ადმინისტრაციული რაიონების ცენტრებში და პრიმიტიულადაა მოწყობილი. სტამბების ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის ბინის სივიწროვე, საბეჭდი ქაღალდის ნაკლებობა და რაც მთავარია, მოძველებული მანქანა-დანადგარები და შრიფტი.

კოლმეურნეობათა დამხმარე საწარმოები

საკოლმეურნეო მშენებლობის განვითარებამ, უხვი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შექმნამ და ბუნებრივი რესურსების არსებობამ განაპირობა კოლმეურნეობათა დამხმარე საწარმოების მოწყობა. ხუთწლედების პერიოდში რაჭა-ლეჩხუმის კოლმეურნეობებში მოეწყო კოლმეურნეობათა დამხმარე საწარმოები, რომლებიც საკოლმეურნეო სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის (რძე, ხორცი, ყურძენი და სხვა), და, მეორე მხრივ, რაიონში არსებული ბუნებრივი სიმდიდრეების (სამშენებლო ქვები ქირქვები, თიხები და სხვ.) ნედლეულის ბაზაზე მუშაობენ; ამით კოლმეურნეობები ადიდებენ თავიანთ ფულად შემოსავალს და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამრეწველო საწარმოთა განლაგება რაჭა-ლეჩხუმში

1958.


ონი
ამბროლაური
ცაგერი
ლენტეხი
ონდოლა
ბაჯიანი
ნაგომარი
ნინოწმინდა
ოფრეხილი
ჭალადიდი
ალპანა
ზესტაფონი
ტყვიავი
ჭიათურა
ფარცხანა
ბაკურიანი
ბაღდათი
ხიდეთი
ალმასოვანი
ბოლოქი
ზედა ბარი
ქვედა ბარი
ტალავერი
ცხრაწყარო
ზეკარი
ბაჯალეთი
ბაკურიანი
ნაბეღლავი
ბუკისციხე
ფეხენა
ფეხენა
ბუბა
ბუბა
ბუბ

ამავე დროს აკმაყოფილებენ საკუთარ მოთხოვნილებას სხვადასხვა საჭირო პროდუქტებითა და სამშენებლო მასალებით.

რაჭა-ლეჩხუმის კოლმეურნეობათა დამხმარე საწარმოებიდან აღსანიშნავია აგურ-კრამიტის, კირის, ხე-ტყის სახეობა, ერობა-ყველ-კარაქის, საფქვავი წისქვილები, სადურგლო და სამკეცლო სახელოსნოები და სხვა.

რაჭა-ლეჩხუმის აღნიშნულმა საწარმოებმა 1957 წელს კოლმეურნეობებს მისცეს რამდენიმე ათეული ათასი მანეთის ფასადი შემოსავალი. კოლმეურნეობების დამხმარე საწარმოების ორგანიზებულად მოწყობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ მთაგორიან, უგზო რაიონისათვის, როგორიცაა რაჭა-ლეჩხუმი. ამავე დროს, როგორც ზემოთ დავნახეთ, ქვეყანაში სუსტადაა განვითარებული მრეწველობა, ამიტომ კოლმეურნეობების ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნონ თავიანთი საკუთარი სახსრებით დამხმარე საწარმოების განვითარებისათვის და საკუთარი სამშენებლო მასალებით მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. დადასტურებულია, რომ იმ კოლმეურნეობებს, რომელთაც აქვთ კარგად მოწყობილი სამშენებლო მასალათა საწარმოები, უზრუნველყოფენ კოლმეურნეობების საზოგადოებრივი შენობებისა და პირუტყვის სადგომების მშენებლობას. აგრეთვე კოლმეურნეობებში მოწყობილი სადურგლო და სამკეცლო სახელოსნოები ხელს უწყობს კოლმეურნეობების სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და მოწყობილობის ადგილზე მოხერხებულად შეკეთებას. კოლმეურნეობების რიგი დამხმარე საწარმოები (ყველ-კარაქის, ღვინის, წისქვილები და სხვა) აწარმოებენ კოლმეურნეობების სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის პირველად დამუშავებას და სხვა. ამიტომ რაჭა-ლეჩხუმის კოლმეურნეობებმა, რომელთაც ადგილზე გააჩნიათ დიდძალი სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო ნედლეული, ხელი უნდა მოკიდონ საკოლმეურნეო დამხმარე საწარმოების მოწყობას და ყოველდღიურად იზრუნონ მის ნორმალურად მუშაობისათვის.

როგორც რაჭა-ლეჩხუმის მრეწველობის შესწავლით გამოირკვა, მეურნეობის ეს დარგი აქ შედარებით სუსტადაა განვითარებული და იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება საქართველოს მთელ რიგ ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონებსა და ქვეყაინოებს. ამას დასტურებს ის ფაქტი, რომ 1957 წლის მონაცემებით რაჭა-ლეჩხუმის სამრეწველო პროდუქცია მოსახლეობის ერთ სულზე 668 მანეთს უდრიდა, მათ შორის ცაგერის რაიონში 681 მანეთი, ამბროლაურისა 810 მანეთი, ხოლო ონის რაიონში 407 მანეთი. ამ მაჩვენებლებით იგი სამჯერ ჩამორჩება ქვემო იმერეთს და სამნახევრად ქვემო ქართლსა და აგრეთვე საქართველოს რიგ რაიონებს.

რაჭა-ლეჩხუმის მრეწველობა მომავალში უნდა განვითარდეს მეღვინეობის, ყველ-კარაქის წარმოების, სატყეო და სამთო მოპოვებითი მრეწველობის მიმართულებით. განსაკუთრებით განვითარების ყველაზე მეტი შესაძლებლობა აქვს მეღვინეობას და სამთო მოპოვებით მრეწველობას. დიდი პერსპექტივები და ბუნებრივი შესაძლებლობა აქვს ჰიდროელექტროენერგეტიკულ მრეწველობას. შშენებლობაში მყოფი ლაჯანურიჰესის ამშვავების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზრდება რაჭა-ლეჩხუმისა და კერძოდ ცაგერის რაიონის სამრეწველო პროდუქციის მოცულობა. რაჭა-ლეჩხუმის ფარგლებში მდინარე რიონზე, ცხენისწყალზე და ლაჯანურზე შესაძლებელია მძლავრი ჰიდროელსადგურების მშენებლობა.

ამბროლაურის რაიონში შაორის ქვანახშირის ექსპლოატაციის დაწყებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება საერთოდ საქართველოს რესპუბლიკისა და კერძოდ რაჭა-ლეჩხუმის ინდუსტრიალიზაციისათვის. შაორის ქვანახშირის მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოვება და მასთან დაკავშირებული დამხმარე დარგების შექმნა გამოიწვევს უდიდეს ცვლილებებს რაჭა-ლეჩხუმის მრეწველობაში და რამდენჯერმე გაზრდის რაიონის სამრეწველო პროდუქციას. ახლო მომავალში გათვალისწინებულია ჩორდის ბარიტის მოპოვების 2,5-ჯერ გადიდება, დარიშხანის წარმოების გაფართოება. რაჭა-ლეჩხუმში არსებული გეოლოგიური პარტიების (ამჟამად აქ მუშაობს ხუთი გეოლოგიური პარტია) კვლევა-ძიებითი მუშაობის შედეგად შესაძლებელია აღმოჩენილ იქნეს რიგი სასარგებლო წიაღისეული მადნების საექსპლოატაციო მარაგი, რაც შექმნის ბაზას ახალი საწარმოების მოწყობისათვის.

მნიშვნელოვანი პერსპექტივები აქვს მეღვინეობის განვითარებას. როგორც ცნობილია, მიმდინარე შვიდწლედში საქართველოში ვენახების ფართობი თითქმის ორჯერ უნდა გაიზარდოს, აქედან გამომდინარე მნიშვნელოვნად გაიზრდება აგრეთვე რაჭა-ლეჩხუმის ვენახების ფართობიც. ეს მდგომარეობა კი ბუნებრივად აყენებს საკითხს მეღვინეობის გაფართოების შესახებ. ამრიგად, მომავალში რაჭა-ლეჩხუმის მრეწველობას განვითარების დიდი პერსპექტივები აქვს.

В. С. КАКАБАДЗЕ

РАЗМЕЩЕНИЕ И РАЗВИТИЕ ПРОМЫШЛЕННОСТИ РАЧА-ЛЕЧХУМИ

(ЦАГЕРСКИЙ, АМБРОЛАУРСКИЙ И ОНСКИЙ РАЙОНЫ)

Резюме

Из существующих литературных источников и по результатам исследовательской работы, проведенной в Рача-Лечхуми, можно убедиться в том, что этот район издревле был известен целым рядом отраслей кустарной промышленности — обработкой металлов, производством стройматериалов, выделкой керамической посуды и т. п.

Наряду с Нижней Карталинией и Имеретией, Рача-Лечхуми являлся одним из значительных районов Грузии по добыче железной руды и ее обработке. В этом отношении особенно выделялась Верхняя Рача — окрестности Геби, Брили, Цедиси и «Квацитела», где производили ковку металла еще до распространения в Грузии христианства.

Имеются фактические данные о том, что жители села Цедиси и соседних с ним общин раньше жили, в основном, выковкой железа кузнечным промыслом. Достоверно установлено, что «некованное железо», железные сельскохозяйственные орудия и посуда, вывозились из Рачи в соседние районы: Лечхуми, Имеретию, Карталинию, Кахетию, а также на Северный Кавказ.

Что же касается Лечхуми, то здесь с древнейших времен, обращает на себя внимание производство кузнечных изделий и особенно керамической посуды. Изготовленные здесь «квеври» (глиняные кувшины для хранения вина) и разная глиняная хозяйственная посуда вывозились в Рачу и в различные уголки Грузии.

Забота о развитии промышленности начинает проявляться с 1921 года. Одновременно с развитием других отраслей промышленности, особое внимание уделялось тяжелой промышленности.

В советский период произошел большой перелом в деле развития народного хозяйства Рача-Лечхуми.

ეროვნული ბიბლიოთეკა

В настоящее время в Рача-Лечхуми создан ряд новых отраслей промышленности, которые опираются, в основном, на имеющиеся в районе природные ресурсы и на сырьевую базу сельского хозяйства.

На протяжении пятилеток был построен ряд предприятий пищевой промышленности (винодельческой, масло-сыроваренной, хлебопечения и др.), развилась горнодобывающая промышленность, лесное и деревообрабатывающее производство, предприятия строительных материалов и пр.

В государственной промышленности Рача-Лечхуми можно выделить следующие основные отрасли: горнодобывающую, электроэнергетическую, лесную, стройматериалов, легкую, пищевую и полиграфическую.

В 1957 г. в Рача-Лечхуми было всего 45 больших и малых государственных промышленных предприятий. Указанные предприятия государственной промышленности выпустили промышленную продукцию на несколько десятков миллионов рублей. Среди отраслей районной промышленности наиболее мощной является пищевая промышленность, которая дала 67,2% стоимости всей промышленной продукции. После пищевой промышленности необходимо отметить лесную, на долю которой приходится 15,7%, потом последовательно идут горнодобывающая промышленность — 10,4%, промышленность стройматериалов — 2,6%, электроэнергетическая —2,5%, легкая —1,3% и под конец полиграфическая —0,4%.

Стоимость основных средств государственной промышленности на 1 января 1957 года составляла 52,7 млн. рублей, в том числе более половины приходилось на долю горнодобывающей промышленности.

Сумма капитальных вложений в промышленность Рача-Лечхуми в 1957 г. составила 4,7 млн. рублей. По стоимости валовой продукции государственной промышленности на душу населения, район значительно отстает от многих других экономико-географических районов Грузии. Вообще же надо отметить, что по целому ряду причин промышленность Рача-Лечхуми, по сравнению с рядом других экономико-географических районов Грузии, развита еще слабо. Это обстоятельство, в первую очередь, надо объяснить экономико-географическим положением Рача-Лечхуми. Этот подрайон находится вне сферы магистральных железнодорожных коммуникаций и его транспортное положение неблагоприятно для создания и развития крупных промышленных предприятий. Кроме того, в Рача-Лечхуми пока не обнаружено промышленных запасов месторождений полезных ископаемых, которые могли бы служить базой для создания и развития мощных предприятий.

Благодаря этому промышленность Рача-Лечхуми сравнительно слабо представлена и она развивается, главным образом на основе использования сельскохозяйственного сырья. Промышленную отсталость Рача-Лечхуми подтверждает хотя бы тот факт, что удельный вес рабочих и служащих, занятых в промышленности равен всего 1,7% всего населения, тогда как по Грузии в целом он достигает 6%.

Из отраслей промышленности Рача-Лечхуми наиболее перспективными являются горнодобывающая и гидроэлектроэнергетическая промышленность. После пуска находящейся в строительстве ЛаджанурГЭС значительно возрастет объем промышленной продукции Рача-Лечхуми и в частности Цагерского района. На реках Рионе, Цхенисцкали и Ладжанури, в пределах Рача-Лечхуми, можно построить мощные гидроэлектростанции.

Большое значение для индустриализации Грузии в целом и в частности Рача-Лечхуми будет иметь начало разработок Шаорского месторождения каменного угля в Амболаурском районе. Добыча шаорского каменного угля и создание связанных с ним подсобных отраслей вызовут огромные изменения в промышленности Рача-Лечхуми и в несколько раз

ეროვნული ბიბლიოთეკა

увеличат промышленную продукцию района. В ближайшем будущем предусмотрено увеличение в 2,5 раза добычи чордийского барита и расширение производства мышьяка.

Значительные перспективы открываются перед виноделием. Как известно в текущей семилетке площадь виноградников Грузии должна увеличиться почти в два раза, и следовательно увеличится площадь виноградников также и в Рача-Лечхуми; это обстоятельство, естественно, ставит вопрос об расширении виноделия. Таким образом промышленность Рача-Лечхуми имеет большие перспективы развития.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. ვ. ი. ლენინი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თავი I, III, V, VI, VII, თხზ., ტომი 3.

2. ი. ბ. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები საბჭოთა კავშირში, თბილისი, 1952.

3. ნ. ს. ხრუშჩოვი, მოხსენება სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობაზე, სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ. გაზეთი „კომუნისტი", 28 ივნვარი, 1959.

4. ვ. ალესაძე, რ. ბაბუტაძე, თ. დვალი, ო. ჯაფარიძე, სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიისათვის საქართველოში, თბ., 1958.

5. ა. ალექსიძე, ანთიმონის წარმოების ისტორიისათვის საქართველოში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XII, თბილისი, 1944.

6. ლ. გზელელი, აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, ქუთაისი, 1912.

7. ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხიშვილი, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958.

8. ნ. ბოგველაური, შავი ლითონების მეტალურგია საქართველოში, თბ., 1953.

9. ბ. ბოგველიშვილი, ძველი ქართული სამთამადნო და მეტალურგიული წარმოების ნაშთები სოფელ ღებთან, მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, № 9, 1952.

10. ფ. ერისთავი, მეტეორიტთა და მეტეორიტები ლეჩხუმში, „საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე", ტ. XIV, 1947.

11. ნ. რეხვიაშვილი, რაჭაში მივლინების მოკლე ანგარიში (მეუღლობა), ინიმკის მოამბე, ტ. XI, 1941.

12. ნ. რეხვიაშვილი, წვდური ფოლადი, მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №8, 1943.

13. ნ. რეხვიაშვილი, მეუღლობა რაჭაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1953.

14. ი. რეხილაძე, საქართველოს მევენახეობა და მეღვინეობა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1956.

15. ს. მერკვილაძე, რაჭა (ზუბ და ბუბ), ტფ., 1904.

16. ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1930.

17. ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1934.

18. ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის საფონდო მასალები.

19. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.

20. Н. Воскобойников. Описание горных промыслов и полезных минералов в округах Имеретинском, Раче, Мингрельском, Лечхуме и Суанетиях. «Горный журнал», № 11, 1826.

21. В. Переваленко, Минеральные источники в Рачинском уезде, «Кавказ», № 21, 1849.

22. В. Чичинадзе. Металлургия горной Рачи и Сванетии. Изд. АН СССР, М.-Л., 1945.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურ. 1. ბარიტის გამამდიდრებელი ფაბრიკა (ონის რაიონი).

სურ. 2. ჭრებალოს ღვინის ქარხანა

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 1. რიცეულ-ჰესის საგენერატორო შენობა (ამბროლაურის რაიონი)

სურ. 2. რიცეულის ხე-ტყის სახერხი ქარხანა (ამბროლაურის რაიონი)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია—ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ., ტ. XV, 1960
Академия Наук Груз. ССР—Труды Института Географии им. Вахушти, т. XV, 1960

ნ. დევიძე

სოფლის მეურნეობის განვითარება და განლაგება რაჭა-ლეჩხუმში

სოფლის მეურნეობის ზოგადი დახასიათება

რაჭა-ლეჩხუმის ბუნებრივი პირობები ხელშემწყობია როგორც მიწათმოქმედების, ისე მეცხოველეობის განვითარებისათვის. სასოფლო-სამეურნეო კულტურები ითესება მდინარე რიონის, ცხენისწყლისა და მათი შენაკადების ტერასებზე და მცირე დახრილობის მთის კალთებზე. ასეთი ფართობები მცირე რაოდენობით მოიპოვება.

რაჭა-ლეჩხუმი, ძირითადად, მევენახეობა-მებაღეობისა და მეცხოველეობის რაიონია. აქ აგრეთვე მემინდვრეობაც საკმაოდ განვითარებულია. სოფლის მეურნეობის განვითარების დონე და დარგობრივი სტრუქტურაც, გარკვეულ ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო საავარგულებთანაა დაკავშირებული. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, განვიხილოთ მიწის ფონდები (ცხრილი 1).

ცხრილი 1

რაჭა-ლეჩხუმის მიწის ფონდის სტრუქტურა 1957 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით ჰექტარობით

მიწის ფონდის შედგენილობა	ცაგერის რაიონი	ამბროლაურის რაიონი	ონის რაიონი	სულ რაჭა-ლეჩხუმში	სულ საქართველოს სსრ-ში
სახნავი ამბ.	7985	7834	7088	22907	1031493
%	9,7	6,7	5,7	7,2	14,7
სათიბი ამბ.	468	1522	9691	11681	144187
%	0,5	1,3	7,9	3,7	2,1
საძოვრები ამბ.	8786	15158	11500	35444	1338315
%	10,7	13,0	9,3	11,0	19,0
მრავალწლ. ნარგ. ამბ.	2532	2315	855	5742	248875
%	3,1	2,0	0,7	1,8	3,5
ტყე და ბუჩქნარი ამბ.	48706	78282	63383	190324	2972472
%	59,5	67,7	51,2	59,0	42,4
დანარჩენი ამბ.	13560	10832	31249	55641	1281280
%	16,5	9,3	25,2	17,3	18,3
სულ ტერიტორია ამბ.	82037	115946	123756	321739	7016622
%	100	100	100	100	100

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვლევი რაიონის მიწის სავარგულების მთლიანი ფონდი 321,7 ათას ჰექტარს უდრის, რაც რესპუბლიკის ტერიტორიის 4,6 %-ს შეადგენს. მთიანი რელიეფის გამო მიწათმოქმედებისათვის გამოსადეგი ფართობი უაღრესად შეზღუდულია. სასოფლო-სამეურნეო ფართობს 75,8 ათასი ჰექტარი უკავია, ანუ მთელი ტერიტორიის 23,6 %. სასოფლო-სამეურნეო მიწების სიმცირე, ძირითადად, ბუნებრივი პირობებითაა გამოწვეული. რაჭა-ლეჩხუმი ქედებით ირგვლივ შემოფარგლული და შიგნით დასერილი მთიანი მხარეა. მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი შემოსილია ტყეებით, რომლებსაც, ძირითადად ნიადაგდაცვითი და წყალშემნახი მნიშვნელობა აქვთ. მიწის სავარგულების სასოფლო-სამეურნეო გამოყენების დონე ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე იმერეთში (36 %), ქვემო ქართლში (66,3 %) და საშუალოდ მთელ რესპუბლიკაში (39,4 %). სასოფლო-სამეურნეო მიწები განლაგებულია სოფლებში და სოფლების ირგვლივ, უმთავრესად მდინარეების ნაპირებზე, ხეობებში, ჭალებში და მთების ფერდობებზე. დამუშავებაში მყოფი (ნახნავითა და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული) ფართობი მთელი მიწის ფონდის 9 %-ს შეადგენს, რესპუბლიკაში კი — 17,5 %-ს. ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკა ჩამორჩება საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებს, მათ შორის ამიერკავკასიის რესპუბლიკებსაც, ხოლო რაჭა-ლეჩხუმი თითქმის 2-ჯერ ნაკლებადაა უზრუნველყოფილი ამ კატეგორიის მიწებით, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკა. მაღალმთიან ადგილებში დამუშავებაში მყოფი ფართობი საერთოდ კლებულობს, ხოლო ტყეებისა და საძოვრების ფართობი კი იზრდება.



რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მაღალ ზონებშია მოთავსებული. მისი ტერიტორიის ⅘-ზე მეტი (82 %) ზღვის დონიდან 1000 მეტრზე უფრო მაღლა მდებარეობს. აქედან გასაგებია, თუ რატომ აქვს დამუშავებაში მყოფ მიწებს დაბალი ხვედრითი წონა. ცალკეულ ადმინისტრაციულ რაიონე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიდან დამუშავებაში მყოფი ფხრთობის ხვედრითი წონა მიწის მთელ ფონდში უდრის: ცაგერის რაიონში — 12,8 %, ამბროლაურის — 8,7 % და ონის — 6,4%.

სასოფლო-სამეურნეო ფართობის ნახევარზე მეტი (62 %) სათიბ-საძოვრებზე მოდის. სათიბებით რაჭა-ლეჩხუმი 1,8-ჯერ უფრო უზრუნველყოფილია, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკა, ხოლო საძოვრებით — 1,7-ჯერ უფრო ნაკლებადაა უზრუნველყოფილი. სათიბები, ძირითადად, ონის რაიონშია განლაგებული; საძოვრები ყველგანაა გავრცელებული, მაგრამ უფრო მეტი ფართობი მთ ამბროლაურის რაიონში უკავია.

რაჭა-ლეჩხუმი ხასიათდება როგორც ტყიანი მხარე. მისი ტერიტორიის ნახევარზე მეტი დაფარულია ტყითა და ბუჩქნარით. ტყეები განლაგებულია უმთავრესად მთის კალთებზე, ზღვის დონიდან 500-დან 2000 მეტრის სიმაღლეშიდეტყიანობის მხრივ გამოირჩევა ამბროლაურის რაიონი. მისი ტერიტორიის ⅔ ტყე-ბუჩქნარითაა დაფარული.

მიწის დანარჩენი ფართობი წარმოადგენს შენობების, გზებისა და წყლის ქვეშ არსებულ ტერიტორიას და უვარგის (სოფლის მეურნეობისათვის გამოუსადეგ) მიწებს: მუდმივი თოვლითა და მყინვარებით მოსილ ქედებს, ციცაბო კალთების მქონე კლდოვან მთაგრეხილებს და სხვ. უვარგისი მიწები უმთავრესად ონის რაიონშია განლაგებული. აქ მათ მთელი ტერიტორიის ¼ უკავია.

1958 წელს რაჭა-ლეჩხუმში ნათესების ქვეშ 20,2 ათასი ჰექტარი მიწა იყო გამოყენებული. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ნათესი ფართობი სისტემატურად იზრდებოდა, მაგრამ უკანასკნელ წლებში მოიკლო. მისი შემცირება შემდეგი მიზეზებით იყო გამოწვეული: ჯერ ერთი, ტყეების ჩეხასთან დაკავშირებით გაძლიერდა ეროზიის პროცესები, რის შედეგად ჩამოირეცხა სახნავი მიწების საკმაო რაოდენობა, გარდა ამისა, — სახნავი ფართობის ანგარიშზე გაიზარდა მრავალწლიანი ნარგავები (ვაზი, ხეხილი,); ამასთან ერთად მიწის საკმაოდ დიდი ფართობი დაიკავა მშენებლობამ (ელექტროსადგურებმა, ხელოვნურმა წყალსაცავებმა, გეოლოგიურმა სამუშაოებმა და სხვ.). ზიანს აყენებს სოფლის მეურნეობას აგრეთვე მეწყერული მოვლენები, რომლებიც საკმაოდაა გავრცელებული რაჭა-ლეჩხუმში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ნათესი ფართობის შემცირებასთან ერთად, მემინდვრეობის სტრუქტურაც შეიცვალა. 1923 წელს მთელი ნათესი ფართობის 99 %-ი მოდიოდა მარცვლეულ კულტურებზე, ბოსტნეულ-ბაზჩეულს და კარტოფილს მცირე ფართობი ეკავა, საკვები კულტურები თითქმის სულ არ ითესებოდა 1958 წლისათვის მარცვლეულის ხვედრითი წონა მთელ ნათესებში შემცირდა 85 %-მდე. ამ შემცირების ანგარიშზე გადიდდა კარტოფილისა და ბოსტნეულ-ბაზჩეულის ფართობი და, რაც მთავარია, მემინდვრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი საკვებმა კულტურებმა დაიკავა (11 %). აღსანიშნავია, რომ მემინდვრეობის სტრუქტურა გაუმჯობესდა და უფრო რაციონალური გახდა, რაც დამახასიათებელია მრავალდარგოვანი კოლექტიური მეურნეობებისათვის.

რაჭა-ლეჩხუმის ბუნებრივი პირობები ხელს უწყობს მრავალწლიანი კულტურების განვითარებას. მემინდვრეობის გარდა აქ დიდი ადგილი უჭირავს მევენახეობა-მეხილეობას. ძირითადად ვაზის ადგილობრივი ჯიშებია გავრცელებული, რომლებიც ბუნებრივად ნახევრადტბილ ღვინოს იძლევიან. ვენახების ფართობი ყოველწლიურად იზრდება და 1940 წლისათვის მან 3354 ჰექტარს მიაღწია. დიდი სამამულო ომის პერიოდში მევენახეობა საგრძნობლად დაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალდა. შემდეგ წლებში მევენახეობის ფართობი სისტემატურად იზრდებოდა, მაგრამ ომამდელ დონემდე ჯერაც (1958 წ.) არ არის მიღწეული.

საკვები ბაზის გაფართოებამ რაჭა-ლეჩხუმში შესაძლებელი გახადა მეცხოველეობის განვითარება. მაგრამ დიდი სამამულო ომის შემდეგ პირუტყვის სულადობამ რამდენადმე იკლო.

მემინდვრეობის დარგობრივი სტრუქტურა

(%%-ით)



რაჭა-ლეჩხუმის სოფლის მეურნეობა სუსტად არის აღჭურვილი ტექნიკით. ძირითადი სამუშაო პროცესები მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში ხელით სრულდება, მექანიზაციის დონე მეტად დაბალია, რაც იმით აიხსნება, რომ არსებული ტექნიკის გამოყენება ზოგიერთი სპეციფიკური პირობების გამო (რელიეფის პირობები, მიწის მასივების პატარ-პატარა ნაკვეთებად განლაგება, ვენახებში ეზის მწკრივთშორისი მანძილის სიმცირე და სხვა) მოუხერხებელია.

სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების გეოგრაფია

მარცვლეული და პარკოსანი კულტურები

რაჭა-ლეჩხუმის სოფლის მეურნეობაში მარცვლეულის მოყვანას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მთელი ნათესი ფართობის 35 % მარცვლეულს კულტურებზე მოდის. მათი ფართობია ხვედრითი წონა მთელი რესპუბლიკის მარცვლეულის ნათესებში 1958 წელს 2,7 %-ს უდრიდა. 12141 ჰექტარზე განლაგებულია სიმინდის, ხოლო 4649 ჰექტარზე — თავთავიანი კულტურების ნათესები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრკოსანი კულტურებიან ძირითადად ლობიოა გავრცელებული, რომელიც მცირე ფართობზე ითესება წმინდა ნათესებად და ძირითადად მწკრივთშორის სიმინდშია ჩათესილი. 1958 წელს რაჭა-ლეჩხუმში ლობიოს მწკრივთშორის ნათესებს 2397 ჰექტარი ეკავა, ხოლო წმინდა ნათესებს — 284 ჰექტარი.

მარცვლეულის ნათესების უმეტესი ფართობი (40 %) აკეთრის რაიონში მოთავსებულია; ამბროლაურის რაიონზე ფართობის ⅓ მოდის, ონის რაიონზე — 26,6 %. მარცვლეულის ნათესები განლაგებულია სოფლებში და სოფლების ირგვლივ პატარ-პატარა ნაკვეთებად, რაც აძნელებს მექანიზაციის დანერგვას. მსხვილი მასივებიც გვხვდება, ისინი სოფლებიდან 10—15 კილომეტრითაა და შორებული.

მარცვლეულის ნათესებისათვის გამოყენებულია მიწები როგორც ჭალებში რიონისა და სხვა მდინარეების განაპირას, ისე მთის ფერდობებზე. მიწის დამუშავება ძირითადად ხდება გუთნითა და კაჟით ცოცხალი გამწევი ძალის გამოყენებით, დაბალ ზონაში და ვაკე ადგილებში ხვნა ნაწილობრივ მექანიზებულია; სხვა სამუშაო პროცესები — თესვა, ნათესების მოვლა და მოსავლის აღება — ხელით სრულდება.

ნათეს-ბალახიანი თესლბრუნვა მემინდვრეობაში ჯერჯერობით არ არის შეოდებული. მიწათმოუყობა ჩატარებულია, ახლა მოსამზადებელი სამუშაოები ტარდება თესლბრუნვის დანერგვისათვის.

სასუქებიდან მხოლოდ ნაკელია გამოყენებული, მინერალურ სასუქებს მეტად მცირე რაოდენობით ხმარობენ, რადგანაც მიღებული სასუქების რაოდენობა მარტო ვენახებისათვის ყოფნით. მინერალური სასუქი მარცვლეულის ნათესებში ეფექტურია, ზრდის მოსავლიანობას 20—40 %-ით. ზოგიერთი კოლმეურნეობა დაუდევრობას იჩენს ამ საქმეში და არ ზრუნავს ნიადაგის განაყიერებაზე.

1957 წელს მარცვლეულის საშუალო-საჰექტარო მოსავლიანობა კოლმეურნეობებში 8,4 ც უდრიდა. მარცვლეულის მოსავლიანობა რაჭა-ლეჩხუმში უფრო დაბალია, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში (11,4 ც). სიმინდის საშუალო-საჰექტარო მოსავლიანობა 9,8 ც, ხოლო შემოდგომის ხორბლის — 4,6 ც უდრიდა, რაც რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებლებს (12,5 ც, 11,1 ც) ჩამორჩება, მაგრამ მეზობელ ქვემო და ზემო იმერეთის შესაბამის მაჩვენებლებს ჭარბობს. სიმინდის მოსავლიანობა საკმაოდ მაღალია სასუქების გამოყენების პირობებში. მაგალითად, სოფელ ბუგეულის კოლმეურნეობაში 22 ც უდრიდა (1957 წ.), სადმელის— 21,8 ც, ჭიბერეულ — 19,3 ც, ცაგერის 13,6 ც და ა. შ.

რაჭა-ლეჩხუმში სიმინდის ჯიშებიდან უმთავრესად აბაშის ყვითელი და აჯამეთის თეთრია გავრცელებული, აგრეთვე კაჟოვანი თეთრი და ყვითელი (მაღალ ზონაში) და ადგილობრივი ნახევრადკბილა თეთრი. შემოდგომის ხორბლის ჯიშებიდან — თეთრი ღოლი და ადგილობრივი ჯიში „ხულუგო“. გვხვდება აგრეთვე სიმინდის ჯიში ჰიბრიდი კრასნოდარული, რომელმაც კარგი შედეგი გამოიღო.

მარცვლეულის წარმოებაში წამყვანი კულტურა სიმინდია. ყველაზე დიდი ფართობი სიმინდს აკავრის რაიონში უკავია (5665 ჰა). უახლოეს წარსულში აქ შემოდგომის ხორბალიც საკმაო ფართობზე ითესებოდა, მაგრამ მცირე მოსავლიანობის გამო ნათესები მკვეთრად შემცირდა. ნათესი ფართობის 20 %-მდე ტრაქტორით იხვნება. ნათესები პატარ-პატარა ნაკვეთებად არის განლაგებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც აძნელებს ტრაქტორის გამოყენებას (ტრაქტორი ვერ ბრუნდება პატარა ნაკვეთში, ცალ მხარეზე ხნავს და უქმ სვლებს აკეთებს).

სიმინდის საშუალო-საპენტარო მოსავლიანობა ცაგერის რაიონში 8,3 ც უდრის, შემოდგომის ხორბლისა კი — 3,9 ც არ აღემატება. სიმინდი უფრო მოსავლიანია დაბალ ზონაში, ხორბალი კი მაღალ ზონაში უფრო მოდის. გაზაფხულის ხორბალი და გაზაფხულის ქერი ცაგერის რაიონის კოლმეურნეობებში თითქმის აღარ ითესება.

ამბროლაურის და ონის რაიონებშიც სიმინდია წამყვანი კულტურა მარცვლეულის მეურნეობაში, თუმცა ხორბლის ნათესებსაც მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვს

ამბროლაურის რაიონში სიმინდის საშუალო-საპენტარო მოსავლიანობა 12 ც უდრის; ხორბლის მოსავლიანობაც უფრო მაღალია, ვიდრე ცაგერისა და ონის რაიონებში. მცირე ფართობზე ითესება აგრეთვე გაზაფხულის ქერი.

ონის რაიონში სიმინდსაც და ხორბალსაც უფრო მცირე ფართობი უკავია. ამ მიწის ნაკვეთობა უფრო იგრძნობა. ნათესები უმთავრესად მთების ფერდობებზეა განლაგებული, ისეთი მიწებიც იხვნება, რომლებსაც დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში არ ამუშავებენ. მიწის დამუშავება გუთნისა და კავის საშუალებით ხდება. მექანიზაცია სრულიად არაა დანერგილი.

მარცვლეული კულტურების ფართობი ონის რაიონში უკანასკნელ ხუთი წლის მანძილზე 1/3-ით შემცირდა, რაც ძირითადად ეროზიის პროცესებმა გამოიწვია. სიმინდის ნათესებს 2548 ჰექტარი უკავია, შემოდგომის ხორბლის — 1212 ჰექტარი. ითესება აგრეთვე გაზაფხულის ხორბალი და გაზაფხულის ქერი. გაეწრებული ნიადაგების განოყიერების მიზნით კოლმეურნეობებს ნათესებში ყოველწლიურად ნაკელი შეაქვთ. მინერალური სასუქები სრულებით არ არის გამოყენებული. შემოდგომის ხორბლის საშუალო-საპენტარო მოსავლიანობა 1957 წელს 4,2 ც არ აღემატებოდა, სიმინდის — 9,8 ც, გაზაფხულის ქერისა — 5,2 ც. შედარებით მაღალია გაზაფხულის ხორბლის მოსავლიანობა — 8,2 ც (რესპუბლიკის საშუალო მოსავლიანობას 11 %-ით აღემატება).

როგორც ზემომოყვანილი მასალიდან ჩანს, მარცვლეულის მეურნეობა რაჭა-ლეჩხუმში დაბალ დონეზე დგას. მარცვლეულის წარმოებას მომხმარებითი ხასიათი აქვს, მაგრამ საკუთარი მოსავალი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას პურზე, რაც იწვევს ფქვილისა და მარცვლეულის სხვა რაიონებიდან შემოზიდვის აუცილებლობას.

მარცვლეულის წარმოების შემდგომი ზრდა რაჭა-ლეჩხუმში უნდა მოხდეს კულტურების მოსავლიანობის გადიდების გზით, მოწინავე აგროტექნიკის გამოყენების საფუძველზე.

რაჭა-ლეჩხუმის კოლმეურნეობები არ არის უზრუნველყოფილი მუშახელით. ამასთან დაკავშირებით საჭიროა უფრო ჩქარი ტემპით დაინერგოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, რომელთა გამოყენება მაღალმთიანი რელიეფის პირობებშიც შესაძლებელია. ასეთ მანქანებს ჩვენი ბრიგადები უკვე უშვებს და მათი დანერგვა მნიშვნელოვნად შეაღებს შრომის ბალანსის დაძაბულობას კოლმეურნეობებში და გაადიდებს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონეს.

მარცვლეულის კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება მემინდვრეობაში თესლბრუნვის შემოღებას და მინერალური სასუქების რაციონალურ გამოყენებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვლევ რაიონში რამდენიმე კოლმეურნეობა მეთესლეობაზეა სპეციალიზებული. საჭიროა გაუმჯობესდეს მეთესლეობის საქმე, დაინერგოს დარაიონებული, ყველაზე მოსავლიანი და მარცვლის ხარისხით ძვირფასი ჯიშები.

შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება და მუშახელის უფრო რაციონალურად გამოყენება, შრომის ინაზღაურების მოწესრიგების საფუძველზე, მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება იქნება რაჭა-ლეჩხუმის კოლმეურნეობებისათვის. ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული კოლმეურნეთა ყოველთვიური ავანსირება, როგორც შრომის მწარმოებლურობის ზრდის მნიშვნელოვანი სტიმული.

კარტოფილი და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები

მეკარტოფილეობა რაჭა-ლეჩხუმში ზედა ზონაშია გავრცელებული, მებოსტნეობა კი, პირიქით, — დაბლობ ადგილებში, მებაღჩეობა სუსტად არის წარმოდგენილი. კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების ნათესი ფართობი საბჭოთა ხელისუფლების წლებში მკვეთრად გაიზარდა. 1923 წელს კარტოფილის ნათესები 191 ჰექტარს არ აღემატებოდა, ხოლო ბოსტნეულისა — 11 ჰექტარს. შემდეგ წლებში მათი ფართობი სისტემატურად იზრდებოდა. 1940 წლისათვის კარტოფილის ნათესებს 758 ჰექტარი ეკავა, ბოსტნეულისას — 220 ჰექტარი, 1950 წლისათვის შესაბამისად — 226 ჰა და 264 ჰა, 1953 წლისათვის — 851 ჰა და 207 ჰა, 1955 წლისთვის — 1001 ჰა და 266 ჰა. ამრიგად, კარტოფილის ფართობი 32 წლის განმავლობაში 5,2-ჯერ გაიზარდა, ბოსტნეულისა — 24-ჯერ. 1955 წლის შემდეგ ბოსტნეულის ფართობი სტაბილური დარჩა; ხოლო კარტოფილის ფართობმა საგრძნობლად იკლო და 1958 წელს მხოლოდ 548 ჰექტარს უდრიდა. კარტოფილის ფართობის ასეთი შემცირება იმით არის გამოწვეული, რომ, სოფლის მეურნეობის დაგეგმვის ახალი წესის შემოღების შემდეგ, კოლმეურნეობებში შეამცირეს კარტოფილის ნათესები იმ ადგილებში, სადაც იგი დაბალმოსავლიანია.

რაჭა-ლეჩხუმის ბუნებრივი პირობები ხელს უწყობს მეკარტოფილეობის განვითარებას, მაგრამ კარტოფილის მოვლა-მოყვანის აგროტექნიკურ ღონისძიებებს კოლმეურნეობებში ვერ იცავენ მუშახელის ნაკლოვანების გამო, რის შედეგად დაბალ მოსავალს იღებენ.

კარტოფილს უმთავრესად კოლმეურნეობებში სთესავენ, ბოსტნეული კულტურების ნათესები, პირიქით, ძირითადად, საკარმიდამო ნაკვეთებზეა განლაგებული. კარტოფილი 548 ჰექტარზეა დათესილი (1958 წ.), აქედან ონის რაიონზე 480 ჰექტარი მოდის, ამბროლაურის რაიონზე — 64 ჰექტარი და ცაგერის — 4 ჰექტარი.

ონის რაიონის მაღალ ზონაში კარტოფილი მემინდვრეობის მთავარი კულტურაა. კარტოფილის მასივები ვეხვდება ღებში, ჭიორაში, გლოლაში, შქმერში, მთისკალთაში. აქ მაღალხარისხოვანი კარტოფილი მოდის. ითესება კარტოფილის დარაიონებული ჯიშები — „მაჟესტიკი“ და „სახალხო“. მეკარტოფილეობას სასაქონლო მნიშვნელობაც აქვს. მოსავლის ნაწილი საკოლმეურნეო ბაზრებში გასაყიდად ქალაქ ქუთაისსა და ჭიათურაში იგზავნება. კარტოფილის საშუალოსპეციალური მოსავლიანობა 52,4 ც არ აღემატება. დაბალი მოსავლიანობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აგროტექნიკური წესების დარღვევითაა გამოწვეული.

ბოსტნეულის კულტურებს კიდევ უფრო მცირე ფართობი უჭირავს (267 ჰა). მებოსტნეობა ადმინისტრაციულ რაიონებს შორის უფრო თანაბრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის განლაგებული. ბოსტნეულის წარმოების მცირე მოცულობა იმით აიხსნება, რომ მას, ძირითადად, მომხმარებლური ხასიათი აქვს, იგი ადგილობრივ ბაზარზე ვერ პოულობს გასაღებას, რადგანაც მოსახლეობას საკუთარი პატარა-პატარა ბოსტნები აქვს საკარმიდამო ნაკვეთებზე, ხოლო სხვა რაიონებში გაზიდვა ხელსაყრელი არაა. ბოსტნეულზე გარკვეულ მოთხოვნილებას აყენებს ადგილობრივი კურორტები (შოვი, უწერა), მაგრამ კლიმატურ პირობებთან დაკავშირებით რაჭა-ლეჩხუმში ბოსტნეული გვიან მოდის. კიტრი, პომიდორი, კომბოსტო აგვისტოს ბოლო რიცხვებში შემოდის, როცა საკურორტო სეზონი უკვე თითქმის დამთავრებულია. ამის გამო ბოსტნეული ქუთაისიდან შემოაქვთ როგორც კურორტების საჭიროებისათვის, ისე საკოლმეურნეო ბაზრებში გასაყიდათ.

ბოსტნეული კულტურებიდან გავრცელებულია კომბოსტო, კიტრი, პომიდორი, ხახვი, ნიორი, მცირე ფართობზე ჭარხალიც. მებოსტნეობა დაბალი მოსავლიანობით ხასიათდება. ბოსტნეულის საშუალო-საპექტარო მოსავლიანობა 1957 წელს 33 ცენტნერს არ აღემატებოდა, მთელ რესპუბლიკაში კი 50 ცენტნერს უდრიდა. მოსავლიანობა რაიონების მიხედვით მერყეობს. ხახვი და ნიორი ცაგერის რაიონშია უფრო მოსავლიანი. კიტრი და ჭარხალი — ამბროლაურის, ხოლო პომიდორი და კომბოსტო—ონის რაიონში. მეკარტოფილეობა და მებოსტნეობა სოფლის მეურნეობის ყველაზე უფრო შრომატევადი დარგებია და შვიდწლედის მანძილზე ამ დარგებში აუცილებლად უნდა დაინერგოს მექანიზაცია, რაც საშუალებას მისცემს კოლმეურნეობებს მტკიცედ დაიცვან თესვისა და მოვლის აგროტექნიკური ვადები და გაადიდონ მოსავლიანობა.

საკვები კულტურები

რაჭა-ლეჩხუმში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია მეცხოველეობა. ამასთან დაკავშირებით საკვები კულტურების წარმოებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

საკვების მოპოვებას რევოლუციამდელ პერიოდში არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. ნათესი ბალახების და საკვები კულტურების ფართობები მეტად მცირე იყო. მეცხოველეობის განვითარების საკვებ ბაზას მხოლოდ ბუნებრივი სათიბ-საძოვრები წარმოადგენდა. უგზოობისა და სათიბების მიუდგომლობის გამო, თივა საკმაო რაოდენობით არ მზადდებოდა და პირუტყვის ზამთრობით შენახვა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისა და საკვები რესურსების გადიდების საქმეში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა. კოლმეურნეობებში საკვები კულტურების ნათესი ფართობი თანდათანობით იზრდებოდა, საგრძნობლად გაიზარდა იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1955 წ.) პლენუმის მიერ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისა და მესაქონლეობის პროდუქციის გადიდების შესახებ მიღებული დადგენილების შემდეგ. 1958 წელს საკვები კულტურების ნათესები 2232 ჰექტარს შეადგენდა. საკვები კულტურების ფართობის ზრდა უფრო ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში. რაჭა-ლეჩხუმის ხვედრითი წონა მთელი რესპუბლიკის საკვები კულტურების ნათესებში გაიზარდა 1940—1958 წლებში 0,9%-დან 1,6 %-მდე. საკვები კულტურების ფართობი ამავე წლების მანძილზე გაიზარდა 4,6-ჯერ, ხოლო მთელ რესპუბლიკაში — 2,7-ჯერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვები კულტურების ფართობის განსაკუთრებულ ზრდას ადგილი ჰქონდა ცაგერის რაიონში (11-ჯერ).

განვიხილოთ საკვები კულტურების ნათესების სტრუქტურა. 1957 წელს რაჭა-ლეჩხუმის კოლმეურნეობებში სულ იყო დათესილი საკვები კულტურები 2171 ჰექტარზე, აქედან მრავალწლიან ბალახებს 719 ჰა ეკავა, ერთწლიან ბალახებს — 176 ჰა, სასილოსო ნათესებს — 1117 ჰა და საკვები ძირნაყოფებს — 159 ჰა. საკვებ კულტურათა შორის ძირითადი ადგილი როგორც საკვლევ რაიონში, ისე მთელ რესპუბლიკაში სასილოსე კულტურებს უკავია; რესპუბლიკაში მათი ხვედრითი წონა 44,8 %-ს შეადგენს, რაჭა-ლეჩხუმში კი 51,4 %-მდე აღწევს. სასილოსედ, ძირითადად, სიმინდია გამოყენებული. სასილოსე ნათესების შემდეგ საკმაოდ დიდი ფართობი მრავალწლიანი ბალახების ნათესებს უკავია (33,2 %).

საკვები კულტურების ნათესების ⅔ ამბროლაურის რაიონშია განლაგებული.

ბალახებიდან დაბალ ზონაში უმთავრესად იონჯა და სამყურაა გავრცელებული, მაღალ ადგილებში — ესპარცეტი. იონჯა და სამყურა ზოგ კოლმეურნეობაში წელიწადში 2-3-ჯერ ითიბება და თივის კარგ მოსავალს იძლევა.

სათესლედ ბალახები მარტო ამბროლაურის რაიონში ითესება. სოფელ ძირაგეულის კოლმეურნეობაში ბალახების ჯიშთა გამოცდის სარაიონთაშორისო ნაკვეთი არსებობს. აქ გამოიცადა „სლავიანური“ ჯიშის იონჯა, რომელიც მაღალმოსავლიანი აღმოჩნდა და შემდეგ ცაგერისა და ონის რაიონების კოლმეურნეობებშიც დაინერგა.

მიმდინარე შვიდწლედში ქვემოაიონის კოლმეურნეობებში მკვეთრად უნდა გადიდდეს საკვების წარმოება, რათა მოლიანად უზრუნველყოფილ იქნეს პირუტყვი და ფრინველი საკუთარი წარმოების საკვებით. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების თესვას, დაინერგოს მემინდვრეობაში ნათესბალახიანი თესლბრუნვა, გაიზარდოს სხვა საკვები კულტურების ფართობი. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საკვები კულტურების მოსავლიანობის გადიდებას, რაც გაზრდის პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის დონეს.

მრავალწლიანი ნარგავები

მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ა. რაჭა-ლეჩხუმი მევენახეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კუთხეა საქართველოში. აქ მევენახეობას მოსახლეობა ძველთაგანვე მისდევდა. მევენახეობა ძირითადად დაბალ ზონაშია გავრცელებული, სადაც კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობები ხელს უწყობს ვაზის კულტურის განვითარებას. მევენახეობას მეღვინეობის მიმართულება აქვს, მის ბაზაზე საკვლევ რაიონში ღვინის პირველადი გადამუშავების 8 ქარხანაა აგებული. მზადდება ძირითადად სუფრის ღვინო და ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინო, რომელსაც დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი მთელ საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებ გარეთაც.

რევოლუციამდელ პერიოდში მევენახეობა რაჭა-ლეჩხუმში განვითარების მაღალ დონეზე იდგა. მაგრამ ფილოქსერასა და სოკოვან დაავადებათა გავრცელებამ, აგრეთვე პირველი იმპერიალისტური ომისა და მენშევიკების ბატონობის ხანაში შექმნილმა ძმიმე ეკონომიურმა პირობებმა, დააქვეითეს მევენახეობა და მკვეთრად შეამცირეს ვენახის ფართობი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენახის აღდგენა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. 1937 წლისათვის ვენახების ფართობმა რაჭა-ლეჩხუმში 2,7 ათას ჰექტარს მიაღწია და შემდეგ წლებშიც თანდათანობით იზრდებოდა (ცხრილი 2).

ცხრილი 2

ვენახების ფართობების დინამიკა რაჭა-ლეჩხუმში
1937-1957 წლებში ჰექტარობით

რაიონები	1937 წ.	1940 წ.	1947 წ.	1953 წ.	1957 წ.
ცაგერის	728	982	950	1152	1235
ამბროლაურის	1532	1807	1472	1567	1658
ონის	449	565	317	407	429
სულ რაჭა-ლეჩხუმში	2709	3354	2739	3126	3320
სულ საქ. სსრ	41405	54748	48501	52149	63203
პროცენტობით რაჭა-ლეჩხუთი რესპუბლიკის ციმაოთ	6.5	6.1	5.6	6.0	5.3

1937—1940 წლებში ვენახების ფართობი 23,9 %-ით გადიდდა. რესპუბლიკაში კი მთლიანად მევენახეობა ამ წლებში უფრო სწრაფი ტემპით გაიზარდა (32,1 %). ვინაიდან ვაზის კულტურა ახალ რაიონებშიც იქნა დანერგილი. რაჭა-ლეჩხუმის ხვედრითმა წონამ რესპუბლიკის მევენახეობაში 1937—1940 წლებში იკლო 6,5 %-დან 6,1 %-მდე. დიდი სამამულო ომის პერიოდში ვენახების ფართობი შესამჩნევად შემცირდა. 1947 წლის სრულიად საკავშირო აღწერით ვენახების ფართობი საკვლევ რაიონში 2739 ჰექტარს უდრიდა, ე. ი. 1940 წელთან შედარებით 18,4 %-ით შემცირდა. 1947 წლის შემდეგ იგი თანდათანობით იზრდებოდა და 1953 წელს 3126, ხოლო 1957 წელს 3320 ჰექტარს მიაღწია, ე. ი. თითქმის გაუსწორდა ომამდელ დონეს. ცაგერის რაიონში ვენახების ფართობმა ომამდელ დონეს 26 %-ით გადაამეტა, ხოლო ამბროლაურის და ონის რაიონებში ომამდელ დონემდე არ არის მიღწეული. მთელ რესპუბლიკაში კი მევენახეობის ომამდელი დონე 15,5 %-ითაა გადამეტებული. ომის შემდგომ პერიოდში რაჭა-ლეჩხუმის ერთგვარი ჩამორჩენილობა ვენახის ფართობის ზრდაში აიხსნება იმით, რომ საქართველოს მევენახეობის განვითარების გეგმა ითვალისწინებდა ვენახების ფართობის ზრდას უმთავრესად კახეთში, სადაც ბლოდად მოიპოვება ვენახებისათვის გამოსადეგი ფართობები და მექანიზაციის დანერგვაც უფრო ადვილია რელიეფის არსებულ პირობებში. ვენახების მკვეთრი ზრდა მიმდინარეობს ქვემო ქართლშიც, სამგორის ახალი სარწყავი მიწების ათვისებასთან დაკავშირებით. რაჭა-ლეჩხუმში კი ვენახების გაშენებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა ძნელია მცირემიწიანობასთან დაკავშირებით და მექანიზაციის დანერგვაც დიდ სიძნელეს წარმოადგენს რელიეფის ხასიათის გამო. ამიტომ აქ ვენახების ფართობის ზრდა უფრო დაბალი ტემპით წარმოებს, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ საკვლევ რაიონში,

ვენახების ცუდი მოვლის შედეგად, ცალკეულ ნაკვეთზე ახლად გაშენებულ ვენახებში ნამყენი ვაზი ვერ ხარობს და იღუპება, რაც ფართობის შემცირებას იწვევს.

ვენახები უმთავრესად მდინარე რიონის, ცხენისწყლისა და ლაჯანურის ხეობებში მთების ფერდობებზეა განლაგებული.

ვენახების ფართობის ხვედრითი წონა დამუშავებული მიწების საერთო ფართობში შედარებით მაღალია: ცაგერის რაიონში იგი 11,7 % უდრის, ამბროლაურის რაიონში — 16,3 %-ს, ხოლო ონის რაიონში 5,4 %-ს. ვენახების ფართობის ასეთი მაღალი ხვედრითი წონა იმითაც აიხსნება, რომ რაჭა-ლეჩხუმში მცირემიწიანობას აქვს ადგილი და სახნავი ფართობები ძალიან შეზღუდულია. მთელ რესპუბლიკაში ანალოგიური მაჩვენებელი 4,9 %-ს არ აღემატება. ამ მხრივ მეზობელი რაიონებიც მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება: ზემო იმერეთში ვენახების ხვედრითი წონა დამუშავებული მიწების მიმართ 16 %-ს უდრის, ქვემო იმერეთში — 7,6 %-ს.

ვენახების უმეტესი ნაწილი ვაზის დაბლარი ნარგავებისაგან შედგება, მაგრამ ზოგან მცირე რაოდენობით მაღლარიცაა გავრცელებული.

საკვლევი რაიონი მდიდარია ვაზის ძვირფასი ჯიშებით. ძირითადი ჯიშებია: ალექსანდროული, წულუკიძის თეთრა, უსახელოური, მუჯურეთული, ცხვეიანის თეთრა, მცვივანი, ორბელის ოჯალეში და სხვა. ფართო გავრცელება ჰქონა იმერეთის ჯიშმა — ცოლოკოურმა, რომელიც კარგად შეეგუა ადგილობრივ პირობებს. გვხვდება აგრეთვე: მწვანე, ძველშავი, შავი კაპისტონი, კახური სფეერავი, რქაწითელი და სხვ. ვაზის ადგილობრივმა ჯიშებმა ფართო გავრცელება და სამრეწველო მნიშვნელობა მოიპოვა. რაჭა-ლეჩხუმის ვაზის ჯიშებს საკმაო მაღალი შაქრიანობა და შესაბამისი მჟავიანობა აქვს. ჯიში ალექსანდროული მაღალხარისხოვან ბუნებრივად ნახევრადტკბილ წითელ ღვინოს იძლევა (ხვანჩკარას), უსახელოური — როგორც სუფრის, ისე ბუნებრივად ნახევრადტკბილ ღვინოს, წულუკიძის თეთრა — კარგი ხარისხის თეთრ სუფრის ღვინოს და ბუნებრივად ნახევრადტკბილ ღვინოს, ორბელის ოჯალეში — ზოგიერთ მიკროზონაში (ორბელი, ტვიში და სხვ.) ბუნებრივად ნახევრადტკბილ ღვინოს, მუჯურეთული — ბუნებრივად ნახევრადტკბილ ღვინოს და ა. შ.

რაჭა-ლეჩხუმის ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინოები ძველთაგანვე ცნობილია, ეს ღვინოები ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავდება სხეულით, ფერით, სინაზით, სიხალისით და ჯიშური არომატით.

ვაზის ჯიშებიდან ცაგერის რაიონში ყველაზე მეტი ფართობი ცოლოკოურს და ორბელის ოჯალეშს უჭირავს, ამბროლაურის რაიონში — ალექსანდროულს და წულუკიძის თეთრას, ონის რაიონში, ძირითადად, ჰიბრიდებია გავრცელებული. ცოლოკოური და ორბელის ოჯალეში დაავადებათა მიმართ შედარებით გამძლე ჯიშებად ითვლება.

ვენახების დამუშავებაში თითქმის არავითარი მექანიზაცია არ არის დანერგული, ყველა სამუშაო ოპერაცია ხელით სრულდება. უმეტეს კოლმეურნეობებში პლანტაჟიც კი არ არის მექანიზებული, რადგანაც რელიეფის პირობები ტრაქტორების გამოყენების საშუალებას არ იძლევა. ვენახები კარგად არ მუშავდება, მათში არ ტარდება ყველა საჭირო აგროტექნიკური ღონისძიება, რადგანაც კოლმეურნეობები მუშახელის ნაკლოვანებას განიცდიან.

სასუქებიდან ვენახებში ძირითადად ნაკელია გამოყენებული, მაგრამ ისიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმირად არასაკმარისი დოზებით შეაქვთ. კარგ ეფექტს იძლევა აგრეთვე მინერალური სასუქები.

საკოლმეურნეო ვენახების ხვედრითი წონა საკვლევ რაიონში შედარებით მაღალია — 53,8 %. მთლიანად რესპუბლიკაში ანალოგიური მაჩვენებელი 49,7 %-ით განსაზღვრება, ზემო იმერეთში — 45,4 %-ით, ქვემო იმერეთში — 37,8 %-ით. საერთოდ აღსანიშნავია, რომ იმ რაიონებში, სადაც მევენახეობა განვითარების მაღალ დონეზეა, საკოლმეურნეო ვენახების ფართობის ხვედრითი წონა უფრო დიდია (გურჯაანის, ზესტაფონის, თელავის რაიონები).

საკოლმეურნეო ვენახების ფართობის შემდგომი გადიდებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მევენახეობაში საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის განხორციელებას. ისეთი სამუშაოები, როგორიც არის ხვნა, მარგვლა, სასუქების შეტანა, ვაზის შეწამვლა და სხვ. ახლო მომავალში რაჭა-ლეჩხუმშიც უნდა იქნეს მექანიზებული.

მევენახეობის აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსში ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორს მოსავლიანობის გადიდებისათვის მინერალური და ადგილობრივი სასუქების სწორად გამოყენება წარმოადგენს. სასუქების გამოყენების საკითხი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რაჭა-ლეჩხუმში ჯერ არ არის მოგვარებული. ყოველივე ამის შედეგად ყურძნის მოსავლიანობა დაბალია. ნაყოფის მომცემი ასეულ საკოლმეურნეო ვენახებს 1256 ჰექტარი უკავია, რაც მთელი ფართობის 70 %-ს შეადგენს. 1957 წლის ყურძნის საშუალო-საჰექტარო მოსავლიანობა კოლმეურნეობებში 35 ც-ს უდრიდა, ე. ი. უფრო დაბალი იყო, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში (38 ც). ცალკეულ მოწინავე კოლმეურნეობებში, სადაც ვენახს უფრო კარგად უვლიდნენ და სასუქებიც სრული დოზით გამოიყენეს, ყურძნის მოსავლიანობა ბევრად უფრო მაღალი იყო. მაგალითად, სოფელ ლასურიაშის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ (ცაგერის რაიონი) 96,7 ც ყურძენი მიიღო ჰექტარიდან, სოფელ აგარას კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობამ (ამბროლაურის რაიონი) — 92,1 ც და ა. შ. აქედან ჩანს, რომ რაჭა-ლეჩხუმის კოლმეურნეობებს ყურძნის უხვი მოსავლის მიღების საქმეში დიდი რეზერვი მოეპოვებათ, თუკი განხორციელდა ვენახების დამუშავების სწორი აგროტექნიკა. ყურძნის ცალკეული ჯიშებიდან უსახელოური და ალექსანდროული ნაკლები მოსავლიანობით ხასიათდება (30—40 ც), ცოლიკოური და წულეკიძის თეთრი— მაღალი მოსავლიანობით (60—65 ც).

მევენახეობის განვითარების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სანერგე მეურნეობას. მსხვილ კოლმეურნეობებს საკუთარი ვაზის სადედეები აქვთ, ზოგი კოლმეურნეობა კი სარგავ მასალას ვაზისუბნის საბჭოთა მეურნეობიდან (სამტრედიის რაიონი) ღებულობს.

როგორც ზემოთ იქნა ნაჩვენები, ვენახების ყველაზე მეტი ფართობი ამბროლაურის რაიონშია, რაჭა-ლეჩხუმის ვენახების საერთო ფართობის თითქმის ნახევარი ამ რაიონზე მოდის. ამბროლაურისა და ცაგერის რაიონებში მევენახეობა სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია და შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს. აქაური ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები სავსებით აკმაყოფილებს ხარისხოვანი მევენახეობა-მეღვინეობის წარმოებას. აქ მევენახეობას სამრეწველო ხასიათი აქვს.

ამბროლაურის რაიონში ვენახები უმთავრესად მდინარე რიონის ორივე ნაპირზეა განლაგებული. მევენახეობა მიკროზონებშია გავრცელებული: ხვანჩკარა, პირველი და მეორე ტოლა, ბუგეული, ძირაგეული, სადმელი, ბოსტანა, ჭრეკ-

ლო, მუხლი, ღალიში, ამბროლაური და სხვ. ამბროლაურის რაიონში მევენახეობის ორი მკვეთრად განსხვავებული ზონა გამოიყოფა: მდინარე რიონის მარჯვენა და მარცხენა ნაპირის ზონები. მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირის ზონაში ვენახებს მთების სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი კალთები უჭირავს. აქ ნიადაგ-ბრიგ-ულმატური პირობები მევენახეობისათვის მეტად ხელსაყრელია. ეს ზონა იძლევა მაღალი ხარისხის ღვინოს როგორც ორდინარულს, ისე განსაკუთრებით ბუნებრივად ნახევრადტკბილს. მდინარე რიონის მარცხენა ზონაში ვენახები ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობებზეა განლაგებული. აქ ვაზი არ არის უზრუნველყოფილი საკმაო სინათლითა და სითბოთი და ყურძენი შედარებით დაბალი შაქრიანობით ხასიათდება. ამის გამო ეს ზონა ორდინარულ ღვინოებს იძლევა. ამბროლაურის რაიონში ვენახები არ არის კარგად დამუშავებული, მუშახელის ნაკლოვანების გამო. ვაზის ძირითადი ჯიშებია: ალექსანდროული და წულუკიძის თეთრა; გავრცელებულია აგრეთვე გორული მწვანე, ძველშავი, კახური საფერავი და სხვ. ალექსანდროული უმთავრესად ფერდობებზეა განლაგებული და მეტი შაქრიანობით ხასიათდება, წულუკიძის თეთრა უფრო დაბალ ადგილებშია. კოლმეურნეობები ყურძენს სამტრესტის დამამზადებელ პუნქტს აბარებენ, ხოლო მოსავლის ნახევარზე მეტს საკუთარი საჭიროებისათვის ღვინის დასამზადებლად იტოვებენ. ვენახების გაფართოება რაიონში სიმინდის ნათესების შემცირების ხარჯზე უნდა მოხდეს.



ცაგერის რაიონში შეიძლება მევენახეობის სამი ზონა გამოიყოს: ცხენისწყლის, ლაჯანურისა და რიონის, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავებულია, როგორც ნიადაგბრივი, ისე კლიმატური პირობებით.

ცხენისწყლის ხეობაში, ისევე როგორც ამბროლაურის რაიონში რიონის ხეობაში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე განლაგებული ვენახები უკეთეს ღვინოს იძლევა, ვიდრე მარცხენა ნაპირზე. ცხენისწყლის ხეობაში შეიძლება ორი მიკროზონა გამოიყოს — ზუბი — ოყურეში — ისუნდერის და ცაგერის. პირველ მიკროზონაში ვაზის პერსპექტიულ საწარმოო ჯიშებად ცოლიკოური და უსახელოო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რია მიღებული, მეორეში — ცოლიკოური, ორბელის ოჯალეში და ცხვედიანის თეთრა.

ლაჯანურის ხეობაში ლაჯანა—ორბელის მიკროზონაში გავრცელებულია ცოლიკოური, ორბელის ოჯალეში, ცხვედიანის თეთრა და მხოლოდ სოფელ ლაჯანაში — ალექსანდროული და მუჯურეთული ჯიშები. ცაგერის რაიონის იმ ნაწილში, რომელიც რაონის ხეობას მოიცავს, ორი მიკროზონა გამოიყოფა: ალაპანა — აპარი — ზოგიშის და ტვიში—ორხვა—ქორენიშის. პირველ მიკროზონაში ვაზის შემდეგი ჯიშებია გავრცელებული: ალექსანდროული და მუჯურეთული რაონის მარჯვენა ნაპირზე, ცოლიკოური — მარცხენაზე. მეორე მიკროზონაში— ცოლიკოური. ხოლო სოფელ ტვიშის ზოგიერთ ნაკვეთზე— ორბელის ოჯალეში. ალექსანდროული ჯიშის ყურძნიდან ხვანჭკარას ტიპის ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინო მზადდება. ტვიში — ორხვა—ქორენიშის მიკროზონაში ცოლიკოურიდან ცნობილი ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინო „ტვიში“ მზადდება. ცაგერის რაიონში ვაზის ყველა აღნიშნულ ჯიშს საწარმოო მნიშვნელობა აქვს და მათი ფართობი მკვეთრად უნდა გადიდდეს. აღსანიშნავია, რომ წულუკიძის თეთრა ცაგერის ბუნებრივ პირობებს ვერ შეეგუა. ის ცუდი მსხმოიარობით და დაბალი ხარისხის პროდუქციით ხასიათდება, ამის გამო ამ ჯიშს რაიონში განვითარების პერსპექტივები არ აქვს.

ონის რაიონში მევენახეობა უფრო ნაკლებად არის განვითარებული, ვინაიდან, მისი ტერიტორიის მაღალი ჰიპსომეტრული მდებარეობის გამო, ჰავა იქ საკმაოდ მკაცრია; ვენახების ფართობი სულ 429 ჰექტარს უდრის, რაც რაჭა-ლეჩხუმის ვენახების ფართობის 12,9 %-ს შეადგენს. ვენახები განლაგებულია დაბალ ზონაში პატარ-პატარა ნაკვეთებზე, უმთავრესად სამხრეთის კალთებზე, სოფელ სორიდან უწერამდე. ყურძენი ონის რაიონში უმეტეს შემთხვევაში სრულ სიმწიფეს ვერ აღწევს და ღვინო მჟავე და ნაკლებალკოჰოლიანი გამოდის. ზოგიერთ მიკროზონაში კი შესაძლებელია ხარისხოვანი თეთრი სუფრის ღვინის წარმოება.

მევენახეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები რაჭა-ლეჩხუმში ხელსაყრელია. მართალია ვენახებისათვის გამოსადეგი მიწის ნაკვეთების გამოყოფა დიდ სიძნელეს წარმოადგენს, მაგრამ ვენახების ფართობის ზრდა ძირითადად მარცვლეულის ნათესების შემცირების ხარჯზე უნდა მოხდეს.

სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებით გათვალისწინებულია ჩვენი რესპუბლიკის მევენახეობისა და მეღვინეობის შემდგომი მძლავრი განვითარება. 1959—1965 წლების განმავლობაში საქართველოში 53 ათასი ჰექტარი ახალი ვენახი უნდა გაშენდეს. ამასთან დაკავშირებით რაჭა-ლეჩხუმშიაც უნდა გაშენდეს ვენახების ახალი ფართობი 800—900 ჰექტარამდე. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი ძვირფასი ვაზის სამრეწველო ჯიშების გავრცელებას: ალექსანდროულის, უსახელოურის, მუჯურეთულის, წულუკიძის თეთრას, ორბელის ოჯალეშის და სხვ.

ყურძნის საერთო მოსავლის გადიდება უნდა მოხდეს არა მარტო ვენახების ფართობის ზრდის საშუალებით, არამედ უმთავრესად საშუალო-საპექტარო მოსავლიანობის გადიდებით. ამისათვის საჭიროა მევენახეობაში მოწინავე აგროტექნიკის დანერგვა.

ცნობილია, რომ მევენახეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი შრომატევადი დარგია, მექანიზაცია კი ამ დარგში სუსტად არის დანერგილი. საჭიროა და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩქარდეს შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია ყურძნის მოყვანაში. ახალი სისტემის მანქანა-იარაღების დანერგვა გაზრდის შრომის მწარმოებლურობას და შეანელებს შრომის ბალანსის დაბაბულობას.

რაჭა-ლეჩხუმი ძველთაგანვე მევენახეობის სამრეწველო რაიონად ითვლება და იქ კი მევენახეობის არც ერთი საბჭოთა მეურნეობა არ არსებობს. მიზანშეწონილად მიგვანნია მის ტერიტორიაზე უახლოეს დროს მევენახეობა-მეღვინეობის ერთი ან ორი საბჭოთა მეურნეობის ჩამოყალიბება, რაც აამაღლებს საკვლევ რაიონში მევენახეობის განვითარების დონეს და ხელს შეუწყობს კოლმეურნეობებს გააუმჯობესონ მუშაობა ამ დარგში.

მ ე ხ ი ლ ე ო ბ ა. რაჭა-ლეჩხუმში ბუნებრივი პირობები სავსებით ხელშემწყობია ხეხილის კულტურებისათვის. რაჭული და ლეჩხუმური ხილი ძველთაგანვე განთქმულია გემოთი, თავისი ხარისხით იგი საქართველოს მეხილეობის რაიონების ხილს არ ჩამოუვარდება. რევოლუციამდელ პერიოდშიც რაჭა-ლეჩხუმში მეხილეობა საკმაოდ განვითარებული იყო. ხეხილის ბაღები, ძირითადად, საკარმიდამო ნაკვეთებზე ცალკეული ნარგავების სახით იყო გაფანტული, მთლიანი ბაღები თითქმის არ არსებობდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა — მსხვილ მასივებზე მთლიანი ხეხილის საკოლმეურნეო ბაღები გაშენდა. ბაღების საერთო ფართობი სწრაფი ტემპით გაიზარდა და 1957 წლისათვის 2686 ჰექტარს მიაღწია, აქედან ცაგერის რაიონში 1191 ჰა იყო, ამბროლაურის რაიონში — 1034 ჰა, ონის რაიონში — 461 ჰა.



მეხილეობა რაჭა-ლეჩხუმში სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია, მას სასაქონლო ხასიათი აქვს, იგი დიდ როლს ასრულებს კოლმეურნეობათა ეკონომიკაში და მოსახლეობის ბიუჯეტში. მეხილეობის პროდუქცია, ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების გარდა, ქალაქ ქუთაისსა და მახლობელ კურორტებზეც პოულობს გასაღებას. ხილის მოსავლის დიდი ნაწილი საკონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერო მრეწველობას ბარდება. ხეხილის ბაღების ფართობის ხვედრითი წონა დამუშავებული მიწების საერთო ფონდში 9,4 %-ს უდრის და უფრო მაღალია, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში (8,6 %). ამ მხრივ ცაგერის რაიონს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს (11,4 %).

რაჭა-ლეჩხუმში უმთავრესად თესლოვანი ხეხილია გავრცელებული (ვაშლი, მსხალი, კომში,); საკმაოდ დიდი ფართობი კაკლოვან ხეხილს უკავია; კურკოვანი (ქლიავი) და სუბტროპიკული (ლიდვი, ბროწეული) მცირე მოცულობითაა წარმოდგენილი. ბაღებში როგორც ადგილობრივი, ისე ევროპული ხეხილის მაღალხარისხოვანი ჯიშები გვხვდება. ადგილობრივი ჯიშებიდან აღსანიშნავია — ვაშლი: კეხურა, თურაშაული, ამბილური, ყინული, კიტრა; მსხალი: გულაბი, შავი მსხალი; ატამი: ხიდისთაური თეთრი და ვარდისფერი, სოხუმის ნარიჯისფერი; ულუოური ჯიშებიდან — ვაშლი: კანადური რენეტი, ფრანგული რუხი რენეტი, შამპანური რენეტი; მსხალი: ვილიამსი, სენ-ჟენმენი, და სხვ.

ხილის მოსავლიანობა რაჭა-ლეჩხუმში დაბალია, რადგანაც ამ დარგში უხეშად იროვეცა აგროტექნიკური წესები, სათანადო ყურადღება არ ექცევა ბაღების მოვლა-დამუშავებას. ბაღების უმეტესობაში წამლობა ხარისხოვნად არ ტარდება. ხეხილი დაავადებულია. რაჭა-ლეჩხუმში ხილმა მეწლეობა იცის.

ადმინისტრაციულ რაიონებს შორის მეხილეობა ცაგერის რაიონშია უფრო განვითარებული. აქ მაღალ ზონაში მას სასაქონლო ხასიათი აქვს. მოსავალი, ძირითადად, საკონსერვო მრეწველობას ბარდება. მეხილეობის განვითარების პერსპექტივა რაიონში მეტად ხელსაყრელია.

მეხილეობა ამბროლაურის რაიონშიც სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია. ხეხილის ბაღები აქაც მაღალ ზონაშია განლაგებული. გავრცელებულია თესლოვანი და კურკოვანი კულტურები, დიდი ფართობი უკავია კაკალს. ბაღების ძოლა არ დგას სათანადო დონეზე, ხეხილი დაავადებულია, ხილის მოსავლიანობა ამბროლაურის რაიონში შედარებით უფრო მაღალია.

ონის რაიონში მეხილეობა უფრო სუსტად არის განვითარებული, იგი ძირითადად დაბალ ზონაშია გავრცელებული; ბუნებრივი პირობები აქაც ხელსაყრელია ხეხილის კულტურებისათვის. ხეხილი უმთავრესად ცალკე ნარგავებია სახით არის გაშენებული.

შვიდწლედის მანძილზე ხეხილის ბაღების საერთო ფართობი საქართველოში 140 ათას ჰექტრამდე უნდა იქნეს აყვანილი. ახალი ბაღების გაშენებისათვის დიდი მუშაობა უნდა ჩატარდეს აგრეთვე რაჭა-ლეჩხუმშიც.

ხილის მოსავლიანობის გადიდების მიზნით მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს ბაღების მოვლა-პატრონობა, ხეხილის მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა. საჭიროა გაუმჯობესდეს მეხილეობაში შრომის ორგანიზაცია, დაინერგოს მექანიზაცია, გამოყენებულ იქნეს აგროტექნიკური მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები. მეხილეობის კულტურის აშაღლებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია რაჭა-ლეჩხუმში ნედლეულის ადგილობრივ ბაზაზე ერთი საკონსერვო ქარხნის აგება.

მეცხოველობა

რაჭა-ლეჩხუმის სოფლის-მეურნეობაში მეცხოველობას თვალსაჩინო ადგილი უკავია. აქ მეცხოველობა, ძირითადად, ბუნებრივ საკვებ რესურსებზეა დაყრდნობილი. არსებულმა სუბალპურმა და ალპურმა საძოვრებმა, ზამთრის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძოვრების უქონლობის პირობებში, მსხვილი რქოსანი პირუტყვის მოშენება განაპირობეს, რომელიც ზამთარში ბაგურ სისტემაზეა გადაყვანილი.

რაჭა-ლეჩხუმის სათიბებს 11,7 ათასი, ხოლო საძოვრებს 35,4 ათასი ჰექტარი უკავია. სათიბები უმთავრესად ონის რაიონშია განლაგებული. ცაგერის და ონის რაიონებში საკუთარი საძოვრები საკმარისი არ არის. ამ რაიონების კოლმეურნეობებს თითქმის 10 ათასი ჰექტრამდე საძოვრები სხვა რაიონებში აქვთ გამოყოფილი (სვანეთი, ჭალადიდი, სამხერთ ოსეთი).

რაჭა-ლეჩხუმის საძოვრები, ძირითადად, ალპურ და სუბალპურ ზონაშია განლაგებული და მხოლოდ ზაფხულშია გამოსადეგი. კოლმეურნეობებს პირუტყვის გადარეკა შორეული საძოვრებზე უხდებად, რაც სიძნელეს ქმნის მეცხოველეობის განვითარების საქმეში. ზამთრის საძოვრები რაჭა-ლეჩხუმში არ არის. პირუტყვის შესანახად ბაგურ-ბანაკური სისტემაა გამოყენებული, ზამთრობით პირუტყვის საკვებად იხმარება უხეში საკვები (ნამჯა, სიმინდის ჩალა, თივა), სილოსი და კონცენტრირებული საკვები (სიმინდი, ქატო, კოპტონი). საკუთარი უხეში საკვები ზოგ კოლმეურნეობას არ ყოფნის და მათ უხდებად ჩალისა და თივის სხვა რაიონებიდან (კახეთი, ჭალადიდი) შემოზიდვა.

მეცხოველეობის განვითარებისათვის რაჭა-ლეჩხუმში ერთგვარი მუშაობაა ჩატარებული: მკვეთრად გაიზარდა საკვები კულტურების ნათესები, აიგო ტიპიური საძროხეები, საღორეები და სხვ. ხუთწლედების მანძილზე პირუტყვის სულადობა გარკვეული ოდენობით გაიზარდა, მაგრამ ზრდის ტემპი არასაკმარისი იყო. 1923—1940 წლებში მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობა მხოლოდ 10 %-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში ძროხების სულადობა 33,8 %-ით გადიდდა, რაც ჯოგის სტრუქტურის გაუმჯობესებას გულისხმობს. ცხვრის სულადობამ თითქმის ნახევრად იკლო, სამაგიეროდ გაიზარდა თხის სულადობა 315 %-ით, ხოლო ცხენის — 53 %-ით. იკლო ღორის სულადობამ (14 %-ით). საერთოდ აღნიშნულ პერიოდში პირუტყვის სულადობის ზრდის ტემპი უფრო დაბალი იყო, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში. დიდმა სამამულო ომმა რაჭა-ლეჩხუმში, როგორც მთლიანად საქართველოში, პირუტყვის ყველა სახის სულადობის შემცირება გამოიწვია (გარდა თხისა). ომის შემდგომ პერიოდშიაც რიგი მიზეზების გამო პირუტყვის სულადობა არ გაზრდილა.

მეცხოველეობის დარგთა სტრუქტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული საოფლ-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურასთან და დამოკიდებულია აგრეთვე. შრომითი რესურსების უზრუნველყოფაზე. 1940—1957 წლებში რაჭა-ლეჩხუმის მეცხოველეობის სტრუქტურაში შემდეგი ცვლილებები მოხდა. მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობის ხვედრითი წონა 75,2 %-დან 81,1 %-მდე გაიზარდა. ეს ზრდა ძირითადად, ძროხების სულადობის ხვედრითი წონის გადიდების ხარჯზე მოხდა. პირუტყვის დანარჩენ სახეობათა სულადობის ხვედრითმა ოდენობამ იკლო, განსაკუთრებით კი თხის სულადობა შემცირდა (45 %-ით). მეცხოველეობა ისევ სახორაკე-სარძეო მიმართულებისა დარჩა. წამყვანი ადგილი მეცხოველეობაში მსხვილი რქოსანი პირუტყვის მოშენებას უჭირავს.

განვიხილოთ მეცხოველეობის გეოგრაფიული განლაგება ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით (ცხრილი 3).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობაში პირველი ადგილი ამბროლაურის რაიონს უკავია. კარგად არის განვითარებული მეცხოველეობის ეს დარგი აგრეთვე ონისა და ცაგერის რაიონებში. რაც შეეხება წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებას, ცაგერის რაიონში, ძირითადად, მეთხეობაა გავრცელებული, სოლო ამბროლაურისა და ნაწილობრივ ონის რაიონებში — მეცხვარეობა, თუმცა ამ ორ რაიონში მეთხეობაც საკმაოდაა განვითარებული.

ცხრილი 3

პირუტყვის სულადობა რაჭა-ლეჩხუმში 1957 წელს

რაიონები	ყველა მეურნეობაში					აქედან კოლმეურნეობებში				
	მსხვილი რქოსანი პირუტყვი	მ. შ. ძროხები	წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი	ღორი	ცხენი	მსხვილი რქოსანი პირუტყვი	მ. შ. ძროხები	წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი	ღორი	ცხენი
ცაგერის ამხ.	16314	5959	6081	8172	800	9128	2017	4352	1784	500
%	28.6	27.4	47.6	35.0	54.8	29.2	28.6	74.6	29.9	58.0
ამბროლა, ამხ.	20770	7811	3690	6401	259	11636	2826	639	1773	127
%	36.4	39.9	28.9	27.5	17.8	37.3	40.1	10.9	38.3	24.6
ონის ამხ.	19927	6389	2990	8758	400	10473	2203	850	1475	90
%	35.0	32.7	23.5	37.5	27.4	33.5	31.3	14.5	31.8	17.4
სულ რაჭა-ლეჩხუმში ამხ.	57011	19559	12761	23331	1459	31237	7046	5841	4632	517
%	100	100	100	100	100	100	100	100	100	100
სულ საქ. სსრ-ში	1415200	496500	1943200	579100	982 00	610000	156000	1237700	184700	409 00
რაჭა-ლეჩხუმი პროცენტობით რესპუბლიკის მიმართ	4.0	4.0	0.7	4.0	1.5	5.1	4.5	0.5	2.5	1.3

მეღორეობა რაჭა-ლეჩხუმში წინა წლებთან შედარებით შემცირდა, რადგანაც მისი საკვები ბაზა შეზღუდულია. ღორები ზაფხულის პერიოდში საძოვრებზე ძოვენ, შემოდგომაზე — ტყეში (ბუნის ოკოთი იკვებება), ზამთარში — ბაგურ სისტემაზეა. ღორების სულადობით ონის რაიონი გამოირჩევა. მისი ხვედრითი წონა რაჭა-ლეჩხუმის ღორების სულადობაში 37,5 %-ს უდრის. მნიშვნელოვანი ადგილი მეღორეობაში ცაგერის რაიონსაც უჭირავს.

ცხენები რაჭა-ლეჩხუმში მცირე რაოდენობით გვხვდება.

საკვლევი რაიონის კოლმეურნეობებში დიდი ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას. კოლმეურნეობების მფლობელობაშია მსხვილი რქოსანი პირუტყვის საერთო სულადობის 54,8 %, ძროხების სულადობის — 36 %. ამ მაჩვენებლებით რაჭა-ლეჩხუმი რესპუბლიკას და მეზობელ ქვემო იმერეთსაც წინ უსწრებს. მიუხედავად ამისა, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში ჯერ კიდევ მაღალია კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა პირადი მეურნეობის ხვედრითი წონა. ცაგერისა და ამბროლაურის რაიონის კოლმეურნეობებს სულ არ ჰყავს ცხვარი, ონის რაიონის კოლმეურნეობებზე მისი სულადობა მცირეა. მეთხეობა, ძირითადად, ცაგერის რაიონის კოლმეურნეობებშია განვითარებული, თხის მთელი საკოლმეურნეო სულადობის 81,6 %-ს ამ რაიონზე მოდის. ღორების სულადობა უფრო თანაბრადაა განაწილებული.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წ.) პლენუმმა გადაუდებელ ამოცანად მიიჩნია კოლმეურნეობებში ძროხების სულადობის სწრაფი გადიდება. ეკონომ. ამიერკავკასიის კოლმეურნეობებში ძროხების სულადობის ხვედრითი წონა მსხვილი რქოსან პირუტყვის ჯგუფში უახლოეს წლებში სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა 40 %-მდე უნდა მიეღწია. რაჭა-ლეჩხუმის კოლმეურნეობებმა ამ ამოცანის გადაწყვეტა ჯერჯერობით ვერ შეძლეს. მართალია, 1950 წელთან შედარებით ძროხების პროცენტი ჯოგში გაიზარდა, მაგრამ მაინც დაბალია (22,6 %) და რესპუბლიკის შესატყვის მაჩვენებელსაც ჩამორჩება. ეს ჩამორჩენა იმით აიხსნება, რომ მსხვილ რქოსან პირუტყვს უადრესად დიდი გამოყენება აქვს როგორც გამწევ ძალას. ყველა კატეგორიის მეურნეობაში ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია — 34,3 %-ს უდრის.

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის საქართველო პირუტყვის კვლაზე მაღალი სიმჭიდროვით გამოირჩევა. საქართველოში ნახნავისა და სათიბ-საძოვრების ყოველ 100 ჰექტარზე საშუალოდ 56 სული მსხვილი რქოსანი პირუტყვი მოდის, მათ შორის 20 ძროხა, საბჭოთა კავშირში კი შესაბამისად 14,3 და 6,3 (1956 წ.). რაჭა-ლეჩხუმი ამ მხრივ კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება. იგი რესპუბლიკას წინ უსწრებს მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობის სიმჭიდროვით 44,5 %-ით, ძროხების სულადობის სიმჭიდროვით — 40 %-ით. ცალკე რაიონებიდან პირუტყვის სულადობის უფრო მაღალი სიმჭიდროვე ცაგერის, ხოლო უფრო დაბალი — ონის რაიონს აქვს.

მეცხოველეობის საკვები ბაზის გაფართოებამ ხელი შეუწყო პირუტყვის პროდუქტიულობის მკვეთრ ზრდას. 1957 წელს საკვლევი რაიონის კოლმეურნეობებში მიღებულია საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე 755 კგ რძე, ნაცვლად 468 კგ 1950 წელს. მიუხედავად ამისა, საშუალო წველადობა რაჭა-ლეჩხუმის კოლმეურნეობებში მაინც დაბალია და რესპუბლიკის ანალოგიურ მაჩვენებელს 31 %-ით ჩამორჩება. ამ მხრივ შედარებით უფრო კარგი მაჩვენებელი ონის რაიონის კოლმეურნეობებს აქვთ (890 კგ). ამგვარად, რაჭა-ლეჩხუმში, მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობის მაღალ სიმჭიდროვესთან ერთად, მისი საკმაოდ დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

პირუტყვის სიმჭიდროვესთან დაკავშირებით, რაჭა-ლეჩხუმს უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს, აგრეთვე, 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიღებული რძის მიხედვით (რაჭა-ლეჩხუმში 81 ც, რესპუბლიკაში — 68 ც.). პირუტყვის პროდუქტიულობა ბევრად უფრო მაღალი იქნებოდა, რომ იგი ზამთრის პერიოდში კონცენტრირებული, წვნიანი, მწვანე და უხეში საკვების საკმაო რაოდენობით იყოს უზრუნველყოფილი. საკვების დეფიციტის შესავსებად ბევრ კოლმეურნეობას საკვების შესყიდვა და მისი სხვა რაიონებიდან შემოზიდვა უხდება.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდა აგრეთვე ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებაზეა დამოკიდებული. უკანასკნელ წლებში პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა ერთგვარად გაუმჯობესდა. ჯიშიანი ძროხების ხვედრითი წონა ძროხების მთელ სულადობაში გაიზარდა 1950—57 წლებში 5,3 %-დან 8,7 %-მდე, მაგრამ მდგომარეობა ამ მხრივ ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. ჯიშიანი პირუტყვიდან აქ გავრცელებულია, ძირითადად შვიცის ჯიშის ძროხები, გვხვდება აგრეთვე ველის წითელი და სიმენტალის ჯიშები. შვიცის ჯიშის ადგილობრივ ჯიშთან შეჯვარება კარგ შედეგს იძლევა — ჯიშიანი ძროხები ყველგან ვერ შეეგუა ადგილობრივ ბუნებრივ პირობებს, შეჯვარებული კი უფრო გამძლე გამოდგა.

მეცხოველეობის შემდგომი განვითარება რაჭა-ლეჩხუმში პირუტყვის სულადობის ზრდის ანგარიშზე კი არ უნდა მიმდინარეობდეს, არამედ მისი პროდუქტიულობის გადიდების გზით. უნდა გაიზარდოს ძროხების ხვედრითი წონა მსხვილი რქოსანი პირუტყვის ჯოგში, გაუმჯობესდეს მისი ჯიშობრივი შემადგენლობა, მეტი ყურადღება მიექცეს პირუტყვის მოვლა-შენახვის პირობებს ზამთრის პერიოდში, დაინერგოს მექანიზაცია ფერმებში.

წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებას უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს რაჭა-ლეჩხუმის სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში. მისი პროდუქტია, ძირითადად, საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ხმარდება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეცხვარეობა უფრო მეტად ამბროლაურისა და ონის რაიონებშია გავრცელებული, ხოლო მეთხეობა — ცაგერის რაიონში. უკანასკნელ წლებში თხების სულადობა მკვეთრად შემცირდა, შემცირდა აგრეთვე ცხვრის სულადობაც. ზოგ კოლმეურნეობაში თხის მოშენება სრულებით აკრძალეს, რადგანაც თხა დიდ ზიანს აყენებს მეურნეობას — ვენახსა და ტყეს ანადგურებს.

წარსულში მეღორეობა კარგად იყო განვითარებული, მაგრამ ღორის სულადობა თანდათან შემცირდა და ამჟამად 23,3 ათას სულს უდრის, რაც პირობით მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობის 11,8 %-ს შეადგენს. ომამდელი დონე მეღორეობაში ჯერაც არ არის მიღწეული, თუმცა მეღორეობის სიმჭიდროვე შედარებით მაინც მაღალია. საკვლევ რაიონში 1957 წელს ყოველ 100 ჰექტარ ნნულზე 102 ღორი ჰყავდათ. მეზობელ ქვემო იმერეთში ეს მაჩვენებელი 98 სულ არ აღემატებოდა (1956 წ.), რესპუბლიკაში კი 56-ს უდრიდა. ღორის ჯიშებიდან გავრცელებულია ადგილობრივი და მსხვილი თეთრი ჯიში. მეღორეობას სასაქონლო მნიშვნელობა აქვს, იგი მეცხოველეობის რენტაბელური დარგია. მეცხოველეობიდან მთელი ფულადი შემოსავლის 8 %-მდე მეღორეობაზე მოდის.

მეფრინველეობა რაჭა-ლეჩხუმში საზოგადოებრივი მეცხოველეობის ერთ-ერთი ჩამორჩენილი დარგია, რადგანაც მის განვითარებას სათანადო ყურადღება არ ექცევა.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ უძველეს და ფრიად მნიშვნელოვან დამხმარე დარგს მეაბრეშუმეობა წარმოადგენს. აბრეშუმის პარკის დამზადების მოცულობით საქართველოს მეორე ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში, აბრეშუმის ნედლეულის ხარისხით კი — პირველი ადგილი. რაჭა-ლეჩხუმში მეაბრეშუმეობას მრავალი კოლმეურნე მისდევს. მეაბრეშუმეობა თითქმის ყველგან არის გავრცელებული, მაგრამ უფრო მეტად ცაგერის რაიონშია განვითარებული. 1957 წელს რაჭა-ლეჩხუმში 2 ათას კოლოფი თესლდან 43,3 ათასი კილოგრამი პარკი იქნა მიღებული, აქედან ცაგერის რაიონზე 30,5 ათასი კილოგრამი მოდის (69,6 %), ამბროლაურის რაიონზე — 12,6 ათასი კილოგრამი (28,8 %). ერთ კოლოფ თესლზე საშუალოდ მიღებული იქნა 23 კგ პარკი. ეს მეტად დაბალი მოსავალი 1957 წლის არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებით აიხსნება. 1950 წელს პარკის საშუალო მოსავალი 42,7 კგ უდრიდა, რაც 1957 წლ. მოსავალს 86 %-ით აღემატება. ზოგ კოლმეურნეობაში ადგილი ჰქონდა აბრეშუმის ჭიის გამოკვების აგროტექნიკის უხეშ დარღვევებს, რის შედეგადაც მოსავალი შემცირდა.

მეაბრეშუმეობა სოფლის მეურნეობის მაღალშემოსავლიანი დარგია. 1957 წელს რაჭა-ლეჩხუმის კოლმეურნეობებში მეაბრეშუმეობიდან 1189 ათასი მანეთი ფულადი შემოსავალი მიიღეს. ფულად შემოსავალში მეცხოველეობიდან ამ დარგს მეორე ადგილი უჭირავს. მეაბრეშუმეობის განვითარების პერსპექტივები ხელსაყრელია, საჭიროა მხოლოდ გაფართოვდეს საკვები ბაზა და დაცულ იქნეს აბრეშუმის ჭიის გამოკვების აგროტექნიკა.

საკვლევ რაიონში ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება მეფუტკრეობის განვითარებას, მიუხედავად იმისა, რომ იგი სოფლის მეურნეობის შემოსავლიანი დარგია. ცნობილია, რომ საქართველო ძველთაგანვე განთქმული იყო მეფუტკრეობის განვითარების მაღალი დონით, მაღალხარისხოვანი თაფლისა და ცვილის წარმოებით.

რაჭა-ლეჩხუმში მეფუტკრეობის განვითარებას ხელს უშყობს არსებული თერმული რეჟიმი და ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, აგრეთვე ყვავილოვან-თაფლოვანი მცენარეების სიმრავლე, მაგრამ მეფუტკრეობა მაინც სუსტად ვითარდება. შეიძლება ითქვას, რომ ზოგ კოლმეურნეობაში იგი სოფლის მეურნეობის თავმინებებული დარგია. 1950 წელს რაჭა-ლეჩხუმის კოლმეურნეობებში იყო სულ 6647 სკა ფუტკარი, 1957 წლისათვის მათი რიცხვი, ზრდის ნაცვლად, 5493-მდე შემცირდა. ზოგ კოლმეურნეობაში ფუტკარი დაავადდა. მეფუტკრეობა გავრცელებულია უმთავრესად ამბროლაურის რაიონში. კოლმეურნეობებში თაფლის მოსავალი ძალზე დაბალია. 1957 წელს თითოეულ სკაზე საშუალოდ მიღებულია 2,7 კგ თაფლი, რესპუბლიკაში კი — 4 კგ.

რაჭა-ლეჩხუმში საუკეთესო პირობებია სასაქონლო მეფუტკრეობის განვითარებისათვის, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ამ დარგს.

საკოლმეურნეო წარმოების ძირითადი მაჩვენებლები

რაჭა-ლეჩხუმის სოფლის მეურნეობის ზემოთ მოყვანილი დარგების განვითარებისა და ტერიტორიული განლაგების მიმოხილვიდან ჩანს, რომ ამ ეკონომიურ-გეოგრაფიულ ქვერაიონში საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა პოტენციალური რესურსი და შესაძლებლობა მთლიანად გამოყენებული არ არის. არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებული ბუნებრივი და ეკონომიური პირობების უფრო სწორი რაციონალური გამოყენება ხელს შეუწყობდა საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგის აღმავლობასა და ფულადი შემოსავლის ზრდას. ამჟამად კოლმეურნეობათა წინაშე ძირითადი ამოცანა დგას — უფრო სრულად გამოიყენონ ხელსაყრელი ნიადაგ-კლიმატური პირობები და ყველა საწარმოო რეზერვი, აგრონომიულ და ზოოვეტერინალურ ღონისძიებათა გაუმჯობესების შედეგად განუხრელად გაზარდონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, ფართოდ დანერგონ სამეშაო პროცესების მექანიზაცია, გაზარდონ შრომის მწარმოებლურობა, უზრუნველყონ ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულზე პროდუქციის გამოსავლიანობის მკვეთრად გადიდება მატერიალური სახსრებისა და შრომის მინიმალური ხარჯით. რაც უფრო სრულად და რაციონალურად გამოიყენება კოლმეურნეობებში მიწა და მუშახელი, მით უფრო მაღალი იქნება მათი ეკონომიური ღონე.

რაჭა-ლეჩხუმში სულ 107 კოლმეურნეობაა. ერთ კოლმეურნეობაზე საშუალოდ 637 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა მოდის, აქედან 176 ჰექტარი სახნავია. შრომისუნარიანთა საშუალო რიცხვი ერთი კოლმეურნეობაზე 158 კაცს არ აღემატება. სასოფლო-სამეურნეო მიწების ოდენობა ერთ შრომისუნარიან კოლმეურნეზე მერყეობს 3,52 ჰექტარიდან (ცაგერის რაიონში) 5,44 ჰექტარამდე (ონის რაიონში), სახნავი მიწების ოდენობა შესაბამისად — 0,97 ჰექტრიდან 1,31 ჰექტარამდე. შედარებისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ ქვემო ქართლში ერთ კოლმეურნეობაზე საშუალოდ 2000-ზე მეტი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო ფართობი მოდის, აქედან 846 ჰექტარი სახნავი და თითოეულ კოლმეურნეობაში 392 შრომისუნარიანი კოლმეურეი ითვლება; მთლიანად საქართველოში შესაბამისად — 1020, 368 და 244. საბჭოთა კავშირის რაიონებში ეს მაჩვენებლები ბევრად უფრო მაღალია; მაგალითად, კრასნოდარის ოლქში ერთ კოლმეურნეობაზე საშუალოდ 7228 ჰექტარი ხნული და 1280 შრომისუნარიანი კოლმეურნი მოდიოდა (1958 წ.)[1] ეს მონაცემები ნათლად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საკვლევ რაიონში მიწის მწვავე ნაკლოვანებას აქვს ადგილი და არსებული მეურნეობები მცირესიმძლავრიანია.

1957 წელს რაჭა-ლეჩხუმის კოლმეურნეობებში 18199 კომლი იყო გაერთიანებული. შრომისუნარიანი კოლწევრების რიცხვი 20,3 ათას შეადგენს. მათი ნაწილი (17 %) საკოლმეურნეო საქმიანობაში ჩაბმული არ არის, რადგანაც მრეწველობაში, ტრანსპორტზე და სხვ. წარმოება-დაწესებულებებში მუშაობს. ამის გამო კოლმეურნეობები მუშახელის ნაკლოვანებას განიცდიან, რაც, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მეტად დაბალ დონის პირობებში, უარყოფითი გავლენას ახდენს საკოლმეურნეო წარმოებაზე. ამასთანავე კოლმეურნეობებში არსებული შრომითი რესურსები არ არის რაციონალურად გამოყენებული. 1957 წელს ერთ შრომისუნარიან კოლმეურნეს მიერ გამომუშავებულია საშუალოდ 179 შრომადღე. ასეთი დაბალი მაჩვენებელი ყოველად შეუწყნარებელია მოუმეტეს, რომ რაჭა-ლეჩხუმში ისეთ შრომატევად დარგებს მისდევენ, როგორიც არის მევენახეობა, მებაღეობა, მეკარტოფილეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა და სხვ. ასეთი მდგომარეობა, სხვა მიზეზებთან ერთად, გამოწვეულია საზოგადოებრივი წარმოების განვითარება-განმტკიცებაში კოლმეურნეთა მატერიალუ-

[1] Д. Полянский. Некоторые вопросы развития интенсивного сельского хозяйства «Вопросы экономики», 1958, № 4, стр. 39.

რი დაინტერესების პრინციპის უგულებელყოფით. კოლწევრები არ არიან საკმაოდ დატვირთული საზოგადოებრივ მეურნეობაში და მათი შრომის ანაზღაურებაც დაბალია.

საზოგადოებრივ წარმოებაში კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობის გაძლიერება — რაჭა-ლეჩხუმის სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი რეზერვია. საჭიროა უფრო აქტიურად ჩაებას შრომისუნარიანი მოსახლეობა საკოლმეურნეო შრომაში, გაუმჯობესდეს შრომის ორგანიზაცია, გაძლიერდეს კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება დახარჯული შრომის შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს კოლექტიური მეურნეობის შემდგომ აღმავლობასა და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდას.

საკოლმეურნეო წარმოებაში დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის შეთანაწყობას. თვით მიწათმოქმედების ბუნება იწვევს მთავარი და დამატებითი დარგების და კულტურების შეთანაწყობის აუცილებლობას. სოფლის მეურნეობის რაციონალური წარმოება მემცენარეობისა და მეცხოველეობის გარკვეულ შეთანაწყობას გულისხმობს. მემცენარეობა ამარაგებს მეცხოველეობას სხვადასხვა საჭირო საკვებით და, პირიქით, მეცხოველეობა უზრუნველყოფს ორგანული სასუქებით მემცენარეობას. პირუტყვის მაღალი სიმჭიდროვე მიწის საკარგულების ერთეულზე ქმნის პირობებს სასუქების უფრო დიდი რაოდენობით შეგროვებისათვის. ამრიგად, სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგთა შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულება. მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგთა რაციონალური შეთანაწყობა და ადგილობრივი ბუნებრივი-ეკონომიური პირობების სწორი გამოყენება ხელს უწყობს საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგის აღმავლობას და ფულადი შემოსავლის ზრდას.

დარგთა შეთანწყობის განსაზღვრა შესაძლებელია საერთო და სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურის მიხედვით. ჩვენ განკარგულებაში არ არის ასეთი მონაცემები. ამის გამო სოფლის-მეურნეობის სხვადასხვა დარგის სამეურნეო მნიშვნელობის შედარებითი შეფასებისათვის ჩვენ გამოვიყენებთ ნატურალური მონაცემებს, როგორიც არის სასოფლო-სამეურნეო კულტურების თარითობი, შრომის დანახარჯები საკოლმეურნეო წარმოების სხვადასხვა დარგზე, მეცხოველეობის სულადობა. მისი პროდუქტიულობა ყოველ 100 ჰექტარ სავარგულზე და სხვ.

გამოვიყენებთ აგრეთვე ფულადი შემოსავლის ოდენობას სხვადასხვა დარგებიდან. ასეთი მაჩვენებლების მეთხებით, რასაკვირველია, ჩვენ ზუსტად და მთლიანად ვერ დავახასიათებთ ამა თუ იმ დარგის სამეურნეო მნიშვნელობას საკოლმეურნეო წარმოებაში, მაგრამ შედარებითი მიზნებისათვის მათი გამოყენება სავსებით დასაშვებია.

განვიხილოთ რაჭა-ლეჩხუმის სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტიული დარგების — მემცენარეობისა და მეცხოველეობის შეთანაწყობა. ეს ორი დარგი სოფლის მეურნეობის მთელ პროდუქციას იძლევა. ბუნებრივია, რომ მათზე შრომითი დანახარჯების ძირითადი ნაწილი მოდის. 1957 წელს რაჭა-ლეჩხუმის კოლმეურნეობებში გამომუშავებული შრომადღეების მთელი ოდენობიდან 75,2 % ამ ორ დარგზე მოდიოდა, აქედან 55,8 % — მემცენარეულობაზე და 19,4 % — მეცხოველეობაზე. სოფლის მეურნეობაში მემცენარეობა უფრო მეტ საერთო პროდუქციას იძლევა, ვიდრე მეცხოველეობა და ცხადია, რომ მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვედრითი წონა შრომით დანახარჯებში და ფულად შემოსავალშიც მეტი უნდა იყოს. 1957 წელს რაჭა-ლეჩხუმის კოლმეურნეობებში საკოლმეურნეო წარმოების მთელი ფულადი შემოსავლის 68,9 %-ი მიღებულია მემცენარეობიდან, ხოლო 18,2 % — მეცხოველეობიდან. ამ ციფრების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ რაჭა-ლეჩხუმის საკოლმეურნეო წარმოებაში წამყვანი როლი მემცენარეობას ეკუთვნის, თუმცა მეცხოველეობაც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგი.

კოლმეურნეობები მსხვილ მრავალდარგოვან მეურნეობებს წარმოადგენენ. მეურნეობის მრავალგვაროვანი განვითარება არამც თუ არ უარყოფს სპეციალიზაციას, არამედ, პირიქით, გულისხმობს მას. საერთოდ მრავალდარგოვან კოლმეურნეობებში 2—3 მთავარი დარგი განსაზღვრავს მეურნეობის სპეციალიზაციას. იგი იძლევა სასაქონლო პროდუქციას, რომელსაც დიდი ხვედრითი წონა აქვს საკოლმეურნეო შემოსავალში. მთავარ დარგებთან მიზანშეწონილად უნდა იყოს შეთანაწყობილი დამხმარე და დამატებითი დარგები.

რაჭა-ლეჩხუმის კოლმეურნეობებში მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგთა შეთანაწყობის განსაზღვრისათვის, გამოვიყენოთ ამ დარგების ძირითადი მაჩვენებლები — მიწის ფართობი, პირუტყვის სულადობა, შრომის დანახარჯები და ფულადი შემოსავალი. მემცენარეობაში მთელი მიწის ფართობის 70,7 %-ს მარცვლეულის მეურნეობაზე მოდის. მნიშვნელოვანი ფართობი საკვებმოპოვებასა (11,4 %) და მევენახეობას (9,4 %) უკავია. ამ მხრივ დაბალი ხვედრითი წონა აქვს მეხილეობას, მეკარტოფილეობასა და მებოსტნეობა-მებაღჩეობას.

შრომის დანახარჯების თვალსაზრისით რომ განვიხილოთ დარგების შეთანაწყობა, დავინახავთ, რომ ამ მხრივაც მარცვლეულის მეურნეობას წამყვანი ადგილი უკავია მემცენარეობაში (57,4 %). ამ დარგს, მართალია, ბევრად ჩამორჩება მევენახეობა. მაგრამ მასაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დახარჯულ შრომის მოცულობაში. უფრო დაბალი ხვედრითი წონა აქვს მთელ შრომის დანახარჯებში საკვებმოპოვებას. დაკავებული მიწის ფართობის შესაბამისად სულ მცირე შრომის დანახარჯები მოდის მეკარტოფილეობაზე, მეხილეობაზე და მებოსტნეობა-მებაღჩეობაზე. რაჭა-ლეჩხუმის კოლმეურნეობებში ყველაზე შრომატევადია მემცენარეობაში მებოსტნეობა-მებაღჩეობა და მევენახეობა. მებოსტნეობა-მებაღჩეობაში 1957 წელს ერთ ჰექტარ ფართობზე 346 შრომადღე დაიხარჯა, მევენახეობაში — 250 შრომადღე. შრომის დანახარჯის მაჩვენებლების განხილვისას, ჩვენ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ საკვლევი რაიონის სოფლის მეურნეობაში მექანიზაცია ჯერჯერობით სუსტად არის დანერგილი,

სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის დონეს, და დარგთა შეთანაწყობის ხასიათს საკოლმეურნეო წარმოებაში უფრო კარგად სასაქონლო პროდუქციის შედგენილობა და მისი ოდენობა გამოსახავს. მსჯელობა ამა თუ იმ დარგის საქონლიანობაზე შეიძლება დარგიდან ფულადი შემოსავლის მიხედვით. ფულადი შემოსავალი ახასიათებს მეურნეობის საბოლოო ეკონომიურ ეფექტურობას. იგი ხელს უწყობს საკოლმეურნეო წარმოების განვითარებას და მაღალ სწევს კოლწევრების მატერიალურ და კულტურულ დონეს. ფულადი შემოსავლიანობის მხრივ რაჭა-ლეჩხუმის საკოლმეურნეო მემცენარეობაში განსაკუთრებული ადგილი მევენახეობას უჭირავს. მემცენარეობიდან ფულადი შემოსავლის უდიდეს ნაწილი (89,1 %) ამ დარგზე მოდის. მევენახეობასთან ერთად მაღალი ფულადი შემოსავალი აქვს კოლმეურნეობებს მეხილეობისაგან. ამ ორ დარგში საქონლიანობა შედარებით მაღალია, დანარჩენ დარგებში კი დაბალი, რადგანაც მათი პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუქციო თითქმის მთლიანად საკუთარი საკოლმეურნეო საბიოლოგიისათვის მოიხმარება. ფულადი შემოსავალი ერთ დანარჩენ შრომადღეზე და ერთ შრომისუნარიან კოლმეურნეზე ყველაზე მაღალია მევენახეობა-მეხილეობაში. კომპლექსურად რომ განვიხილოთ კოლმეურნეობებში მემცენარეობის დარგთა შეთანაწყობა, ზემომოყვანილი მაჩვენებლების საფუძველზე და აგრეთვე ცალკე კულტურების საშუალო მოსავლიანობის გათვალისწინებით, იმ დასკვნამდე მი-

რაჭა-ლეჩხუმის კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავლის სტრუქტურა (%-ით)

1957 წ



პირობითი ნიშნები
ფულადი შემოსავალი

- მევენახეობა-მეხილეობიდან
- მარცვლეულის მეურნეობიდან
- მეკვლოველეობიდან
- მეკარტოფილეობიდან
- ბოსტნეულეობა-მებაღეობიდან
- დანარჩენი

ვალთ, რომ წამყვანი ადგილი რაჭა-ლეჩხუმის სოფლის მეურნეობაში მარცვლეულის მეურნეობას და მევენახეობა-მეხილეობას ეკუთვნის. ქვეყრაიონის შრომის რესურსების დიდი ნაწილი მარცვლეულის მეურნეობაშია გამოყენებული, იგი საკმაოდ შრომატევადი დარგია, ამასთანავე ფულადი შემოსავლიანობა ამ დარგს დაბალი აქვს, რადგანაც დაბალია მისი საქონლიანობა.

მევენახეობა-მეხილეობა რაჭა-ლეჩხუმში სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის ყველაზე მკვეთრად გამომსახველი დარგია. მისი მნიშვნელობა ქვეყრაიონის სამეურნეო ცხოვრებისათვის ნათელი ხდება, თუ გავითვალისწინებთ ამ დარგის შრომატევადობას და ამავე დროს მაღალ შემოსავლიანობას, რასაც მცირემიწიანობის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ცხოვრების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლონის ასამაღლებლად. ამ დარგს განვითარების დიდი პერსპექტივა აქვს. მისი გაფართოება, ნაწილობრივ, მარცვლეულის მეურნეობის შემცირების ანგარიშზე უნდა მოხდეს.

მნიშვნელოვანი დარგია აგრეთვე საკვებმოპოვება, რადგანაც იგი მეცხოველეობის განვითარებასთან არის დაკავშირებული.

ყველაზე შრომატევადი დარგი საკვლე რაიონში მებოსტნეობა-მებაღეობაა. იგი მეკარტოფილეობასთან ერთად ძირითადად ადგილობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება, თუმცა მას სასაქონლო მნიშვნელობაც აქვს.

მეცხოველეობის დარგების განვითარების დახასიათებისათვის, მათი საკოლმეურნეო წარმოებაში შეთანაწყობის თვალსაზრისით, განვიხილოთ სათანადო მაჩვენებლები.

შეიძლება ითქვას, რომ რაჭა-ლეჩხუმის მეცხოველეობა ძირითადად წარმოდგენილია მსხვილი რქოსანი პირუტყვის მოშენებით. ამ დარგზე მთელი სულადობის 90.5 % მოდის. მეღორეობა და ფრინველფაფა რქოსანი პირუტყვის მოშენება უფრო სუსტად არის განვითარებული კოლმეურნეობებში. ფულადი შემოსავლითა და შრომის დანახარჯების მხრივაც ძირითადი წამყვანი დარგი მეცხოველეობაში მსხვილი რქოსანი პირუტყვის მოშენებაა. შრომატევადი და შემოსავლიანი დარგებია მეაბრეშუმეობა და მეღორეობა. მეფრინველეობა და მეფუტკრეობა მეცხოველეობის ჩამორჩენილი დარგებია.

მეცხოველეობის მდგომარეობის, მისი ინტენსივობის დონის და ცალკე დარგების ეკონომიურ ეფექტურობის დახასიათებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ისეთი მაჩვენებლები, როგორიც არის ხორცის, რძის, მატყლისა და კვერცხის მიღება სასოფლო-სამეურნეო საკარგულების ყოველ 100 ჰექტარზე.

რაჭა-ლეჩხუმის კოლმეურნეობებში ყოველ 100 ჰექტარ ნახნავსა და სათიბ-საძოვარზე მიღებულ იქნა 1957 წელს 13,4 ც ხორცი და 80,2 ც რძე, ყოველ 100 ჰექტარ მარცვლეულის ნათესებზე — 385 კვერცხი, ყოველ 100 ჰექტარ ხნულზე — 5,4 ც ღორის ხორცი. მეცხოველეობის ნაწარმის გამოსავალი მიწის სავარგულების ერთეულზე საკმაოდ დაბალია და ჩამორჩება რესპუბლიკის შესაბამის მაჩვენებლებს. ახლა რესპუბლიკის კოლმეურნეობების წინაშე დასმულია ამოცანა—მკვეთრად გაადიდონ მეცხოველეობის ნაწარმის გამოსავალი მიწის სავარგულების ერთეულზე. კერძოდ, ხორცის წარმოება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1958 წ.) პლენუმის დადგენილების თანახმად, ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე, 64 ც-მდე უნდა იყოს მოყვანილი.

საკოლმეურნეო წარმოება რაჭა-ლეჩხუმში წლითი-წლობით იზრდება და მტკიცდება. საკოლმეურნეო ეკონომიკის განმტკიცება თავის გამოსახულებას ფულადი შემოსავლისა და განუყოფელი ფონდების ზრდაში პოულობს. რაჭა-ლეჩხუმის კოლმეურნეობებში 1957 წელს ფულადი შემოსავალი გაიზარდა 1950 წელთან შედარებით 43 %-ით, განუყოფელი ფონდები — 34 %-ით. განუყოფელმა ფონდებმა 118,9 მლნ. მანეთამდე მიაღწია. განუყოფელი ფონდების ზრდამ მისცა კოლმეურნეობებს საზოგადოებრივი მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის გადიდებისა და კაპიტალურ მშენებლობის გაფართოების საშუალება. საკვლე რაიონში საკოლმეურნეო წარმოების გაფართოების პერსპექტივები ხელსაყრელია. განზოგადებული წარმოება წამყვანი უნდა იყოს თავისი ხვედრითი წონის მიხედვით სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდება მექანიზაციის ფარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თო დანერგვას მოითხოვს, რაც უზრუნველყოფს შრომის მწარმოებლურობის ზრდას და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.



სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზონები რაჭა-ლეჩხუმში

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწორი ორგანიზაცია არსებული ბუნებრივი პირობებისა და ეკონომიური რესურსების კომპლექსურ გამოყენებას გულისხმობს.

ვიღებთ რა მხედველობაში საკვლევ რაიონში არსებულ ნიადაგობრივ-კლიმატურ თავისებურებებს, შესაძლებლად მიგვაჩნია ვამოვყოთ რაჭა-ლეჩხუმის ეკონომიურ-გეოგრაფიული ქვერაიონში ორი ზონა: 1. დასავლეთის ანუ ცაგერ-ამბროლაურისა და 2. აღმოსავლეთის ანუ ონის ზონა.

დასავლეთის ზონაში შედის ცაგერისა და ამბროლაურის ადმინისტრაციული რაიონების ტერიტორია. ეს არის მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ა-მ ე ბ ა ღ ე ო ბ ი ს, მ ა რ ც ვ ლ ე უ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ა და ს ა ხ ო რ ც ე-ს ა რ ძ ე ო მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს მ ე ც ხ ო ვ ე ლ ე ო ბ ი ს ზ ო ნ ა. წამყვანი ადგილი ზონაში მევენახეობა-მებაღეობას უჭირავს. აქ განლაგებულია რაჭა-ლეჩხუმის ვენახების მთელი ფართობის 87 % და ხეხილის ბაღების ფართობის 83 %. მევენახეობა და მეხილეობა, ძირითადად, ზონის შუა და ქვემო მხარეშია გავრცელებული მდინარე რიონის, ცხენისწყლისა და ლაჯანურის ხეობებში. ზონის დაბალ და საშუალო სიმაღლის ადგილებში ბუნებრივი პირობები განსაკუთრებით ხელშეწყობია მევენახეობის განვითარებისათვის. მევენახეობის ძირითადი მიკრორაიონებია: ცაგერი, ლასურიაში, ზუბი, ოყურეში, ისუნდერი, ლაჯანა, ორბელი, ალპანა, აჯარა, ზოგიში, ტვიში, ორხვი ქორენიში, წესი, მუხლი, ხიდიკარი, ამბროლაური, კრიხა, ძირაგეული, ბოსტანა, საკეცია, შრომა, ბუგეული, სადმელი, ჯრებალო, ღალიში, I-ლი და II-ე ტოლა, ხვანჩკარა. მევენახეობა ღვინი-

რაჭა-ლეჩხუმის სასოფლო სამეურნეო რუკა

1958

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირობითი ნიშნები

- მეწყერსაშიშ-უპირატესობა მეჩხერეული მესაქონლეობა
- მესაღლეობა - მეწყერსაშიშ, მეჩხერეული, მესაქონლეობა
- მეჩხერეული ხიბინდის სიჭარბით
- მეჩხერეული საკვებავებული ხორბლისა და ქერის სიჭარბით — მეკარტოფილეობა
- მესაღლეობა ხიბინდისა და შეზოდვების ხორბლის სიჭარბით
- მთის ტყეები
- ტყიანი ქარხანა
- ტყეულ-კარტის ქარხანა
- ფერმა
- ჰიდროელექტრო სადგური
- სათიბები
- საგარეო ეკონომიკა სამრეწველო მსხვილ მეტალურგიული მეტალურგიული
- ყინვარები და ლღვეები

რუკა შედგენილია ეკბუშის სახ. ტყეურნეობის ინსტიტუტის კარტოგრაფიულ კაბინეტში
ე. ზიუკაშვილის მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოებაზეა სპეციალიზებული. რიონისა და სხვა მდინარეების ტერასებზე ვენახი მაღალხარისხოვან პროდუქციას იძლევა. ვაზის ჯიშებიდან აქ გავრცელებულია, ძირითადად, ალექსანდროული, წულეკიძის თეთრი, მუჯურეთული, ორბელის ოჯალეში, ცოლიკოური, უსახელოური და სხვ., რომლებიდანაც ბუნებრივად ნახევრადტკბილი საკმაოდ ცნობილი ღვინოები (ხვანჩკარა, თეთრი, ორბელის ოჯალეში, უსახელოური) და მაღალხარისხოვანი სუფრის ღვინოები მზადდება. მევენახეობა მაღალშემოსავლიანი დარგია. 1957 წელს ზონის კოლმეურნეობებმა მევენახეობიდან 22 მილიონ მანეთამდე ფულადი შემოსავალი მიიღეს.

მეხილეობა ძირითადად ზონის უფრო მაღალ ადგილებშია გავრცელებული (ლაილაში, ნაკურალეში, ნასპერი, უცხერი, წილამიერი, სურმეში, თაბორი, სხვავა, სამანევი, სინათლე, ხოსპიონი, თხმორი, თლუღი, აგარა, კაჩაეთი და სხვ.) და უმთავრესად თესლოვანი და კაკლოვანი ხეხილითაა წარმოდგენილი. მეხილეობას სასაქონლო ხასიათი აქვს; კოლმეურნეობათა ფულად შემოსავალში მას მეორე ადგილი უჭირავს (მევენახეობის შემდეგ). დიდი მნიშვნელობა ექნება ზონაში სატყეო მებაღეობის განვითარებას. რიონის მარცხენა ნაპირას მთის ტყიან ფერდობებზე (სოფლების: თლუღის, ეელევის, კრიხის, ჭელიაღელისა და სხვ. მიდამოებში) ბლომად გვხვდება ველური ხეხილი (ვაშლი და მსხალი). შეიძლება მათი გაკეთილშობილება კულტურული ჯიშების დამყნობის საშუალებით. ახალი ხეხილის ბაღების გაშენება ტყე'ნი ზონას ათასობით ტონა ხილს მისცემს. შრომის ტერიტორიულ განაწილების თვალსაზრისით ცაგერ-ამბროლაურის ზონაში აუცილებელია მევენახეობა-მებაღეობის მკვეთრი აღმავლობა.

ცაგერ-ამბროლაურის ზონაში ერთ-ერთი წამყვანი დარგი მარცვლეულის მეურნეობაა. რაჭა-ლეჩხუმის მარცვლეულის მთელი ნათესი ფართობის 73 % ამ ზონაშია განლაგებული. ძირითადი მარცვლეული კულტურა სიმინდია. შემოდგომის ხორბალსაც საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს. მარცვლეული კულტურები შედარებით დაბალი მოსავლიანობით ხასიათდება, რაც დაკავშირებულია ნათესების ცუდ მოვლასთან და სასუქების მეტად მცირე დოზებით გამოყენებასთან. მიმდინარე შვიდწლედში მარცვლეულის მეურნეობაში აუცილებლად უნდა დაინერგოს მექანიზაცია. მექანიზაციის დონის ამაღლება და მინერალური სასუქების მოთხოვნილების შესაბამისად გამოყენება ასწევს მეურნეობის კულტურას და მკვეთრად აამაღლებს მოსავლიანობას.

ზონის სოფლის მეურნეობის უაღრესად მნიშვნელოვანი დარგია აგრეთვე მეცხოველეობა. მეცხოველეობაში ყველაზე უფრო დაწინაურებულია სახორცე-სარძეო მიმართულების მსხვილი რქოსანი პირუტყვის მოშენება. ზონაში არსებობს პირობები მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის. საჭიროა გაუმჯობესდეს პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა და გადიდდეს ძროხების ხვედრითი წონა ჯოგში.

გარდა აღნიშნული მთავარი დარგებისა, საკოლმეურნეო წარმოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ: საკვებმოპოვება, მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა, ჰელორეობა, წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება.

ცაგერ-ამბროლაურის ზონაში არსებობს აგრეთვე დამატებითი დარგები: მეკარტოფილეობა, მეფუტკრეობა, მეფრინველეობა.

რაჭა-ლეჩხუმის აღმოსავლეთის ზონა ონის რაიონის ტერიტორიას შეიცავს. ეს არის სახორცე-სარძეო მიმართულების მეცხოველეობის, მარცვლეული მეურნეობისა და მევენახეობა-მებაღეობის ზონა. ეს ზონა როგორც ბუნებრივი პირობებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე მეურნეობრივადაც. განსხვავდება ცაგერ-ამბროლაურის ზონისაგან. მისი მთელი ტერიტორია მთიანია, მთის ფერდობებს ალაგ-ალაგ დიდი დაქანებები აქვს. ამასთან დაკავშირებით ზონაში უაღრესად განვითარებულია ეროზიული და მეწყერული მოვლენები, რის შედეგად სათესი ფართობი კოლმეურნეობებში ყოველწლიურად კლებულობს. ზონა მკაცრი ჰავით ხასიათდება. აქ ზამთარს დიდი ხანგრძლივობა აქვს, გვალვები და ქარები ხშირად იცის, ნალექები ხანდახან ჭარბობს, ზოგჯერ კი არ ყოფნის. ზონის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მეცხოველეობაა. ამ უკანასკნელ წლებში პირუტყვისათვის საკვები ბაზის სტრუქტურა გაუმჯობესდა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მისი პროდუქტიულობა. მაგრამ საკვების ბალანსში მწყანე საკვები ჭარბობს, კონცენტრირებული საკვების ხვედრითი წონა ჯერჯერობით დაბალია, რაც საკვები კულტურების ნათესების შემდგომი გაფართოების აუცილებლობას იწვევს. მეცხოველეობის მთავარი დარგი სახორაც-სარძეო მიმართულების მსხვილი რქოსანი პირუტყვის მოშენებაა. პირუტყვის სიმჭიდროვე ზონის კოლმეურნეობებში საკმაოდ მაღალია. ყოველ 100 ჰექტარ ნახნავსა და სათიბ-საძოვარზე კოლმეურნეობებს 43,2 სული მსხვილი რქოსანი პირუტყვი ჰყავთ. პირუტყვის მაღალ სიმჭიდროვესთან ერთად აღსანიშნავია მისი დაბალი პროდუქტიულობა. საშუალო წლიური წველადობა ერთ საფურაქე ძროხაზე 890 კგ არ აღემატება. ამგვარად ამოცანა ის არის, რომ მკვეთრად შეიცვალოს მსხვილი რქოსანი პირუტყვის ჯოგის სტრუქტურა ძროხების ხვედრითი წონის გადიდების ხარჯზე; მეურნეობის ინტენსიფიკაციის შედეგად მეცხოველეობამ საბოლოოდ სარძეო-სახორაც მიმართულება უნდა მიიღოს.

რაჭა-ლეჩხუმის აღმოსავლეთის ზონის კოლმეურნეობებში ერთ-ერთი წამყვანი დარგი აგრეთვე მარცვლეულის მეურნეობაა. მარცვლეულის წამყვანი კულტურებია: სიმინდი და შემოდგომის ხორბალი. ითესება აგრეთვე გაზაფხულის ხორბალი და გაზაფხულის ქერი.

მარცვლეულის წარმოებას ზონაში მომხმარებითი ხასიათი აქვს, მაგრამ მოსავალი არ ყოფნის ადგილობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მარცვლეულის წარმოების შემდგომი ზრდა კულტურების მოსავლიანობის გადიდების გზით უნდა მოხდეს. ამისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება მეურნეობაში შრომატევადი პროცესების მექანიზაციას და მინერალური სასუქის გამოყენებას.

ზონის საკოლმეურნეო წარმოებაში გარკვეულ როლს მევენახეობა-მებაღეობა ასრულებს. ვაზი 429 ჰექტარზეა გაშენებული, ხეხილის ბაღებს 461 ჰექტარი უჭირავს. ჰავის სიმკაცრის გამო, მევენახეობა შესაძლებელია მხოლოდ დაცულ ხეობებში, უმთავრესად სამხრეთის კალთებზე. ზოგ მიკროზონაში შესაძლებელია ხარისხოვანი თეთრი ღვინის წარმოება, სხვა ადგილებში კი ყურძენი სრულ სიმწიფეს ვერ აღწევს და ღვინო მჟავე და ნაღვლ ალკოჰოლიანი გამოდის მიუხედავად ამისა, მევენახეობას საკმაო მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობების ეკონომიკაში, იგი ფულადი შემოსავლის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს. 1957 წელს ზონის კოლმეურნეობებმა მევენახეობიდან 1,9 მილიონი მანეთი მიიღეს, რაც მთელი ფულადი შემოსავლის 39 % შეადგენს.

მეხილეობა უფრო სუსტად არის განვითარებული, თუმცა ბუნებრივი პირობები ხელსაყრელია ხეხილის კულტურებისათვის. ხეხილის ბაღები, ძირითადად, დაბალ ადგილებშია გავრცელებული.

ონის ზონაში შეიძლება 2 ქვეზონა გამოვყოთ: ქვედა და ზედა. ქვედა ქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზონა რიონის ხეობაშია მოთავსებული სორიდან უწურამდე (1042 მეტრის სიმაღლემდე ზღვის დონიდან). აქ განვითარებულია მევენახეობა, მეზილეობა, მესაქონლეობა, მარცვლეულის მეურნეობა, ზედა ქვეზონაში (ღები, ჭიორა, გლოლა, ბთისკალთა, შქმერი). ძირითადი დარგები: მეცხოველეობა, მეკარტოფილეობა, მარცვლეულის მეურნეობაში — საზაფხულო კულტურები.

Н. Г. ДЕВИДЗЕ

РАЗВИТИЕ И РАЗМЕЩЕНИЕ СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА РАЧА-ЛЕЧХУМИ

Резюме

Рача-Лечхуми расположен на северо-востоке западной части Грузинской ССР и охватывает территорию Цагерского, Амболаурского и Онского районов общей площадью 3,2 тыс. км².

Значительная часть территории Рача-Лечхуми (54,5%) покрыта лесом, сельскохозяйственная площадь не превышает 24%. Сельское хозяйство Рача-Лечхуми характеризуется низкой землеобеспеченностью, но несмотря на это, он является важным сельскохозяйственным районом Грузинской ССР.

Рача-Лечхуми представляет собой гористую область с весьма сложным рельефом. Многообразие рельефа обусловливает разностороннее хозяйственное значение ее территории.

Почвенно-климатические условия благоприятствуют развитию различных отраслей сельского хозяйства и в определенной степени влияют на производственную специализацию отдельных зон. Атмосферные осадки выпадают в достаточном количестве. Засуха является сравнительно редким явлением и особого вреда растительности не причиняет; искусственное орошение здесь не применяется.

Сельское хозяйство Рача-Лечхуми характеризуется низким уровнем механизации, что связано с рядом специфических условий, как: характер рельефа, малые участки обрабатываемых земель, недостаточный размер междурядий в многолетних насаждениях и т. д.

Сельское хозяйство исследуемого района является многоотраслевым, в нем представлены различные отрасли земледелия и животноводства.

Пахотные земли составляют 7,2% всей территории, сенокосы и пастбища — 14,7%, многолетние насаждения — 1,8%.

Сельскохозяйственные культуры размещены, главным образом, на террасах рек Риони, Цхенис-Цкали и их притоков и частично на пологих склонах гор. Посевная площадь в 1958 году составляла 20,2 тыс. га, она по сравнению с 1940 г. несколько сократилась. Сокращение посевной площади вызвано с основном расширением площадей под многолетние насаждения.

За годы Советской власти структура полеводства улучшилась и стала более рациональной. В 1958 г. удельный вес зерновых с 99% в 1923 г. снизился до 85%; овоще-бахчевые и картофель составляли 4% посевной площади, кормовые культуры — 11%.

Основной зерновой культурой является кукуруза (удельный вес 70,8%), меньшее значение имеет озимая пшеница (23,3%). Урожайность зерновых культур низкая, что в основном вызвано неудовлетворительной обработкой полей — непроведением в установленные сроки необходимых агромероприятий, а также недостаточным применением минеральных

ეროვნული ბიბლიოთეკა

удобрений. В работе приводятся данные о географическом размещении зерновых культур и намечаются мероприятия, осуществление которых должно привести к подъему зернового хозяйства.

Технические культуры в исследуемом районе не культивируются.

Площадь под картофелем и овощами заметно увеличилась по сравнению с дореволюционным периодом. Картофель является важной культурой для верхней зоны Онского района, где кукуруза и озимая пшеница не вызревают, вследствие суровых климатических условий.

Кормовым культурам раньше не придавалось значения и они почти не засевались. Кормовая база животноводства была представлена исключительно природными сенокосами и пастбищами альпийских и субальпийских лугов. Теперь посевы кормовых культур занимают сравнительно большую площадь. Больше половины этой площади занято силосными культурами, а ⅓ — многолетними травами.

Одной из ведущих отраслей сельского хозяйства Рача-Лечхуми является виноградарство, которое имеет важное значение для экономики подрайона: это — высокотоварная, доходная отрасль; площадь под виноградниками составляла в 1958 году более 3,3 тыс. га. Виноградники размещены, главным образом, в долинах рек Риони, Цхенис-Цкали и Ладжанури. Здесь выращиваются высококачественные сорта винограда, из которых следует отметить александроули (из него изготовляется известное далеко за пределами Грузии природно-полусладкое вино Хванчкара). В этом же районе изготовляют также полусладкие вина «Твиши», «Тетра» и др.

Наряду с виноградарством в исследуемом подрайоне развито плодоводство. Площадь плодовых садов достигла в 1957 году около 2,7 тыс. га. Плодоводство имеет почти повсеместное распространение. Рача-Лечхуми славится качеством своих фруктовых плодов. Плодоводство — доходная отрасль.

В Рача-Лечхуми разводят также шелковицу, листья которой служат кормом для тутового шелкопряда.

Важной отраслью сельского хозяйства Рача-Лечхуми является животноводство. Горы, окаймляющие Рача-Лечхумскую котловину, богаты летними пастбищами. Направление животноводства — мясо-молочное; характерным для изучаемого подрайона является весьма высокая плотность животноводства при низкой его продуктивности. На каждые 100 га пашни, сенокоса и пастбищ приходится 28 коров со средне-годовой удойностью на одну колхозную фуражную корову лишь 755 кг. Для высокогорных колхозов, особенно для Онского района, животноводство является ведущей отраслью сельского хозяйства. Пастбищный фонд здесь позволяет значительно увеличить поголовье скота, однако проблема его зимнего содержания до сих пор остается не разрешенной. Подъем животноводства требует создания твердой кормовой базы для зимнего содержания скота, улучшения породного состава скота и обеспечения нормальных условий ухода за животными.

Высокодоходной отраслью животноводства является шелководство. Оно развито почти повсеместно, но главным образом в Цагерском районе.

Обилие в Рача-Лечхуми медоносной растительности способствует развитию пчеловодства, однако колхозы не уделяют ему должного внимания.

В работе освещаются основные показатели колхозного производства Рача-Лечхуми, в частности вопрос о сочетании отдельных отраслей и культур в сельском хозяйстве.

На основе анализа структуры сельского хозяйства, в исследуемом экономико-географическом подрайоне выделены 2 зоны сельскохозяй-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ственного производства в соответствии с почвенно-климатическими и производственно-экономическими особенностями: 1) Западная или Цагеро-Амбролаурская зона и 2) Восточная или Онская.

Первая зона охватывает территорию Цагерского и Амбролаурского районов и является зоной виноградарства-плодоводства, зернового хозяйства и животноводства мясо-молочного направления. Ведущей отраслью является виноградарство-плодоводство. В зоне размещены 87% всей площади виноградников Рача-Лечхуми и 83% площади плодовых садов.

В Восточную зону входит Онский район. Это — зона животноводства мясо-молочного направления, зернового хозяйства и виноградарства-плодоводства. Зона характеризуется весьма высокой плотностью поголовья скота при низкой его продуктивности, что связано с малоинтенсивными формами ведения животноводства. Перед колхозами зоны стоит задача — поднять удельный вес коров в стаде и резко увеличить удой.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. ნ. ასტახოვი და სხვ. რაჭა-ლეჩხუმის მთიანი ქვაბულის ფიზიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. ფონდი № 1291, თბ., 1958.
2. გ. ბერიძე, ქართული ბუნებრივად ტკბილი ღვინოები, მეევნახეობა მეღვინეობის ინსტ. შრ., ტ. II თბ., 1951.
3. ნ. იაშვილი, მეევნახეობის გადაადგილება სამ. სსრ-ში, ეკონომიკის ინსტ. შრ., ტ. II, 1947.
4. ვ. კვარიკაძე, მთარაფის ალპიური მეურნეობა, ი. ფუტუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწ. პედ. ინსტ. შრ., VII, ქუთ., 1946.
5. მ. ყორძახია, რაჭა-ლეჩხუმის ელმატი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ., ფ. № 1280, თბ., 1958.
6. დ. ნებიერიძე, მეევნახეობა-მეღვინეობის შემდგომი განვითარების საკითხისათვის ლეჩხუმში, ყურ. საქართველოს კოლმეურნე, № 12, 1957.
7. ი. რცხილაძე, საქართველოს მეევნახეობა და მეღვინეობა, თბ., 1956.
8. რაჭა-ლეჩხუმის ექსპედიციის მიერ დაგროვებული სტატისტიკური მასალები, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტ. ფ. 665—670, 673.
9. საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, თბ., 1925.
10. სტატისტიკური კრებული 1909—1921, თბ., 1923.
11. ს. ჩოლოყაშვილი, ი. რცხილაძე, საქართველოს სსრ მეევნახეობა და მისი განვითარების უახლოესი პერსპექტივები, საქ. სახ.-სამ. ისტ. შრ., ს. № 1, თბ., 1940.
12. ფ. ჭანიშვილი, სამინდის მაღალი მოსავალის აგროტექნიკა, თბ., 1956.
13. А. Бучукури, Плодоводство экономико-географ. района — Рача-Лечхуми. ф. Института географии им. Вахушти, № 402/347.
14. Вопросы размещения и специализации сельского хозяйства. М. 1957.
15. Грузинская ССР, Экономико-географическая характеристика, М. 1958.
16. И. С. Кувшинов и др., Экономика социалистического сельского хозяйства, М., 1957.
17. Народное хозяйство Грузинской ССР. стат. сб. Тб., 1957.
18. М. Н. Сабашвили, Почвы Грузии, Тб., 1948.
19. Труды Тб. научн.-исслед. института шелководства, т. II, Тб., 1955.
20. С. Удачин, Рационально использовать землю, жур. Экономика сельского хозяйства, № 3, 1958.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურ. 1. სოფ. ბოსტანის კოლმეურნეობის ვენახი (ამბროლაურის რაიონი)

სურ. 2. საკოლმეურნეო ნახირი შაორის საძოვრებზე (ამბროლაურის რაიონი)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტაბ. II.



სურ. 1. სოფ. ზუბის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმა (ეკვეცის ტიპი)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია—ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ., ტ. XV, 1960
Академия Наук Груз. ССР—Труды Института Географии им. Вахушти, т. XV, 1960

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. ყვირალიშვილი

რაჭა-ლეჩხუმის ტრანსპორტი და რაიონთაშორისი კავშირი

რაჭა-ლეჩხუმის სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა. რაჭა-ლეჩხუმი დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. მისი ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი მაღალმთიანი და საშუალომთიანია, ხასიათდება ციცაბოდ დახრილი რელიეფით. ცაგერის, ამბროლაურისა და ონის რაიონების დადაბლებულ ნაწილებს აერთიანებს რაჭა-ლეჩხუმის ქვაბული, რომელიც ჩრდილოეთით შემოზღუდულია კავკასიონის მთავარი ქედითა და მისი ერთ-ერთი შტოთი—ლეჩხუმის ქედით. დასავლეთით მას ესაზღვრება სამეგრელოს ქედის კალთები. სამხრეთ-აღმოსავლეთით ბუნებრივ საზღვარს წარმოადგენს რაჭის ქედი. საკვლევი რაიონის ირგვლივ სამ მხრიდან ქედების არსებობა ერთგვარად განაპირობებს მის სატრანსპორტო-გეოგრაფიულ მდებარეობას. რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორია, რომელიც მოქცეულია დასავლეთ საქართველოს დიდი მდინარეების რიონისა და ცხენისწყლის აუზებში, მთელი წლის განმავლობაში სახმელეთო მიმოსვლისათვის ღია მხოლოდ სამხრეთით—ამ ორი მდინარის ხეობების გასწვრივ. ამიტომ, სატრანსპორტო-ეკონომიური ურთიერთობით ეს მხარე თითქმის მთლიანად დაკავშირებულია ქვემო იმერეთთან, კერძოდ მნიშვნელოვან სამრეწველო და კულტურულ ცენტრთან—ქალაქ ქუთაისთან. რაჭა-ლეჩხუმი მთლიანად მოქცეულია იმერეთისა და კერძოდ ქალაქ ქუთაისის სატრანსპორტო-ეკონომიური მიზიდულობის არეალში.

კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მდებარე ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკასა და ყაბარდო-ბალყარეთის ასს რესპუბლიკას რაჭა-ლეჩხუმი უკავშირდება ქუთაისი-მამისონის უღელტეხილი — ალაგირის გზით[1] და კავკასიონის ქედზე გადამავალი რამდენიმე ბილიკით. ქვემო სვანეთთან იგი დაკავშირებულია მდინარე ცხენისწყლის ხეობაში მიმავალი ცაგერი-ლენტეხის გზით. აღმოსავლეთით მოსაზღვრე სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან რაჭა-ლეჩხუმს აკავშირებს გზა ონი-კვაისა-სტალინირი.

რაჭა-ლეჩხუმის ბუნებრივი პირობები ხელს არ უშლიან ტრანსპორტის განვითარებას. მართალია, თანამედროვე პირობებში, როდესაც საგზაო მშენებლობა აღჭურვილია მოწინავე ტექნიკით, ბუნებრივი პირობების უარყოფითი მოქმედება სატრანსპორტო ქსელისა და მეურნეობის განვითარებაზე დიდად შემცირდა, მაგრამ მას მაინც აქვს ადგილი. ეს ეხება პირველ რიგში რაჭა-ლეჩხუმის რაიონებს, სადაც რელიეფის დიდი დახრილობაა. გზების გაყვანის მიზნით

[1] რადგან ეს გზა ერთმანეთთან აკავშირებდა საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთს, და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, მას ოსეთის სამხედრო გზასაც უწოდებდნენ. საქართველოს ფარგლებში მოქცეული ამ გზის მონაკვეთი სამეცნიერო ლიტერატურაში იმერეთ-რაჭის გზატკეცილად იხსენება (ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს გეოგრაფია, ტომი I, გეომორფოლოგია, ტფ., 1926, გვ. 56).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდინარეთა კანონისებურ ხეობებში იქმნება ციცაბო ფერდობების გაჭრის აუცილებლობა. ამის გამო, გზები ბევრგან ვიწროა. გზათა ზოგიერთი უბანი მეწყრული პროცესებით ხასიათდება. მთავარი გზატკეცილების გასწვრივ პატარა მდინ·რეებსა და ღელეებს ფერდობებიდან დიდი რაოდენობით ჩამოაქვთ ნაშალი ბასალა, რაც აბრკოლებს ტრანსპორტის ნორმალურ მუშაობას. რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიის დიდ ფართობზე თოვლის სქელი საბურველია. ეს უკანასკნელი კი სეზონურად აფერხებს სახმელეთო-ტრანსპორტის მოძრაობას. ზოგიერთი გზაზე ადგილი აქვს თოვლის ზვავებსა და ნამქერებს, რაც ზოგჯერ თვეობით აჩერებს მოძრაობას. ცუდი მეტეოროლოგიური პირობები ხანდახან აბრკოლებს საჰაერო ტრანსპორტით მიმოსვლას და სხვ.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი ს მ ო კ ლ ე ი ს ტ ო რ ი უ ლ ი მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა. რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე სახმელეთო გზების არსებობა უძველესი დროიდანაა ცნობილი. ისტორიული და გეოგრაფიული წყაროებით[2] ნათელი ხდება, რომ აქ დიდი ხნიდან არსებობდა გზები, რომლებიც არა მარტო აკავშირებდნენ ერთმანეთთან მხარის ცალკეულ დასახლებულ პუნქტებს, არამედ უზრუნველყოფდნენ ურთიერთობას მეზობელ ქვეყნებთანაც. ჯერ კიდევ მე-3 საუკუნეში (ჩვენი წელთაღრიცხვით) აქ გადიოდა ე. წ. თაკუერის გზა, რომლის საშუალებით ხორციელდებოდა სამხედრო, სავაჭრო და სხვა სახის ურთიერთობანი ოსეთსა და საქართველოს შორის. რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე გამავალი გზებიდან, რომლებიც ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით კვეთდნენ კავკასიონის მთავარ ქედს, თაკუერის გზა მეტად მნიშვნელოვანი იყო. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „ოსეს საქართველოში დასავლეთ-ჩრდილოეთითაც შეეძლოთ შემოსვლა, ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ გადმოელახათ გზა თაკუერისა"[3]. შესაძლებელია, ეს უკანასკნელი მამისონის უღელტეხილზე გადმოდიოდა. ჩრდილოეთიდან სამხრეთით კავკასიონის ქედზე გადმოსასვლელად რაჭა-ლეჩხუმის ფარგლებში სხვა გზებიც არსებობდა, თუმცა შედარებით ნაკლები მნიშვნელობისა. „ესეთი იყო მამისონის უღელტეხილის ჩრდილო-დასავლეთით გამავალი ბილიკები, რომლებიც კავკასიონის ქედს კვეთენ გურძიე-ვეცეკი-სა[4] და ღები-ვეცეკის[5] გადასასვლელებზე. (ცნობილია, რომ ზემოთ აღნიშნული უღელტეხილებით რუსეთთან ურთიერთობისათვის საშუალო საუკუნეებში სარგებლობდნენ იმერეთის მეფეები.

არსებობს საშუალო საუკუნეების ცნობები, რომელთა მიხედვით კავკასიონის ქედზე გადამავალი აღნიშნული გზების საშუალებით ეკონომიური ურთიერთობა მყარდებოდა ერთის მხრივ, სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმსა და მეორეს მხრივ, ოსეთსა და ყაბარდო-ბალყარეთს შორის. ოსები ლეჩხუმში ყიდდნენ მარცვლეულს, სანაცვლოდ კი მიჰქონდათ აქაური ღვინო. უფრო გვიან ამ გზე-

---

[2] „ქართლის ცხოვრება" ს ი მ ო ნ ყ ა ნ ჩ ა ვ ე ი ლ ი ს რედაქციით, ტ. I, თბ., 1955, გვ. 57; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლ ო მ ო უ რ ი ს და ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1941 გვ. 146; ივ: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1948, გვ. 66 და სხვ.

[3] ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1948, გვ. 66.

[4] 1724 წელს ეს გადასასვლელი სხვა ქართველ ემიგრანტებთან ერთად გადალახა და ამავე ლაშის მის მიხედობები ყინვარებზე დაკვირვება აწარმოვა დიდმა ქართველმა გეოგრაფმა ვახუშტი ბაგრატიონმა.

[5] ამ უღელტეხილზე გამავალ გზით, სოფლების ჭითრასა და ღების, ყინვარ კირტაშოს გავლით, 1771 წელს საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა გენერალ ტოტლებენის კორპუსი, რომელიც გამოგზავნილი იყო ეკატერინე II-ის მიერ ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის დასახმარებლად რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს — 1768—1774 წწ. (ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ძველი რაჭა. ტფ., 1930, გვ. 32).

ბით რაჭველებს, განსაკუთრებით სოფ. ღების მცხოვრებლებს, ბალყარეთიდან გადმოჰყავდათ პირტუყვი და მოგებით ყიდდნენ ონში. კავკასიონზე გადამავალი ზეზმით ხორციელდებოდა მთიანი ანუ ზემო რაჭის მჭიდრო ეკონომიური კავშირი ქედის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებთან[6]. რაჭიდან ჯეგორა-ლაიხვის ხეობებით გაჭქონდათ რკინის ნაწარმი, რომელიც მიდიოდა ქუთაისში და ქართლ-კახეთში.

სამოგზაურო და ისტორიულ ლიტერატურაში[7] აღნიშნულია, რომ რამდენიმე ასეული წლის წინათ ზემო რაჭიდან ცხენისწყლისა და ენგურის წყალგამყოფის გავლით სვანეთამდე არსებობდა საურმე გზა. აქ წარსულში გზის არსებობაზე მიუთითებს ტრასის გასწვრივ ნანგრევებისა და შენობების ნაშთების აღმოჩენა.

სამხრეთით მდებარე საქართველოს რაიონებს, პირველ რიგში იმერეთს, რაჭა-ლეჩხუმი შედარებით ადვილად უკავშირდებოდა, რადგან ამ მიმართულებით არ არსებობდა ისეთი ბუნებრივი დაბრკოლება, როგორიც კავკასიონის ქედია ჩრდილოეთით. იმერეთის რაიონებიდან შემოჰქონდათ ხორბალი, სიმინდი. აგრეთვე სარეწველო საქონელი. ადგილობრივ და მაზრათშორის ვაჭრობაში ვარკვეულ როლს თამაშობდა ბუგეულისა და შორის ყოველწლიური ბაზრობები. წარსულში რაჭის იმერეთთან დაკავშირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საჩხერე-ონის გზა (შქმერზე გავლით). ხოლო ძირითადი გზა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა რაჭასა და იმერეთს, იყო ნაქერალას უღელტეხილზე გადამავალი გზა, რომლითაც სარგებლობდნენ სვანებიც კი. ისინი ამ გზით, ზემო რაჭაზე გავლით, გადადიოდნენ ქარცოსა და კახეთში.

შესაძლებელია, რომ ზამთრობით რაჭა-ლეჩხუმის ცალკეულ რაიონებს შორის, აგრეთვე მეზობელ რაიონებთან ურთიერთობა ხორციელდებოდა სამარხილე გზებით. ამ მთაგორიანი მხარისათვის დამახასიათებელია თოვლის სქელი საფარველი, რაც აუცილებელია მარხილებით მიმოსვლისათვის.

სატრანსპორტო საშუალებებიდან რაჭა-ლეჩხუმში უძველესი დროიდან გავრცელებული იყო მთის ანუ აჩარა ურემი[8], აგრეთვე ქსელი. ეს უკანასკნელი ევევრების გადასატან სპეციალურ საზიდს წარმოადგენდა[9]. ზოგან, ძნელადსავალი მთაგორიანი რელიეფის პირობებში საზიდ საშუალებას წარმოადგენდა თვითონ ადამიანი, მას უხდებოდა ტვირთების გადაზიდვა.

რაჭა-ლეჩხუმის სატრანსპორტო მეურნეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები

---

[6] ს. მ ა ყ ა ლ ა თ ი ა ს დასახელებული წიგნი, გვ. 5—29; А. Р о б а к и д з е. Что удалось обнаружить этнографам. «Заря Востока», 1959, № 44.

[7] М. А. Ш о с т а к. По Раче и Сванетии. Известия Кавказского отдела императорского русского географического общества. т. XVI, 1903 და სხვ.

[8] აჩარა ურმის კონსტრუქცია „სავსებით შეესაბამება იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის მთაგორიან გეოგრაფიულ გარემოს, სადაც ტალღისებურად მონაცვლე რელიეფი ბეერად ჭარბობს ვიეე ადგილ-შეიბარეოს, ამ ურმის ფეხსაცმელი დალმართში ძირითად სამეურნეო საშუალებას წარმოადგენს. ურმის ზესადგარი ამ შემთხვევაში მთელი თავისი სიმძიმით უშუალოდ ეღებოდა ბაგეზეკ ბალას კი არ აწვება წინ, არამედ მიწაზე მოსრიალე ფეხილებს, რაც ანელებს სვლის სისწრაფეს, დიდ თავდალმართზე ჩატარების წინ ტვირთს უმთავრესად წინა ნაწილში ათავსებენ და რაც ეფორო მეტად არის ამ ტვირთი მოჭარბებული, იმდენად მეტია დაწოლა თჩხილეებზე ღა, ასევე, დამეხრუტეიაე" (ვ. გ ე ბ ე ბ ი ძ ე. ქართული ხალხური ტრანსპორტი, ნაწილი I—სა. ბერეთოთ საზიდი საშუალებანი, თბ., 1956, გვ. 74).

[9] 1892 წლისათვის რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში 13553 ურემი იყო, აქედან რაჭის მაზრაზე მოდიოდა 7851, ხოლო ლეჩხუმის მაზრაზე, რომელიც მთელ სვანეთსაც მოიცავდა, — 5702. 1891—1892 წლებში მთლიანად ქუთაისის გუბერნიაში კი აღრიცხული იყო 61243 ურემი (В. Т. М а е в с к и й, Кутаисская губерния (Военно-статистическое описание). Тифлис, 1896. დამატება № 29).

12. გეოგრაფიის ინსტ. შრ., ტ. XV.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოხდა გასულ საუკუნეში, რაც დაკავშირებული იყო საქართველოში სამრეწველო კაპიტალიზმის შემოჭრა-განვითარებასთან. კაპიტალიზმის განვითარებამ, ახალი სამეურნეო ურთიერთობის წარმოშობამ გამოიწვია ახალი გზების მშენებლობის აუცილებლობა.

აქ გარკვეული ადგილი უნდა დავთმოს ისტორიულ ცნობებს ქუთაისი-ალაგირის გზის შესახებ, რამდენადაც იგი იყო და არის რაჭა-ლეჩხუმის მეტად მნიშვნელოვანი გზატკეცილი და მუდამ დიდ როლს ასრულებდა მხარის სამეურნეო ცხოვრებაში.

აღნიშნული გზის საუღელტეხილო უბნის პირველი რეკოგნოსცირება მოხდა 1823 წელს. ამ მიზნით, გენერალ ერმოლოვის ბრძანებით, კავკავიდან (ორჯონიკიძე) მამისონის უღელტეხილის[10] მიდამოებში მივლინებულ იქნა ინჟინერ-მაიორი კერშინი. იმავე წელს უღელტეხილის სამხრეთი კალთების დასათვალიერებლად გაიგზავნა პოლკოვნიკ პოპოვის ჯგუფი, რომელშიაც შედიოდა 422 კაცი. ჯგუფის მარშრუტი ასეთი იყო: გორი — დიდი ლიახვის ხეობა — ეიწოს ტბა—ჯეირის ხეობა—მამისონის უღელტეხილი. პოპოვის ჯგუფს არ მიუღწევია მარშრუტის უკანასკნელ პუნქტამდე და გზიდან დაბრუნდა. ერთი წლის შემდეგ, 1824 წელს პოპოვი ხელმეორედ იქნა მივლინებული, ამჯერად უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფით (1500-მდე კაცით). ჯგუფი იმავე მარშრუტით გაემართა უღელტეხილისაკენ, დაათვალიერა მომავალი გზის მიდამოები და გორში დაბრუნდა.

ამით არ შეწყვეტილა კავკასიონის ქედის საუღელტეხილო უბნის დათვალიერება-შესწავლა. კავკასიის მთავარმართებლები: ერმოლოვი, პასკევიჩი, როზენი, მეფის ნაცვალი ვორონცოვი საჭიროდ თვლიდნენ კავკასიონის ქედზე გადამავალი ახალი გზის გაყვანას. მათი აზრით, ეს გზა უნდა ყოფილიყო არა საქართველოს სამხედრო გზის მაგიერი, არამედ როგორც დამხმარე გზა, განსაკუთრებით საქართველოს სამხედრო გზაზე ზვავების შემთხვევაში. ამ უკანასკნელზე კი ზვავებსა და ნამქერებს ხშირად ჰქონდა ადგილი[11].

ტრასის დაზვერვის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ჭა ონამდე და შემდეგ მამისონის უღელტეხილის მიმართულებით ღებულობდა დაკლაკნილ ხასიათს. ამ თვალსაზრისით როკის ან ზეკარის უღელტეხილები უფრო მოხერხებული იყო. საკითხის გადასაწყვეტად 1846 წელს, თავად ვორონცოვის ბრძანებით, უნდა ჩატარებულიყო სპეციალური ძიებანი ქართლიდან სამხრეთ ოსეთსა და რაჭაში მომავალი გზის ტრასაზე, მაგრამ ჩრდილოეთ ოსეთთან დამაკავშირებელი გზის ეს ვარიანტი არ იქნა მიღებული. სამაგიეროდ, 1847 წელს გადაწყდა: დაწყებულიყო გორი-როკის უღელტეხილის გზის (დიდი ლიახვის ხეობის გავლით) მშენებლობა. გზის არც ეს ვარიანტი გამოდგა საბოლოო. მისი მშენებლობის პროცესში გამოითქვა ეჭვი გზის ტრასის ვარგისიანობის მიმართ. აღნიშნავდნენ, რომ როკის უღელტეხილი ძნელად მისადგომია და სხვ. გზის მშენებლობა შეჩერებულ იქნა და ერთხელ კიდევ ჩატარდა ძიებანი მამისონის უღელტეხილის მიდამოებში. 1858 წლის 16 აპრილს ბარიატინსკის მიერ დამტკიცებულ იქნა ქუთაისი-მამისონის უღელტეხილის გზის მშენებლობის პროექტი, ხოლო იმავე წლის 1 მაისს გზის მშენებლობა დაიწყო.

ქუთაისსა და მამისონის უღელტეხილს შორის გზის მშენებლობა 1858 წლი-

---

[10] მამისონის უღელტეხილი ძველ ლიტერატურაში ცნობილია ჭანჭახის, ლეტრის, ლეტრიანისა და სხვა სახელწოდებით.

[11] იხ. ვ. მ ა ე ვ ს კ ი ს დასახელებული წიგნი, დამატება № 13, გვ. 111.

დან გრძელდებოდა 1888 წლამდე. გზის აღნიშნული უბნის მშენებლობის პერიოდში (1864 წელს) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ალაგირამდე გზის მშენებლობის გაგრძელების შესახებ. გასული საუკუნის დასასრულისათვის ქუთაისი-ალაგირის გზის მშენებლობა უკვე დამთავრებული იყო. გზის ზოგიერთი ვიწრო უბანი გაფართოებულ და გზატკეცილად გარდაქმნილ იქნა, ხოლო მის გასწვრივ გაკეთდა სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობანი. გზის ექსპლოატაციაში გადაცემისთანავე მონაკვეთზე ქუთაისი — ონი დაწესებულ იქნა საფოსტო მიმოსვლა. 1896 წლისათვის ქუთაისსა და ონს შორის 6 საფოსტო სადგური არსებობდა (სოფლებში ნამახვანში, მექვენაში, ალპანაში, ტოლაში, წესსა და ონში).

ამ გზის გაყვანას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რაჭა-ლეჩხუმის იმერეთთან და მთელ საქართველოსთან ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის უზრუნველყოფაში. მისი საშუალებით გაძლიერდა უშუალო კავშირი საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთს შორის.

გასული საუკუნის რაჭა-ლეჩხუმის სატრანსპორტო ქსელი, ასე თუ ისე, აკმაყოფილებდა მისი მოსახლეობისა და მეურნეობის მოთხოვნილებებს, მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას გზების ტექნიკურ მდგომარეობაზე. გზების მოვლა-შენახვის საქმე თითქმის უყურადღებოდ იყო მიტოვებული, რის გამო ფერხდებოდა მიმოსვლა. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში იყო ნაქერალას უღელტეხილზე გამავალი ამბროლაური-ტყიბულის გზა. მასზე რეგულარული მიმოსვლის აუცილებლობას იწვევდა თუნდაც ის გარემოება, რომ ლეჩხუმისა და რაჭის მაზრების მოსახლეობა მარცვლეულის ნაკლებობას განიცდიდა და უხდებოდა მისი შემოზიდვა იმერეთიდან სწორედ ამ გზით.

რაჭა-ლეჩხუმის სამეურნეო ურთიერთობის ზრდას სხვა მიზეზებთან ერთად დიდად აფერხებდა კეთილმოწყობილი გზების უქონლობა. უგზოობის გამო, წლის უმეტეს დროს მაინც, თუ მთელი წლის განმავლობაში არა, რაჭა-ლეჩხუმი მოწყვეტილი იყო მეზობელ რაიონებს. მაგალითად, ქვემო სვანეთსა და ლეჩხუმს შორის ტრანსპორტის მოძრაობა შეწყვეტილი იყო არა მარტო ზამთრობით, არამედ შემოდგომა-გაზაფხულობითაც. გზის გახსნის შემდეგ მასზე თავისუფლად მოძრაობა ცხენითა და ფეხით თუ შეიძლებოდა.

საურმე გზების ქსელი რაჭა-ლეჩხუმში არც თუ ისე ხშირი იყო, ხოლო არსებულთაგან მრავალზე მხოლოდ მსუბუქად დატვირთულ ურმებს შეეძლოთ თავისუფლად მოძრაობა. ცალკეული კუთხეების ერთმანეთთან ურთიერთობას, განსაკუთრებით რიონისა და ცხენისწყლის მარცხენა და მარჯვენა ნაპირებზე განლაგებული სოფლების დაკავშირებას, ხელს უშლიდა სრულყოფილი ხიდების უქონლობა.

იმის გამო, რომ რაჭა-ლეჩხუმში, სადაც მდინარეთა ხეობები ღრმაა და დიდი დაქანებით ხასიათდებიან, მდინარეებზე გადასვლა ნავით თითქმის შეუძლებელია. ამან განაპირობა ამ მხარეში უძველესი დროიდანვე მდინარეებზე (განსაკუთრებით რიონსა და ცხენისწყალზე) დაკიდული ხიდების გავრცელება. ამჟამად მდინარეებზე მოწყობილია არა მარტო დაკიდული საცალფეხო, არამედ სამანქანო ხიდებიც.

საქართველოსა და კერძოდ რაჭა-ლეჩხუმის ტრანსპორტის გეოგრაფიაში არსებითი ცვლილებები მოხდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც ფართოდ გაიშალა საგზაო მშენებლობა, გაყვანილ იქნა ახალი გზები, რეკონსტრუირებულ იქნა ყველა ძველი გზა. დიდი სამუშაოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩატარდა ქუთაისი-მამისონის უღელტეხილის გზის გაფართოება-კეთილმოწყობისათვის. გზაზე გაკეთებულ იქნა ახალი ხიდები. ამ უბნებზე, რომელიც მეწყერული პროცესებით ხასიათდება, აშენდა ჯებირები. ზოგან გაკეთდა ავრეთვე ზვავებისა და ნამქერების საწინააღმდეგო სპეციალური ნაგებობანი.[12]

ლეჩხუმის იმერეთთან მჭიდროდ დაკავშირებაში დიდ როლს ითამაშებს ცაგერი-წყალტუბოს გზის გაყვანა. იგი ამჟამად მშენებლობის პროცესშია. ამ გზით დამყარდება უშუალო ურთიერთობა ლეჩხუმის დასავლეთ ნაწილსა და ქვემო იმერეთს შორის.

თანამედროვე ტრანსპორტის დახასიათება. სახმელეთო ტრანსპორტის სახეებიდან რაჭა-ლეჩხუმში განვითარებულია საავტომობილო და საჰაპანო ტრანსპორტი. რაც შეეხება საჰაერო ტრანსპორტს, იგი არ არის საკმარისად განვითარებული, რადგან მასზე ჯერჯერობით არც არის დიდი მოთხოვნილება მოსახლეობისა და სახლეთ მეურნეობის მხრივ.

რელიეფის მთაგორიანი ხასიათის გამო, ავრეთვე იმის გამოც, რომ ამ მხარეში არ არის ისეთი დიდი მნიშვნელობის სამრეწველო ობიექტები, რომელთა დაკავშირება ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალთან აუცილებელი იქნებოდა, რაჭა-ლეჩხუმი მოკლებულია საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ტრანსპორტის ძირითად სახეს — რკინიგზის ტრანსპორტს. არსებობს მოსაზრებანი რაჭა-ლეჩხუმის საქართველოს სარკინიგზო ქსელთან დაკავშირების შესახებ.[13]

ისეთ მთიან მხარეში, როგორიც რაჭა-ლეჩხუმია, სახმელეთო სატრანსპორტო ქსელის განლაგება მეტწილად დამოკიდებულია ბუნებრივ პირობებზე, განსაკუთრებით რელიეფზე. რაჭა-ლეჩხუმის სამიმოსვლო გზების დიდი უმრავლესობა მდინარეთა ხეობებს მიყვება. ასეთი გზებია: ქუთაისი-მამისონის უღელტეხილი (რიონისა და ჯანეულის ხეობებში), წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი (ცხენისწყლის ხეობაში), ონი-კვაისა-სტალინირი (ჯეჯორის ხეობაში), ალპასა-ცაგერი (ლაჯანურის ხეობაში — გარკვეულ მანძილზე), საგლოლო-ღები (რიონის ხეობაში), ხიდიკარი-ურავი (ლეხურნისწყლის ხეობაში), ამბროლაური-სხვავა (ყრიხულას ხეობაში), ლაგვანთა-ხიდეშლები (საკაურას ხეობაში), ზუდალი-შქმერი (ხეორის ხეობაში) და სხვ.

რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე გადის ზოგიერთი საუღელტეხილო გზა. ასეთია: ქუთაისი-ალაგირის, ონი-კვაისა-სტალინირის, ამბროლაური-ტყიბულის, ალპასა-ცაგერისა და სხვა გზები.

ეკონომიურ-გეოგრაფიული ქვეყანაინის სამეურნეო ცხოვრებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საავტომობილო ტრანსპორტს. საავტომობილო გზები ამ რაიონისათვის წარმოადგენს ძირითად სატრანსპორტო არტერიებს, რომელთა საშუალებით მყარდება რაჭა-ლეჩხუმის საწარმოო-ეკონომიური კავშირურთიერთობა მეზობელ რაიონებთან.

რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე გადის რესპუბლიკური • მნიშვნელობის მაგისტრალური გზები 216,5 კმ-ის საერთო სიგრძით.[14] ეს შეესაბამება საქართვე-

---

[12] რაჭა-ლეჩხუმის გზების მშენებლობა ზოგჯერ ისეთ შეზღუდულ რელიეფურ პირობებში წარმოებს, რომ მათი მშენებლობისათვის მეტად ეკონომიური და ზოგჯერ აუცილებელიცაა სპეციალური ნაგებობანი — ნახევრადგვირაბის გამოყენება (იხ. სურ. 1).

[13] იხ. გ. ბუაჩიძის, ნ. შანიძისა და ა. კონიაშვილის „რკინიგზის ქსელის განვითარების საკითხები საბჭოთა საქართველოში", ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1958, № 4, გვ. 71—76.

[14] ამ მაჩვენებელში შედის ქუთაისი-ალაგირის გზის ის მონაკვეთი, რომელიც ადმინისტრაციულად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებშია მოქცეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს ანალოგიური გზების სიგრძის 9,0 % -ს.[15] ადგილობრივი მნიშვნელობის გზების საერთო სიგრძე 470 კმ-ს აღემატება. რაჭა-ლეჩხუმისათვის გზების საშუალო სიხშირის მაჩვენებლები ასეთია: ყოველ 100 კვ კმ-ზე მოდის 6,7 კმ რესპუბლიკური მნიშვნელობისა და 14,8 კმ ადგილობრივი მნიშვნელობის გზები.[16] გზების სიხშირის მაჩვენებლები აღემატება საქართველოსა და მთლიანად საბჭოთა კავშირის შესატყვის მაჩვენებლებს.

რაჭა-ლეჩხუმის ძირითადი საავტომობილო გზები შემდეგნაირადაა განლაგებული: ქუთაისი-ალაგირის გზა მდინარე რიონის ხეობას მიყვება და კვეთს ამ მხარეს განედურად. დანარჩენი გზები მიმართულების მეტ-ნაკლები სიზუსტით მერიდიანულად მიემართებიან. ესენია: ონი-კვაისა-სტალინირი, ამბროლაური-ტყიბული, ალპანა-ცაგერი, წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი.

ქუთაისი-ალაგირის გზა საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საუღელტეხილო გზატკეცილია. იგი მიყვება მდ. რიონის ხეობას მარჯვენა ნაპირს, ხოლო სოფელ საგოლოდან მამისონის უღელტეხილამდე — მდინარე ჭანჭახია ხეობას. გზა გაივლის ქვემო იმერეთის, ლეჩხუმის, ქვემო და ზემო რაჭის რაიონებს; მამისონის უღელტეხილით (2829 მ ზ. დ.) ეშვება რა მდ. არდონის აუზში, გადადის ჩრდილოეთ კავკასიაში.

აღნიშნულ გზაზე მთელი წლის განმავლობაში საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობა შესაძლებელია ქუთაისსა და ონს შორის. ამ გზას რაჭა-ლეჩხუმისათვის და, შეიძლება ითქვას, მთელი საქართველოსათვის დიდი ეკონომიურ-კულტურული მნიშვნელობა აქვს. იგი ჯერჯერობით ერთადერთია, რომლის საშუალებით ხორციელდება რაჭა-ლეჩხუმის ინტენსიური საწარმოო-ეკონომიური კავშირი იმერეთთან და საქართველოს სხვა რაიონებთან. რაჭა-ლეჩხუმის სამეურნეო და კულტურული ცხოვრება დიდადაა დამოკიდებული ამ გზაზე. იმის გამო, რომ იგი კვეთს კავკასიონის ქედის მაღალმთიანი ლანდშაფტის ზონას, გზა დიდი რაოდენობით იზიდავს ტურისტებს. ამდენად, მაგ საექსკურსიო-ტურისტული მნიშვნელობაც აქვს. გზაზე დიდი რაოდენობით გადაიზიდება ლაჯანურჰესის მშენებლობისათვის საჭირო სამშენებლო მასალები: რკინა, ცემენტი, ხე-ტყე (ყველა ერთად აღებული — დაახლოებით 90.000 ტ წელიწადში[17]), ბარიტი (დაახლოებით 20.000 ტ წელიწადში), სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და სხვ. ალპანაში ტვირთნაკადი იტოტება: ნაწილი მიდის ცაგერის რაიონსა (ლაჯანურჰესის მშენებლობა) და ქვემო სვანეთში, ნაწილი კი — ქვემო და ზემო რაჭაში. გზაზე დიდი რაოდენობით ხდება მგზავრების გადაყვანა, რომელიც მატულობს ზაფხულობით, საკურორტო სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით. ისეთი დიდი მნიშვნელობის გზატკეცილი, როგორიცაა ქუთაისი-ალაგირის გზა, მეტ კეთილმოწყობას საჭიროებს. ამჟამად დიდი სამუშაოებია გაჩაღებული გზის გაფართოებისათვის.

რაჭა-ლეჩხუმის სატრანსპორტო გადაზიდვებში დიდ როლს ასრულებს მაგარსაფარიანი გზა ალპანა-ცაგერი (22 კმ), რომელიც გარკვეულ მანძილზე მიე-

---

[15] რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორია (3217,4 კვ კმ.) შეადგენს რესპუბლიკის ფართობის 4,6 %-ს.

[16] საქართველოში ყოველ 100 კვ კმ-ზე მოდის 3,9 კმ რესპუბლიკური მნიშვნელობისა და 17,9 კმ ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ხოლო საბჭოთა კავშირში — 0,6 კმ რესპუბლიკური მნიშვნელობისა და 5,9 კმ ადგილობრივი მნიშვნელობის გზები.

[17] 1957 წლის მონაცემებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნართება მდინარე ლაჯანურის კანიონისებურ ხეობაში[18]. ორბელის გადასასვლელით იგი კვეთს მდ. მდ. ცხენისწყლისა და ლაჯანურის აუზების წყალგამყოფ შუა ლეჩხუმის სერს. იგი წარმოადგენს საავტომობილო ტრანსპორტით ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რაიონების სამართველოს სხვა რაიონებთან დამაკავშირებელ ჯერჯერობით ერთადერთ გზას, რომლის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა ლაჯანურჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით. გზაზე გადაიზიდება ამ დიდი ჰიდროტექნიკური მშენებლობისათვის საჭირო მასალები. მისი საშუალებით რაიონებში შეიზიდება საძრწველო საქონელი, ხოლო ქვემო სვანეთისა და ლეჩხუმის რაიონებიდან ჩამოიზიდება ხე-ტყე, სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და სხვ. გზის მნიშვნელობა მხარის სამეურნეო აღმავლობასთან დაკავშირებით დიდია და მისი ტექნიკური მდგომარეობა უნდა შეესაბამებოდეს სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

გარდა აღნიშნულისა, ეკონომიურ-გეოგრაფიული ქვეყაიონის ტერიტორიაზე გადის რესპუბლიკური მნიშვნელობის სხვა გზები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს რაჭა-ლეჩხუმის სატრანსპორტო მომსახურების საქმეში, მეზობელ რაიონებთან ეკონომიური კავშირურთიერთობის უზრუნველყოფაში და საერთოდ ამ მხარის სამეურნეო — კულტურულ ცხოვრებაში.

რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებიდან აღსანიშნავია ონი-კვაისა-სტალინირის გზა, რომელიც რაჭა-ლეჩხუმს უმოკლესი მანძილით აკავშირებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან და ცენტრალურ ანუ თბილისის ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონთან. გზის მნიშვნელობა გაზარდა მდინარე ჯეჯორის აუზში არსებული ბარიტის მდიდარი საბადოს ექსპლოატაციამ. აღსანიშნავია, რომ სოფელ ჩორდში მოპოვებული ბარიტი ავტომანქანებით ქუთაისამდე (138 კმ) გადაიზიდება, მაშინ როდესაც უახლოესი რკინიგზის სადგური სტალინირი საბადოდან 95 კმ-ითაა დაშორებული. რასაკვირველია, ეკონომიურად მიზანშეწონილი იქნებოდა ბარიტის გადაზიდვა სტალინირამდე, მაგრამ ამის საშუალებას არ იძლევა ონი-კვაისა-სტალინირის გზა, რომლის მთლიანი რეკონსტრუქციის შემდეგ თავიდან იქნება აცილებული არარაციონალური გადაზიდვები, რასაც ადგილი აქვს ამჟამად. გზაზე რეგულარული მოძრაობა ძალზე გაუუჯობესებს რაჭა-ლეჩხუმის სატრანსპორტო მომსახურეობას. გზაზე ამჟამად დიდი სამუშაოები წარმოებს, გზის მშენებლობის დამთავრება განზრახულია უახლოეს წლებში.

რაჭა-ლეჩხუმის ურთიერთობა იმერეთთან, კერძოდ ტყიბულის რაიონთან, უზრუნველყოფილია ამბროლაური-ტყიბულის საუღელტეხილო გზით (41,5 კმ), რომელიც გაივლის ხოტევ-სინათლის მჭიდროდ დასახლებულ უბანს, დაბა ზარისთვალას და შაორის წყალსაცავს, უკავშირდება საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრს — ქალაქ ტყიბულს. დიდი თოვლის გამო, ზამთრობით ქვეყაიონის ფარგლებში გზაზე მოძრაობა წყდება.

---

[18] ლ. ბზვანელი წიგნში „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში" (ქუთაისი, 1912, გვ. 159—160) შემდეგნაირად აღწერს ამ გზას: „...შევყევით მდ. ლაჯანურის ხეობას. ლიდებული სურათი გადაგვეშალა თვალწინ: ორივე მხრივ თვალუწვდენელი სალი-კლდეები, რომელთა ძირში ხან მარცხივ ხან მარჯვნივ მიიკლაკნება ვიწრო გზატკეცილი, ზევიდან კლდის ძირებზე ჩამოქუხს ანკარა და თეთრ ქაფ-მოდებული „ლაჯანურა"... კლდეები ერთმანეთს ეღობება, იქვეაქეთ გაიხდაგ, თავზე დაგყურებს, მაღლა აიხედავთ, წვეროები ერთმანეთს უახლოდებიან და ცის დანახვასაც ხშირად ეიშლიან..."

შაორის მიდამოებში აღმოჩენილია ქვანახშირის დიდი საბადო (აქ ამჟამადაც მიმდინარეობს საძიებო სამუშაოები). ამან ერთგვაროვან გაზარდა გზის მნიშვნელობა, ხოლო საბადოს ექსპლოატაციის შემთხვევაში მისი ეკონომიური მნიშვნელობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება.

რესპუბლიკური მნიშვნელობის გზა წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი ლეჩხუმის კავშირებს სამხრეთისა იმერეთისა და ჩრდილოეთით ქვემო სვანეთის რაიონებთან. გზა გასდევს მდინარე ცხენისწყლის ხან მარჯვენა, ხანაც—მარცხენა ნაპირს. ცაგერსა და წყალტუბოს შორის, გზის მშენებლობის გამო, საავტომობილო ტრანსპორტის მიმოსვლა არ წარმოებს. ეკონომიურ-გეოგრაფიული ქვერაიონის სახალხო მეურნეობის გაზრდილი მოთხოვნილებების გამო აუცილებელი ხდება გზის რეკონსტრუქცია, რაც ამჟამად მიმდინარეობს. სოფელ ლაჩრავლთან, ე. წ. სარეწკელას უბანზე (იხ. სურ. 2), სადაც გზა ხეობის ციცაბო ფერდობს ეიყვება, მიუხედავად მშენებლობისათვის ხელისშემშლელი პირობებისა, გაყვანილი იქნება გზის ახალი მონაკვეთი. გზა განსაკუთრებით მოითხოვს კაპიტალურ შეკეთებას სოფლებს ოფიტარასა და ისუნდერს შორის (ცაგერის რაიონის ტერიტორიაზე). წყალტუბოსა და ცაგერს შორის რეგულარული საავტომობილო მოძრაობის დაწესება განტვირთავს ალპანა-ცაგერის გზას, მისი საშუალებით მოხდება სამშენებლო მასალებისა და სამრეწველო საქონლის შეზიდვა ცაგერისა და ლენტეხის რაიონებში, ხოლო იქიდან სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გამოზიდვა. წყალტუბო-ცაგერის გზის ექსპლოატაციაში გადაცემის შემდეგ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რაიონები მოკლე მანძილით დაუკავშირდებიან რკინიგზის ქსელს სადგურ წყალტუბოსთან, რაც შესამჩნევად გაუუჯობესებს მათ სატრანსპორტო-გეოგრაფიულ მდებარეობას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რაჭა-ლეჩხუმის ძირითადი საავტომობილო გზების ტექნიკური მდგომარეობა დიდად ჩამორჩება მხარის სამეურნეო და კულტურულ მოთხოვნილებებს. გზები არ არის კეთილმოწყობილი. ეს იწვევს დიდ ზარალს. ჯერ ერთი, ცვთება ტრანსპორტის მოძრაგი შემადგენლობა, ავტომანქანების გამძლეობის ვადა ამ გზებზე დიდად მცირდება. გარდა ამისა, ცუდი გზები ტრანსპორტირებისას უარყოფითად მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ხარისხზე. საავტომობილო ტრანსპორტი რაჭა-ლეჩხუმისათვის ტრანსპორტის ძირითადი სახეა და მისი განვითარება დიდადაა დამოკიდებული საგზაო ქსელის მდგომარეობაზე. ამიტომ, გადაუდებლად ისმის საკითხი ამ ეკონომიურ-გეოგრაფიულ ქვერაიონში საგზაო მშენებლობის გაძლიერებისა და დაჩქარების შესახებ.

რაჭა-ლეჩხუმში ხშირი ქსელია ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისა, რომელთა საშუალებით მყარდება ურთიერთობა როგორც ცალკეულ სოფლებს შორის, ისე სოფლებსა და რაიონულ ცენტრებს შორის. მათი უმრავლესობა განლაგებულია მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე, სადაც თავმოყრილია დასახლებული პუნქტების უმეტესობა. ზოგიერთი ადგილობრივ გზას განსაკუთრებული ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. ამათგან აღსანიშნავია პირველ რიგში ხიდიკარი- ქაჯიანის გზა (40 კმ), რომელიც უზრუნველყოფს კავშირს საავტომობილო ნიმოსელით რაჭის სამთო-მეტალურგიულ კომბინატთან (სოფ. ,ურავი). გზის გასწვრივ მდებარეობს ლახეთისა და ურავის ტყის მასივები, სადანაც ხდება დიდი რაოდენობით ხე-ტყის ჩამოზიდვა. ხე-ტყის გამოზიდვას ემსახურება აგრეთვე მდინარე რიცეულის ხეობაში გაყვანილი სამანქანო გზა რიცეული-წესური (20 კმ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე მრავლადაა ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, რომლებიც მთიან სოფლებს აკავშირებენ ეკონომიურ-გეოგრაფიული ქვერაიონის მთავარ სამიმოსვლო არტერიასთან — ქუთაისი-ალაგირის გზატკეცილთან. ასეთი გზებია: საგლოლო-ღები (ღებში იტოტება: ერთი მიდის რიონის სანაპიროზე, მეორე — სოფელ ღებისაკენ), ლაგვანთა-საკაო-ხიდეშლები, ღარი — კვაკა-გომი, ზუდალი-შქმერი, სორი-გადაშში, მუხლი-ბარი-მთისკალთა, ამბროლაური-სხვავა-ფუტიეთი, ალპანა-ღვირიში-ხვამლის მთა და სხვ.

რაჭა-ლეჩხუმის სატრანსპორტო ქსელისა და მეურნეობის განვითარება უშუალოდაა დაკავშირებული ამ მხარის მეურნეობის აღმავლობასთან. სამოთმოპოვებითი მრეწველობის განვითარებამ (კერძოდ ახალი საბადოების დამუშავებამ ჩორდში, ურავში და სხვაგან), ჰიდროენერგომშენებლობამ (ლაჯანურჰესი და სხვ.) გამოიწვიეს ახალი გზების მშენებლობა. ზოგიერთი ახალი გზის (მაგალითად რიეული-წესური) გაყვანა დაკავშირებული იყო ხე-ტყის დამუშავებასთან.

რაჭა-ლეჩხუმის საავტომობილო ტრანსპორტში გარკვეული ადგილი უჭირავს საბჭოთა ავტოტრანსპორტს. რაჭა-ლეჩხუმის ქალაქი (ონი), რაიონული ცენტრები და კურორტები (შოვი, უწერა) საავტობუსო მიმოსვლით დაკავშირებულნი არიან დასავლეთ საქართველოს დიდ სამრეწველო და კულტურულ ცენტრთან — ქალაქ ქუთაისთან. ეს მარშრუტებია: ონი-ქუთაისი (118 კმ), ცაგერი-ალპანა-ქუთაისი (79 კმ), ამბროლაური-ქუთაისი (90 კმ), შოვი- ქუთაისი (144 კმ), უწერა-ქუთაისი (129 კმ), აგრეთვე ლენტეხი-ქუთაისი (103 კმ). საავტობუსო მიმოსვლა არსებობს დაბა ამბროლაურსა და სოფ. სინათლეს შორის.

რაჭა-ლეჩხუმის საავტომობილო ტრანსპორტის განვითარება ხდება საერთო სარგებლობის ავტომანქანების რაოდენობის ზრდითაც. თუ 1955 წელს სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანების რაოდენობა რაჭა-ლეჩხუმში 518 იყო, 1957 წელს ამ მაჩვენებელმა 620-ს მიაღწია. რაოდენობრივ ზრდას თან ახლავს ავტომობილების სარგებლობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება.

რაჭა-ლეჩხუმისათვის, როგორც მაღალმთიანი რაიონისათვის, გარკვეული მნიშვნელობა აქვს საავიაციო ტრანსპორტს, რომელიც ემსახურება ძირითადად მგზავრების გადაყვანასა და ფოსტის, ზოგჯერ მედიკამენტების გადაზიდვას. რაჭა-ლეჩხუმის ეკონომიურ-გეოგრაფიულ ქვერაიონს ერთი საჰაერო ტრასა გაჰყენია — ცაგერი-ქუთაისი, რომელიც გადატვირთულია ზაფხულის თვეებში მოსახლეობის მეტი რაოდენობით მოძრაობასთან დაკავშირებით. ხაზზე მგზავრთა გადაყვანა წელიწადში დაახლოებით 3000 კაცით განისაზღვრება. ზოგჯერ დღეღამეში 40—50 მგზავრის გადაყვანა ხდება. საავიაციო ტრანსპორტით სარგებლობენ როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე დამსვენებლები და ტურისტები. რაჭა-ლეჩხუმის სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობასთან დაკავშირებით საჰაერო ტრანსპორტის ხვედრითი წილი მხარის საერთო სატრანსპორტო გადაზიდვებსა და მგზავრების გადაყვანაში მნიშვნელოვნად გაიზრდება.

რაჭა-ლეჩხუმის მთავრობანი რელიეფის პირობებში ტრანსპორტის სახეებიდან გარკვეული მნიშვნელობა აქვს საჭაპანო ტრანსპორტს, რომელიც გამოიყენება ძირითადად შიდასასოფლო გადაზიდვებზე.[19]

---

[19] საინტერესოა, რომ რაჭა-ლეჩხუმში (ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა ადგილებში) გავრცელებულია მასიურბობლებიანი მთის ურემი, ასეთი ურმები ძირითადად იყო და ამჟამადაც არის ტყეებით მდიდარ კუთხეებში. ფიცრულმა ანუ მასიურმა ბორბლებმა საქართველოში ფიდმდე შემოინახა თავი ისევ ადგილებში, რომელთაც ახასიათებთ შეფარვებითი დაცულობა. ასეთი კუთხეა სწორედ რაჭა-ლეჩხუმი, განსაკუთრებით ზემო რაჭა (ამის შესახებ იხ. მ. გ ე ბ ე ნ ი ძ ის დასახელებული წიგნი, გვ. 78).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონთაშორისი კავშირი. რაჭა-ლეჩხუმის სახალხო მეურნეობის ხასითი, მისი სპეციალიზაცია თავისებურ გამოხატულებას პოულობს ამ მხარის რაიონთაშორის კავშირში. ეკონომიურ-გეოგრაფიული ქვეერაიონიდან გაამქვთ ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რის სანაცვლოდ შემოაქვთ სამრეწველო საქონელი.

ტვირთგაცვლით რაჭა-ლეჩხუმი დაკავშირებულია საქართველოს სხვადასხვა რაიონებთან და ქალაქებთან. ასე მაგალითად, ჩორდის ბარიტი იგზავნება ქუთაისის ლითოფონის ქარხანაში, აქაური ხილი ბარდება ქუთაისის საკონსერვო ქარხანას. საქართველოს მრავალი სამრეწველო ქალაქის ბაზრებზე შეხვდებით ამ რაიონების ხილსა და კარტოფილს. რაჭა-ლეჩხუმის ღვინის ქარხნების პროდუქცია (ღვინომასალის სახით) იგზავნება თბილისის ღვინის პირველ ქარხანაში, სადაც ხდება მისი ჩამოსხმა. რაჭა-ლეჩხუმის რაიონებიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში იგზავნება ხე-ტყე.

ეკონომიურ-გეოგრაფიულ ქვერაიონში შემოდის მანქანები ქუთაისიდან, სამრეწველო საქონელი თბილისიდან და ქუთაისიდან, ლუდი ქუთაისიდან დ. სტალინირიდან და სხვ. რაჭა-ლეჩხუმის საკოლმეურნეო ბაზრებზე, კურორტებზე (შოვი, უწერა), ლაჯანურიპესის მშენებლობაზე საადრეო ბოსტნეული შემოაქვთ ქუთაისისა და წყალტუბოს რაიონებიდან.

რაჭა-ლეჩხუმის საწარმოო-ეკონომიური კავშირურთიერთობა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს სცილდება. რაჭის ასმთო-მეტალურგიული კომბინატის პროდუქცია — დარიშხანი, რომელიც ხარისხით საუკეთესოა, იგზავნება საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის შუშის ქარხნებში (კიევში, ხარკოვში, ლვოვში, კონსტანტინოვკაში, ლენინგრადში, ბრიანსკში და სხვ.). აღსანიშნავია, რომ 1948 წლამდე ჩვენს ქვეყანაში ოპტიკური შუშის ქარხნებისათვის დარიშხანი საზღვარგარეთიდან შემოიზიდებოდა.

რაჭის ბარიტი იგზავნება ლენინგრადის ლითოფონის ქარხანაში. ღვინის ქარხნების პროდუქციის დაახლოებით 50 % — მოსკოვში. საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებიდან რაჭა-ლეჩხუმში შეიზიდება სხვადასხვა სახის მანქანა-იარაღები და მოწყობილობანი, ხე-ტყე, სამშენებლო მასალები და სხვ.

Р. И. КВЕРЕНЧХИЛАДЗЕ

ТРАНСПОРТ И МЕЖРАЙОННЫЕ СВЯЗИ РАЧА-ЛЕЧХУМИ

Резюме

Хребты, окружающие с трех сторон, гористый и наклонный рельеф Рача-Лечхуми, определяют своеобразное его транспортно-географическое положение. Исследуемая территория, будучи расположена в бассейнах крупнейших рек Западной Грузии Риони и Цхенис-цкали, круглогодично открыта для сухопутного сообщения только с юга — вдоль ущелий этих рек. Поэтому этот экономико-географический подрайон имеет тесные экономические связи с Нижней Имеретией, в частности с крупным промышленно-транспортным и культурным центром — городом Кутаиси.

Природные условия Рача-Лечхуми не благоприятствуют развитию транспорта. В современных условиях, когда дорожное строительство оснащено передовой техникой, отрицательное влияние природных условий на развитие транспортной сети и хозяйство данного района значительно уменьшилось, но все же имеет определенное значение.

ეროვნული ბიბლიოთეკა

В труде дается краткий исторический обзор транспорта Рача-Лечхуми, на территории которого издавна существовали сухопутные дороги. Здесь проходили дороги, посредством которых устанавливались военные и торговые связи Рача-Лечхуми с соседними странами. Из транспортных средств в районе с древнейших времен была распространена горная арба, т. н. ачача.

Значительные перемены в транспортном хозяйстве Рача-Лечхуми произошли в XIX веке, что было связано с развитием промышленного капитализма в Грузии. Промышленный капитализм способствовал развитию производительных сил, а это вызвало необходимость строительства новых дорог.

Сухопутный транспорт в Рача-Лечхуми представлен только лишь автомобильным и гужевым транспортом. Подрайон лишен основного вида транспорта — железнодорожного, отсутствие которого сильно влияет на возможности его экономического развития. Ввиду этого, для хозяйственной жизни Рача-Лечхуми решающее значение имеет автомобильный транспорт. Автомобильные дороги являются основными транспортными артериями, при помощи которых осуществляются производственно-экономические связи Рача-Лечхуми с соседними районами.

На территории Рача-Лечхуми, площадь которого (3217,4 кв км) составляет 4,6% площади Грузинской ССР, проходят дороги республиканского значения общей длиной 216,5 км. Это равно 9,0% соответствующих дорог республики. Длина дорог местного значения составляет приблизительно 500 км. Данные о средней густоте дорожной сети превышают республиканские и всесоюзные показатели; на каждые 100 кв. км приходится 6,7 км республиканских дорог и 14,8 км местных. Особенно большую роль играет дорога Кутаиси-Алагир (Военно-Осетинская), которая через Мамисонский перевал (2829 м) выходит на Северный Кавказ. Дорога является безрельсовой магистралью, пересекающей подрайон, и имеет для него большое хозяйственное значение; вместе с тем она является дорогой экскурсионно-туристического значения. Дорога эта (в пределах Рача-Лечхуми) сильно нагружена грузовыми и пассажирскими перевозками. Для экономической жизни Рача-Лечхуми важную роль играют также дороги: Они-Кваиса-Сталинири, Алпана-Цагери и др.

В труде дается описание отдельных дорог и характеристика выполняемых ими функций в деле развития хозяйства подрайона.

Развитие транспорта Рача-Лечхуми тесно связано с подъемом производительных сил этого горного района Грузии. Создание горнодобывающей промышленности, гидроэнергостроительство, разработка леса способствовали строительству новых дорог.

Отсутствие других видов путей сообщения придает решающее значение автомобильному транспорту для перевозки пассажиров. Город (Они), районные центры и курорты (Шови, Уцера) связаны автобусным движением с городом Кутаиси.

Сильно пересеченный горный рельеф Рача-Лечхуми способствует развитию авиационного транспорта, который осуществляет перевозки грузов и пассажиров.

Определенное значение для Рача-Лечхуми имеет гужевой транспорт, который используется в внутрирайонных перевозках, в основном по сельским дорогам, соединяющим периферийные части подрайона с основными магистралями.

Дается характеристика межрайонных связей, которые соединяют Рача-Лечхуми как с районами и городами Грузии, так и с отдельными районами Советского Союза. Установившиеся производственно-экономические связи Рача-Лечхуми отражают структуру его хозяйства и сформи-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ровавшийся за годы социалистического строительства характер производственной специализации экономико-географического подрайона. Основные статьи вывоза — продукция горнохимической промышленности (барит, мышьяк) и пищевые продукты (вино, фрукты и др.). Завозятся — промышленные товары производственного значения (уголь, металл, оборудование, удобрения, стройматериалы и др.), а также продукты широкого потребления.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. ნ. ასტახოვი, გ. დონდუა, ლ. ელადიმიროვი, მ. კორძახია, ლ. მარუაშვილი, ს. ნემანიშვილი, ელ. სოხაძე, დ. უკლება, გ. ჩანგაშვილი, რაჭა-ლეჩხუმის მთიანი ქვაბულის ფიზიკურ-გეოგრაფიული ნარკვევები, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XII, ფიზიკურ-გეოგრაფიული სერია, რაჭა-ლეჩხუმი, თბ.,1959.

2. რ. კვერენჩხილაძე, ქვემო იმერეთის ტრანსპორტი და რაიონთაშორისი კავშირი. ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XIII, ეკონომიურ-გეოგრაფიული სერია, ქვემო იმერეთი, თბ., 1960.

3. 1958 წელს რაჭა-ლეჩხუმში ჩატარებული ეკონომიურ-გეოგრაფიული ექსპედიციის მასალები ტრანსპორტის შესახებ, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის საფონდო მასალა № 683 და სხვ.

4. И. И. Белоусов, Основы межрайонных связей и перевозок, автореферат дисс. докт. геогр. наук, М., 1958.

5. С. В. Бернштейн-Коган, Очерки географии транспорта, М.-Л., 1930.

6. И. А. Гильденштедт, Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа, Санкт-Петербург, 1809.

7. Грузинская ССР, экономико-географическая характеристика, изд. 2-ое, переработанное и дополненное, М., 1958.

8. А. С. Кудрявцев, Экономика социалистического транспорта, М., 1957.

9. Народное хозяйство Грузинской ССР, статистический сборник, Тб., 1957.

10. И. В. Никольский, Некоторые вопросы географии транспорта СССР, Научные доклады высшей школы, геолого-географические науки, 4, 1958.

11. Транспорт и связь СССР, статистический сборник, М., 1957.

12. П. С. Уварова, Кавказ, ч. III, М., 1904.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სურ. 1. ნახევრადგვირაბიანი გზა მღ. ლაჯანურის ხეობაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სურ. 1. ცაგერი-წყალტუბის გზა მდინარე ცხენისწყლის ხეობაში, სოფ. ლარჩვალთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია—ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. შრ., ტ XV, 1960
Академия Наук Груз. ССР—труды института географии им. ВАХУШТИ, т. XV, 1960

ნ. ნაბაღლია

რაჭა-ლეჩხუმის შიდარაიონული სხვაობანი

მიუხედავად იმისა, რომ რაჭა-ლეჩხუმი როგორც ფიზიკურ-გეოგრაფიული, ისე ეკონომიურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ერთ მთლიანს წარმოადგენს, მის ტერიტორიაზე შეიძლება გამოიყოს ქვერაიონები, რომელნიც გარკვეულად განსხვავდებიან ერთი მეორისაგან არა მარტო ბუნებრივი პირობებით, არამედ მეურნეობის ცალკეული დარგების შეთანაწყობით და მოსახლეობის განსახლებით.

აღნიშნულ სხვაობათა საფუძველზე რაჭა-ლეჩხუმში შეიძლება გამოიყოს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკონომიურ-გეოგრაფიული მიკრორაიონი.

I დასავლეთის ეკონომიურ-გეოგრაფიულ მიკრორაიონში შედის ამბროლაურისა და ცაგერის ადმინისტრატიული რაიონები. იგი მოიცავს სამეგრელოს და ლეჩხუმის ქედების საშუალო და მაღალმთიან, რაჭა-ლეჩხუმის დაბალმთიან რაიონსა (ორბელ-ცაგერის ქვაბული და რიონის ხეობა) და რაჭის ქედსა და მის დასავლეთურ გაგრძელებაზე მდებარე ხვამლისხის მასივებს. ეს მხარე საკმაოდ მდიდარია თავისი ბუნებრივი რესურსებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰიდროენერგორესურსები. მის წიაღში მოიპოვება დარიშხანი, ქვანახშირი, მანგანუმი, ბაზალტი, თაბაშირი და სხვა. მნიშვნელოვან ბუნებრივ სიმდიდრეს წარმოადგენენ აგრეთვე ტყეები. ამ რაიონის დაბალმთიანი ნაწილის ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები ხელსაყრელია მევენახეობა-მეხილეობისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში რაჭა-ლეჩხუმის ეს ნაწილი გადაიქცა ენერგეტიკული მრეწველობის მევენახეობა-მეღვინეობის, მეხილეობისა და მარცვლეული მეურნეობის მნიშვნელოვან რაიონად. გარდა ამისა, აქ წარმოდგენილია ხე-ტყის, სამთო-ქიმიური და კვების მრეწველობის რიგი საწარმოები. სოფლის მეურნეობიდან სამომხმარებლო ხასიათს ატარებს მარცვლეული მეურნეობა მეცხოველეობა და მებოსტნეობა-მებაღჩეობა.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ეკონომიურ-გეოგრაფიულ მიკრორაიონისათვის მევენახეობა-მეღვინეობას, რომელიც რაჭა-ლეჩხუმის სამეურნეო სპეციალიზაციის ძირითად გამომხატველს წარმოადგენს.

მაგრამ ამ რაიონის მთელი ტერიტორია როდი ხასიათდება ერთნაირი ეკონომიური მაჩვენებლებით; მისი ჩრდილოეთი ნაწილი, რომელიც სამეგრელოსა და ლეჩხუმის ქედების ციცაბო ფერდობებს მოიცავს, ნაკლებად არის ათვისებული სამეურნეო თვალსაზრისით. გაცილებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ მისი სამხრეთი ნაწილი, ხოლო დაბალმთიანი ზონა, რომელიც მოიცავს რიონის, ცხენისწყლის, ლაჯანურის ხეობის ნაწილსა და ორბელ-ცაგერის ქვაბულთა გამყოფ შეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეჩხუმის სერს, ამ ქვეყანაინის ძირითად სამეურნეო ზონას წარმოადგენს. ეს მხარე ხასიათდება ზომიერად ცივი, მოკლე ზამთრითა და ცხელი ხანგრძლივი ზაფხულით. ამას ემატება ნიადაგისა და ჰაერის ზომიერი სინოტივეც, რაც ხელ-უწყობს მაღალსასაქონლო სასოფლო-სამეურნეო კულტურების-ვაზისა და ხეხილის აღმოცენება-განვითარებას.

ეს არის ენერგეტიკული მრეწველობის მევენახეობა-მეღვინეობის, მეხილეობის, მარცვლეული მეურნეობისა და მეცხოველეობის ზონა.

განსაკუთრებით დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ამ მხარისათვის მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ა-მ ე ღ ვ ი ნ ე ო ბ ა ს. მასზე მოდის რაჭა-ლეჩხუმის ვენახების ფართობის 87,1 % და ღვინის წარმოების 93,2 %. ამ ზონაში არის ნ მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ა-მ ე ღ ვ ი ნ ე ო ბ ი ს უ ბ ა ნ ი. ყველაზე მნიშვნელოვანია მდ. რიონის ხეობა, სადაც შეიძლება გამოიყოს ხ ვ ა ნ ჭ კ ა რ ა-ა მ ბ რ ო ლ ა უ რ ი ს ა და ტ ვ ი შ ი-ა ლ პ ა ნ ს მევენახეობა-მეღვინეობის უბანი.

ხ ვ ა ნ ჭ კ ა რ ა-ა მ ბ რ ო ლ ა უ რ ი ს მევენახეობა-მეღვინეობის უბანი მდებარეობს ამბროლაურის რაიონის ტერიტორიაზე და უკავია მდ. რიონის ორივე ნაპირი. აქ ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობითა და ღვინის წარმოებით ერთმანეთისაგან განსხვავდება მდ. რიონის მარჯვენა და მარცხენა მხარე. რიონის მარჯვენა მხარე ცნობილია ბუნებრივად ტკბილი ლალის ფერი ღვინის — „ხვანჭ-



I. ენერგეტიკული მრეწველობის, მევენახეობა-მეღვინეობის, მეხილეობის და მარცვლეული მეურნეობის — დასავლეთის ეკონომიურ-გეოგრაფიული მიკრორაიონი.

1. ენერგეტიკული მრეწველობის, მევენახეობა-მეღვინეობის მარცვლეული მეურნეობისა და მეცხოველეობის ზონა.

2. მეხილეობის, მარცვლეული მეურნეობის და მეცხოველეობის ზონა.

3. მეურნეობრივად ნაკლებად ათვისებული ზონა ხე-ტყის დამზადების და ნაწილობრივ სამთო-მოპოვებითი მრეწველობის განვითარებით.

II. სამთომოპოვებითი და ხე-ტყის მრეწველობის მეცხოველეობის და მეფინდვრეობის — აღმოსავლეთის ეკონომიურ-გეოგრაფიული მიკრორაიონი.

4. მევენახეობა-მეხილეობის, მარცვლეული მეურნეობის და მეცხოველეობის ზონა.

5. სამთომოპოვებითი მრეწველობის, მეცხოველეობის და მეკარტოფილეობის ზონა.

6. მეურნეობრივად ნაკლებად ათვისებული მეცხოველეობისა და საკურორტო მეურნეობის ზონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარას“ წარმოებით. აქ მევენახეობა-მეღვინეობით გამოირჩევიან სოფლები: ჭყვიში, ქვიშარი, ჭრებალო, ტოლა, ხვნეკარა, ჩორჯო, ბოსტანა, ღვიარა, სადმელი, ძირაგეული და კვაცხუთი. მაღალხარისხოვანი ღვინის მისაღებად მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივ პირობებს. ტერასებისა და ფერდობების სამხრეთული ექსპოზიცია, შესაფერისი ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები და ზომიერი ჰავა ხელსაყრელ პირობებს უქმნის ალექსანდროულისა და მუჯურეთული ჯიშის ვაზს საკმაო რაოდენობის შაქრის დაგროვებაში.

რაიონის მარცხენა მხარე როგორც ბუნებრივი პირობებით, ისე ღვინის წარმოებით განსხვავდება მარჯვენა სანაპიროსაგან. ნიადაგები აქაც ნეშომპალა-კარბონატულია, მაგრამ აქ ისინი განვითარებულია კირქვებზე, მოპირდაპირე მარჯვენა მხარეს კი უფრო მეტად კარბონატულ ქვიშაქვების გამოფიტვის ქერქზე. გარდა ამისა, აქაური ვენახები შეფენილია ჩრდილოეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, ამის გამო მზის რადიაცია ნაკლებია, რაც უარყოფითად მოქმედებს შაქრის დაგროვებაზე და საერთოდ ყურძნის დამწიფებაზე. ამიტომაც შავი ჯიშის ყურძენი ალექსანდროული და მუჯურეთული აქ უფრო სუსტ ღვინოს იძლევა. ამ რაიონში სასურველ ბუნებრივად ტკბილ ღია ჩალის ფერ ღვინოს „თეთრას“ აყენებენ წულუკიძის თეთრასაგან. მევენახეობა-მეღვინეობით აქ გამოირჩევიან სოფლები: ბაჯი, ბარეული, აბანოეთი, ბუგეული, საკეცია და ამბროლაური.

ამ მევენახეობა-მეღვინეობის უბანს მომსახურეობას უწევენ ამბროლაურის, ხვნეკარისა და ჭრებალოს ღვინის ქარხნები, რომლებზეც მიმაგრებული არიან როგორც რაიონის მარჯვენა, ისე მარცხენა მხარის კოლმეურნეობები.

ეს მევენახეობა-მეღვინეობის უბანი ყველაზე მნიშვნელოვანია დასავლეთის ეკონომიურ-გეოგრაფიული მიკრორაიონში. მასზე მოდის რაჭა-ლეჩხუმის ვენახების ფართობის თითქმის 50 % და ღვინის წარმოების 44.4 % (1957 წლის მონაცემებით).

ტვიში-ალპანას მევენახეობა-მეღვინეობის უბანი მდებარეობს ცაგერის ადმინისტრატიული რაიონის ტერიტორიაზე და განლაგებულია მდ. რიონის ორივე ნაპირზე. აქაც ისევე, როგორც პირველ მიკრორაიონში მარჯვენა ნაპირის ფერდობებზე, ყურძენი შაქარს დიდი რაოდენობით აგროვებს და საუკეთესო მასალას იძლევა ბუნებრივად ტკბილი ღვინის — „ტვიშის“ დასამზადებლად. ამ რაიონში მევენახეობა-მეღვინეობით გამოირჩევიან სოფლები: ტვიში, ორხევა, ქორენაში, ალპანა და ზოგიში. ამ უუბანში ყურძნის ვადამუშავებას აწარმოებს ტვიშის ღვინის ქარხანა. „ტვიშის“ წარმოებით ამ მხარეს მეორე ადგილი უკავია ცაგერის რაიონში.

მევენახეობა-მეღვინეობის მნიშვნელობის თვალსაზრისით რიონის ხეობას მისდევს ცხენისწყლის ხეობა. აქ შეიძლება გამოიყოს ცაგერ-ლასურიაშისა და ზუბი-ოყურეშის მევენახეობა-მეღვინეობის უბნები. ეს ორივე მიკრორაიონი ტერიტორიულად ცაგერის რაიონის ტერიტორიაზე არის გაადგილებული.

ცაგერ-ლასურიაშის მევენახეობა-მეღვინეობის უბანი. მოიცავს ცაგერის ქვაბულს, ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირის ტერასებზე შეფენილი ვაზი ისევე როგორც რიონის ხეობაში, უკეთეს ღვინოს იძლევა, ვიდრე მარცხენა ნაპირზე, მაგრამ აქ განსხვავება შედარებით ნაკლებია და ორივე ზონა მაღალხარისხოვან მასალას იძლევა „ტვიშის“ დასამზადებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენის წყლის მარჯვენა ნაპირზე მევენახეობა-მეღვინეობით გამოირჩევიან სოფლები: ცაგერი, გვესო, ბარდნალი, წიფერჩი და ლარჩვალი. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე ტერასები ჰქმნიან საფეხურებრივ ვაკე ზოლს, რომელიც მეტად ხელსაყრელია ვენახების გასაშენებლად. აქ მევენახეობით ცნობილი არიან სოფლები: ჩხუტელი, ლასხანა, დეხვერი, ლასურიაში, მახაში და ქვემო ალვი. ეს არის ცხენისწყლის მევენახეობა-მეღვინეობის მთავარი რაიონი. ყურძნის გადამუშავება ხდება ცაგერის ღვინის ქარხანაში, რომელიც ღვინოსთან ერთად საკონიაკე სპირტსაც ამზადებს. ბუნებრივად ტკბილი ღვინის — „ტვიშის“ გამოშვებით ამ უბანს პირველი ადგილი უკავია ცაგერის რაიონში.

ზ უ ბ ი-ყ უ ო რ ე ფ ი ნ ი მევენახეობა-მეღვინეობის უბანი მდებარეობს ცხენისწყლის ორივე მხარეს სარეწველას კლდეკარის სამხრეთით. ეს მხარე ძველთაგანვე ცნობილი ყოფილა თავისი მაღალ-ხარისხოვანი ღვინოებით. ფრანგი მოგზაური დიუბუა დე მონპერე, რომელსაც XIX საუკუნის პირველ ნახევარში ლეჩხუმში უმოგზაურია, აღნიშნავს: „სოფელ ზუბში დაბლარ ვენახებს აშენებენ; ყურძენი მშვენერია, როგორც ჩვენს ვენახებში“. ძველად ეს რაიონი სახელგანთქმული ყოფილა „ბანდარიას“ ღვინით, რომელსაც „უსახელოურის“ ჯიშის ვაზიდან ამზადებდნენ და ხონის ბაზარზე გაჰქონდათ გასაყიდათ. ამჟამად „უსახელოურის“ ჯიშიდან ამზადებენ ბუნებრივად ტკბილ მუქ ლალისფერ ღვინოს — „უსახელოურს“, რომელიც დიდ მოწონებას იმსახურებს.

ამ უბანში მევენახეობა-მეღვინეობით გამოირჩევიან სოფლები: ზუბი, ისუნდერი და ოყურეში. ყურძნის გადამუშავება წარმოებს ოყურეშის ღვინის ქარხანაში.

მდ. ლაჯანურის ხეობაში გვაქვს ო რ ბ ე ლ-ლ ა ჯ ა ნ ა ს მევენახეობა მეღვინეობის უბანი, რომელიც ორბელის ქვაბულშია განლაგებული მდინარისპირა ტერასებზე და ფერდობებზე. ლაჯანურის ხეობაზე გავლისას მგზავრს თვალში ეცემა მაღალი ვენახი სოფ. ორბელთან. ეს არის ოჯალეშის ჯიშის ვაზი.

ამ კუთხეს ოჯალეშის ჯიშის ვაზის ფართობით პირველი ადგილი უკავია საქართველოში. მევენახეობა-მეღვინეობას აქ მისდევენ შემდეგი სოფლები: ორბელი, ლაჯანა, ლაილაში და უსახელო. სხვა მარკის ღვინოებს შორის ეს კუთხე გამოირჩევა მუქი ლალის ფერი ღვინო „ოჯალეშის“ წარმოებით. ყურძნის გადამუშავება ხდება ახლად აშენებული ორბელის ღვინის ქარხანაში.

ზომიერი ჰაეა, საკმაო ნალექები, ხანგრძლივი სავეგეტაციო პერიოდი და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები ხელსაყრელია მ ე ხ ი ლ ე ო ბ ი ს განვითარებისათვის. ეს დარგი ისევე, როგორც მევენახეობა, უმთავრესად რაიონისა და ცხენისწყლის ხეობებშია განლაგებული — მეხილეობით გამოირჩევა ცაგერის რაიონი, რომელიც მაღალხარისხოვან ხილს იძლევა. აქაური ვაშლი დიდი გასავალი აქვს ქუთაისისა და დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქების ბაზრებზე. ამავე დროს ხდება მისი გამოყენება საკონსერვო მრეწველობაში. ცხენისწყალის ხეობაში ხეხილის ბაღებით გამოირჩევიან სოფლები: ლასურიაში, წიფერჩი, ზუბი და სხვ. რიონის ხეობაში კი ტკბილი, ალპანა, ლადიში, ცახი და ბუგეული.

ამ ზონაზე მოდის ქვეყრაიონის სახნავ-სათესი მიწების დაახლოებით 70 %. მიწათმოქმედების ძირითად დარგს აქ წარმოადგენს მ ა რ ც ვ ლ ე უ ლ ი ნ ე ყ ო ნ ე ო ბ ა. უმთავრესად მოჰყავთ სიმინდი, რომელსაც ფართობით მარცვლეული კულტურათა შორის პირველი ადგილი უკავია. სიმინდით ნათესი ფართობები ძირითადად განლაგებულია რიონისა და ცხენისწყლის ჭალებში, პატარ-პატარა ნაკვეთები კი ხეობების ფერდობებზეც არის შეფენილი. ცხენისწყლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეობაში უმთავრესად ითესება აბაშის ყვითელი და ჰაჯმეთის თეთრი, რაიონის ხეობაში კი—ადგილობრივი ნახვრად კაჟოვანა. ხორბლის მოყვანით ამბროლაურის რაიონში გამოირჩევა რაიონის ხეობა, ცაგერის რაიონში კი შუა ლეჩხუმის სერი. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ლეჩხუმი საქართველოს ერთ-ერთი იმ მხარეთაგანია, რომელმაც შემოინახა ენდემური და უნიკალური ხორბლის ჯიშები: მახა, ზანდური და დიკა. მარცვლეულის მეურნეობა აქ მხოლოდ სამომხმარებლო ხასიათს ატარებს.

მ ე ც ხ ო ვ ე ლ ე ო ბ ა ს მარცვლეული მეურნეობისაგან განსხვავებით სამომხმარებლოს გარდა სასაქონლო მნიშვნელობაც აქვს. ამ ზონის საქონელი ზაფხულის განმავლობაში საზაფხულო საძოვრებზე იმყოფება. შემოდგომაზე (სეპტემბერ-ოქტომბერი) კი ისევ უკან ბრუნდება და მთელი ზამთარი ბაგურ კვებაზეა. გამონაკლისს წარმოადგენს ცაგერის რაიონი, რომელსაც პირუტყვ ე. წ. ჭალადიდის საძოვრებზე ჰყავს ზამთრის განმავლობაში. ცაგერის რაიონი ამბროლაურის რაიონისგან მეცხოველეობის სტრუქტურითაც გამოირჩევა. მასზე მოდის რაჭა-ლეჩხუმის თხების სულადობის დაახლოებით 85 %.

გარდა ღვინის მრეწველობისა და აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო დარგებისა, ამ დაბალმთიანი ზონის რაიონულ ცენტრებსა და მსხვილ დასახლებულ პუნქტებში არის ხე-ტყის სახერხი საწარმოები, საცხობები და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ ფართო მოხმარების ზონიერთ საქონელსა და კვების პროდუქტებს ადგილობრივი მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად.

გარდა ამისა, რომ ეს ზონა ამ ქვერაიონის სხვა ნაწილებისაგან განსხვავებით სამეურნეო სპეციალიზაციის მთავარ გამომხატველს წარმოადგენს, იგი ჩრის ამავე დროს ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ნაწილიც. აქ თავმოყრილია ამ მიკრორაიონის მთელი მოსახლეობის 70 %-ზე მეტი.

იმის გამო, რომ აქ ძმიმე მრეწველობა არ განვითარებულა და თანაც იგი რამდენადმე დაშორებულია მნიშვნელოვან სატრანსპორტო კომუნიკაციებს, ქალაქებს ამ ზონაში ვერ ჩაეყარა საფუძველი. შედარებით მსხვილ დასახლებულ პუნქტებს წარმოადგენენ დაბა-ამბროლაური და ცაგერი, რომელნიც გამოირჩევიან თავიანთი ადმინისტრაციული, კულტურული ფუნქციებით და მრეწველობის ერთგვარი განვითარებით. დანარჩენი მსხვილი დასახლებული პუნქტებიდან აღსანიშნავია ზვანქარა, ჭრეგალო, ალპანა, ორბელი და ოყურეში. ამ სასოფლო დასახლებული პუნქტების ზრდა-განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ერთის მხრივ, იმას, რომ ამ სოფლებზე გადის რაჭა-ლეჩხუმის უმნიშვნელოვანესი გზატკეცილი ქუთაისი-ალპანა-ამბროლაური, მეორეს მხრივ, კი ძვირფას სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს — ყურძენს, რომლის ბაზაზედაც აქ იუმაობენ ღვინის ქარხნები.

დასავლეთის ეკონომიურ-გეოგრაფიულ მიკრორაიონში, სამეურნეო სპეციალიზაციის თვალსაზრისისა, აღნიშნული ზონისაგან განსხვავდება მისი ს ა მ ხ რ ე თ ი ნ ა წ ი ლ ი, რომელიც ძირითადად მოიცავს რაჭის ქედის ჩრდილოეთ ფერდობებს, ამ ქედის დასავლეთურ გაგრძელებაზე მდებარე ხვამლ-ახსის მასივსა და შუა ლეჩხუმის სერის მაღალ ნაწილს. ჰავა აქ უმთავრესად ხასიათდება ცივი, ნაგრძელი და თოვლუხვი ზამთრით, თბილი და წვიმიანი ზაფხულით. ჭლიმატური თვალსაზრისით განსაკუთრებული ადგილი უკავია შაორის ტაფობს, რომელიც მკაცრი ზამთრით გამოირჩევა. სამეურნეო თვალსაზრისით ეს არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეხილეობის, მარცვლეული მეურნეობისა და მეცხოველეობის ზონა. ამ ზონაში ყურძენი არ მოჰყავთ. აქ მევენახეობის ადგილს იკავებს მეხილეობა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ცაგერის რაიონში შუა ლეჩხუმის სერის მაღალ ზონაში განლაგებული სოფლებს აქვთ მცირეოდენი ვაზის ნარგავებიც, მაგრამ ეს გარემოება არსებით გავლენას არ ახდენს ზონის სამეურნეო სპეციალიზაციაზე. აქაური ხეხილი თავისი მოსავლიანობითა და ხარისხით უფრო მაღალ მაჩვენებლებს იძლევა, ვიდრე წინა ზონა. შუა ლეჩხუმის სერზე მეხილეობით გამოირჩევიან სოფლები: დეხვირი, ნაყურალეში, ღვირიში და ცხუკუშერი. ამბროლაურის რაიონში კი სოფლები: სინათლე, ჭელიაღელე, ხოტევი, ველევი და სხვა. წინად აქ ხეხილის ბაღები უმთავრესად დაფანტული ნარგავების სახით იყო წარმოდგენილი. უკანასკნელ წლებში კი ფართოდ მოკიდეს ხელი კოლმეურნეობების ნაკვეთებზე სამრეწველო ჯიშის ხეხილის ბაღების გაშენებას.

მარცვლეულის მეურნეობას აქაც სამომხმარებლო მნიშვნელობა აქვს. მეცხოველეობა ბაგურ-ბანაკური ხასიათისაა. ზაფხულის პერიოდში მსხვილი რქოსანი პირუტყვი ასხის, ხვამლისა და საწალიკეს მთის საძოვრებზეა გაშვებული. ზამთარში მათი გამოკვება ხდება უხეში საკვებით, სილოსით და კონცენტრატებით.

ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ამ ზონას საკმაო სათიბები ჰქონდა შაორის ტაფობზე, მაგრამ წყალსაცავის მოწყობამ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი წყლით დაფარა. შაორის წყალსაცავს დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს: მის წყლებზე ჟუშაობს შაორის ჰიდროელექტროსადგური. გარდა ამისა, ამ წყალსაცავს მეტად ხელსაყრელი პირობები გააჩნია ძვირფასი თევზის გასაშენებლად. წიაღისეულიდან აქ მოიპოვება ქვანახშირი, რომელიც თავისი მარაგით ალემატება საქართველოში არსებულ ყველა ქვანახშირის საბადოს.

ეს მხარე რაჭა-ლეჩხუმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასახლებული რაიონია. მიუხედავად ამისა, ამ ზონის სამეურნეო განვითარებამ ხელი არ შეუწყო ქალაქების შექმნას. მოსახლეობა აქ სასოფლო დასახლებულ პუნქტებშია განსახლებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ წყალსაცავის ნაპირზე აშენებულ მუშათა დასახლებულ პუნქტს — ხარისთვალს.

დასახლებული პუნქტებიდან თავისი სიდიდით გამოირჩევიან: სინათლე, ხოტევი, ქვემო ოლელი, ჭელიაღელე და სხვა. ყველაზე მსხვილ დასახლებულ პუნქტს წარმოადგენს სინათლე, რომელიც მოსახლეობის რაოდენობით მხოლოდ ამბროლაურს ჩამოუვარდება.

სამიმოსვლო გზებით ეს ზონა დაკავშირებულია ამბროლაურის რაიონის დაბალ ზონასთან და ტყიბულის ადმინისტრაციულ რაიონთან. მთავარი გზებიდან აღსანიშნავია: ამბროლაური-ხოტევი-სინათლე-ხარისთვალა-ტყიბული; სინათლე-ზნაკვა-ბუგეული, და სინათლე-ხოტევი-ბეთლეემი.

დასავლეთის ეკონომიკურ-ადმინისტრაციული მიმოხილვიდან ნაკლებად თავისებურ ტერიტორიას წარმოადგენს მისი ჩრდილოეთი ნაწილი, რომელსაც უკავია სამგორელოსა და ლეჩხუმის ქედების მაღალმთიანი რაიონის სამხრეთი კალთები. ჰავა ქვედა პიფსომეტრიულ სარტყელში (დაახლოებით 1200 მ სიმაღლე) ზამთრობით ზომიერად ცივია, ზაფხული კი თბილი და ხანგრძლივი იცის. სიმაღლის ზრდასთან ერთად ტემპერატურა ეცემა, და, უკვე 2200 მ სიმაღლიდან დაწყებული, უთბილესი თვის საშუალო ტემპერატურა 10-ზე დაბალია. რელიეფის სირთულისა და შედარებით მკაცრი პირობების გამო ეს მხარე სოფლის მეურნეობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის ნაკლებადაა გამოყენებული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში შედარებით მცირე ტერიტორიას მდ. ლუხუნის წყლისა და რიცეულას ხეობაში. ლუხუნისწყლის ხეობაში სოფლების ლიხთისა და ურავის მიდამოებში მარცვლეულ კულტურებთან ერთად მისდევენ მევენახეობა-მებაღეობას. მეცხოველეობისათვის იყენებენ ლეჩხუმის ქედზე შეფენილ საზაფხულო საძოვრებს.

ამ მხარის მთის მდინარეები: ლუხუნისწყალი, რიცეული და ლაჯანური მნიშვნელოვან ჰიდროენერგორესურსებს შეიცავენ. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ სუსტად არიან ათვისებული. წიაღისეულიდან აქ საკმაო რაოდენობით მოიპოვება დარიშხანი, რის საფუძველზედაც აქ შეიქმნა სამთო-ქიმიური მრეწველობა. დარიშხანის საბადოებიდან აღსანიშნავია ლუხუნის საბადო, რომელიც მდ. ლუხუნისწყლის მარცხენა შენაკადის მდ. მაღნის ღელეს ხეობაში მდებარეობს. მეორე შედარებით ღარიბი საბადო მდებარეობს სოფ. ურავში.

ამ მხარის მნიშვნელოვან სიმდიდრეს წარმოადგენენ ტყეები, რომლებიც შეფენილი არიან სამეგრელოსა და ლეჩხუმის ქედების სამხრეთ ფერდობებზე. ტყეების გარკვეული ნაწილს სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ გამოირჩევა ამბროლაურის რაიონი — ლუხუნისწყლისა და რიცეულას აუზები, სადაც საკმაოდ არის დაგროვილი საექსპლოატაციო მერქნის მარაგი. აქედან ხე-ტყის გამოზიდვა საავტომობილო გზებით წარმოებს. ტყის სამრეწველო ჯიუნიდან აღსანიშნავია მუხა, რცხილა და წიფელი. ცაგერის რაიონის ტყეებს უმთავრესად ნიადაგდაცვითი და წყალშემნახავი მნიშვნელობა აქვთ. ამიტომაც ტყის ექსპლოატაცია აქ შეზღუდულია.

დასავლეთის ეკონომიურ-გეოგრაფიული მიკრორაიონის სამეურნეო განვითარება უნდა წარიმართოს შემდეგი მიმართულებით:

1) მრეწველობის დარგებიდან-კვლავ უნდა განვითარდეს ენერგეტიკული, ქვებისა და ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობა. განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა ენენება ელექტროენერგიის გამომუშავებას, რომლითაც რაჭა-ლეჩხუმი საქართველოს ენერგეტიკული მრეწველობის ბალანსში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. მეღვინეობის შემდგომი წინსვლისათვის საჭიროა არსებული ღვინის ქარხნების უფრო ახალი ტექნიკით აღჭურვა და მძლავრი სამაცივრო მეურნეობის შექმნა.

2) სოფლის მეურნეობიდან განსაკუთრებით პერსპექტიულია მევენახეობა-მეხილეობა. შვიდწლედის განმავლობაში ვენახების ფართობი უნდა გაიზარდოს 700 ჰექტარით. ახალი საევნახე ფართობის ასათვისებლად გამოყენებულ უნდა იქნეს კომპლექსური მექანიზაცია, რომელიც უკვე ინერგება ყირიმის, მოლდავეთისა და საბჭოთა კავშირის სხვა მევენახეობის რაიონებში.

3) საჭიროა მთავარი საავტომობილო გზების კეთილმოწყობა რაც გააადვილებს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ტვირთების შეუფერხებელ გადატანას.

II. აღმოსავლეთის ეკონომიურ-გეოგრაფიულ მიკრორაიონში შედის ონის ადმინისტრაციული რაიონი. იგი მოიცავს კავკასიონის ქედის სამხრეთელი ფერდობების მაღალმთიან გასწვრივ ქვაბულს, დაბალმთიან ნაწილსა და რაჭის ქედის ჩრდილოეთ ფერდობებს. ეს რაიონი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ჰიდრო-რესურსები და ტყეები. წიაღისეულიდან დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს ჩორდის ბარიტს. გარდა ამისა, აქ გამოვლენებულია მანგანუმის, ნიკელის, კობალტის, კალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის, კოლფრამის, მოლიბდენის და დარიშხანის მადანი. საკმაოდ მდიდარია რაიონი მინერალური წყაროებით.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ეს ნაწილი გადაიქცა რაჭა-ლეჩხუმის სამთო მოპოვებითა და ხე-ტყის მრეწველობის მეცხოველეობისა და მემინდვრეობის რაიონად. სოფლის მეურნეობის დარგებიდან თავისი მნიშვნელობით გამოირჩევა მევენახეობა-მეღვინეობა, მეგოსტნეობა და მეკარტოფილეობა. მარცვლეულის მეურნეობა აქ ისევე, როგორც პირველ ეკონომიურ-გეოგრაფიული მიკრორაიონში სამომხმარებლო მნიშვნელობისაა.

ამ მხარეზე მიდის რაჭა-ლეჩხუმის სამთო-ქიმიური მრეწველობის საერთო პროდუქციის 72 %.

სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია მეცხოველეობა (მსხვილი რქოსანი პირუტყვი), რომელიც პირველ რაიონისაგან გამოირჩევა თავისი შედარებით მაღალი პროდუქტიულობით. კოლმეურნეობათა ფულად შემოსავალში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მევენახეობა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ხვედრითი წონა რაჭა-ლეჩხუმის ვენახების საერთო ფართობში მხოლოდ 12,3 %-ით განსაზღვრება. საკმაოდ დიდია ამ რაიონის ხვედრითი წონა რაჭა-ლეჩხუმის მეკარტოფილეობაში (87,7 %).

ამ ეკონომიურ-გეოგრაფიულ მიკრორაიონში ისევე, როგორც პირველში, ტერიტორიის ცალკეული ნაწილები განსხვავდებიან ერთიმეორისაგან როგორც სამეურნეო განვითარების დონით, ისე მოსახლეობის სიმჭიდროვით.

ამ თვალსაზრისით გამოირჩევა მისი დაბალმთიანი ნაწილი, რომელიც მოიცავს მდ. რიონის ხეობას, ამბროლაურის ადმინისტრაციული ზონის საზღვრებიდან მოყოლებული, სოფელ უშერას ჩათვლით. ეს არის ძირითადად მევენახეობა-მეღვინეობის, მარცვლეული მეურნეობისა და მეცხოველეობის ზონა.

მიუხედავად იმისა, რომ მევენახეობა-მეღვინეობა ამ მხარის მნიშვნელოვანი დარგია, იგი არ ეძლევა ისეთ ხარისხოვან ღვინის მასალას, როგორც დასავლეთის ეკონომიურ-გეოგრაფიული მიკრორაიონი. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ მისი სავენახე ფართობი უმეტესად ზღვის დონიდან დიდ სიმაღლეზეა მოქცეული და ყურძენი ყველგან და ყოველთვის ვერ აღწევს სრულ დამწიფებას. ამიტომაც აქაური ღვინო თითქმის მთლიანად ადგილზე მოიხმარება. აქ ყველაზე ნაკრცელებული ჯიშია მწვანე და საფერავი.

მდ. რიონის მარჯვენა მხარეზე მევენახეობა-მეღვინეობას მისდევენ სოფლები: სორი, ნიგეზნარა, კოდისთავი და შოუბანი, მარცხენა მხარეზე კი — შარდომეთი, ზვარეთი, ზუდალი და ღარი.

მეტად ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობებია ამ ზონაში მეხილეობისათვის. მაგრამ არა სათანადო ყურადღების გამო ამ დარგის განვითარება ხავისი ტემპებით ჩამოუვარდება, როგორც ცაგერის, ისე ამბროლაურის რაიონს. ასე მაგალითად, 100 ჰექტარ სახნავ მიწაზე ცაგერის რაიონში მოდის 15,5 ჰექტარი ხეხილის ბაღი, ამბროლაურის რაიონში — 13,1 ჰექტარი, ონის რაიონში კი — 6,5 ჰექტარი.

საკმაოდ კარგადაა აქ განვითარებული მეცხოველეობა, რომელიც ძირითადად სახორაც-სარძეო მიმართულებისაა. აქაური პირუტყვი გაზაფხულიდან შემოდგომამდე რაშის ქედის საზაფხულო საძოვრებზე იმყოფება. მარცვლეული კულტურებიდან უმთავრესად მოჰყავთ საშემოდგომო ხორბალი და სიმინდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ზონა არის დასავლეთის ეკონომიურ-გეოგრაფიული მიკრორაიონის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული მხარე. მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს რაჭა-ლეჩხუმის ყველაზე მსხვილი დასახლებული პუნქტი და ერთადერთი ქალაქი—ონი. იგი არის ონის ადმინისტრაციული რაიონის ცენტრი და მნიშვნელოვანი სამრეწველო კერა. აქ თავმოყრილია რაიონის კვების, ხე-ტყის დამშუშავებელი, მსუბუქი და პოლიგრაფიული მრეწველობის საწარმოები.

ქალაქის დაარსებას წარსულში დიდად შეუწყო ხელი მისმა მოხერხებულმა სატრანსპორტო-გეოგრაფიულმა მდებარეობამ: ონზე გამავალი ოსეთის სამხედრო გზა ერთ დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ამ მხარის ეკონომიურ გამოცოცხლებაში. ქუთაისი-ალპანა-ონი-ალაგირის გზა (ოსეთის სამხედრო გზა) ამ მხარეს აკავშირებდა ჩრდილოეთ კავკასიასთან და იმერეთთან. მართალია, დღეს ამ გზის ერთ მონაკვეთს (ონი-ალაგირი) აღარა აქვს ონისათვის ძველი მნიშვნელობა, მაგრამ ქალაქს, როგორც სატრანსპორტო კვანძს, არ დაუკარგავს თავისი ეკონომიური ფუნქციები.

ონში თავს იყრიან ამ ქვერაიონის შიდარაიონული გზები, ამავე დროს აქედან გამავალი გზებით იგი დაკავშირებულია მეზობელ ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონებთან.

დღევანდელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული პირობები ამ რაიონს მეურნეობრივი თვალსაზრისით აახლოვებს ქვემო იმერეთთან, დაუკავშირდება აგრეთვე ცენტრალურ ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონს: ონიდან გამავალი გზებიდან აღსანიშნავია: ონი-ალპანა-ქუთაისი, ონი-შოვი, გლოლა-ღები, ონი-იარი და სხვ.

ეკონომიურ-გეოგრაფიული მიკრორაიონის მეორე ზონა მოიცავს რაჭის ქედის ჩრდილოეთ ფერდობებს. აქ განვითარებულია სამთო-ქიმიური მრეწველობა, მეცხოველეობა და მეკარტოფილეობა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ზონის სამეურნეო განვითარებისათვის ჩორდის ბარიტის მდიდარ საბადოს, რის საფუძველზედაც შეიქმნა სამთომოპოვებითი მრეწველობა. საბადოს დამუშავებამ თავის მხრივ ხელი შეუწყო გზების მშენებლობას და მოსახლეობის კონცენტრაციას სამრეწველო პუნქტების ირგვლივ. ასე მაგალითად, ირში, სადაც ხდება ჩორდის ბარიტის დამუშავება მოსახლეობა 1957 წელს 1926 წელთან შედარებით 2-ჯერ გაიზარდა. ბარიტის მოპოვების შემდგომ ზრდასთან ერთად მოხდება მუშათა დასახლებული პუნქტებისა და მისადგომი გზების შემდგომი კეთილმოწყობა.

სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია მეცხოველეობა, რომლისთვისაც აქ საკმაოდ არის სათიბ-საძოვრები. განსაკუთრებით მდიდარია სუბალპური მდელოებით ხიხათას მთა, სადაც ზაფხულობით დაბალი ზონიდანაც კი ამოჰყავთ პირუტყვი. ამ ზონაზე მოდის ქვერაიონის მსხვილი რქოსანი პირუტყვის დაახლოებით 25 %. ვინაიდან ეს მხარე რთული რელიეფის გამო ჯერ კიდევ მოკლებულია კეთილმოწყობილ სამიმოსვლო გზებს, ბევრი სოფელი ჯერ კიდევ იყენებს საპაპანო ტრანსპორტს. ამ თვალსაზრისით აქ დიდი მნიშვნელობა აქვს ცხენს. ცხენების რაოდენობით ამ ზონას პირველი ადგილი უჭავია რაიონში (მთელი ცხენების დაახლოებით 65 %).

მიწათმოქმედების მთავარი დარგია მეკარტოფილეობა. კარტოფილის მოყვანას აქ ჯერ კიდევ რევოლუციამდე მისდევდნენ, ხოლო საბჭოთა პერიოდში მისი ფართობი მკვეთრად გაიზარდა. ეს მხარე წარმოადგენს როგორც ონის რაიონის,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისე მთლიანად რაჭა-ლეჩხუმის მეკარტოფილეობის მთავარ რაიონს. აქ თავმოყრილია ქვერაიონის კარტოფილის მთელი ნათესების დაახლოებით ორი მესამედი. კარტოფილი აქ სამომხმარებლო მნიშვნელობასთან ერთად სასაქონლო ხასიათთანაც გამოირჩევა და კოლმეურნეობებს მნიშვნელოვან ფულად შემოსავალს აძლევს. კარტოფილის დიდი ნათესები აქვთ სოფლებს: შქმერს, მთისკალთას და ჩორდს. 1958 წლის მონაცემებით მარტო შქმერის კოლმეურნეობას 140 ჰექტარი კარტოფილი ჰქონდა დათესილი, რაც რაიონის კარტოფილის ფართობის დაახლოებით 30 % შეადგენდა. მარცვლეული კულტურებიდან უმთავრესად მოჰყავთ საშემოდგომო ხორბალი და ქერი.

ამ ზონაში განსახლებული ქვერაიონის მოსახლეობის დაახლოებით 27 %. ამ ზონის დასახლებული პუნქტების დიდი ნაწილი თავისი გარეგნული ელფერით მკვეთრად განსხვავდება რაჭა-ლეჩხუმის სხვა კუთხეების დასახლებული პუნქტებისაგან. თუ დაბალი ზონის სოფლებს განსახლების გაწლილი ფორმა აქვთ, ამ მხარის დასახლებული პუნქტები თაობათა კომპაქტურობით გამოირჩევიან. ეს სოფლები ძირითადად შეფენილი არიან რაჭის ქედის სუსტად დახრილ ფერდობებზე. შენობები ერთი-მეორეზე არიან მიჯრილი შედარებით მცირე ტეიტორიაზე. სახლები აქ ძირითადად ქვიტკირისაა. სოფლებს გარს არტყია კარტოფილისა და მარცვლეულის ნათესები, უფრო ზევით იწყება სუბალპური საძოვრები. კომპაქტური დასახლების ტიპიურ სოფლებს წარმოადგენენ შქმერი, უშოლთა, ხარისთვალა და მთისკალთა.

სამეურნეო თვალსაზრისით ჯერ კიდევ საკმარისად არ არის ათვისებული ამ ეკონომიურ-გეოგრაფიული მიკრორაიონის ჩრდილოეთი ნაწილი, რომელიც მოქცეულია კავკასიონისა და შოდა-კედელას ქედებს შორის. ეს მხარე წარმოადგენს კავკასიონის სამხრეთი ფერდობის გასწვრივ ქვაბულს. ეს არის რაჭა-ლეჩხუმის ყველაზე უფრო მაღალი რაიონი. როგორც კავკასიონის, ისე შოდა-კედელას ფერდობები, დაკბილულ კლდოვან მასივებს წარმოადგენენ. თხემური ნაწილი კი შუდმივი თოვლითა და ყინვარებით არის დაფარული. მათი ქვედა ნაწილები ვიწრო ხეობებით არის დაქსელილი, სადაც ძალზე გაძნელებულია ადამიანის სამეურნეო საქმიანობა. გამონაკლისს წარმოადგენს მდ. რიონის მოსაკვეთი (სოფლების ღების და ჭიორას მიდამოები) და მდ. ჭანჭახის ქვემოწელი (სოფ. გლოლას მიდამოები). აქ განლაგებულია მთელი სახნავ-სათესი მიწები და ამ კუთხის დასახლებული პუნქტები.

მხარე საკმაოდ მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. მის წიაღში გამოვლინებულია დარიშხანი, ანთიმონიტი, ვოლფრამი, ვერცხლისწყალი და მოლიბდენი. ველად აქ არსებულ წიაღისეულზე განვითარებული ყოფილა სამთო-მოპოვებითი მრეწველობა: სოფ. ღებთან ბრილში ნაპოვნია ანთიმონიტის, რკინისა და სპილენძის მაღაროები, სადაც წარმიებდა ლითონის მოპოვება და დამუშავება.

ამ კუთხის მნიშვნელოვანი სიმდიდრეა ტყე, რომელზედაც მოდის მთელი ქვერაიონის ტყეების დაახლოებით 32 %. ზონის რიგ ადგილებში გვხვდება მინერალური წყაროები (შოვი, გლოლა). ბუნებრივი რესურსებიდან მეტად დიდ სიმდიდრეს წარმოადგენენ სუბალპური და ალპური საძოვრები.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მხარეს ქვერაიონის ტერიტორიის თითქმის ნახევარი უკავია, სამეურნეო განვითარების დონითა და მოსახლეობის სიმჭიდროვით ძალზე ჩამორჩება მის სამხრეთ ნაწილს. მეურნეობის სუსტად განვითარება გაპირობებულია, ერთის მხრივ, დასამუშავებელი მიწების სიმცირით, მეორეს მხრივ კი იმით, რომ იგი რაჭა-ლეჩხუმის სხვა კუთხეებთან შედარებით უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტად არის დაცილებული საქართველოს მთავარ საკომუნიკაციო ხაზებს და მსხვილ სამრეწველო ცენტრებს.

ეს არის ძირითადად **მეცხოველეობისა და საკურორტო მეურნეობის ზონა.** გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მეკარტოფილეობას, მარცლეული და საკვები კულტურების მოყვანას.

მეცხოველეობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივ საკვებ რესურსებს — სათიბებსა და საძოვრებს. საძოვრებს უკავიათ 2886 ჰექტარი, სათიბების ფართობი კი 4441 ჰექტარს აღემატება. ამ მხარის მეცხოველეობაში წამყვანი ადგილი მსხვილ რქოსან პირუტყვს უკავია, რომელიც კოლმეურნეობათა ძირითად შემოსავალს იძლევა. 1958 წლის მონაცემებით მსხვილი რქოსანი პირუტყვის ჯოგი შეადგენდა 3064 სულს (მათ შორის ძროხა 974 სული).

აქაური მსხვილი რქოსანი პირუტყვი ზამთრის განმავლობაში ბაგურ კვებაზეა, მაისის შუა რიცხვებიდან კი მეწველ საქონელს მთაში მიერეკებიან. საზაფხულო საძოვრებზე პირუტყვი ჩერდება სექტემბრის შუა რიცხვებამდე, შემდეგ კი ისევ ბრუნდება საზამთრო ბინებში. ზამთარში პირუტყვის საკვებს წარმოადგენს თივა, ჩალა და სილოსი. მსხვილი რქოსანი პირუტყვის ზამთრობა თითქმის 7—8 თვეს გრძელდება და საკვების სიმცირის გამო მეტად ძნელდება მათი შენახვა.

აქაური პირუტყვს უკეთესი პირობები აქვს, ბუნებრივი საკვები რესურსების მხრივ. მაგრამ აქ ძოვების რაციონალური წესი არ ტარდება. პირუტყვის საძოვრებზე გაშვება ხდება ერთბაშად, გაფანტულად და ნაკვეთების დაუყოფლად, რაც მეტად ამცირებს საძოვრების ნაყოფიერებას. აქ არსებული მეწველი პირუტყვი ძირითადად ადგილობრივი ჯიშისაა, რომელიც არ გამოირჩევა მაღალი პროდუქტიულობით.

ამ მხარეში საკმაოდ ჰყავდათ მოშენებული წვრილფეხა პირუტყვი—თხა და ცხვარი. ამჟამად კი მათი სულადობა ძალზე შემცირებულია, განსაკუთრებით დაეცა ცხვრის რაოდენობა. წინათ ცხვარს სამატყლე მნიშვნელობა ჰქონდა; ქსოვდნენ საჩოხე შალებს, წინდებს და თელავდნენ ქეჩის. აქაური მატყლი ბაზარზე გასაყიდათ არ გაჰქონდათ, იგი უმთავრესად ხმარდებოდა ადგილობრივ შინამრეწველობას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სიფეიერო მრეწველობის განვითარებამ და მაღალხარისხოვანი ქსოვილების შემოტანამ ამ მთიან კუთხეში გამოიწვია შინამრეწველობის მნიშვნელოვანი შეზღუდვა, რამაც თავის მხრივ გავლენა მოახდინა სამატყლე ცხვრის მოშენებაზე. მეცხვარეობის დაცემის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ მას არ გააჩნია საზაფხულო საძოვრებთან ერთად საზამთრო საძოვრები.

ამჟამად უფრო მეტი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს თხას. თხა ალპურ საძოვრებზე იშვიათად მოჰყავთ. ზამთარში იგი სოფლის ზამთრის ბინებშია, ზაფხულობით კი სოფლის მახლობლად ჩირგვებში ან ტყეში სძოვს. თხის ჯიშებიდან აქ გავრცელებულია: მეგრული, ყარაჩაული და ყაბარდოული თხა. სახნავ-სათესი მიწების სიმცირის გამო მეტად ცუდი პირობებია მეღორეობისათვის.

მიწათმოქმედების დარგებიდან, ისევე როგორც შქმერში და მთისკალთაში უმთავრესად მეკარტოფილეობას მისდევენ. მარცლეულიდან ითესება საშემოდგომო ხორბალი და ქერი. სასილოსედ მოჰყავთ სიმინდი. უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ გაიზარდა საკვები კულტურების ფართობი.

სასოფლო-სამეურნეო მიწები განლაგებულია მდ. რიონის ხეობაში, სოფლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის — ღებისა და ჭორას მიდამოებში, და აგრეთვე მდ. ჭანჭახის ხეობაში სოფ. გლოლასთან.

სოფლის ფარგლებში მოქცეულ სახნავ მიწებს შინა ყანები ეწოდება, სოფლიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ მიწებს კი გარე ყანები.

შინა ყანებში ძირითადად ითესება კარტოფილი, ნაწილობრივ კი საშემოდგომო ხორბალი და სიმინდი. სათიბები აქ სრულიად არ არის, ხოლო საძოვრებად იყენებენ ისეთ მიწებს, რომლის დამუშავებაც გუთნით შეუძლებელია.

გარე ყანებშიც ძირითადად კარტოფილი და მარცვლეული მოჰყავთ და მხოლოდ ერთი მეოთხედი თუ აქვს დათმობილი სათიბებს. ვინაიდან გარე ყანები უფრო მაღლა მდებარეობენ შინა ყანებზე, ხორბალს აქ ცვლის ქერი. მარცვლეულ კულტურებს მცირე ფართობი უკავიათ და ამავე დროს მცირე მოსავლიანობითაც ხასიათდებიან. მოსახლეობა განიცდის პურეულის მწვავე დეფიციტს და საჭირო ხდება მისი შემოზიდვა მეზობელ რაიონებიდან.

ამ მხარის ტყეები, მინერალური წყლები და საღი მთის ჰავა მეტად ხელსაყრელია საკურორტო მეურნეობის განსავითარებლად. აქ არის შესანიშნავი მაღალმთიანი კურორტი შოვი, რომელიც თავისი სამკურნალო მაჩვენებლებით არ ჩამოუვარდება საქართველოს სხვა მაღალმთიან კურორტებს.

ტყით დაფარული ციცაბო მთის ფერდობები, თოვლიანი მწვერვალები, მთის ჩქარი მდინარეები და ჩანჩქერები ზაფხულის პერიოდში უამრავ ტურისტს იზიდავს.

აქაური მოსახლეობა ძირითადად განსახლებულია სამ სოფელში: ღებში, ჭიორასა და გლოლაში. შოვში ზამთრის პერიოდში მუდმივი მოსახლეობა არ არის. ეს დასახლებული პუნქტები გარდა შოვისა გამოირჩევიან თავიანთი კომპაქტურობით და ამ მხრივ წაგავანან ზემერსა და მთისკალთას. ამ სოფლებს ძველთაგანვე ჰქონიათ განსახლების კომპაქტური სახე. ვახუშტი ბაგრატიონი ასე ახასიათებს მათ „არს გლოლა დაბა მსგავსი ციხისა, კოშკოვან — გოდლოვან — ზღუდიანი... რაინის სამკრთი არს ჭიორა, დაბა მოზღუდული და კოშკოვანი, გოდლოვანი. ამას ზეით, ჩრდილოთ კერძოდ, დაბა არს ღები, ეგრეთვე ნაშენი“.[1] შუა საუკუნეების მშფოთვარე ეპოქაში ამ სოფლების კომპაქტურობა უდავოდ სამხედრო მიზნებთან იყო დაკავშირებული. ეს მხარე სვანეთს ეკუთვნოდა და მხოლოდ გამუდმებული თავდასხმების შედეგად შეუერთდა რაჭას.

ეს სოფლები გამოირჩევიან თავიანთი მოსახლეობის სიდიდით. ამათგან ყველაზე დიდია ღები (2727 კაცი), რომელიც სიდიდით მხოლოდ ქალაქ ონს ჩამოუვარდება.

ეს მხარე ონთან და სხვა მეზობელ მხარეებთან დაკავშირებულია გზებით: ონი-საგლოლო-შოვი და საგლოლო-ჭიორა-ღები, იმის გამო, რომ რაინზე ხიდი არ არის, ღები და ჭიორა წლის სხვადასხვა პერიოდში თითქმის მოწყვეტილი არიან რაინის ცენტრს და სხვა დასახლებულ პუნქტებს.

აღმოსავლეთის ქვერაინის სამეურნეო განვითარება უნდა წარიმართოს შემდეგი მიმართულებით:

1) მრეწველობისა სამთომოპოვებითი, ენერგეტიკული, და ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობის ხაზით. კერძოდ, ბარიტის მარაგი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მისი მოპოვება თითქმის ორჯერ გაიზარდოს.

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი 1941 წ., გვ. 160.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2) სოფლის მეურნეობიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეცეს მეცხოველეობის განვითარებას. მიუხედავად პირუტყვის პროდუქტიულობის ერთგვარი ზრდისა, იგი მაინც ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნილებას და ჩამორჩება. როგორც საქართველოს, ისე საბჭოთა კავშირის მთიანი რაიონების ალპურ მეურნეობას ამის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ჯიშობრივად დაბალპროდუქტიული პირუტყვის სიჭარბე და სათიბ-საძოვრების არარაციონალურად გამოყენება. უნდა გაიზარდოს მარცვლეულის ხარჯზე საკვები კულტურების ფართობი, რათა ზამთრის განმავლობაში საქონელი უზრუნველყოფილ იქნეს წვნიანი საკვებით.

3) მეტი ყურადღება უნდა მიეცეს ცხვრის მოშენებას, რამდენადაც კავკასიონისა და ზოდა-ეედელას მთების დახრილ ფერდობებზე საკმაოდ არის ე. წ. „ბასოლუტური ცხვრის საძოვრები“, რომელსაც მსხვილი რქოსანი პირუტყვი ვერ იყენებს. კერძოდ მეცხვარეობის განვითარება პერსპექტიულია სოფ. ღების კოლმეურნეობისათვის, რომლის საზაფხულო საძოვრები დაახლოებით 3000 სულ ცხვარს დაიტევს. მეცხვარეობის განვითარების შემთხვევაში საჭირო იქნება საზამთრო საძოვრების გამოყოფა ჩრდილოეთ კავკასიაში. ცხვრის გადაყვანა საზამთრო საძოვრებზე მიზანშეწონილია მამისონის უღელტეხილზე გავლით.

4) დაბალი ზონისათვის პერსპექტიულია მევენახეობა, რომელიც ზვიდწლედის ბოლოსათვის 100 ჰექტარი უნდა გაიზარდოს. საჭიროა ყურადღება მიეცეს ყურძნის გამოყენებას შამპანური ღვინოების მასალად, რაც გაზრდის აქაური მევენახეობის მნიშვნელობას.

5) ამ ქვერაიონის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გზების რეკონსტრუქციას და კეთილმოწყობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეცეს შიდა რაიონულ გზებს, რომლებიც მთიან ნაწილებს აკავშირებენ რაიონულ ცენტრთან და დაბალმთიანი ზონის სოფლებთან.

Н. В. НАЧКЕБИЯ

ВНУТРИРАЙОННЫЕ РАЗЛИЧИЯ РАЧА-ЛЕЧХУМИ

Резюме

Учет различий природных условий, размещения населения и отдельных отраслей хозяйства по территории исследуемого района дает возможность выделения в нем двух микро экономико-географических районов — Западного и Восточного. Эти микрорайоны отличаются друг от друга и по характеру производственной специализации, плотности населения и типам расселения.

1. В Западный микро-экономико-географический район входят Амбролаурский и Цагерский административные районы. С точки зрения производственной специализации он является районом энергетической и лесной промышленности, виноградарства-виноделия, плодоводства и животноводства.

В этом микрорайоне наиболее важное хозяйственное значение имеют низкогорные территории, охватывающие долины р. р. Риони, Цхенисцкали и Ладжанури. В этой зоне в основном развивается энергетическая промышленность, виноградарство-виноделие и плодоводство. Она также является наиболее густонаселенной частью микрорайона. Хозяйственную специализацию этой зоны определяет виноградарство-виноделие. Здесь выделяются 6 виноградарско-винодельческих микрорайонов, выпускаю-

ეროვნული ბიბლიოთეკა

 щих высшие сорта полусладких и сухих вин; важнейшим из них является Хванчкара—Амболаурский микрорайон, расположенный в Рионской долине.

В хозяйственном отношении менее развита южная часть Западного микро-экономико-географического района, занимающая северные склоны Рачинского хребта и масив Хвамли-Асхи. В экономике этой зоны наиболее важное значение имеет плодоводство, животноводство и зерноводство. Из ископаемых богатств здесь исключительную ценность представляет Шаорское месторождение каменного угля, которое в перспективном отношении будет иметь огромное значение для развития угольной промышленности Грузии. Северная часть Западного микроэкономико-географического района в связи с сильной расчлененностью рельефа хозяйственно слабо освоена; важнейшими богатствами этой части являются гидроресурсы и лес.

2. В состав Восточного микро-экономико-географического района входит Онский административный район. В хозяйственном отношении эта территория размещения горнодобывающей, лесной промышленности и животноводства. Некоторое значение имеет также картофелеводство и виноградарство-виноделие.

В Восточном микро-экономико-географическом районе, как и в Западном основной зоной размещения хозяйства являются пониженные низкогорные части района, занимающие долину р. Риони. Здесь занимаются виноградарство-виноделием, развито зерновое хозяйство и животноводство. В зоне имеются предприятия пищевой и легкой промышленности. Это также наиболее густонаселенная часть района.

Южная часть Восточного микрорайона, охватывающая северные склоны Рачинского хребта, выделяется как зона горнодобывающей промышленности, животноводства и картофелеводства. Богатое месторождение Чодрского барита имеет важное значение для ряда отраслей союзной промышленности, потребляющих барит.

Северная часть микрорайона ввиду ее высокогорного характера хозяйственно не достаточно освоена. В отношении экономико-географического положения зона имеет неблагоприятные показатели; она характеризуется некоторой отдаленностью от важнейших экономических районов и промышленных центров Грузии.

Ведущая отрасль хозяйства этой зоны — животноводство мясо-молочного направления.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. ნ. ასტახოვი, გ. დონდუა, და სხვ. რაჭა-ლეჩხუმის მთიანი ქვაბულის ფიზიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. ფონდი, №1291, ხელნაწერი, თბ., 1958.
2. გ. გერიძე, ქართული ბუნებრივად ტკბილი ღვინოები, მევენახეობა-მეღვინეობის ინსტ. შრ., ტ. II, თბ., 1951.
3. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941.
4. გ. გომეგიშვილი, ძველი ქართული სამთომადნო და მეტალურგიული წარმოებისა ნაშთები სოფელ ლემთან, მეცნ. აკადემიის მოამბე, № 9, 1952.
5. გ. კვირიკაძე, მთარაკის ალუვიი მეურნეობა, ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახ. პედ. ინსტ. შრ., ტ. VII, ქუთ., 1946.
6. მ. კორძახია, რაჭა-ლეჩხუმის კლიმატი, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. ფონდი, № 1280, ხელნაწერი, თბ., 1958.
7. ს. მაკალათია, მთის რაჭა, თბ., 1930.
8. ს. მაკალათია, საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში, თბ., 1945.
9. დ. მარუაშვილი, ლეჩხუმის გეომორფოლოგიური დახასიათება, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. ფონდი, ხელნაწერი, თბ., 1958.
10. ა. მირიტაძე, რაჭა-ლეჩხუმის ეაზის ჯიშები, თბ., 1939.

11. კ. მ ო დ ე ბ ა ძ ე, ღვინო ხვანჭკარა და მისი ტიპის ჩამოყალიბება-გაუმჯობესების შესაძლებლობანი, საქ. სას.-სამ. ინსტ. შრ., ტ. XXV, თბ., 1946.

12. ს. ნ ე მ ბ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ქვემო რაჭის ჩრდილოეთი ნაწილის გეომორფოლოგიური დახასიათება, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ. ფონდი, ხელნაწერი, თბ. 1958.

13. დ. ტ ა ბ ი ძ ე, მევენახეობის ეანვითარება საქართველოში. თბ., 1950.

14. ი. რ ა ხ ი ლ ა ძ ე, საქართველოს მევენახეობა და მეღვინეობა, თბ., 1956.

15. ჩ ა ნ გ ა შ ვ ი ლ ი გ., ქვემო რაჭის სამხრეთი ნაწილის გეომორფოლოგიური დახასიათება, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტ., ფონდი, ხელნაწერი, თბ., 1958.

16. ს. ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი, და დ. რ ა ხ ი ლ ა ძ ე, მევენახეობა საქართველოში, საქართველოს სსრ სას.-სამ. ინსტ. შრ., სერია I, თბ., 1940-

17. ნ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. ნარკვევი ზემო-რაჭის ალიური მეურნეობისათვის, „საქართველოს ეკონომისტი", № 4, № 5—6, 1929.

18. Е. Вацадзе, Виноградарство и виноделие в Лечхумском уезде КСХ № 113, 1896.

19. Грузинская ССР, Экономико-географическая характеристика, т., 1958.

20. Грузинская ССР, Статистический сборник, Тб., 1959.

21. Е. Дандуров, Виноградарство и виноделие в Рачинском уезде, КСХ № 119, 1896.

22. Д. Кереселидзе, Гебское сельское общество, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XXII, отд. 11, 1897.

23. Природные ресурсы Грузинской ССР, т. I, М. 1958.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი — СОДЕРЖАНИЕ

1. ნ. ნაჭყებია. რაჭა-ლეჩხუმის მეურნეობის განვითარებისა და განლაგების ზოგადი დახასიათება 3
Н. В. Начкебия. Общая характеристика развития и размещения хозяйства Рача-Лечхуми 17
2. ე. კობახიძე. რაჭა-ლეჩხუმის ბუნებრივი პირობები და რესურსები 2[illegible]
Э. Д. Кобахидзе. Природные условия и ресурсы Рача-Лечхуми 48
3. კ. ანთაძე. რაჭა-ლეჩხუმის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი . 53
К. Д. Антадзе. Историко-географический очерк Рача-Лечхуми 76
4. ვ. ჯაოშვილი. რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობა და ქალაქები . . 81
В. Ш. Джаошвили. Население и города Рача-Лечхуми . . 112
5. ვ. კაკაბაძე. რაჭა-ლეჩხუმის მრეწველობის განვითარება და განლაგება 117
В. С. Какабадзе. Размещение и развитие промышленности Рача-Лечхуми 138
6. ნ. დევიძე. სოფლის მეურნეობის განვითარება და განლაგება რაჭა-ლეჩხუმში 141
Н. Г. Девидзе. Развитие и размещение сельского хозяйства Рача-Лечхуми 171
7. რ. კვერენჩხილაძე. რაჭა-ლეჩხუმის ტრანსპორტი და რაიონთაშორისი კავშირი 175
Р. И. Кверенчхиладзе. Транспорт и межрайонные связи Рача-Лечхуми 185
8. ნ. ნაჭყებია. რაჭა-ლეჩხუმის შიდარაიონული სხვაობანი . . . 189
Н. В. Начкебия. Внутрирайонные различия Рача-Лечхуми 201

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი ს. ჩ ი ჩ უ ა

ტექრედაქტორი ნ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე

კორექტორი ნ. ც ხ ვ ი რ ა ვ ა შ ვ ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 22.4.60; ანაწყობის ზომა 7×12; ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.3.61; ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; ქაღალდის ფურცელი 7,1; საბეჭდი ფურცელი 19,5; საავტორო ფურცელი 16,44; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 16,85; შეკვეთა № 598;

უე 02744; ტირაჟი 500.

ფასი 1—40 კაპ.

სტამბა გაზ. „ლენინსკოე ზნამია“ გამომცემლობა, თბილისი, ძნელაძის ქ. 21.